




# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

25 იანვარი 2013 №2(184)

დეტექტივად ისევ ილია  
გუსტავ ფლობერი და ოთარ ჩხეიძე  
ბაირონის „დონ ჟუანის“ ფრაგმენტი  
მაია ჯალიაშვილის თეატრალური ესეი  
გრიგოლ კ. რობაქიძის სატირული ნოველა  
ცირა ყურაშვილის ლირიკული ჩანახატები  
ამბროსი გრიშკაშვილი ადამ მიცკევიჩზე  
მამუკა ნიკლაურის ლირიკული პოემა  
ქართული მეცნიერების 20 წელი  
ძეგლი ნანგრევებს შორის  
მარტო მოხვევის ჯარიო



## შინაარსი

<b>რედაქტორის გვარდი</b>	2	<b>გაურჩიავი სამარა</b> (გუსტავ ფლობერი და ოთარ ჩხეიძე)
<b>ქიზა</b>	4	<b>ბორის ღარჩია ლეონიძის ერთი გამონათქვამი და ილია ჭავჭავაძე</b>
<b>მსარს-ინტერვიუ</b>	7	<b>რუსუდან ბოლქვაძე „რასაც გაცემ შენია, რაც არა დაკარგულია!“</b> (მომზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
<b>პროზა</b>	8	<b>ცირა ყურაშვილი ჟამსა თამაშობისას</b>
	10	<b>გრიგოლ კ. რობაქიძე რას ფიქრობდა კურდღელი</b>
<b>პოეზია</b>	14	<b>მამუკა ნიკლაური დიანის მინა</b>
<b>კლასიკური მემორიალიზაცია</b>	20	<b>ამბროსი გრიშკაშვილი მიტკაპიჩის „ვან თადეოზი“ ქართულად</b>
<b>თეატრალური სინაზი</b>	24	<b>მაია ჯალიაშვილი მსახიობის დაბრუნება</b>
<b>გამოსაზრება</b>	28	<b>ნოშრევან არაბული ერთხელაც დუელის შესახებ</b>
<b>რეპორაჟი</b>	30	<b>ეკა ბუჯიაშვილი დედაქმნაზე ისევ ილია</b> (ივანე მაჩაბლის გაუჩინარების უცნობი ვერსია)
<b>მოსაზრებების კვლევა</b>	34	<b>მურმან ჯგუბურია ცოტა რა მეტისა და ნაკლების შესახებ</b> (ანუ ლია სტურუას გასამხნეველად)
<b>სილუები</b>	36	<b>გურამ ბენაშვილი ლიტერატურული ვიტრაჟები</b>
<b>თქმა მართლისა</b>	42	<b>მანანა გაბაშვილი ქართული მეცნიერების 20 წელი</b>
<b>კრიტიკა</b>	47	<b>ივანე ამირხანაშვილი ძეგლი ნანგრევებს შორის</b>
<b>ლიტერატურული სკოლა</b>	48	<b>ანა ბერძენიშვილი ვუპასუხეთ ბრედერს და...</b>
	49	<b>მაია მაკალათია ნორჩი თეატრალები და შიშო არაგვისპირელი</b>
<b>აინტოლე</b>	50	<b>მამუკა მარიაშვილი ორი რომანის სათაურებზე</b>
<b>ახალი წიგნები</b>	51	<b>საბა სულხანიშვილი მართო მოხევის ჯარიო</b> (ჯიმშერ ნიკლაურის დარიალური ეპოპეა)
<b>ახალი თარგმანები</b>	52	<b>ლორდ ბაირონი სტამბოლის ბაზარზე</b> („დონ ჟუანის“ მეოთხე თავი)
<b>ნაქვედები</b>	61	<b>მასვილსიტყვაობის ნიმუშები</b>
<b>მოზაიკა</b>	63	<b>სამშობლოსათვის, სამშობლოსათვის</b>

**ორკვირეული ჟურნალი**

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96\_20\_62

რეკლამა – (995 93) 65\_93\_68

გავრცელება – (995 92) 25\_94\_94

ფაქსი: (995 322) 96\_20\_62

E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯობაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: რუსუდან ბოლქვაძე, ბაბუა ალუდაურის ფოტოგრაფი

პეიზაჟი, ჯონ კონსტებლის ნახატი

**„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 8 თებერვალს**



# გაურჩეველი სამარე

(გუსტავ ფლობერი  
და  
ოთარ ჩხეიძე)

უკანასკნელი მუხლმოყრილიც უნდა წამოაყენონ და განზე გაიყვანონ.

კუბოს თავი დააჭედონ და თოკები ამოუგდონ ძირიდან.

მერე ასწიონ ფრთხილად, თანაბრად, ციმციმ ჩაუშვან სამარეში, მაგრამ... ვერ ჩაუშვან.

თითქოს პირი შეეკრას მიწას, კუბოც ზედ დააჯდეს და მოიკალათოს.

ისევ უნდა ამოსწიონ კუბო და ჩახედონ სამარეს — არა, პირი არ შეეკრა სამარეს, ისევ გადახსნილიყო და... კუბოს კვლავ ჩაუშვებდნენ ციმციმ, ოღონდ რაც შეიძლება ზომიერად, თავს დაუქანებდნენ, გვერდებსაც მიმარხებდნენ, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ ჩაიტანდნენ ძირამდის, ბოლოც ისევ ამოვარდებოდა და კუბოც ისევ გადაიფოფრებოდა სამარეზე.

თითქოს გაუცნაურებულიყო სამარე: დახედავდნენ — გადახსნილიყო.

კუბოს ჩაუშვებდნენ და... შეიკვროდა.

ხალხმა წინ უნდა წაინიოს, ყველამ ჩახედოს სამარეს და ერთობლივ ამოთქვას: ვინროაო.

ისევ უნდა დაასვენონ ცხედარი და ბარსა და ნიჩაბს წამოავლონ ხელი.

ესაა დასაწყისი ოთარ ჩხეიძის ნოველისა „მინა“, რალაც უჩვეულო და მოულოდნელი, ამ სტრიქონებმა რომ უნდა განსაზღვროს კომპოზიციური ქარგის იდუმალეზაც და წუთისოფლის დიდ ტრაგიზმზეც მკაფიოდ მიანიშნოს, საბოლოოდ რომ მართლაც უნდა დაიტიოს ეს ტრაგიზმი სულ რამდენიმე ფურცელმა. დიდი და ბობოქარი ვნებები კი იმ მოქმედების ირგვლივ შენივთდეს, თუ როგორ გაჯიქებულა, გაურჩებულა სამარე და არა და არ თანხმდება, მიიბაროს ცხედარი.

გაუთავებლად უნდა აგანიერონ და აგანიერონ, თხარონ და თხარონ, მაგრამ ის ჯადოსნური მიჯნა დიდხანს დარჩეს გადაულახველი გაოგნებულ ჭირისუფალთა თვალწინ, და როდესაც ბოლოსდაბოლოს მიწამ უნდა მიიბაროს ანუ დააცხროს ეს ბობოქარი სულიც, ხალხი დაშლას კი დააპირებს, მაგრამ ვერა და ვერ დაძრულან, ფეხიც ვერ გადაუდგამთ და თავიც ვერ მოუბრუნებიათ, რაკილა ჰგონიათ: ისევ ამოვა ცხედარი, ამოვა და გაჯიქდება, და მოითხოვს უფრო დიდ სამარეს და უფრო ბევრ მიწასო.

ეგებ პირწმინდად წარმოსახვის ნაყოფია ნოველის სიუჟეტი.

ეგებ ყოფითმა რეალობამაც უკარნახა მწერალს — დაუსრულებელი თხრა-გაგანიერებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ როდისღაც ვინრო აღმოჩნდა სამარე და დაკრძალვამ დაისაჭიროვა მესაფლავეთა კიდევ ერთხელ თუ ორჯერ ჩარევა. და ეს სავსებით იკმარებდა მწერლისათვის ფიქრის გასაშლელად და იმ სიუჟეტის ამოსახვევად, „მინა“ რასაც დაყრდნობია და დიდი განზოგადებისთვისაც მიუღწევია.

ჩანიშვნით კი საამისო არაფერი ჩაუნიშნავს ოთარ ჩხეიძეს დღიურსა თუ მემუარული ყაიდის ჩანაწერებში და არც სხვა ქართველ მწერალთა მოგონებებიდან თუ პირადი წერილებიდან შეგვიტყვია, რომ ვინმე შესწრებოდეს ასეთ შემთხვევას.

იქნებ ასეთი არც არაფერი მომხდარა ჩვენს ყოფით რეალობაში?



გუსტავ ფლობერი

ან იქნებ სხვებმა არ მიანიჭეს ამ ეპიზოდს ისეთი მნიშვნელობა, ან სიუჟეტის ქარგად ექციათ, ან ვრცელ თხზულებაში ჩაერთოთ, ანდა უბრალოდ ყურადღების ღირსად ეცნოთ და ვინმესთვის იმ წუთას გაეზიარებინათ, ანდა შთამომავლობისათვის შემოენახათ.

ვის ვის და, თვით გუსტავ ფლობერის შემოქმედებითი წარმოსახვა არ გაუღვივებია სამარის დროებით გაჯიქებას.

ქართულ სინამდვილეში ვერ დავიდასტურებია საამისო ეპიზოდი, თორემ ფრანგულ რეალობაში კიდევ მომხდარა, ფლობერიც შესწრებია და არამცთუ უბრალოდ შესწრებია, მთლად მის სისხლსა და ხორცს გადახედნოდა ეს უცნაური ამბავი, მისი დის, კაროლინას, ნემტი ძლივძლიობით რომ მიებარებინა მიწას.

— ეს რა სახლია, — მისწერდა ფლობერი ლუიზ კოლეტს, — რა ჯოჯოხეთი!

და ჯულიან ბარნსს, ავტორს ბიოგრაფიული რომანისა „ფლობერის თუთიყუში“, არ გააკვირვებდა არც ეს ფრაზები და არც ბარათის ზოგადად დაქანცული და სნეული ტონი, რაკილა 1846 წელი „სალამბოს“ შემოქმედის ცხოვრებაში მეტად სამწუხარო შეიქნებოდა — ჯერ მამის გასვენება მოუწევდა და შემდგომ უკვე დისაც.

\*\*\*

ბარნსს დიდ წარმატებად მიუთვლიდნენ ამ ბიოგრაფიული რომანის შექმნას, თუმც უამისოდაც საკმაოდ დახუნძლულიყო ლიტერატურული პრემიებით, და არამარტო ინგლისელი და ამერიკელი სამწერლო საზოგადოება დააფასებდა, არამედ საფრანგეთშიც დიდ პოპულარობას მოიხვეჭდა და პრემიებს იქაც დახვეტავდა, „ფლობერის თუთიყუში“ კი მის გავლენას კიდევ უფრო გაზრდიდა ამ ქვეყანაშიც, თორემ თავის სამშობლოში განსაკუთრებული ლიტერატურული დამსახურებისთვისაც რომ დააჯილდოებდნენ, ესეც ადვილი ამოსაცნობია — პრემიათა იმ მწკრივს რალაც ხომ უნდა დასდგომოდა თავისებურ შარავანდად.

„ფლობერის თუთიყუში“ რაკილა სტილურად მრავალგვაროვანია და დრამატიზმს იუმორი და ირონიაც ენაცვლება,

მთარგმნელს განსაკუთრებული ხელოვნება სჭირდება მის ასამეტყველებლად თავის ენაზე, და სწორედ ასეთი მთარგმნელი გამოუჩნდებოდა ბარნსის ამ ბიოგრაფიულ რომანს ქართულ სინამდვილეში ნინო ქაჯაიას სახით, ვინც გულისგულს ჩანვდებოდა ამ წიგნისა და პირველივე თავების გამოქვეყნება „ლიტერატურული გაზეთისა“ და „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე დაგვარწმუნებდა, კიდევ ერთი წარმატებული ქართული თარგმანის შემსწრენი რომ უნდა გავმხდარიყავით...

თუმც ვიდრე რომანი სრულად ამეტყველდებოდა ჩვენს ენაზე, პაატა ჩხეიძე უკვე მიმითითებდა „ფლობერის თუ-თიყუშის“ იმ თავსა — „კუბოთა ჭრიალი“ — და იმ პასაჟს, ოთარ ჩხეიძის „მინაზე“ მსჯელობისას უეჭველად რომ გამოადგება სალიტერატურო კრიტიკას.

\*\*\*

ჯერ მამის გასვენება მოუწევდა და შემდეგ უკვე დისაცო...

მთელ ღამეს კაროლინას ცხედრის გვერდით გაატარებდა — მიცვალებული თეთრ, საქორწინო კაბაში გამოთიყუშოთ, გუსტავი კი იჯდა და მიშელ მონტენის ესეებს კითხულობდა.

გასვენების დღეს, დილით უკანასკნელად, გამოსამშვიდობებლად ეამბორებოდა კუბოში ჩასვენებულს. ბოლო სამ თვეში უკვე მეორედ მოესმოდა ცხედრის ნასასვენებლად მომავალთა დაჭედილი ჩექმების ბრაგაბრუფი ხის კიბეზე. გლოვა იმ დღეს შესაფერისად ველარ მოხერხდებოდა, რაკილა საქმეები გადაწონიდა — კაროლინასთვის თმა უნდა მოეკვეცათ, სახიდან და ხელებიდან თაბაშირის ასლები აელოთ.

— ვუყურებდი თუ როგორ ეხებოდნენ ამ გაუთლელ მუტრუკთა ტოტყი თათები და სახეს თაბაშირით უფარავდნენ.

ხედავთ, რარიგ განიცდის გუსტავ ფლობერი!.. მაგრამ რა შეუძლია ილონოს. ბარნსისა არ იყოს, ამ გაუთლელ მუტრუკთა ჩაურევლად დაკრძალვა ვერ მოხერხდება და ვერა.

აგერ უკვე მიუყვებიან სასაფლაოს ნაცნობ ბილიკს.

სამარის პირას კაროლინას ქმარი უნდა გატყდეს და დაემხოს.

მესაფლავებები კი ჩაეჭიდონ კუბოს და:

— არყევდნენ; აქეთ-იქით აწვებოდნენ, ატრიალებდნენ, ბარებით ჩეხდნენ, ძალაყინით ასწორებდნენ, მაგრამ ვერა და ვერ ჩაუშვებდნენ. ბოლოს ერთ-ერთი მესაფლავე ფეხს დააბჯენდა სასახლეს სწორედ იქ, სადაც კაროლინას სახე უნდა ყოფილიყო, და ჩატენიდა სამარეში.

ზუსტად ისეთივე ვითარებაა, რაზეც „მინის“ სიუჟეტური ქარგა გაიშლებოდა.

სამარე გაჯიქებულა, გაურჩებულა და როდის-როდის მიიბარებს კაროლინა ფლობერის ცხედარს.

და ეს ვითარება კიდევ ერთხელ უნდა განმეორდეს, ამჯერად „მადამ ბოვარის“ შემოქმედს გადახედეს თავს, მანამდე დის სახისაგან ბიუსტს რომ დაამზადებინებდა და

სანერ მაგიდაზე დაიდგამდა, ვიდრე თვითონაც სულს დალევდა იმავე სახლში 1880 წელს.

მისი ცხედრის გასაპატიოსნებლად გი დე მოპასანი იზრუნებდა, მისი სულიერი მემკვიდრე და იმჟამად ერთი ყველაზე სახელგანთქმული მწერალი მთელს ევროპაში.

გუსტავის დისწული ითხოვდა, ტრადიციის თანახმად მისი ხელის ასლიც ავიღოთო, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, რადგანაც გუსტავ ფლობერის მუშტი მეტად მძლავრად შეკრულიყო სიკვდილისწინა კრუნჩხვისას.

პროცესია ჯერ კანტელუს ეკლესიისაკენ გაემართებოდა, შემდეგ სემეტერი მონუმენტალისაკენ, სადაც ჯარისკაცთა რაზმი ჰაერში გაისროდა.

ჯულიან ბარნსი, ვისი ეს ბიოგრაფიული რომანიც, როგორც მოგახსენეთ, შეზავებულია დრამატიზმითა და ირონიით, ქუფრ ფერებს ღიმილი რომ ანელებს და ანათებს ხოლმე, ამჯერადაც თავს ვერ იკავებს ირონიული გადაკვრისაგან: ეს ზალპი „მადამ ბოვარის“ ბოლო სტრიქონის უქმ გაპრანჭულობას ჰგავდაო.

ორიოდე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოითქმოდა და კუბოს კიდევ დაუშვებდნენ სამარეში.

მაგრამ...

გაიჭედებოდა გუსტავ ფლობერის სასახლეც.

— სიგანე ამჯერად მესაფლავებებს კარგად დაეჭირათ, მაგრამ სიგრძე კი შეშლოდათ. გაუთლელ მუტრუკთა შვილები ამაოდ ეჯაჯგურებოდნენ კუბოს; ვერც ქვემოთ ჩაეტენათ და ველარც ზემოთ ამოეზიდათ. რამდენიმე უხერხული წუთის შემდეგ მგლოვარენი თანდათან დაიშლებოდნენ და ჩატოვებდნენ მინაში დამრეცი კუთხით ჩაჭედილ ფლობერს.

მიბარებით კი მიებარებინა სამარეს მისი ნეშტი, მაგრამ გაჯიქება და გაურჩება გამოეჩინა და მთელი ვაი-

ვაგლახი კი იმით დასრულდებოდა, რომ დამრეცად დაკრძალვას მაინც არაფერი ეშველებოდა.

ბარნსი ნორმანთა სიძუნწეს ასხენებს და დასძინს: არც მესაფლავენი არიან გამონაკლისნი და ენანებათ თვითეული ბელტი, რომლის მოჭრაც უხდებათო.

— და ეს დანანება პროფესიულ ტრადიციად შემოინახეს 1846 წლიდან 1880 წლამდე.


ასე გაიდებოდა ხიდი ამ ორ დაკრძალვას შორის.

ისე მაინც რა იყო, ეს „პროფესიული ტრადიცია“ რალა ფლობერთა ოჯახმა ინვინია ასე მწარედ?

თანაც — მაშინ ძალზე ძნელად თუ მაინც მოხერხდა, იმ 1846-ში, 1880-ში ძალდატანებაც ვერ გამოიღებდა სასიკეთო ნაყოფს და ერთ უდიდეს მწერალთაგანი ასე უხერხულად დაიკრძალებოდა.

ბედი იჩენდა ირონიას მის მიმართ?

ან ეგებ თვითონ გუსტავ ფლობერი დასცინოდა სამარედან ბედსაც და იმ ხილულ სამყაროსაც, რომელსაც არაერთი სატანჯველი ერგუნებინა მისთვის?



ოთარ ჩხეიძე

ჯულიან ბარნსი უფრო აქეთ გადაიხრებოდა, ეგაა, დაცინვად კი არ აღიქვამდა ფლობერის იმ სიკვდილის შემდგომ შესტს, კაცობრიობასთან გამოთამაშებას საიქიოდან, არამედ — უწყინარ გახუმრებად.

და არც გაშლიდა ამ მოტივსა თუ თემას. წერილმანად არ მიეჩნია, ცხადია, რაკილა საგანგებოდ შემოეტანა თხრობისას, მაგრამ არც იმხელა მნიშვნელობა მიენიჭებინა, საგანგებოდ ჩალრმავებოდა და სულაც ჩართულ ნოველად ექცია.

ვერ გასწევდა ამ ჭაბანს ეს ორი ეპიზოდი თუ რა!.. ჯერ ცალ-ცალკე, თორემ...

ამჯერად ეპიკოსი არ ჩაერეოდა ამ სიუჟეტის გააზრებაში და ამიტომაცაა, მარტოდენ გულის-შემძვრელ დეტალებად რომ შემოგვინახავდნენ მინის გაჯიქება-გაურჩების ამ სურათებს.

ის, რაც ხელიდან გაუსხლტებოდა ჯულიან ბარნსს, ოთხი ათეული წლის წინათ უკვე გააზრებულიყო მხატვრულად ქართულ სალიტერატურო ცხოვრებაში და მნარე თავდასხმებიც ეწვნია ჩეკისტური კრიტიკის მხრიდან, როგორ თუ ასეთ ტრაგიკულ თემას შეეხე და თანაც ძარღვის ფეთქვას შეავლე ხელიო.

ნელ-ნელა დაიშლებოდნენ გუსტავ ფლობერის ჭირისუფალნი, მწვავე გულისტიკვილად რომ გამოჰყვებოდათ სამარის ეს უცნაური პირმოკვრა.

და თუ გახევებულიყვნენ იმ უცნაურობის შემსწრენი, მხოლოდ წამიერად, განსხვავებით ოთარ ჩხეიძის პერსონაჟებისაგან, რომელნიც ვერაფრისსიდეებით ვერ დაძრულან ადგილიდან, ის კი არა, გატოკებაც აღარ სურთ, და მოელიან, რომ ცხედარი ამოიზიდება სამარიდან და ახლა ის გაჯიქდება და გაურჩდება და მოითხოვს უფრო დიდ სამარესაც და უფრო ბევრ მინასაც.

\*\*\*

გი დე მოპასანი მაინც როგორ არ ჩაეჭიდა ამ ეპიზოდს და ნოველის სიუჟეტურ ქარგად არ აქცია?!

უნებურად გამორჩა?

ან ეგებ დიდხანსაც უტრიალა და ეჯაჯგურა, მაგრამ პირი შეიკრა თემამ, გაჯიქდა და გაურჩდა და შიგნით არ შეუშვა თვით ამ რანგის ნოველისტი, ვინც თავს იმით ინუგეშებდა: მართლა რომ ინახავდეს სიუჟეტურ მარცვალსა თუ ძარღვს ეს ამბავი, თვითონ გუსტავიც ხომ არაფრისსიდეებით არ გაუშვებდა ხელიდან, სხვა თუ არაფერი, მაგიადაზე დადგმული ბიუსტი კაროლინასი ყოველწამს შეახსენებდა მისი მხატვრულად გააზრების აუცილებლობასო.

\*\*\*

აქ კი, ქართულ სივრცეში, კვლავაც გახევებულნი დგანან ოთარ ჩხეიძის პერსონაჟები და მღელვარედ და შიშით მოელიან ცხედრის ამოსვლას სამარიდან — მაინც მწყურვალისა და მაინც დაუმცხრალის.

ბორის დარჩია

# ლესინგის ერთი გამონათქვამი და ილია ჭავჭავაძე

ჩემი მამიდაშვილის შვილის, ზაირა ვადაჭკორიას, ნაშრომს ვკითხულობდი, რომელიც კომპოზიტორ იოსებ კეჭაყაძის საგუნდო ნაწარმოებებს ეხება. შესავალში ავტორი საუბრობს ლალო აღნიაშვილსა და მის გუნდზე, იმონებს ამ მუსიკოსის მიერ გამართული კონცერტისადმი მიძღვნილ ილია ჭავჭავაძის სტატიას, რომელიც 1886 წლის 18 და 19 ნოემბერს გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად, მეთაურ წერილებად დაიბეჭდა. აქ ილია „ლაოკოონზე“ მითითებით ლესინგს მიაწერს სიტყვებს: „მუსიკა არის უტყვი პოეზია და პოეზია — მისტატიკური მუსიკა“.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე, რუსი კრიტიკოსებისა და პუბლიცისტების, ნიკოლოზ ჩერნიშევსკის, ნიკოლოზ დობროლიუბოვისა და სხვათა მსგავსად (რომლებსაც უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვით სტუდენტობის წლებში მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში), უდიდეს შეფასებას აძლევდა ლესინგის შემოქმედებას, სახელდობრ, მის ტრაქტატ „ლაოკოონს“. მას არაერთხელ დაუმონებია იქ გამოთქმული შეხედულებები.

აღნიშნულმა ციტატამ ორი რამის გამო დამაეჭვა. ჯერ ერთი, პოეზიასა და მუსიკას შორის დაპირისპირება შინაარსობრივად მეუცხოვა: კარგი, პოეზია მეტყველი მუსიკაა, მაგრამ რატომაა მუსიკა უტყვი პოეზია?! მეორეც, ვიცით, რომ „ლაოკოონში“ არის არა პოეზიისა და მუსიკის, არამედ პოეზიისა და ფერწერის, მხატვრობისა და ქანდაკების საზღვრების ძიება. რომ ლესინგი პირველის, — პოეზიისა და მუსიკის ურთიერთმიმართების, — თაობაზე საგანგებო ნაშრომის დაწერას აპირებდა და ვერ მოასწრო.

ილიას სტატიაში წერია: „მთელს ქვეყანაში სახელგანთქმულმა გერმანელმა ლესინგმა ერთს თავის სახელოვანს თხზულებაში, რომელსაც «ლაოკოონი» ჰქვია, სთქვა: «მუსიკა არის უტყვი პოეზია და პოეზია — მეტყველი მუსიკა». ჩვენ კიდევ ამას ვიტყვით, რომ სიმღერა, გალობა სხვა არა არის რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა“ (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი V, კრიტიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ეთერ შარაშენიძემ, ლამარა მეგრელიშვილმა, ცისანა ყიფშიძემ, ლამარა შავგულიძემ და ლევან ჭრელიშვილმა, თბ., 1991, გვ. 275. როგორც ნიგნზე დართულ შენიშვნებშია აღნიშნული, ეს სტატია აქ ლ. მეგრელიშვილს მოუმზადებია — გვ. 618).

ამავე სტატიაში ილია ისევ აგრძელებს მსჯელობას მუსიკასა და პოეზიაზე და კვლავ ლესინგს იმონებს: „ჩვენა ვსთქვით, რომ სიმღერა გულისთქმაა. როგორც ცალკე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არა ჰგავს... ამის გამო გულისთქმაც, გულის გამომეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველს ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის. იგი უტყვი პოეზია, რომელსაც ლესინგი მუსიკას ეძახის, იგივე ენაა, მხოლოდ ხორცშესხმული, სიტყვით არგანსაზღვრული, სიტყვით არ გამორკვეული — იგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი ძახილია აღფრთოვანებულის სულისა“ (გვ. 277).

რამდენიმე წლის წემდეგ, 1890 წლის 18 თებერვალს, გაზეთ „ივერის“ მეთაურად ( 37) გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც „ნასაკითხის კარგ ნაკითხვას“ ეხება, ილია აღნიშნულ მოსაზრებას ისევ იმეორებს:

„ხმა სიტყვას ჰშველის და სიტყვა ხმასა. მოჭარბებული არ მოგვივა, ვსთქვათ, რომ აქ, ცოტად თუ ბევრად, სიტყვიერება ჰმუსიკობს და მუსიკა ჰსიტყვიერობს. სწორედ მუსიკა და სიტყვიერება აქ ხელიხელ ჩართულნი არიან საყვარელ და-ძმასავით, რომ ერთმანეთის შემწეობით, ერთიანი გრძნობა აღმოშობონ მთელის ზედმინევილობით და ძალ-ლონით. ტყუილად კი არა სთქვა სახელოვანმა ლესინგმა, რომ პოეზია ენამეტყველი მუსიკაა და მუსიკა უტყვი პოეზიაო. აქ რომ სიტყვა «პოეზია» «სიტყვიერება» შევცვალოთ, დიდი შეცდომა არ მოგვივა, იმიტომ რომ ხმა-შენყობილი გამოთქმა სიტყვისა, თუნდა უბრალო ლაპარაკში, თუ მთლად მუსიკა არ არის, მისი ერთი დარგია მაინც, რადგანაც მისი კანონს ცოტად თუ ბევრად ექვემდებარება“ (იგივე, V ტომი, გვ. 483. წერილი მოუშადადებია ლევან ჭრელაშვილს).

რას გვიჩვენებს თავად „ლაოკოონი“? დავიწყით ბოლოდან. ჯერ ჩავხედოთ ქართულ თარგმანს. ლესინგი აქ (და სხვაგანაც) „მუსიკის“ ნაცვლად ხმარობს სიტყვას „ფერწერა“, „მხატვრობა“ და აღნიშნავს, რომ ეს გამონათქვამი ეკუთვნის ცნობილ ბერძენ ლირიკოსს სიმონიდე კეოსელს, რომელიც დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვით 556-486 წლებში ცხოვრობდა. ლესინგი მას „ბერძენ ვოლტერს“ უწოდებს. ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „ბერძენთა ვოლტერის ბრწყინვალე ანტიტეზა, რომ მხატვრობა მუნჯი პოეზიაა, პოეზია კი მეტყველი მხატვრობააო, რა თქმა უნდა, არც ერთ სახელმძღვანელოში არ ეწერა. ეს იყო მხოლოდ ერთ-ერთი მახვილგონივრული მიგნება, ასეთები სიმონიდეს მრავალი აქვს და მათი მართალი ნაწილი იმდენად ნათელია, რომ უნებლიედ გვაგინყდება მცდარი და ბუნდოვანი, რასაც ისინი შეიცავენ“ (გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი, ლაოკოონი, ანუ მხატვრობისა და პოზიის საზღვრების შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, ნარკვევი და კომენტარები დაურთო აკაკი გელოვანმა, თბ., 1986, გვ. 46).

ილიას დროს „ლაოკოონის“ ქართული თარგმანი არ არსებობდა. სამეცნიერო ლიტერატურაში კამათია იმაზე, იცოდა თუ არა ილიამ გერმანული ენა. ერთნი გადაჭრით ამტკიცებენ, არ იცოდაო, მეორენი — პირიქით: გერმანელი ჰაკეს პანსიონში, შემდეგ თბილისის გიმნაზიასა და ბოლოს პეტერბურგის უნივერსიტეტში იგი ფრანგულთან ერთად გერმანულსაც სწავლობდა და ეს ენა იმდენად მაინც იცოდა, რომ ლიტერატურა გამოეყენებინაო. „ილია ჭავჭავაძის მრავალრიცხოვან მკვლევართა შორის, — წერს ვენერა კავთიაშვილი, — მიუხედავად უმეტესი მათგანის შესანიშნავი გამოკვლევებისა, თითქმის სრულიად არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, იცოდა თუ არა მან უცხო ენები და, თუ იცოდა, დაახლოებით რა დონეზე. თუ ფრანგული და ინგლისური ენების ცოდნაზე დაახლოებით წარმოდგენა მაინც გავაჩნია, მსგავსს ვერ ვიტყვით მის მიერ გერმანული ენის ცოდნასთან დაკავშირებით. ამ

მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ალექსანდრე კალანდაძის ნაშრომი «ქართული ჟურნალისტიკის ისტორია», სადაც ერთგან შენიშნავს ავტორი: «როგორც ჩანს, უნივერსიტეტში სწავლის დროს ილია გერმანულ ენას იმდენად ფლობდა, რომ შეეძლო მხატვრული ნაწარმოები უშუალოდ ორიგინალიდან ეთარგმნა». (თავად ალ. კალანდაძემ გერმანული ენა კარგად იცოდა, — ბ. დ.) ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ვიტყვით შემდეგ: ...“ (ვენერა კავთიაშვილი, ჰაინრიხ ჰაინე ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1978, გვ. 31-32).

მრავალი ნიმუშის მოყვანის შემდეგ ვ. კავთიაშვილი გადაჭრით ამბობს: „ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს, გავაცხადოთ, რომ ილიას შეეძლო ყველა სახის ლიტერატურის კითხვა გერმანულ ენაზე“ (გვ. 33). (ჩვენს 'ყურადღებას იპყრობს ილიას პირადი ბიბლიოთეკის კუთვნილი გერმანელი არტურ ლაისტის გერმანულ ენაზე 1885 წელს გამოცემული ნიგნი „გოეთეს გალერეია“, რომელიც ავტორს ილიასათვის ფრანგული წარწერით მიუძღვნია (ET-3022/09). რატომ ფრანგულით, თუ ილიამ გერმანული, ასე თუ ისე, იცოდა? იქნებ, იმიტომ, რომ მან ფრანგული გერმანულზე უკეთესად იცოდა).

ჩვენი საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ილია სად გაეცნო ამ თხზულებას, — დედანსა თუ თარგმანში. დედანი და რუსული თარგმანიც იმასვე გვიჩვენებს, რასაც ქართული თარგმანი.

საძიებელი ანტიტეზა 1859 წელს გამოსულ „ლაოკოონის“ რუსულ თარგმანში, რომელსაც 1857-1861 წლებში პეტერბურგს მყოფი ილია შეიძლება-

და გასცნობოდა და რომლის ერთი ცალი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ მის ბიბლიოთეკაშიც მოიპოვება (TS-3152509), ვკითხულობთ: „Блестящая антитеза греческого Вольтера, который назвал живописью немую поэзию, а поэзию говорящею живописью, не была, конечно, помещена ни в одном учебнике“ (Лаокоон, или о границах живописи и поэзии. Соч. Лессинга, Перевод Е. Едельсона, Москва, 1859, გვ. IV). ილიას ცალში სიტყვები „немую поэзию, а поэзию говорящею живописью“ ლურჯი ფანქრით არის გახაზული.

რა თქმა უნდა, „მუსიკა“ არც დედანშია. ამ ტექსტსაც დავიმონებთ: „Die blendende Antithese des grichischen Voltaire, daß die Malerei eine stumme Poesie und die Poesie eine redende Malerei sei, stand wohl in keinem Lehrbuche...“ (ხელთა გვაქვს ბერლინსა და ვაიმარში გამოცემული ლესინგის თხზულებათა 5-ტომიულის მეოთხე ტომი, 1965, გვ. 164).

მამ რა ხდება, რა უნდა ვიფიქროთ?

ილიას ნაწერებში უამრავი შემთხვევა გვაქვს, როცა ესა თუ ის წყარო ზუსტადაა აღნიშნული, მათ შორის ისეთიც კი, რომელიც შემდეგ დავიწყებას მიეცა და საძიებელი გახდა. მაგალითად, ილიას „ივერიაში“ ავტორზე სათანადო მითითებით დაიბეჭდა ვახტანგ მეექვსის აფორიზმი „ცუმა



გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი

გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი!” შემდეგ მის ავტორად ხან შოთა რუსთველს ასახელებდნენ, ხან დავით გურამიშვილსა და ხან კიდევ ხალხურადაც მიიჩნევდნენ (ამაზე იხ. ჩვენი წიგნი: ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა, თბ., 1986, გვ. 3-10).

ილია ზოგჯერ ამა თუ იმ ლექსს ან აფორიზმს შეგნებულად ცვლის იმისდა მიხედვით, თუ როგორ ან რამდენად შეესაბამება და შეეხამება იგი ამა თუ იმ პირს ან მოვლენას. ამ ცვლილებას ხან აღნიშნავს და ხან არა (ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1975, გვ. 276-278, ლ. მენაბდე, რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების... [ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი და ძველი ქართული მწერლობა], თბ., 1992, გვ. 37).

სამწუხაროდ, ილიას ამ მხრივ შეცდომებიც მოსდის და არც ისე იშვიათად. მაგრამ უმეტესობას ახსნა მოეპოვება, — უზუსტობის მიზეზი ჩანს უმთავრესად მაშინ, როდესაც ზეპირად წერს და წყაროს არ ამოწმებს. მაგალითები:

ილია 1859 წელს ჟურნალ „ცისკარში“ აქვეყნებს რუსი პოეტის, იაკობ პოლონსკის, ბალადის, „ბედა მქადაგებლის“, საკუთარ თარგმანს, რომელიც პეტერბურგში შეულელებია. ლექსის ავტორად კი გოეთეს ასახელებს (1). ასევე იგი წარმოდგენილი მის სიცოცხლეშივე, 1892 წელს, დაბეჭდილ მისივე თხზულებების პირველ ტომში. ირაკლი კენჭოშვილმა გაარკვია, რომ ეს ლექსი ეკუთვნის არა გოეთეს, არამედ იაკობ პოლონსკის (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს იზა დობოროჯიჩინიძემ, მანანა იამანიძემ [დასავლეთ ევროპის ლიტერატურის თარგმანები] და თეიმურაზ ჩავლეიშვილმა [რუსული ლიტერატურის თარგმანები], თბ., 1985, გვ. 10, 662, ი. კენჭოშვილი, ილია ჭავჭავაძის ერთი პოეტური თარგმანის გამო, „ლიტერატურული გაზეთი“, 7 აპრილი, 1961, 15, გვ. 3).

ი. ჭავჭავაძე თავის განთქმულ პოლემიკურ ნაშრომს „ქვათა ლაღად“ ეპიგრაფად უმძღვარებს ერთსტროფიან ლექსს: **„ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მანყინარობს. მოყვარესა-მტერსა ვუფრობი, მემოყვრება, მოცინარობს...“**

და მის ავტორად რუსთველს ასახელებს. იოსებ გრიშაშვილმა გაარკვია, რომ იგი „ქილილა და დამანადან“ მომდინარეობს (საანდაზო ლექსები, ვეფხისტყაოსანი, ქილილა და დამანა, გურამიანი, ილია ჭავჭავაძის ანოტირებული, წინათქმა და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა, ტფ., 1935, გვ. 58). ჩვენი მხრივ დავუმატეთ, რომ იგი სულხან-საბა ორბელიანის თარგმანია (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 ოქტომბერი, 2003, 274, გვ. 3).

აქ ვხედავთ, შეცდომა რას გამოუწვევია. ვიდრე „ქვათა ლაღად“ დაინერგოდა (1899 წ.), შოთა რუსთველის სახელით ეს ლექსი რამდენიმეჯერ დაიბეჭდა, მათ შორის, 1886 წელს რუბრიკით „დამაკვირდი“ — ჯერ „ივერიაში“ და შემდეგ — ცალკე წიგნად.

ილიას, ახალგაზრდობიდან დანყებული, მთელი ცხოვრების მანძილზე ეგონა, რომ გავრცელებული აფორიზმი „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“ შოთა რუსთველისა იყო. მაგრამ გავარკვიეთ, იგი ხალხური ყოფილა (ჩვენი წიგნი: რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I, თბ., 2010, გვ. 10-20).

უკვე ვთქვით, ზოგჯერ ჩანს, შეცდომა რას გამოუწვევია. მწერალი „კაცია ადამიანში?!“ ბესარიონ გაბაშვილს მიაწერს

ფრთიან გამოთქმას: „ერთი მაქვს, სჯობს ათასს მქონდას“. ბესიკის თხზულებებში იგი არ დასტურდება. გავარკვიეთ, ილიას წყარო ყოფილა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილებაში დაცული თეიმურაზ ბაგრატიონის კრებული (E-23). იქ მოთავსებულია ერთსტროფიანი ლექსი: „სამყაროდე ამქუხარებ...“, რომელსაც სათაურად აქვს „დიმიტრი მდივანთან პასუხად მიწერილი“ და ბოლო სტრიქონად არის ხსენებული ფრთიანი გამოთქმა. ეს ლექსი კრებულში მიჰყვება ჭაბუა ორბელიანზე დანერილ ბესიკის პამფლეტს „დამპალო ლემო...“, რომელისაგანაც ის ხაზით არის გამოყოფილი. მაშინ, როდესაც ბესიკის ლექსს ახლავს ავტორზე მითითება: „ბესარიონ გაბაშვილისაგან თქმული“, მის მომდევნო, საძიებელი გამოთქმის შემცველ ერთსტროფიან ლექსს ავტორზე მითითება არა აქვს. ცხადია, ი. ჭავჭავაძეს (ან მის ინფორმატორს) სტუდენტობისას უნახავს ეს კრებული და აღნიშნული გარემოების გამო ეს ლექსი და მისი ფრთიანი თქმა ბესიკის შეთხზულად მიუჩნევია (ბ. დარჩია, ილია ჭავჭავაძის ერთი ცნობა ბესიკის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XI სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1981, გვ. 13-14).

ახლა თუ ლესინგს დავუბრუნდებით, უნდა ვთქვათ: არ ვიცით და უინტერესო არ უნდა იყოს იმის გარკვევა, აღნიშნული შეცდომა თუ ცვლილება რამ გამოიწვია, — ილიას (ან სხვა ვინმეს, რომლისაგანაც ილიამ გადმოიღო) გულმამოყვებამ თუ შეგნებულმა ქმედებამ?

ამ მიზნით გავეცანით საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ილიას პირადი ბიბლიოთეკის სხვა წიგნებსაც (თავაზიანი დახმარებისათვის უღრმეს მადლობას ვუხედი ამ განყოფილების თანამშრომლებს ფერიდე კვაჭანტირაძესა და დალი მაჩაიძეს). აქ არის ლესინგის შესახებ ორი რუსული წიგნი: სანკტ-პეტერბურგში 1857 წელს გამოსული ნ. ჩერნიშევსკის წიგნი: „Лессинг, Его время, Его жизнь и деятельность“ (TS-2681/09) და 1891 წელს დაბეჭდილი მ. ფილიპოვის წიგნი „Лессинг, Его жизнь и литературная деятельность“ (TS-3022/09). მ. ფილიპოვის ნაშრომი ჩვენთვის საინტერესო არ არის, რადგან იგი 1891 წელსაა გამოცემული, ხოლო ილიას სტატიები ადრინდელია. ნ. ჩერნიშევსკის გამოკვლევამ კი რაიმე საყურადღებო ვერ მოგვცა. ავტორი, თხზულების სათაურის შესაბამისად, საუბრობს პოეზიისა და ფერწერის ურთიერთმიმართებაზე. აი, ერთი პატარა ამონაწერი: „Нужно было создать новую теорию, разрушив ошибочные теории, на которые опиралась формулистика и безжизненность. Это сделал Лессинг своим «Лаокооном» (...). Теперь, надобно только сказать о том общем принципе, который поставил Лессинг в «Лаокооне» существенным характером поэзии, в отличие от других искусств, особенно от живописи...“ (გვ. 171).

ამრიგად: ადვილი შესაძლებელია, ილიას ლესინგის ტექსტი ისე შეცვლილად დამახსოვრობდა, როგორც სტატიებშია წარმოდგენილი. მაგრამ არც ისაა ამორიცხული, საკითხთან დაკავშირებით მწერალს იგი შეგნებულად შეეცვალა. რაც შეეხება საკითხს, რომელიმე სხვა წყაროდან მისი მომდინარეობის შესახებ, ვფიქრობთ, თუ ამაზე თავის მტვრევა და საგანგებო კვლევა-ძიება არ ღირს, იმად მაინც ღირს, გავითვალისწინოთ იგი, რომ იქნებ პასუხს სხვა საკითხების კვლევისას სად-

რუსუდან ბოლქვაძე

# „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებულ მდგომარეობა?

— უსახლკარობა. უიმედობა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სამშობლოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— სიყვარულში ყოფნა.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— პატარა უფლისწული. ავთანდილი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— თამარ მეფე.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ოცხელი, გუდიაშვილი, მატისი, ვან გოგი, ლოტრეკი, ელ გრეკო.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ვერდი, ლალიძე, შოპენი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— გამბედაობა, სიმართლე.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— მიმტევებლობას, სინაზეს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— მშვიდობისმოყვარობა, სიკეთე.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— მოგზაურობა, სტუმრის მისაღებად მზადება.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— მინდა ვიყო ის ვინც ვარ, ოღონდ ჩემთვის ნაცნობი ადამიანების თვისება მქონდეს... ესენია: მამაჩემი, ბებია, ბაბუა და ბევრი ჩემი მეგობარი...

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— პასუხისმგებლობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას, ნდობას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სიფიცხე. სიმორცხე.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— როცა გარშემო ყველა კარგადაა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— როცა პირიქით ხდება ...

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— იმაზე უკეთესი, ვიდრე ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ღვინისფერი, ლურჯი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ია, იასამანი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბელურა, არნივი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— დოჩანაშვილი, გაბრიადე, მარკესი, ოთარ ჭილაძე, ჩეხოვი, ეგზიუპერი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ანა კალანდაძე, გალაკტიონი, ცვეტაევა, ოთარ ჭილაძე.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ანტიგონე.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ჩემი პედაგოგები: ლილი იოსელიანი და მიხეილ თუმანიშვილი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან დედოფალი.

— საყვარელი სახელები?

— გიორგი, ნიკოლოზი, ანა, ქეთევანი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ტყუილს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?

— შიტლერი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორის ბრძოლა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— უფლის 10 მცნება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— ფრენის ნიჭი... და კიდევ მინდა შემეძლოს ადამიანის უარყოფითი თვისებები დადებითად გარდაქმნა.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ვალმოხდილი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— შემართული.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— მათხოვრობა.

— თქვენი დევიზი?

— რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია!

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— შენთან ვარ!





ცირა ყურაშვილი

# ქამსა თამაშობისას

სურათები

ნითლად ანათებს ნათურა. ეს ძველი ფოტოფარანია. ნითელი ნაჭრით ჩამოვბურეთ. ახლა ჟანგით ამოჭმული ნა-  
ნიბურებიდან ნათურის სპექტრი ველარ გამოკვესავს, ვერ  
გადაურბენს ფირებს, ფოტოქალაღდებს. ვერც მამა-შვი-  
ლის ხასიათს წაახდენს. გრილია გასამჟღავნებელი ხსნა-  
რის მომჟავო სუნით გაჟღენთილი პატარა სარდაფი.

ახალი ფოტოქალაღდების შეკვრას გამადიდებლის სად-  
გარსა და მაგიდის ზედაპირს შორის ვაცურებთ-გარედან  
უნებართვოდ შემოჭრილი სხივებისგან ვიცავთ. მკერდითაც  
ვეფარებით, ვიცავთ სიცოცხლეს, ის აქ, ამ პლასტმასის ჯა-  
მებში უნდა ჩაისახოს. ეს განყოფილება ამ ცოტა ხნის წინათ  
ერთად გავმართეთ, მამამ დინჯად, მე აჩქარებით და სულმო-  
უთქმელად. უკან მამის ძველპალტონამოსხმული სარდაფის  
კარია, ოღროზოლო თალით, მკილისგან სანახევროდ დაფე-  
ვილი. სარდაფის ქერი, იგივე სასტუმრო ოთახის იატაკიც მკი-  
ლისგან არის დაფევილი. ყვითელი „ფევილი“ ციურ მანანა-  
სავით გვეფრქვევა თავს, ეს — იატაკზე თავგებივით ცქრია-  
ლით გადაირბინეს ჩემი პატარა ძმების ფეხებმა.

დირესა და დირეს შუა ნამგლის პირია შეცურებული. იატა-  
კის რყევაზე ნამგლის ტარი მოზიდულივით ქანაობს. ქანაობს  
სამჭედურებიც, იგივე ნიღკავები, ისინი დირესა და დირეს შუა  
არიან გაჩრილები. ღორჯოზე სათევზაო კავი თხილის ტოტის-  
განაა, ტაფელაზე და ქაშაპზე — ლერწმისა და ბამბუკისა. მათ  
ჩვენს თავს ზემოთ ძუაზე გამომზული ღვინიანი ბოთლის ყე-  
ლიდან ამოგდებული კორპისგან გათლილი ტივტივები, ტყვი-  
ის ბურთულა საძირავები და ნემსკავები უკონიალებთ. არ  
ვიფრთხილებთ და, თმამი შეიძლება გავგეხლართოს.

ამ ნემსკავებს, საბა ანკასებს, იგივე ანკესებს უწოდებს.  
ნიღკავები მათი ტარია. სამჭედურია მთელი ეს ასხმულ-  
გამართულობა.

სარდაფში მინა მოტკეპნილია. აღმოსავლეთის კედელ-  
თან ტყემლით და სანებლით სავსე ბოთლებია ნაფერდებუ-  
ლი. მინის სიგრილე ასე უკეთ მოიცავთ. იქვე კომპოტებით  
მუცელგამოვსილი, თუნუქის სახურავებით დაბეჭდილი მი-  
ნის დერგებია, აქაც სიფრთხილეა საჭირო, შეიძლება უნე-  
ბურად ფეხი გაჰკრა-გაბზარო. ბოკა სკამებზე ვსხედვართ.  
ტანდაბალ მაგიდასთან ფოტოგამადიდებლის თალი კე-  
ფებს გვითვალისწინებს, სადგარზე გაფენილ თეთრ ფურ-  
ცელზე გამოსახულ ნეგატივებს შევხარით.

ფირები პატარა, შავი პლასტმასის კასრუკებში გვაქვს ჩახ-  
ვეული. გამადიდებლის რენტგენგავლილი ფოტოქალაღდები  
გასამჟღავნებელი ხსნარით სანახევროდ დაფარულ პლასტმა-  
სის ჯამებშია ჩაცურებული. დავეხდავთ-შევაჯანჯლარებთ.  
დროდადრო პინცეტითაც ამოვწვეთ ქალაღდის სველ, პანია  
კუთხეს და ჰოი, ღმერთო, მაღალო! ამ დროს ამოიწვერება  
მკრთალად, მსუბუქად, სახე-გამოსახულებად და შევცქერით

რა სიხარულით, როგორ  
ამოდის, როგორ სავსდე-  
ბა, რა სრული და გამოხა-  
ტული ხდება. ჩვენზე სამ-  
ჯერ მეტად თუ ხარობდა მ  
ა მ ა ამ სახეების ბუნები-  
თი გამოკვეთისას.

პ ა ლ ტ ო მ ო ხ უ რ უ ლ  
კარს მიღმა სხვა სიცოცხ-  
ლეა, ზაფხულის ხვატში  
დედა ჭყინტი სიმინდის  
ტაროებს არჩევს, ჩემი და-  
ძმები თამაშობენ წყნარად  
და აუმღვრევლად, ჭრიჭი-  
ნები რიტმულად და გამო-  
ზომილად აჭრაჭუნებენ  
ფრთებს.

მე და მამა კი ვსხედვართ გრილ სარდაფში, ჩემი დის წი-  
თელი სატინის პერანგით დაბურული ფარნის შუქზე, დაე-  
ცქერით ოთხკუთხა, პარალელურად ამობურთული ხაზე-  
ბით დანაოჭებულ პლასტმასის დიდ ჯამებს და ვხარობთ.  
უძირო ჭიდან ამოდიან ნაცნობი და საყვარელი სახეები. მე  
ვფიქრობ ამ სახეებზე ფაქიზად. აქ ორნი ვართ. მოძღვარი  
და მონაფე, ოსტატი და შეგირდი, დინჯი და სულმოუთქმე-  
ლი, მამაჩემი და მე.

აქ ჩვენით იბადება სიცოცხლე.



## ქვაბი

სულ ასეა, მთელი ბავშვობა და სიყმანვილე. მთელი  
ცხოვრება ვეზიდებით, მიგვაქვს, მოგვაქვს. თუ მიგვაქვს,  
თუ მოგვაქვს. რამდენი ქვა და ხვინჭა გადავზიდეთ ეზო-  
დან. რამდენი სილა და აგური ამოვზიდეთ. ბედმა ქვადქვე-  
ვით დაასრულა ჩემი ბავშვობაც. გავხდი ქვებური. რატომ  
განმარტავს საბა ამ სიტყვას ასე ორაზროვნად და დამაბნე-  
ველად? ქალი ქვებური სხვაა და სულ სხვაა ქვებუდანური.  
ქვებური ქალი კირქვასავით გამოიწვის საკუთარ ცეცხლში  
და ნაპერწკლებად ისვრის სიხარულს.

ჯერ სიბი ვიყავ-ცეცხლმოდებული ცეცხლში ვსკდებო-  
დი, ნატეხებდა ვცვიოდი ირგვლივ. კოხი ქვა გავხდი და ვის-  
ნავლე ცეცხლის გაძლება. ახლა კაჟი ვარ-ცეცხლის მშობე-  
ლი შევიქმნები, ცეცხლს მე თვითონ ვშობ.

კვლავ იქ თუ გდია ვეება კაჟი?

სულ ორი ნუთი სჭირდებოდა, ერთად ავწევდით, საბარ-  
გულში ჩავაბრძანებდით. ეს იქნებოდა ოსტატ-შეგირდის  
ზიარი ქვა. რატომ ჰგონიათ ჩემი სიბოლღე, ან სილაამაზე, ან-  
და ქვრივობა ცეცხლში გასკდება ნატეხებდა, ქვის დანაკს  
ესვრით? არასოდეს არავის ესვრის.

## ბოჯილა

ოსტატმა ზონარი მოსწია და შეგირდმა დააშენა. ერთი  
ქვა ოსტატის, ერთი ქვა შეგირდის. ერთს რომ ოსტატი და-  
აშენებს, ზონარს მოსწევს- ეს ძველებური ტელეგრამაა,  
მყისიერი შეტყობინება ტექსტის გარეშე, მოძღვარ-შეგირ-

დის კურთხევანით გამყარებული. გაღმა ფერდზე შევირდ-  
მაც ერთი ქვა უნდა დააშენოს საყდრის ბალავარს.

ერთი ქვა ოსტატის, ერთი ქვა შევირდის, ორი საყდრის  
ბალავარი ორ მახლობელ ადგილას, ასე ჰყვება გორის  
ფერდის საყდრის ლეგენდა.

დინჯია ოსტატი, წლებგამოვლილი, დაკვირვებულმზე-  
რიანი და დუნე ხელით. სულსწრაფია შევირდი, სული ყელ-  
ში ამოსდის. სიჩქარეში თვალი უტყუვდება და ხელი უცუდ-  
დება. ერთს რომ ოსტატი დააშენებს და ზონარს მოსწვეს-  
ჰარიქა, არ მომასწროსო, შევირდი ორ ქვას დააშენებს ერ-  
თად. სულსწრაფია შევირდი, ლეგენდის დასრულებას თუ  
ელტვის.

ოსტატის სანახევროდ მოყ-  
რილი საყდარი, შევირდს საყდ-  
რის დასრულება უხარის.

სულსწრაფად ნაშენები  
მინცივ დაინგრევა, ქვა ქვაზე  
ალარ დარჩება. შევირდის საყდ-  
რის ნამუსრევი სიძველის მაძიე-  
ბელ შევირდთ აოცებთ, ოსტატ-  
ზე უფრო ოსტატურიც ჰგონიათ  
ალბათ. მაგრამ შევირდი როდი  
არი ოსტატზე მეტი.

დღესაც ასეა, არაფერი არ  
იცვლება ამ ცისქვეშეთში, ყვე-  
ლაფერი მხოლოდ მძიმდება.

ახლაც მოსწია ბრძენმა ოს-  
ტატმა ზონარი, მაგრამ შევირდი  
შლეგიანია, ერთს რომ ოსტატი  
დააშენებს, ჰარიქა, არ მომასწ-  
როსო, ხუთს შევირდი დააშე-  
ნებს, ხუთ ქვას ერთად, სულსწ-  
რაფია, სული ყელში ამოსდის.  
მოზვერს რომ აბუზარა შეუძე-  
რება კუდქვეშ და დაარბენინებს  
ქაჯიანივით, ღობე-ყორეს ისე  
ანყდება. ციხე-გოჯს ვაშენებო, კოშკს, გოდოლს. არადა  
გოჯილაა, ბავშვების ნათამაშები, ნაქურჩლით ნაგები.

ჯერ ორი ნაქურჩალი, მეორე წყება ჩამკეტი, მესამე  
წყება პირველის გასწვრივ, მეოთხე წყება ისევ ჩამკეტი.  
ასე კოკოლავდება ნაქურჩლის გოჯილა, კოკოლა, ხუხულა.  
გრიგალს რად ელტვის, ანდა ქარის გამოქანებას, დაუ-  
ნიავეებს ნელი სიო ნიავი და ძირს დააფენს მთელ ამ კოკო-  
ლას.

ეჰ, რა ძნელია შლეგიანის ხელში ცხოვრება?!

თვალეზადქცეული მამა წევს. ის უკან აღარასდროს  
მობრუნდება, შესვენებულთა რიგებში გადავა მალე. მე  
ვიხრები მისი განწმენდილ-გაპატიოსნებული სახისკენ და  
ვეუბნები: არ შემინდე, გზად ანდრია შემოგხვდება და ის  
გაგიკვლევს.

მამა აღარ მოქაჩავს ზონარს. მისი ყველა ქვა დაშენებუ-  
ლია, მის თარაზოში ზეთის ბურთულა აღარ იძვრის, აღარ  
მიმოდის. მისი შვეული ლაროთი შევირდის დაკიდებული  
აღარ ქანაობს.

შესვენებულთა რიგებში გადავა მამა. მასაც შეინოვს  
ოშადინე, გააქრობს მასაც და გორის ფერდის საყდრის ლე-  
გენდა გამეზრახება, სად დავაშენე ერთად ორი ქვა.

### ეროდი და დიანოსი

ეროდი და დიანოსი. ასე უწოდებს დედა, როგორც ადრე  
გაუგონია, როგორც ეძახდნენ, ალბათ სახელებს ძველ  
დროში. არც იროდიონი, ან ჰეროდე, არც დიონისე, ან რა  
ვიცი...

ასე — ეროდი და დიანოსი.

ჩამოსულა რაჭიდან სესიკა ჭელიძე, მწარე მუშა,  
როგორც დღესაც ეძახიან მინის მოყვარულ, მოჭირნა-  
ხულე მუშაკს. დასახლებულა ქუთაისის მაზრაში, ბალ-  
დათის საბოქაულო ცენტრში, საირმისაკენ მიმავალი  
გზის სიახლოვეს. მაშინ მთელი  
ეს ზედა მხარე გოგოძეებისა  
ყოფილა, ქვედა მხარე, კოპაძე-  
ებისა. თავისი შრომით და ოფ-  
ლით სესიკას შეუსყიდია მინე-  
ბი გოგოძეებისგან, ცოლად შე-  
ურთავს თავად დგებუაძის ქა-  
ლი და დაუსახლებია ამ მინებ-  
ზე ორი ვაჟიშვილი- ეროდი და  
დიანოსი.

ეროდის ჯერჯერობით ნუ  
შევეხებით, დაე, მისმა შრომით  
დამამწვრალმა სხეულმა წყნა-  
რად განისვენოს ჩვენს ნაბლარა  
ყანის თავზე გაშლილ სასაფლა-  
ოზე, ხოლო სულმა კეთილად  
იმოგზაუროს ნათლის სამეუ-  
ფოში.

დიანოსი მოვიხსენიოთ. ისიც  
არ მოაკლდეს კურთხეულ ნა-  
თელს.

ამ დიანოსს ეყოლა შვილები:  
სილიონი, სამსონი, აბესალო. მი-  
ხაკო, სიმონი და დები მათი (დე-  
ბი ასე, უსახელოდ, ანგარიშში



მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი

ჩაუთვლელად .

სილიონს ეყოლა ოლღა. ოლღას ეყოლა პავლე ვეფხვა-  
ძე, პავლეს ეყოლა სოსო, თინა და მაჩანია.

სამსონს ეყოლა ლევანი, ვარლამი, გიგლა და სონია.

აბესალოს ეყოლა ნინა, ანიკო, თამარი, დავითი, ნიკო-  
ლოზი და სეროიჭა.

მიხაკოს ეყოლა თამარი, ბიჭიკო, თინა და მარუსია.

სიმონს ეყოლა ელენე, ვასილი, ივანიკა (გარდაიცვალა  
ოთხი-ხუთი წლისა) და პავლე, რომელსაც ეყოლა დედაჩე-  
მი, მალე წავიდა ომში და დაიკარგა, დაკარგულიც არ ეთქ-  
მის, ამაზე სხვა დროს.

და ამიტომ დედა უმადლის სესიკა ჭელიძეს, რომ ჩამო-  
ვიდა რაჭიდან ამ ბალნარ ადგილას, დაესახლა, იმრომა, აქ-  
ვე გააჩინა ვაჟები: ეროდი და დიანოსი, რომლის ერთ შტო-  
საც — დიანოსისას ჩამოჰყვა თვითონ (დედაჩემი) და აქვე  
გვშვა ჩვენც.

ჩვენს სახლს ზემოთ მარაოსავით იშლება ჭელიძეების  
ეზო-კარმიდამოები.

—ვარლაამ, ვარლაამ! ეს დედაჩემია. ისე მკაფიოდ ის-  
მის მისი ხმა ორლობიდან, ჩვენი სახლის მოშორებით, თით-  
ქოს ეზოდან იძახდეს.

— შედი, გოგო, შედი, ზედ, ოღონდ არაფერი მოინიო — პასუხობს ვარლამ ბიძია დედაჩემს.

მისია გვერდნითელი მსხლის ხე, რომელიც ეზოს ქვემოთ, ორღობეში უდგას. თიბათვის ბოლოს, ქველთობისას ჩატკება მისი წვენი სავეს, დიდრონი, ყვითელი და გვერდებშენითელებული ნაყოფები.

ჩვენ, პატარებს ხილი-ხმილი-ტკბილი გვაკლია. ეზოს გვერდით მხოლოდ მცირე ყანა-ვენახი გვაქვს. ზაფხულის ხვატში წყნარად ირხევა სიმინდის ყვავილ-ქოჩოჩი, ყურძენიც შეთვალულია, კიტრებიც არის ხარდნებზე აკრულ - მიკუნტულები, მხოლოდ ხეხილი არ გვაქვს, ხილი- ტკბილიც ხომ გვინდა?

და დასტაცებს დედა ხელს ემალის ძრომოჭანგულ ლაგვინს, მისი სახელურის ღრჭიალ - ღრჭიალით გადავა ორღობეში.

მაშინ არ იტყვის და რომც თქვას, რას გავიგებთ?!

გულისკანკალით გავა გვერდნითელი მსხლის ტოტებზე, მსხმოიარე ხის კენწეროში. იქვე, მის თავზე მაღალი ძაბვის სადენიც გადის, ამიტომ ამ ხეს არავინ არ გაეკარება, ვარლამ ბიძია დარში ჩამოცვენილ ნაყოფს მობოჭავს, სხვა ვინ გაბედავს თავზე ხელი აილოს და ხეზე შევიდეს?

ეს ძაბვა კიდევ გაახმობს ხეს სულ ცოტა ხანში, მოჭრიან და ცეცხლს შეურთებენ. ახლა, კი ქარი არხევს გვერდნითელ მსხლის ხეს, შრიალებს და ჭრიალებს ხე, დედა საჩქაროდ წვედება ყვითელ ნაყოფებს, ხორცოცვარი ასხამს, საჩქაროდ ყრის ემალის ლაგვინში, ფეხქვეშ ტკაცუნით ტყდება წკირები, ქარი არხევს მაღალი ძაბვის სადენსაც და აჰა, უნდა შეახოს ხის ტოტს და დედა ასწრებს ქარს ჩამოკრეფას, ასწრებს შიშს, სახელოთი ზვითქის მონმენდას, ასწრებს ჩამოსვლას, ჩვენზე ზრუნვას, ასწრებს სიცოცხლეს.

ასწრებს პატარამ, შვიდი-რვა წლისამ ავადმყოფ და მშვიერ დედას ღამის ბნელში, კოპაძეების ვაშლის ხეზე გულისკანკალით დაუკრიფოს მკვახე ნაყოფი და შინ ფრთასხმული გამოექანოს, რომ გადარჩა, რომ ვერავინ დაინახა, ვერ მოჰკრა თვალი.

ასწრებს ფრანგული ენის გერმანელ მასწავლებელს, ვერა ჰელცმანს ანბანის საჩვენებელი ჯოხი - თითა მწარედ ჩაარტყმევინოს თავში, რადგან უპატრონოა, სუსტია და სწავლაშია ჩამორჩენილი.

ასწრებს მშვიერს გული შეუწუხდეს და გადაიქცეს ზევით, სამსონ ჭელიძისას, მანიჯარ ბებიას მაგიდის ფეხებთან, სადაც ისედაც ითევს ღამეს, რადგან დედამისი, იგივე ჩემი ბებია ზუგდიდის ბაზარს არის წასული სიმინდის ტარანზე გასაცვლეულად და როგორ დატოვა ასე პატარა, ასე უმწეო როგორ დატოვა?!

და ის მაინც ასწრებს სიცოცხლეს, რადგან ცხოვრება განა მარტო სანუხარია, ის მანიჯარის დიდი მჭადიდან მოტეხილი ტკბილი და მადლიანი ნატეხიც არის. კი, ვაიეთიც აქ არის და თავს დაჰყურებს ვაიეთის მთა, მაგრამ აქვეა თენებოურის მთა და თენდება სახალისოდ, ხალისიანად და ახლო-მახლოც სიხალისოურს ეძახდნენ საყდარს, ესახლებოდა როცა სესიკა, მერე ეროდი და დიანოსი. ჭელიძე-ჭელიტვაც- ესე არს კაცი, რა საქმესა ხალისიან, ზედაზედ იქმდეს. გინა ესრეთვე აღერსით შეაყუაროს თავი თვისი უაღრესსთა და ზედაზედ იახლოს (საბა) და მიჭელტვაც ეს არის ალბათ, ჭელიძესთან ყოფნა მოგანდომინოს.

და შენ, მკითხველო, გუნებაში რომ გაგვიღმა წმიდა ოთხთავის მსგავს დასაწყისზე და რომ ელოდი ამ ურიცხვი სახელებიდან ორ ხასიათს გამოვძერწავდი- ეროდისას და დიანოსის. და რომ გგონია, ხასიათი თუ არ გამოკვეთე, ცოტას ნიშნავს გახსენება მართალ კაცების. შენ რას დაეძებ, თავს მიიბრუნებ, როცა სულს მომთხოვს მოგონილი ხასიათები და ყველა სიტყვა, რაც არ იყო ჰო, ჰო და არა.

და შენ არ იცი ამ მონათხრობში როგორ ვიშვები ხელახალი და ვიბადები და არც ის იცი, თანაღმობის სევდა შენც რომ გამოკობს, შენც რომ გშვენის ჩემო მკითხველო.



გიორგი კ. რობაქიძე

# რას ვიძრობდა კურდღელი

(აპოლიტიკური სატირა)

სურათი I  
გაგარი ღმერთები  
ლოვისტაბი ალარ არიან

— არც მთხოვოთ ეგ! — აფეთქდა ეოლი, — ისედაც მხოლოდ იძულებით ვმონანილეობ მთელ ამ სისულელეში... ტაიფუნი მარტო ჩემია! მე მეკუთვნის, პირადად მე! და არავის — გესმით?! — არავის არა აქვს ნება, მიმითითოს, როგორ, როდის, რისთვის და სად გამოვიყენო!

— ჩვენ მხოლოდ გთხოვთ, — ალულულუდა ერთ-ერთი ჯუჯა, ჩანს — მთავარი, მწვანედ აცრემლებული ავი თვალები შოტლანდიურად კუბოკრული ცხვირსახოცით ამოიმშრალა და გაუბედავად შეეცადა თავხედური სათქმელის გაგრძელება-დასრულებას, — დანარჩენებიც ხომ შენები არიან...

— არა-მეთქი, — უკვე ამკარა მუქარით გამოსცრა ჯერ ბებერ, მაგრამ საღ კბილებში, შემდეგ კი თოვლისფერი, გრძელი წვერიდან არბალეტის ისრებივით გამოისროლა ეოლმა, — ყურადღებით მომისმინე შენც, ზელმან, და შენმა რწყილიანმა მეგობრებმაც, მოისმინეთ და გადაეცით თქვენს ცოფიან პატრონს — დღეიდან და საუკუნეთა დასასრულამდე ზევსისა და ჩემი ნების გარეშე არც ერთი ქარი და, მით უმეტეს, ტაიფუნი ალარც ერთი წამით არ დაიძვრება ადგილიდან! ახლა კი — გაეთრიეთ! ისედაც ყარს უკ-

ვე ოლიმპო და მთელი ელინიკა თქვენი აქ ყოფნით! ცერბერ! სამამდე დათვალე და, თუ მაგ დროისთვის რომელიმეს კიდეც დალანდავ, დღეს შეგიძლია, ჯუჯებით ისადილო!

უკეთესობისკენ მოულოდნელად და გასაოცრად გარეგნობაშეცვლილმა ცერბერმა დახელოვნებული სტილისტი-გიზაჟისტის მიერ დავარცხნილი გველების ფაფარი ყალყზე დააყენა, მაგრამ თითქმის იმევე წამს ახალი საპენსიო პროგრამის წყალობით გაკეთებულ-შეთეთრებულ-გაპრიალებული ეშვები გააღრჭიალა ბრაზით — გული დასწყდა, რადგან ჯერ ორიც არ ჰქონდა ნათქვამი, რომ ჯუჯები უკვლოდ გაქრნენ და ოლიმპოს, ეოლის სასახლე-გამოქვამულსა და მთელს ელინიკასაც აგერ უკვე მერამდენე ათასწლეულის წინათ დაკარგული კეთილსურნელება და მონატრებული, ჩიტების ჭიკჭიკიანი ცხადი სიმშვიდე დაუბრუნდა.

ჯუჯებით პირის ჩატკბარუნების იმედდაკარგულმა სამთავა ძალმა გაუბედავად ახედა ქარლმერთს და, დროებით დაუსაქმებელი, ზანტი მედიდურობით განვაქვამულის შემოსასვლელში.

„არა უშავს, იმედია, მალე ჯუჯების კი არა, ურჩხულების ხორციც თავზესაყრელად გექნება, — გაიფიქრა ეოლმა და, დაბრუნებული ნეტარი მდგომარეობის მიუხედავად, ჯერ კიდევ მაინც შემორჩენილი ბრაზით გაჰკრა ფეხი გუდას; არა, ჯუჯებზე როგორ იკადრებდა გაბრაზებას?! — დაჭენაობს იმ თავისი ეტლით... გარყვნილი ბერიკაცი!... რა ენაღვლება?! გაათავებე, თავზე დაგვასვა და ახლა... ისევ ჩვენ გამოგვიყვანს დამნაშავეებად... უჰ!“

ჩაფიქრებული ეოლი უზარმაზარ მუხის კასრთან მივიდა და დიდრონ თიხის კათხაში მძიმე, ქარვისფერი ლუდი ჩამოირაკრაკა; მერე ტელეფონი ამოიღო და ნომერი აკრიფა:

— ტრიტონ? როგორა ხარ, პატარავ? დაუძახე მამიკოს... ბანაობს?! ისევ?! მიუტანე ყურმილი!

აპარატიდან პოსეიდონის ბუბუნა ხმა მოისმა:

— ჰო, ვიცი, რაზედაც მირეკავ! ხა-ხა, მაგარი ხარ, შე ბებერო ქარიყლაპია!.. მაგრამ ერთი მაგ შენი გამოქვამულიდან გარეთაც გამოიხედე!..

ეოლი, აპპარატით ხელში, შემოსასვლელის სპილენძის მოაჯირთან მივიდა და, კეთილდუნაძევაში, გაშრა — ასე ლაჟვარდისფრად კამკამა ხმელთაშუა ზღვა ბოლოს როდის ნახა, არც ახსოვდა; წყალი ისე წმინდად ლივლივებდა, მარჯნებს, კენჭებს, ზღვის ვარსკვლავებსა და თევზებს კი არა, კაცი ქვიშასაც კი დაითვლიდა.

ყურმილიდან კი ისევ ისმოდა ზღვალმერთის ჰომერუსი, ბუბუნა ხარხარი:

— ამ ჩემმა გამოშტერებულმა ძმამ ხომ მაგათაც ასწავლა დროისა და სივრცის ჭრა... დარწმუნებული ვარ, ცერბერი ახლა იმავს განიცდის, რასაც ჩემი ტრიტონი!.. ზუსტად მაგ დროსვე იყვნენ ჩემთანაც, მთავარი, გიგანტური ცუნამი მომთხოვეს, როგორ მოგწონს?! ისე სწრაფად გაქრნენ, გამმარებული ტრიტონი რვაფეხებს დაერია!.. ხა-ხა, ხედავ, რა კრიალაა ზღვა?!

თოვლისფერმა, უგრძელესმა წვერმაც ველარ დამალა ძველებურად ანცი ღიმილი ეოლის ნაიარევეებით დასერილ სახეზე.

იცინოდნენ ბებერი ღმერთები და უკვირდით, როგორ მონატრებოდათ ეს უბრალო, ლალი სიცილი.

მერე ეოლმა ცერბერი ჰადესთან გააბრუნა და წარმოიდგინა, რა სიხარულით შეხვდებოდა ქვესკნელის მბრძანებელი თავის პერსეფონასთან ერთად უახლოეს მომავალში ურჩხულებისა და ჯუჯების ლეტაში ჩაჭყუმპალავების ამბავს; ისინიც, ალბათ, ბევრს იცინებდნენ.

გახარებული ცერბერი კი გველკუდის ქიცინით მიქროდა ტარტაროსისკენ — ამათ ქონდარს მოვაყრი, იმათ კი ნივრის და პომიდვრის სანებელს მოვასხამ!..

## სურათი II აპაა

— ნიორი ჩავაჭრა? — აშკარა კეთილსინდისიერებით მოვლილი, სიმინდითა და რკოთი ასე, წელიწადნახევარს განებივრებული და ცივნიავარმიკარებული, მაგრამ შემდეგ კი — ეჰ, რაა ღორის ცხოვრება?! — მართალია, ერთგვარი სინანულით, თუმცა მაინც დაკლული ბურვაკის ჯანსაღად მოვარდისფრო-მოთეთრო ღანღალა ხორცს შავტარიანი, დიდი ბებუთით ასო-ასოდ ქნადა და ძმრის, ხახვის, დაფნის ფოთლისა და მარილ-წინაკის ნაზავით ნახევრად სავსე ვეებერთელა ჯამში ლამაზად და წესიერად აწყობდა კაცი, როცა ყველ-პურსა და ბოსტნეულის სალათზე მოფუსფუსე, მომცრო, მაგრამ ისევე ალვისილი დანით შეიარაღებულმა ოციოდე წლის ბიჭმა ეს ჰკითხა.

იქვე, ათი-თხუთმეტი ნაბიჯის მოშორებით, ალუბლისა და ვაშლის ხეებქვეშ ძველი, ხისავე, მრგვალი მაგიდის გარშემო თორმეტამდე კაცი შემოქმედებითი უნესრიგობით განლაგებულიყო; სანამ ლაზათიან, ქართულ სუფრას მიუსხდებოდნენ, მასლაათობდნენ, თამბაქოს აბოლებდნენ, ზოგი ნარდს აჭახუნებდა, ზოგი მოგებულს უცდიდა, ერთი დოქებში ღვინოს ასხამდა, ერთიც მაყალთან ჯადოქრობდა, დანარჩენები მომავალ თამადასთან შეჯგუფულიყვნენ, როგორც არმიის გენერალიტეტი იყრის თავს მთავარსარდლის გარშემო გადამწყვეტი ბრძოლის წინ; ისიც ნაღველნარევი ღიმილით ადევნებდა არნივისებრ თვალს ამ სასიამოვნო სამზადისს, ცხვირით მტაცებელი ფრინველისას მიუგავდა კეხითა და ჯიშინი, მგრძობიარე ნესტოებით, ტუჩებით — თხელი, მაგრამ მეტყველი, ძლიერ ნიკაპზე პატარა ფოსო, შუბლი — მაღალი, ფიქრით ნაოჭიანი; საკმარისი იყო, მისთვის შეგეხედა და, ყოველგვარი მედიდურობის თითქმის სრულიად არქონისდა მიუხედავად, ამოიცინობდი — სწორედ ის იყო ამა ყოვლის მამზადებელიცა და მახორციელებელიც.

— იცი, როგორა ვქნათ? — უპასუხა ხორცისმჭრელის დროებითა შემსრულებელმა ბიჭს, სინამდვილეში ექსპერტ-კრიმინალისტიკის ბურჯი გახლდათ, პოლკოვნიკის ჩინით, მოზრდილილიპიანი, ჩასკენილი კაცი იყო, გადავარცხნილი, შევერცხლილი თმითა და თამადა-გენერალივით ნაღველიანი თვალებით; კახელი იყო და კახეთითვე მადლიანი, უხვი და გემრიელი ხელი ჰქონდა, — ყველას კი არ უყვარს სალათაში ნიორი... ხინკალივითაა ეგ ამბავი... აგე, ეგ პატარა თევზი აიღე და ნიორი კოვზით ზედვე დააჭყლიტე, აი, ეგრევე, ვისაც უნდა, გადაიღებს, — კაცს ხორცის აქნა მოემთავრებინა, — ბადრი?! რასა შერები, კაცო, აღარ უნდა მაგდენი ცეცხლი, მზად არი სამწვადე, — გას-

ძახა მაყალთან მოფუსფუსე სასაცილო უღვაშებიან რაჭველს და ისევ ბიჭს მოუბრუნდა, — აბა, მოიტა შამფურები, — და, როგორც სჩვეოდა, სიამოვნებით განაგრძო სამზარეულო ნიაღვრელები, თან დინჯად აგებდა ხორცის კოხტა ნაჭრებს მოლაპლაპე შამფურებზე, — ეგ სულგუნი კარქა დაგიჭრია... მაგრა უყვარს მამამენს, არა? — თვალი ჩაუკრა, — არა, მეც კი მიყვარს, მაგრამ — კაცო? — ყველმა ღვინო უნდა მოგანყუროს... გუდა-ყველს რამე ჯობია?!.. მაგ სალათას კიდევ... ხო ყველა მწვანილი უქენი? — ჰო, ძია თემურ, ხახვიც, ძმარიც და ცოტა მარილი და წინაკაც.

— ჰოდა, მაგას ეხლა ცოტა ზეთიც რო მოვასხათ, იქნება გლეხური... მაგრამ ყველას კი არ უყვარს... ზეთი ხო გვაქ?

— კი, ძია თემურ.

— ჰოდა, ცალკე დავდოთ სუფრაზე... ვისაც უნდა, მოასხაამს... რასა დგებარ უსაქმოდ? აგე, რამდენი ხორცია, მანდ, სკამზე კიდევ უნდა იყოს შამფურები... ააცივი შენც... კარქა გისწავლია...

რაის ტრიტონ-ცერბერი და რწყილიანი ჯუჯების ხორცი?! მალე ჰაერში სურნელი ტრიალებდა ისეთი, ეოლ-ჰადეს-პოსეიდონი კი არა, თვით ზევსიც სიამოვნებით დაემეგობდა თავისი ცეცხლოვანი ეტლით აქ, ამ მრგვალ მაგიდასთან, ალუბლებისა და ვამლების საამო ჩრდილში; ბინდებოდა მშვენივრად...

მაგრამ!

ნაღველი ვთქვით ამათ თვალბში...

ქვეყნის დაღუპვა რომ არ დაწყებულიყო, ყველა ღონე იხმარეს... მაგრამ — დაიწყო... და, თუმცა მხოლოდ მათისა და მხოლოდ ქვეყნისა კი არა, უბრალოდ, დაღუპვა დაიწყო ყველა თავისი ნიშნითა და თვისებით, განსაკუთრებით კი — ჯუჯური, ბოროტი ტყუილებითა და სინდის-ნამუსზე უსინანულო ხელის ჩაქნევით.

ზოგჯერ ურჩხულვებსაც კი თითქოს ენატრებათ ბუნებაში ლალად მოლხენა, მაგრამ აღარ ახსოვთ — რატომ? — „ჩრდილში ხანდახან“ ხომ დიკენსი ამბავია...

ამან კი, არწივისმზერიანმა, სხვებზე ადრე რომ დაინახა დაღუპვა და, უფლის კრული დრო რომ განჭვრიტა, ამო ბრძოლის შემდეგ, დარბაზებში დიდაცაცებთან ნადიმებზე საბოლოოდ თქვა უარი და სამუდამო ნაღველიც დაუნდობლად ჩაუდგა თბილ თვალბში.

სევდა იყო იქ იმ საღამოს, როგორც ყოველთვის ამ ბოლო ჟუჟ... დროს.

სურათი III  
იაკინთას მატამორფოზა

იაკინთე ქუთათელი მუხის ჩრდილქვეშ დაემალა მცხუნვარე მზეს, საგზაო ჩანთა და ხელჯოხი ხის ქვეშ დაანყო წესიერად, ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა; კურდღელი კი იყო იაკინთე, მაგრამ მშიშარა სულაც არ გახლდათ და, საერთოდ, გულიანად ეცინებოდა იმათზე, ვისაც, ეზოპ-ლაფონტენსაც რომ თავი დავანებოთ, ბიძია რიმუსის ზღაპრების ნაუკითხავადაც კი კურდღლებზე ასეთი მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ.

„ჩათვალონ, რომ მეშინია, — ფიქრობდა იაკინთე, — ძალაუნებურად ფიქრობ კაცი, რომ მშიშარას ნახევარი, ან თუნდაც მეოთხედი ძალით გაუმკლავდები... ჰოდა, იფიქრონ, მეც ეს მინდა... თუმცა ესენი ხომ არც კაცები არიან... უფრო სწორად, ერთი ურჩხულია, მეორე კი ახლა ხდება... ჰმ-მმ“...

იაკინთემ ჩიბუხი გააბოლა და გზას გახედა — აქედან, მუხის ძირიდან გზა ორად იტოტებოდა, ერთი თავისი მონიფულობის მწვერვალზე მყოფი ურჩხულის ბუნაგისკენ მიუყვებოდა გორაკს, მეორე კი მეორე გორაკისკენ იყო დაკლაკნილი, რომელზედაც იაკინთეს თქმით, აი, „ახლა რომ ხდებოდა“, იმას მოეწყო თავისი ბუნაგი; მაგრამ მუხის ქვეშ განაბულმა ყურცქვიტამ მესამე გზაც იცოდა, სხვებისთვის უხილავი და, მეტიც. ეჭვი ჰქონდა, რომ აქ, სადღაც, მეოთხე გზაც უნდა ყოფილიყო, გაჭურჯული.

— გამარჯობა, აფხაზეთო, შენი, — ჩაილილინა იაკინთემ და ჭეშმარიტად კურდღლური სისხარტით გაიხსენა ძველისძველი სიბრძნე — რაც უფრო ზევით აძვრები, მით უფრო მტკიენული იქნება ჩამოვარდნა.

საათზე დახედვა არც დასჭირვებია, წლების მანძილზე გამომუშავებული სიზუსტით იაკინთემ დროჟამგამოვლილი, მამის სახსოვარი, შავჩარჩოიანი მოყვითალოდ გაცრეცილი „სპიდოლა“ ადგილობრივ არხზე მომართა და ჩანთიდან ამ გენმოდინციურებული დროისთვის გასაოცრად ჯანსაღი ფერის, დიდრონი სტაფილო და ყავით სავსე თერმოსი ამოიღო — თორმეტს აღარაფერი აკლდა.

— ...გთავაზობთ მისი გამოსვლის პირდაპირ ჩართვას, — ჩაიკრუტუნა სერიოზული ინტონაციით ქალმა რობო-დიქტორმა და ჯუჯური ღრინაცელის ფონზე „სპიდოლას“ მოშრილედ დინამიკებიდან ზელმანის ომახიანი, გამამხნევებელი, ენერგიული ხმა მოისმა, — ჩვენ მოვანყობთ ახალ აგორას და ამას მთელ მსოფლიოს დავანახებთ! მთავარ დამკვირვებლად ჩვენ გვეყოლება პერიკლე, ხოლო სამაგალითო წესრიგის დასაცავად დ იმის ხაზგასასმელად, თუ რამდენად ერთსულოვანია მთელი ჯუჯლანდია, ჩვენ შეუზღუდავი უფლებამოსილება უკვე გადავეცით პერსევსს, რომელიც ჩვენი მტრების ჯინაზე უახლესი, ჯუჯლანდიური „პეგასით“ არის აღჭურვილი“ ჩვენი უეჭველი გამარჯვება ყველას დაარწმუნებს ჩვენს სამართლიანობაში, რადგან ყველა ჯუჯას თავზე საყრელად ექნება ქონდარი და მალაროში მალალანა ზღაურებადი, გარანტირებული სამუშაო ადგილი!“ — აქ ზელმანმა მეტი ეფექტის მისაღწევი, ოსტატური პაუზა გააკეთა და მერე დაჰქუხა, — პერიკლე, პერსევსი, პეგასი... ნახეთ, ხალხო, რამდენი პ-ა?! ეს კი იმის უეჭველი დასტურია, რომ ჩვენთან ყველაფერი პროოო...გრესსულადაა!“

იაკინთემ „სპიდოლა“ ახლა ასევე ადგილობრივ, ოლონდ „ოპოზიციურ“ არხზე გადართო:

— ...თერშია გაერთიანება „რამპიტიარკიტარკიტაროს“ ლიდერის, ბატონი მელხანის მიმართვა სრულიად ჯუჯლანდიის მოსახლეობისადმი, — ასევე ქალი რობო-დიქტორის, ოლონდ ოდნავ უფრო იაფფასიანის — ჩინეთში იყო აწყობილი, — ჟღურტულს ზელმანთან შედარებით თითქოს უფრო დინჯი და გულწრფელი, მაგრამ მაინც მგზნებარე სიტყვა მოჰყვა, — ჩვენი გვინოდებენ მტრებს და გვაბრალევენ ქონდრისკაცობას, თუშეცა... თუშეცა, ვინაა ნამდვილი

ჯუჯა და ვინ ქონდრისკაცი, ეს კიდევ გამოსარკვევია“ ჩვე-  
ენ გვისპობენ შესაძლებლობას, ხალხს ავუხსნათ, რომ ის კი  
არაა მთავარი, როგორი ჯიშისა და წარმომავლობის ქონ-  
დარს მიეცემთ ჩვენ მათ, არამედ იიის, რომ ჩვენ მათ ვასწავ-  
ლით, თუ როგორ უნდა მოიყვანონ ეს ქონდარი!..“

იაკინთეს გააჟრჟოლა და, გაბრაზებულმა ჯერ რატომ-  
ღაც სტაფილოს დახედა, მერე „სპიდოლას“ და, თითქოს რა-  
ღაც გადაწყვეტილება მიიღო, ჯერ სტაფილო მოისროლა  
ბუჩქებში, — აჰ, ეს ასოციალური  
საზოგადოება! სად იყო ჯუჯლან-  
დიური პატრული?! ხომ აირტყამ-  
და „ეს საბრალო კურდღელი“ ჯა-  
რიმას?! — მერე ჩანთიდან ლორი-  
ან-ყველიანი „ბუტერბროდი“ ამო-  
იღო და „სპიდოლა“, სადაც მელ-  
ზანი ზელმანს დებატებში იწვევ-  
და, გასართობ, არაადგილობრივ  
არხზე დააყენა — აქ რომელიღაც  
ძველი ფილმის ნაწყვეტებს სთავა-  
ზობდნენ მსმენელს:

„— არა, არა! თქვენში მიმტე-  
ვებლობა და ლმობიერება ერთდ-  
როულად ლაპარაკობენ, ჩემო  
კარგო!“ — სავარაუდო შემშუშე-  
ნით ეუბნებოდა მოხუცი გერმანე-  
ლი მოძღვარი რუს მზვერავს, —  
არ მესმის! ბაჰი, ჰენდელი... და  
უცებ — ეეს!“ — „მერსედეს ბენ-  
ცი“ ალპებში მიიკვლევდა გზას და  
რადიოდან ედიტ ჰიაფის ჟღერ-  
ტული მოისმოდა; მზვერავი პასუ-  
ხობდა სავარაუდოვე ლიმილით:  
„— ჩემში პარიზის სიყვარუ-  
ლი ლაპარაკობს!“

... და უეცრად იაკინთემ ერთ-  
ერთი იმ მეტამორფოზათაგანი განიცადა, ასე მძაფრად  
რომ გრძნობდნენ ძველი ბერძნები; გაინაბა ყურცქვიტა,  
გაიტრუნა, სრულად მიეცა ამ უცნაურ მდგომარეობას.

ამასობაში კი „სპიდოლაში“ შემდეგი ნაწყვეტი ჩარ-  
თეს, ამჯერად ყოჩალი მზვერავი მატარებლით მგზავ-  
რობდა და კონიაკის წრუპვით გერმანელი გენერლის მო-  
ნოლოგს ისმენდა; თვალზე სავარაუდო ცრემლმომდგარი  
გენერალი კი ასე ამბობდა:

„— ...უბედური თაობა გერმანელების! რაც უფრო მე-  
ტი უფლებები და „თავისუფლებები“ გვაქვს, მით უფრო  
მალე გვინდება მათრახი, „გესტაპო“, საიდუმლო პოლი-  
ცია, საკონცენტრაციო ბანაკები! საკმარისია, ვინმემ  
სადემ დაიძახოს — ჰაილ, ჰიტლერ! — რომ...“

ამ დროისთვის სულ სხვანაირი იყო უკვე ჩვენი კურ-  
დღელი — თვალებში აიმ ნალველჩამდგარი თითქოს ტკი-  
ვილით უცქერდა გზებს, სარკაზმ-ირონია-ლამის ცინიზმი  
უკვალოდ გამქრალიყო მისი დრუნჩ...ე, სახიდან, სევდად  
ქცეული, ერთი მოცახცახე ხელით ჩიბუხს ბლუჯავდა, მე-  
ორეთი კი ჩანთიდან ამოსრიანლებულ, „ენისელით“ სავსე  
მათარას, თითქოს ან ერთში, ან მეორეში იყო საშველი,  
თან ბუტბუტებდა მთვრალის მთვარეულობით:

— ურჩხული... ურჩხულები... თავად მეტამორფოზა...  
ურჩხულიზაცია... მე... მეც ურჩხული... სურვილები... ვნე-  
ბები... უსურვილობა და უვნებლობა... ღმერთო, მალა-  
ლო!.. ჰო, მაგრამ ეს ქვეყანა?! ეს, ეს!!! არა მარტო ეს, არა-  
მედ სრულიად!.. ვინ, თუ არა მე?!.. მე — კურდღელი, მე —  
ჯუჯა, მე — ადამიანი, მე... ურჩხული?!.. ღმერთო!

ჯერ ის იფიქრა იაკინთე ქუთათელმა — ყოველი გზა  
არრა არის,-ო და მერე იმ დიდი კაცის, ურჩხულებს რომ  
პირში შესვინოდა დაცინვით,  
სიტყვებმა გააცისკროვნეს, —  
„ვარდისფერ გზის გარდა!..“



მხატვარი იანა ზალიშვილი

...  
სრულად დამშვიდებული  
იაკინთე ნებივრად მიყრდნობო-  
და მუხის ტანს, ჩიბუხიდან კი მო-  
ცისფრო ბოლი, მათარიდან კი  
„ენისელის“ ნაზი სურნელი, მუ-  
ხის ვარჯიდან კი გალობა ცის ბი-  
ნადართა, თავად ზეციდან კი  
წარწარი ქროლვა ეოლის ანცი  
შვილთაშვილების, მსუბუქ სიო-  
თა, „სპიდოლადან“ კი, მამის  
ძვირფას სახსოვარიდან, იაკინ-  
თეს უხილავი თანმეინახის, ფრე-  
დერიკ შოპენის სევდიანად თბი-  
ლი ნოქტურნი, ვარდის ფურც-  
ლებზე კი პეპელა ათასფერადი  
— მოფარფატებდაა...

კურდღელმა ფიქრი შეწყვიტა  
და, ზმანებებს მინებებულმა,  
ინყო ლოდინი მარადისობის.

... მოლოდინი. მისთვის საუკე-  
თესო ადგილი ესაა:

### სურათი IV ვერანდა მუშვიდი ციდან

...მასზედ ყოვლად მშვიდი უდრტინველობით მოზო-  
მელ ბოლთას სცემდა მალალი, ჭალარა მამაკაცი არწივი-  
სებრი პროფილით და ქათქათა ნისლთა სინოტივეში ჯა-  
დოსნურად ჟღერდა მისი წყნარი სიტყვები

— ასედაც შეიძლება, ყოფილიყო, — ფიქრობდა ის  
ხმამალა, — სავსებით შესაძლებელია, არავინ იცოდეს,  
სად უსასრულობამდე ქვევით ქრება სვეტები, ეს სა-  
უცხოო მარმარილოს იატაკი რომ უჭირავთ, მოფენილი  
ათასფერი, გასაოცარი ყვავილებით სავსე იაპონური  
ღრუბლის სავარძლებში ხან ჩნდებიან, ხანაც ქრებიან უშ-  
ფოთველი სილუეტები, მსუბუქი ქსოვილის სამოსით მო-  
სილნი... მხიარულნი და მოღიმარნი არიან ისინი ყოველთ-  
ვის, თან ახლავთ მუდამ სმენის მოალერსე, ჩუმი მუსიკა...  
თითქმის ნიდაგ მდუმარნი არიან ისინი ... ანკი, თუკი  
რაიმე აქვთ სათქმელი, ამას ჩუმად, უხმაუროდ, ფიქრით  
აკეთებენ. სამაგიეროდ ბავშვები ლოცავენ ამ ადგილს  
ხმაურიანი მხიარულებით — იმსხვრევა ჭიქები და ლარნა-

კები, იღვრება ღვინო და თაფლი, შემკრთალი მტრედები ფრთხილად ტოვებენ მოაჯირებს და ისმის სიცილი და წკრიალა ხმები პატარა ანგელოზების... და რა მშვენიერია, რომ აქ არ ბინდდება?! ძილმაც ხომ როგორღაც დაკარგა თავისი აზრი — რა საჭიროა იგი? რისგან შეიძლება, აქ დაილალო? ხილი აქ ყოველთვის მნიშვნელოვანია, აქ დაილალო? ხილი აქ ყოველთვის მნიშვნელოვანია, აქ დაილალო? ხილი აქ ყოველთვის მნიშვნელოვანია...

ის გაჩუმდა და, მოაჯირის კიდეზე ჩამომჯდარმა, ქვევით ჩაიხედა; მას მობეზრდა, იგი დაილალა, ყველაფერის მიუხედავად ეძინებოდა და კიდევე — აცივდა, მაგრამ ისევ ჰქონდა სურვილი საუბრის, რა ექნა?:

— და მოულოდნელად ღრუბელთა უჩინარობიდან ამოსრიალდება ფარფლი თორმეტმეტრიანი თეთრი მკვლელი-ზვიგენის, არა, ორი მკვლელი-ზვიგენის ფარფლი, ან უკეთესი — მოცურავს მთელი ხროვა...

მან გაიცინა ჩუმად, მკერდისმიერი სიცილით, გამართო ყველაფერი, რაც სინათლეს წარმოქმნიდა, შოტლანდიურ პლედში გაეხვია და სიბნელეში, ყოველივე რომ შთანთქა, ჩაიჩურჩულა:

— მე ვინა ვარ? სული, შოკოლადის ქამა რომ მობეზრებია, თუ სხეულში დაეჭვებული ტვინი?

სურათი V  
დილა მშვიდობისა!

ძილად მივარდნილი, ველარაფერს გრძნობ.  
ძილის არჩევა იყო ნება შენი.

რადგან ნიჭიერება შენი მდარე გემოვნების უცხო ძალამ სიზარმაცედ აქცია.

საკუთარ თავზე ხელი ჩაგიქნევია და — გძინავს!

ოდესმე გამოღვიძებულს არ მოგიწევს თავის მართლება — შენს მძინარე დუმილს სხვები განადიდებენ; შენ — დაიმორცხვებ.

როგორც ნენეცი, ყოველი ძალა თავის თავს ქამს; მათ შორის — უცხოც.

შენი მზე ყველა მზეზე კაშკაშა იქნება და შენი დილა ყველა დილაზე უფრო მართალი.


მანამდე კი — ტყუილი უამრავი და გასაკვირი. ბოროტება უსაზღვრო და მზარავი. ლალატი ყოვლის და ყველასი. შიში არსების ყოვლად მომცველი, შემოდგომას მომრიალე ფოთლისადაც კი. სატკიებელი ტკივილის გაყურება. უსასობის და უიმედობის აღიარება. ძილი.

შენი შვილები, არბუშები, არგერები, უძილოები ნაგვემი სულით შენს ძილს ვდარაჯობთ.

სადღაც „ბიგ ბენი“, სადღაც „კურანტი“, ზოგან ქვისის, ზოგან კიდევე მზის-საათები აჩქარდნენ თითქოს, მაგრამ — რაა დრო შენთვის, მარადიულო?!

გავიმეორებ:  
— მზეგრძელი იყავ, საქართველო“.

\* „ვერანდა მეშვიდე ციდან“ ამავე სახელწოდების მოთხრობის თარგმნილი ნაწყვეტია. «Аспонда» Г.К.Р. 2005. Вечна. (ავტ.)



ასურელები დაიყენის ქვეყანას, ხოლო ურარტუელები დაიკარგეს უნოდებდნენ. მოგვიანებით, ძველი ბერძნები დაიხსნენ ტაოხებად მოიხსენებდნენ. ამ უძველესი სახელმწიფოს სახელი შემორჩა საქართველოს ერთ ისტორიულ პროვინციას ტაოს (დიაოხი-ტაოხი-ტაო)

მამუკა  
ნიკლაური

დიაოხის მინა

პროლოგი

...ლეგენდები დარჩნენ ძელქვის ბოძებით, რომ წვიმებმა ვერ გაცვიტონ მინა, რომ ზეცა არ ჩამოტყდეს ჟამის სიმძიმისაგან, რომ ქარებმა ვერ ნაშალონ კვამლი, ცას არ მოსწყდნენ ჩვენი საკვაპურები, რომ ჟამის სვლამ ვერ ნაშალოს გზები, რომ არ მოვწყდეთ წარსულსა და მომავალს. ...თქმულებები სანთლებივით დარჩნენ, რომ წყვილია შავი მეფე ვერ დასვას, რომ ჩავლილი დრო არ გაუჩინარდეს, რომ ჩასულმა მზემ ანათოს ისევ.

ათას წელს გაძლო დიდმა დიაოხმა, დიაოხების ფესვის ფესვმა და მისხის მისხმა. და აჰა, ჟამმა დამპყრობელმა შემოაკითხა — მოვიდა სულის ხორცისაგან განძარცვის ჟამი, მძიმე, უძრავი ღრუბელი ჩადგა დიაოხების მამის მზერამი — იგი სხვა დროში, სხვა სივრცეში გადადიოდა. უკანასკნელად მოიხმო მან თავისი ხალხი — მონადირენი, მემჭედურნი, მემშვილდისრენი, მთიბელ-მომკალნი... მეზადურნი, მენახირენი. ოთხივე მხარეს მოატარა აღმასის მზერა, ოთხივე მხრისკენ გაახედა ხალხი და უთხრა: — აი, ეს მინა ჩემი მინაა, ამ მინის გულში, ამ კლდეების შრეებში გავჩნდი, ეს მინა არის ჩემი დედა და ჩემი მამა, იქ ფესვებია, ზევით კი მე ვარ, ხოლო ჩემს ზემოთ მომავალია, სადაც ახალი ქარიშხლები იგრავნებიან. მე სულ პირველი დიაოხი ვარ, მე ვარ თქვენი დედაც და მამაც, მე ვარ სიცოცხლე —

თქვენი სისხლი და თქვენი ხორცი,  
 მე ვარ უფალი —  
 ერთადერთი ღმერთი ვარ თქვენი,  
 სხვა ღმერთი არ გყავთ!  
 ჩემს სხეულშია გაბარჯლული თქვენი ფესვები,  
 აქედან ცაში ადისხართ და კვლავ მიბრუნდებით  
 და განუწყვეტლივ ბრუნავს სისხლი და ფეთქავს გული...  
 დიაოხების მიწა იგი —  
 თქვენი ბუდე და თქვენი მამის ნაფუძარია.  
 მაცილს უნდოდა, ამ მიწაზე დაედო კუდი,  
 დევსაც უნდოდა, დაეღია ამ მიწის წყალი.  
 აქ დიდზე დიდმა ლენა-მტვრევამ გადაიარა,  
 მაგრამ ქარებმა ვერ შეიძლეს ჩემი ნაქცევა —  
 ქარები მხოლოდ შეშინებულ გულში ძვრებიან,  
 შეშინებულებს ტყეხენ მუხლებში,  
 შეშინებულებს საბან-ლეიბს არ ანებებენ.  
 არ შეგეშინდეთ თქვენსკენ ჯიქურ ნამოსულ მტრისა,  
 არ შეგეშინდეთ ჭრილობებიდან ამომსკდარ სისხლის,  
 ვიდრე სისხლია, სიცოცხლესაც არ აქვს საზღვარი!  
 ისე დადექით, რომ ქარები გაცვდნენ ქროლაში,  
 ისე იარეთ, არ ჩაგიცდეთ უფსკრულში ფეხი,  
 ისე იცურეთ, რომ სამარედ არ გექცეთ წყალი!  
 აგერ, გახედეთ იმ დანისლულ უღელტეხილებს —  
 ჟამის გზებია, ჟამის უღელტეხილებია,  
 თქვენც ჟამთან ერთად ემაგ გზებით უნდა იაროთ,  
 მანდ გადავლა კი თვით ქარებს და ქარიშხლებს უჭირთ!  
 ბევრ მგზავრს დააცვდა წრიაპები მაგ ყინულებზე,  
 მე კი ვიარე, რადგან კლანჭი ვერ მომდო შიმში  
 და ჩემი შუბით ეშმაკი და ქაჯი კი არა —  
 შიში გავფატრე.  
 დათრგუნეთ შიში,  
 შიშთან ერთად ვერ გადაივლით უღელტეხილებს,  
 უღელტეხილი აქლემივით არ დაიჩოქებს!  
 მიწასთან ერთად ჩემს შუბსა და ხმალსაც გიტოვებთ —  
 იბრძოლეთ, შიშის ნიაღვარს არ გაექვლინოთ!  
 იბრძოლეთ, შიშის ზღუდეები გადაიარეთ!  
 ...მე კი მივდივარ, მე ავდივარ ვარსკვლავებს ზემოთ,  
 სხვა ჟამს შევერთვი და იქიდან მოგცემთ ჩემს ნიშანს —  
 იყავით ფხიზლად, არ გამოგრჩეთ ჩემი ნიშანი!  
 წადით, იარეთ! დროს-მარბიელს, შეერკინებით!  
 დღეს ეს დღე იბრძვის,  
 ხვალისთვის კი სხვა ომი გველის!  
 ჩვენ ბრძოლისთვის ვართ დაბადებულნი!

**I. შელოცვის ლექსი**

რალა ავსულმა არ მოსინჯა ჩვენზე მახვილი!  
 რალა ქარიშხლებს არ დააცვდათ რკინის ბრჭყალები!  
 ...მაინც მოვედით.  
 თითქოს წარღვნის ნიაღში გაეჩნდით,  
 თითქოს ნისლოვან ხეობიდან ამოვზევითდით  
 და დილ-დილობით მზე ისევ ჯდება  
 დიაოხების სახლის ერდოზე;  
 და ლამ-ლამობით  
 კვლავ გასძახის ლამის ფრინველი  
 დიაოხების პირსავეს მთვარეს...  
 ჩვენ გხედავთ, დიდო დიაოხო!

შენი ხმაც გვესმის,  
 როგორ ძალიან ახლოს ხარ და  
 თან როგორ შორს ხარ?!  
 როგორ ახლოს ხარ, შენს სუნთქვას ვხედავთ,  
 შენს მოურევნელ, მოუტეხელ სიცოცხლეს ვხედავთ,  
 შენს ხმასაც ვხედავთ და შენს ფიქრებსაც...  
 მოდიხარ, მანყობ გრილ ხელებს შუბლზე,  
 შენი შელოცვა ნამლად ჩადის სიცხიან მკერდში:  
 „— ყანაში იყო შავი ლოდი,  
 ლოდის ქვეშ იწვა შავი გველი,  
 იმ შავ გველსა ერთი ჰქონდა წყლის თვალი,  
 მეორე — ცეცხლის თვალი.  
 დაიღვარა წყლის თვალი —  
 ჩააქრო ცეცხლის თვალი,  
 დაუბნელდა გველს თვალი...“  
 ...როგორ ძალიან ახლოს ხარ და  
 თან როგორ შორს ხარ?!  
 რა ალესილი მთები დგანან ჩვენს გასაყოფად,  
 რა ხმლები ჰყეფენ, რა ქარები დასისინებენ...  
 როგორ შორს ხარ და  
 მაინც როგორ განუყრელნი ვართ!  
 ამ სიშორეში ვერ აღმართა ჟამმა კედელი,  
 ჩვენ მაინც გადავ-გადმოვდივართ ალესილ მთებზე.  
 კოლხეთის ზემოთ, მღვრიე ცაში მიცურავს ქორი,  
 სპილენძის ხარებს გაუკვალავთ არე არესის...  
 წვიმამ მართლაც რომ ბევრი იბრძოლა,  
 ქარმა მართლაც რომ მწარედ იქროლა,  
 მაგრამ ქარში კვლავ ჭიხვინებენ ჩვენი ცხენები,  
 მაგრამ ქარში კვლავ ძვრიალებენ ჩვენი მშვილდები,  
 მაგრამ ქარში კვლავ გასწივიან ჩვენი ისრები;  
 არ დაგვეღვარა თვალის წყალი,  
 არ ამოგვიშრა გულიდან სისხლი,  
 ისევ გრძელდება ომი ქარებთან,  
 ნილს ისევ ყრიან ჩვენს მიწაზე დიდი დევები  
 და შავი გველი შავი ლოდის ქვეშ გატრუნულა...  
 მაგრამ ჩვენც აქ ვართ!  
 პატრონი ჰყავს ამ ნაბრძოლ მიწას,  
 დიაოხები ძველი ჰიმნით ხვდებიან ცისკარს!

**II. ჰიმნი**

ასე თქვა დიდმა დიაოხმა:  
 — დადექით მტკიცედ!  
 და ეს სიტყვები ძელქვებივით ჩარგო მიწაში.  
 ამ სიტყვებით ხარ აშენებული,  
 დიაოხების მაღალო ციხე!  
 სხვაგვარი ქვებით შენი ბჭე ვერ აშენდებოდა,  
 ვერ გაუძლებდნენ ჟამის გრგვინვას შენი კედლები;  
 ამ სიტყვებით ხარ ჩამართული, ქვესკნელს ჩასული,  
 დიაოხების ფესვიდოდო და ტოტდიდო მუხავ;  
 ამ სიტყვებით ხარ ამართული ზეცის კარამდე,  
 შენი სისხლია ეს სიტყვები:  
 — დადექით მტკიცედ!  
 დიაოხების შორეულო ჩამომავლობავ,  
 შენი მაჯა და შენი გული ძვერენ ამ სისხლით,  
 ამ სისხლითა ხარ გატოტვილი ჟამთასვლის ველზე;



დროის დულაბმა გადააბა სიტყვა სიტყვაზე,  
ქვა ქვაზე დადო და დულაბით შეადულაბა  
ჩავლილი ჟამის ახალ ჟამთან შესაერთებლად.

...  
ასე თქვა დიდმა დიაოხმა:  
— დადექით მტკიცედ!

### III. სიცოცხლისათვის

ქარის ენაზე დიაოხი სიცოცხლეს ნიშნავს,  
დაუსაზღვრავ და დაუმრობელ სიცოცხლეს ნიშნავს,  
წვიმის ენაზე დიაოხი გაზაფხულს ნიშნავს,  
სიცოცხლის ხეზე აყვავებულ ყვავილებს ნიშნავს,  
ზვავის ენაზე დიაოხი მეომარს ნიშნავს  
და თვით სიკვდილზე ამხედრებულ სიცოცხლეს ნიშნავს.

...  
დიაოხები სიკვდილისთვის არ ვიბადებით  
და როცა ვკვდებით,  
ჩვენი მინის ნიაღში ვრჩებით,  
ჩვენი სულით კი წვიმასა და ქარს ვუერთდებით,  
ვარსკვლავებით — ჩავხდებით და კვლავ ამოვხდებით,  
გრიგალებით ჩავდგებით და კვლავ ამოვტყდებით,  
ჩვენ ჩვენს ფესვებთან ვართ მიბმულე-მიჯაჭვულები,  
ხოლო ფესვები გაბარჯულან მინიდან ცამდე,  
ხოლო ფესვები გატოტვილან ციდან მინამდე.

...  
დიაოხები მინისათვის ბრძოლებში ვკვდებით,  
თუმცა სიკვდილსაც ვერ დაარქმევ მეომრის სიკვდილს —  
განსხვავებაა ლოგინში მკვდარს და  
ბრძოლაში მოკლულ მეომარს შორის!  
რომ არ გვებრძოლა, დიაოხის მზე ჩაქრებოდა,  
დიაოხის მზე დიდი ხნის წინ გამტვერდებოდა.  
ვინ არ მოვიდა, ვინ არ სინჯა ჩვენზე კბილები —  
აღმოსავლიდან თუ დასავლიდან,  
ჩრდილოეთიდან თუ სამხრეთიდან...  
ოთხივე მხრიდან შემოგვადგა ომის ფლოქვები,  
მაცილი ავად მოგვნიოდა ოთხივე მხრიდან,  
მაგრამ ჩვენს გულზე ვერა ძალამ ვერ იძალადა...  
ჩვენ მხოლოდ მაშინ დავეცემით, თუ მზე დაეცა,  
მაშინ გავქრებით,  
თუ მზე ჩაქრა და დაილია,  
თუკი მზემ ველარ შეაერთა ზეცა მიწასთან.  
ჩვენ ვიბადებით მზის ზარების წკრიალ-წკრიალში  
და ვცოცხლობთ ჩვენი ლამაზი მზის ტრიალ-ტრიალში.

...  
ყორანს გეში აქვს ხორცზე და სისხლზე,  
აგერ, ყორანი დიაოხის ცას გამოეხა —  
ნეტავ საიდან მოფრინავს იგი?!  
აღმოსავლიდან, თუ დასავლიდან?  
ჩრდილოეთიდან, თუ სამხრეთიდან?

### IV. აღმოსავლეთიდან

აი, თენდება, ღამეს ძალა გამოელია —  
გამოიფიტა, დაიძენძა, გადასიკვდილდა.

თენდება, მაგრამ დილა არ მოდის,  
არ დააფრინდენ მალალ ქედებს დილის მზეები  
და მწვერვალებმა მზის ქუდები არ დაიხურეს.  
დილა კი არა, უცნაური რამ იბადება —  
მგლის თავი აქვს და იკლაკნება მინის ზვავით,  
ყმუიან უცხო საყვირები — მშიერი მგლები,  
იკლაკნებიან შარავზეები — ჭრელი გველები,  
დიდი დევების მუქარა წევს თოვლიან გზებზე,  
მაცილის მზერით დატბორილან ჰორიზონტები.  
ხმა გაიკმინდა ჩემმა მდინარემ,  
მისი ხმა აღარ იფოთლება ლოცვად და კდემად.  
— იქნებ შენ მითხრა, ეს რა წყალია?  
— წყველის წყალია;  
— იქნებ თქვენ მითხრათ, ვინ მოდის გზაზე?  
— სიკვდილი მოდის!  
...აღარ ირჩევა, ეს ქარი ტირის,  
თუ ყოველივე, ყოველივე ქვითინად იქცა!  
...თენდება, მაგრამ დილა არ მოდის,  
დილა, რომელიც სერებს თეთრად დააფრინდება  
და შურთხის სტვენას აიტყორცნის მზით სავსე ცისკენ.  
დილა ვერ მოდის — გადალობეს აღმოსავლეთი,  
რომ მზე, აქეთკენ მომავალი, არ გამოუშვან.  
მზე ველარ მოდის, დიაოხთა ზეცა გაშავდა —  
ცა ყორნად იქცა და დიაოხს დაეპატრონა,  
დიაოხის ცას აეფარა დიდი ღრუბელი  
ოთხივე მხრიდან.

### V. დასავლეთიდან

მარღვიელმა მოარღვია დასავლეთის კედელი,  
მინრეილი ჩვენს ფესვებს ჭამს მიწაში;  
მარღვიელი რღვევის ქარებს მოდენის,  
მინრეილი დაბუდდა დიაოხის მიწაში.  
...  
მარღვიელმა და მინრეილმა შეჰკრეს კავშირი,  
რომ ზეცა დაღრღნან, მიწა დაფლითონ,  
რომ ტოტები შემოაღრღნან დიდ მუხას  
და გაგვევენონ დიაოხის მიწიდან.  
ჩვენს ცას ბოძები ელენება,  
მდინარეები წინ ველარ მიდიან —  
დაგუბდნენ ჩვენი მდინარეები,  
გზები დაწყდნენ და გატყვედნენ გზები,  
აღარ მიდიან მომავლისაკენ...  
დარჩა ლოდინი,  
უსასრულოდ დიდი ლოდინი  
და წყურვილით სავსე ლოდინი:  
ჩამოვა დიდი დიაოხი და გაგვასხენებს  
დიაოხების რწმენას და ენას —  
რომ ამ ენაზე გზას გზა ჰქვია  
და რწმენას რწმენა,  
რომ შენი მიწა არაფერზე არ გაიცვლება,  
რომ შენი მიწა მხოლოდ შენი მოსავლეელია  
და ვიდრე ცოცხლობ, ამ მიწისთვის უნდა იომო...  
...ჩამოვა დიდი დიაოხი —  
ინრთობა შუბი, ილესება ჩვენი მახვილი!  
...დიაოხს ღამე შემოადგა ოთხივე მხრიდან.

**VI. სამხრეთიდან**

შავი ნაბადი გადმოჰფინა სამხრეთის ღამემ,  
 დრო-ჟამი თავზე ჩამოგვექცა, ჩამოგველენა,  
 დრო დროს დაემხო  
 დრომ დრო ჩაკლა,  
 დრომ დრო გასრისა,  
 დრო დაილუპა,  
 დრო დაგუბდა,  
 დრო გადაინვა,  
 დრო გაუცხოვდა,  
 დრომ დაკარგა დროის ნიშანი.  
 დრო ბრმა წყალსა ჰგავს  
 და ბრმა წყალში დატივტივებენ  
 გზაარეული, დაბნეული აისბერგები,  
 რაც არასოდეს არ მომხდარა, დღეს ის მოხდება —  
 დრო გაცოფდება, დაგვატყდება ცოფის გრივალი,  
 დრომ უარი თქვა, არ ისურვა ჩვენი ტარება  
 და მომავლისკენ გასასვლელი ამოგვიქოლა.  
 გაფატრულია ჩვენი სხეული,  
 ვინ შეაერთებს დიაოხის ჰაერს და მიწას,  
 ვინ შეადუღებს დიაოხის დაშლილ ნაწილებს,  
 ვინ უმკურნალებს,  
 ვინ გაჰკერავს ამ ღრმა ჭრილობებს?  
 აი, უცხო ხმამ ყინულის ხმით შემოინივლა:  
 დაიმასხოვრეთ, შეღავათი არ იცის ჟამმა,  
 თქვენივე მიწის ნაპრალებში დაილუპებით,  
 თქვენს ქარებში და თქვენს წვიმებში ქვითინი ისმის —  
 ტაო ქვითინებს, კლარჯეთი და ხანძთა ტირიან...  
 სამხრეთის გზებზე გაიშალა შავი ნაბადი!

**VII. ჩრდილოეთიდან**

წითელი გველი, თეთრი გველი და შავი გველი  
 ფლეთენ დიაოხს, ერთმანეთში ინანილებენ.  
 წვიმს — გველივით წევს ცაზე ღრუბელი,  
 თოვს — თეთრი შხამით იფარება ცა და ხმელეთი,  
 ქრის — ეს ქარებიც გველის ხმაზე დასისინებენ,  
 რომ გაგაყოლონ მესაფლავე ქარების გრიალს.  
 ხომ ჩამოგსხიპა ქარმა ტაო, როგორც ფოთოლი!  
 ხომ დაუნგრის ქარიშხლებმა კლარჯეთს კედელი!  
 ახლა სხვა მიწის ჩამოთლის და ჩამოჭრის დროა!..  
 ...ჩრდილოეთიდან თეთრი გველი ამოსისინდა,  
 თეთრი ხმა თეთრად აიკლაკნა მიწიდან ცამდე:  
 შენსკენ საომრად წამოვიდა ქარების მეფე —  
 ქარადანბუქი,  
 შენზე სალაშქროდ შეიმართნენ მისი შვილებიც:  
 ქარაბურუსი, ქარარუსი, ქარადამბადი,  
 შენსკენ მოდიან უსამანო გაბოროტებით  
 და მოგძახიან: დიაოხის გაქრობის დროა!  
 აი, შეერთდნენ დასავლეთის და ჩრდილოეთის  
 დიდი ქარები,  
 შესაერთებლად წამოვიდა სამხრეთის ქარიც —  
 დიაოხების მიწას დაფლეთენ,  
 დიაოხების ცა გაშავდება,  
 დიაოხების მზე ჩავა და აღარ ამოვა!

**VIII. ისტორია — ნამეგული დედოფალი**

...შენ დაგინახა დედოფალმა, როცა ჯალათებს  
 ცხელი შანთები მიჰქონდათ მისკენ.  
 რა შემზარავი ერთობაა! —  
 შიშველი მკერდი, ცხელი შანთი და წამებისგან  
 აალეზული ქალის თვალები!..  
 მან დაგინახა, ხელებივით მოგხვია მზერა  
 და ტკივილების ნიაღვრისგან მოტაცებულმა,  
 შენ, როგორც სალ კლდეს, ჩაგეჭიდა, ჩაგჭიდა მზერა  
 და შენი სიტყვაც ფოლაღივით გამოზრიალდა:  
 — აქ ვარ, შენთან ვარ, მე პირველი დიაოხი ვარ,  
 მეხი დაატყდა მუხადიდის გაბარჯულ ტოტებს,  
 ქარმა დალენა მეომარი იფნის ხეები;  
 მაგრამ იცოდე, ჩემი ხელით მოკვდება ქარი  
 და ქვესენელიდან, — დიაოხთა ღრმა ფესვებიდან, —  
 ამოტყდება მუხისა და იფნის ყლორტები!  
 არ შეგეშინდეს, ჩვენ აქ ორნი ვართ,  
 ხოლო სიკვდილი მარტოა და ვერ მოგვერევა!  
 ...და ეს სიტყვები, მანათობელ ვარსკვლავებით,  
 აენთინე ტანჯვით დაქანცული დედოფლის გზაზე.

**IX. ისტორია — ნამეგული ბიჭი**

იდგა ჯალათის პირისპირ იგი —  
 ირმის ნუკრივით ღამაში ბიჭი.  
 კუნძიც მზად იყო, იარალიც, შაჰის ბრძანებაც  
 და იმ ბრძანების ულმოზელი ამსრულებელიც.  
 იდგა ჯალათის პირისპირ ბიჭი,  
 აძაგდაგებდა სიკვდილის ქარი.  
 სიკვდილმა უცებ ჩაისუნთქა მთელი ჰაერი —  
 უჰაერობით იხრჩობოდა პატარა ბიჭი  
 და სწორედ მაშინ ჩამოისმა ციდან ძახილი:  
 — აქ ვარ, შენთან ვარ, მე პირველი დიაოხი ვარ!  
 არ შეგეშინდეს! ჩვენ აქ ორნი ვართ,  
 ხოლო სიკვდილი მარტოა და ვერ მოგვერევა,  
 არ ამოშრება დიაოხის სისხლის მდინარე  
 და არც მე და შენ ამოვრებით, არ შეგეშინდეს!  
 თეთრ დეკიანად ვიყვავილებთ გაზაფხულობით  
 და ვენახივით დავმნიფდებით შემოდგომობით,  
 ჩვენ უსიკვდილო სიცოცხლისთვის ვართ გაჩენილნი,  
 რადგან ვეყრდნობით უკვდავებით გაჟღენთილ მიწას,  
 რადგან არ კვდება,  
 არ ნებდება დრო და ჟამს მიწა!  
 და ამ მიწიდან ამოდიან დიაოხები —  
 სიცოცხლისათვის, ბრძოლისათვის, გაძლებისათვის!

**X. შინაში, 1992**

...ჩემი ჩემს ქალაქში დაგინახე, ჩვენ დაგინახეთ —  
 დიაოხების ფესვთაფესვო და მაჯისცემავ, —  
 მოზარბაცებდი, მოსტიროდი ცივ და ბნელ ქუჩას.  
 ეშმაკის წყევლის აღსრულების დრო დამდგარიყო —  
 ტალახის ომი მძინვარებდა მთელი სიშმაგით  
 და ბნელზე ბნელი გვირაბებიდან —

კომუნისტური თავებიდან და ტვინებიდან —  
ამოსკდა შმორი და სიძულვილის მომშხამველი სმოგი დააწვა  
ზემოდან ქალაქს.

ხოლო მინაზე აიქეიფა და აილუფხა  
სისხლი და მინა. დღე და ღამე ტალახად იქცა.  
ტალახი ტალახს მიემატა, მენყერი — მენყერს  
და აიზილა, აიზლანა დრო და ტალახი,  
აყეფდა და აროხროხდა ღვარცოფი —  
გამოქანდა ცოფიანი ძალივით.  
არათუ რალაც აბსტრაქტული გვირაბებიდან,  
არათუ რალაც აბსტრაქტული გუბეებიდან,  
არამედ კაცთა სულელებიდან და გულელებიდან  
ამოდოდა სიძულვილის ცოფი და შხამი —  
ამოდოდა, ამოსჩქეფდა, ამოშხიოდა.  
...მიზარბაცებდა შენი აჩრდილი —  
მარღვიელისგან დამარცხებული,  
მინრიელისგან ღონემიხდილი,  
შემოზვავებულ კითხვებისგან გადაქელილი  
და... შენც, ჩვენსავით, თავს ტალახი გადაგდოდა  
და... დიაოხთა ისტორიაც ტალახში ეგდო.

## XI. ისტორია — სიყვარულში ფრენა

დიდ დიაოხს ყველაფერი ახსოვს,  
მეხსიერებით განათებულ გზაზე ბინადრობს  
ისიც და მისი შთამომავლობაც:  
მეხსიერებით გაჟღენთილან მისი წვიმები  
და ისიც უკვდავ ქარებში და წვიმებში ცოცხლობს.  
ახსოვს ის გოგო... ის ბიჭიც ახსოვს —  
ახსოვს, საერთო ფრთები ჰქონდათ და დაფრინავდნენ.  
ორივეს მწვანე სამოსი ეცვა  
და ხეებს ჰგავდნენ —  
მწვანე სისხლით ანთებულ ხეებს.  
სიყვარულიც ხომ ყველაზე მეტად  
დაბურულ ტყეს ჰგავს! —  
დუმღილ-შრიალით, ბუნდოვანი ამოკვნესებით,  
ღამის ფრინველის მოულოდნელ აფრთხილებით...

...  
ისინი ერთად დაილუპნენ, უფსკრულში ჩაქრნენ  
და სიკვდილისკენ მწვანე სისხლის კვალი წაიღეს.  
...მათზე წერს ძველი ჟამთააღმწერელი:  
— დიაოხების ქვეყანაში მაგრად ვილაშქრეთ,  
დიდი ალაფიც წამოვიღეთ,  
ცხვარი და ძროხაც უამრავი გამოვირეკეთ,  
ოღონდ ეგაა, მონები ვერ წამოვიყვანეთ,  
დიაოხები ცოცხალ თავით არ გვენბდებოდნენ —  
ან თავს იკლავდნენ, ან ბრძოლაში იღუპებოდნენ.  
ერთ მშვენიერ წყვილს — ბიჭსა და გოგოს  
— აგრძელებს სიტყვას ჟამთააღმწერელი, —  
გამოეკიდნენ შესაპყრობად ჩვენი მხედრები  
და მიიმწყვდიეს სამინელი უფსკრულის პირას,  
მაგრამ ისინი მტერს არ დანებდნენ —  
გადაეხვივნენ ერთმანეთს და ჩაინთქნენ ხრამში...

...  
ჩვენ ახლაც ცრემლში მოლივლივე თვლებით ვხედავთ:  
როგორ შეერთდნენ, ჩახვივნენ ერთიმეორეს,

თითქოსდა შთანთქეს ერთმანეთით,  
სამარადისოდ ჩაიძირნენ ერთმანეთში და  
მერე კი — ასე შერწყმულნი და შეერთებულნი  
ერთ ულამაზეს ფრინველად იქცნენ,  
უფსკრულისაკენ ჩაექანენ ფრთების ფრიალით  
და თავის ამაყ სიყვარულში დალიეს სული.

...  
ჩვენს მაღალ მთებში იმ ფრინველის აჩრდილი დარჩა,  
იმ ფრინველის ხმით ჩურჩულებენ ჩვენი ტყეები:  
— მე შენ მიყვარხარ! არ დანებდე ჟამის დინებას!  
— ჟამის დინებას არ დანებდე, მე შენ მიყვარხარ!

## XII. ისტორია — ღრუბლები

ყველაზე სანდო ჟამთააღმწერი, იქნებ ცა არი? —  
ცის ეტრატებზე — ღრუბლებზეა გადმონერილი  
ჩავლილი ჟამის ბინადართა გულის გუგუნე,  
ცის ეტრატებზე — ღრუბლებზეა გადმოხატული  
ომების ბოლი და ნაბურჯული ცხენის ნალების.  
ოღონდ წაკითხვა უნდა შეგეძლოს,  
იეროგლიფის ამოკითხვა უნდა იცოდე!  
...ერთი ღრუბელი მეფე დავით აღმაშენებლის  
ომზე გვიამბობს:

მინის პირიდან დიაოხთა აღსახოცავად  
მთლად დედამინას შეუკრავს პირი —  
აღმოსავლეთის და სამხრეთის შავი ღრუბელი  
შავ ცაზე მიდის დიდგორისაკენ  
ჩვენი მზისა და ჩვენი მთვარის დასაბნელებლად.  
ცის შავ მდინარეს ჰგავს ეს ღრუბელი,  
თითქოს შავი ხმით ამღვრეული წყალი მიქანავს —  
ყორნების ჩხავილს და მგლების ყმუილს  
მიატივტივებს ეს შავი წყალი...  
ამ საზარელი ურდოსა და დურდოს პირისპირ  
დგას დავით მეფე — დიაოხთა მთავარსარდალი,  
რომელიც დიდმა დიაოხმა ამომხევა  
დიაოხების მინის სიღრმიდან;  
თეთრმა გიორგიმ ჩამოგზავნა ზეცის სიღრმიდან,  
რომ აზვირთებულ ზვავს შებმოდა დიაოხურად  
და ზედ შუაზე გაეკავა შავი ვეშაპი...

...  
ალარ ღამდება, ისეთი დღეა,  
თენდება და ალარ ღამდება —  
დაულამებლად გადმოგვყურებს დიდგორის დღე და  
გაჩერებული მზე ღალადებს ქარის ენაზე.

...  
ქარი ქრის — ქარში გადასულა სული დავითის,  
ქარი გრიალებს — მეფის სული სხეულს დაეძებს,  
რომ გველუშაპი კიდევ ერთხელ გასჭრას შუაზე...

## XIII. „სახითა მის მიერითა“

დროს სარკმლები აქვს. ამ სარკმლებიდან  
იმზირებიან ძირს ჩასული დიაოხები.  
ამ სარკმლებიდან ამოჰყურებს ქვესკნელი ზესკნელს.  
ერთი სარკმლიდან დიაოხთა სიტყვის მხედარი

და მათი ლექსის გამხედნავი პოეტი გვიმზერს —  
ზის წყლისა პირსა, ცხელი ცრემლი უსველებს სახეს  
და სიყვარულის გრივალეების ფრთები მიაფრენს,  
მის ჟამს არა აქვს დასაბამი და დასასრული,  
მის გზას არა აქვს დასაბამი და დასასრული.  
ის უსასრულო სიბნელიდან ამოდის  
და უსასრულო სინათლისკენ მიემართება,  
როგორც ყვავილი, როგორც დროშა და ჩირაღდანი.  
მან დიდ უფალზე — დიაოხზე ამოიმღერა  
და ლექსი ესე აელვარდა ელვარე ელვად:  
„ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად“.  
იმ პოეტს სწამდა, რომ სიკვდილს და სიცოცხლეს შორის,  
ქარიშხლების და გრივალეების საპირისპიროდ  
დგას დიაოხის ხერხემალი თეთრი ქედივით.  
აი, ამ ქედზე, სიკვდილის და სიცოცხლის ომში,  
ლომის და ვეფხვის ლეკვებივით გაჩნდნენ ლექსები  
სახითა ვეფხვისებრითა, სახითა ლომისებრითა,  
„სახითა მის მიერთა“...  
ვერ გაანყალბე ნესტანის ცრემლებს!  
და ტარიელის ამოკენესას ვერ გააქარვებ!  
დიაოხების სისხლძარღვებში ნანართობ სიტყვებით,  
ყვავის პოეტის სიყვარულის წითელი ვარდი.  
სხვას არ უხდება ვეფხვის ტყავი, თვით ვეფხვის გარდა.

#### XIV. პოეტის სისხლი

თოფების გრგვინვა მცხეთის მთებში ვერ დაეტია  
და გადავიდნენ ექოები მთებიდან მთებზე.  
მოკლეს ილია ჭავჭავაძე —  
კაცი, რომელიც პოეტიც იყო, მეფეც იყო, მისანიც იყო.  
მოკლეს პოეტი-დიაოხი, ნატყვიარ შუბლზე  
ბოროტების ხის ფოთოლივით შეახმა სისხლი.  
განცვიფრდნენ მცხეთის კლდეთა შიბები —  
გადავლილ ჟამის შიშველი ძვლები.  
რატომ?! — ეს კითხვა ღრუბელივით დაადგა მცხეთას.  
რატომ?! — ამ კითხვამ ბებრისციხის კედლები დასძრა...  
მხოლოდ პოეტი იწვა ჩუმად საკუთარ სისხლში,  
არ გაუკვირდა...  
მან იცოდა, ადრე თუ გვიან,  
დაუხვდებოდნენ და ესროდნენ,  
რადგანაც იგი დიაოხის მისანი იყო  
და დიაოხებს აფრთხილებდა მიწყვი და მიწყვი:  
— დიაოხებო, დიდი ჭირი მოემართება  
დიაოხისკენ!  
აოხრდება დიაოხის მიწა,  
მოისრება დიაოხის მოდგმა,  
მოიშხამება თქვენი დღეები  
და ლამეებიც მოიშხამება,  
მიესევინ ჩამოვარდნილ მზეს ყვავ-ყორნები  
და თავის ლხინზე მორიელებს დაპატიჟებენ,  
რისხვით შემოვლენ ჩრდილოელი რუსმონოლოები,  
რომ გზა ჩაკეტონ და კერაზე ჩააქრონ ცეცხლი.  
ცა ატირდება, ცა სევდიან წვიმით ინვიმებს  
და ქვასაც, ქვასაც გააოგნებს  
დედების მოთქმა.  
დიაოხების გასაგისი და მისხის მისხი

ქარის ქროლვაში ნაცარივით გაიფანტება  
და მათი ძვლები, უცხო გზებზე მიმოფანტული,  
ერთ მუჭა მიწას და ერთ პეშვ წყალს მოინატრებენ...  
...ამიტომ მოკლეს და ამიტომ არ გაუკვირდა  
წინამურიდან ავარდნილი თოფების ალი.  
...მათ წიგნის მოკვლა უნდოდათ და პოეტი მოკლეს.  
წიგნი გადარჩა:  
რუსთველის წიგნი,  
საბას წიგნი,  
ილიას წიგნი! —  
ჩაქრობას მაინც გადაურჩა სინათლის ჩქერი!

#### XV. დიაოხის მიწა — ჰიმნი

...მიწა კი არა, ეს თვითონ ჩვენ ვართ,  
ჩვენი ჯიში და ჩვენი სული შეიკრა მიწად,  
ჩვენ ამ ჯიშში ვართ ჩატანებულ-ჩამენებულნი,  
როგორც კედელში.  
ჩვენი სიცოცხლე და სიკვდილი შეიკრა მიწად.  
ჯიში ჯიშია! — როცა ერთი ვეფხვი ღრიალებს,  
მისი კი არა, მისი ჯიშის ხმა სძრავს მიდამოს  
და თვითონ სიტყვა „დიაოხიც“ სიტყვა კი არა —  
დიაოხების ამოძახილ-ამობრდღვინვაა  
გარდასულიდან მომავლისკენ გადმოსროლილი.  
ერთნი არიან დღე და ღამე, ერთმანეთს ცვლიან,  
ჭირში და ლხინში ერთი ყანნით სვამენ შავ ღვინოს,  
ლხინში და ჭირში ერთი ყანნით სვამენ თეთრ ღვინოს  
და წუთისოფლის უძველესი დროშები მიაქვთ —  
ერთს — თეთრი დროშა, მეორეს — შავი.  
დიაოხურად მიდის ჟამი ჩვენს წილ მიწაზე,  
დიაოხურად ჩქეფს წყალი და ყვივს მამალი.  
...მიწა კი არა, ეს თვითონ ჩვენ ვართ —  
შეერთებულნი დიაოხის სისხლის ძარღვებით,  
წამსვლელ-მომსვლელნი, მიმავალნი და მომავალნი —  
ყველა, ვინც გარეთ გამოდევნა სიკვდილის შიში,  
ვინც ხერხემალში ჩაიფინა: „დადექით მტკიცედ“!  
დიდება მიწას —  
ჩვენს დასაყრდენს, ჩვენს დედა-მიწას!  
დიდება მიწას —  
ჩვენს გულებზე დასაყრელ მიწას!

#### ეპილოგი

...ლეგენდები დარჩნენ ძელქვის ბოძებივით,  
რომ ქარებმა ვერ გაცვიტონ მიწა,  
რომ ცა ზედ არ დაგვეცეს ჟამის სიმძიმისაგან;  
...თქმულებები დარჩნენ ჟამის სანთლებივით,  
რომ წყვდიადმა შავი მეფე ვერ დასვას,  
რომ ჩავლილი დღე არ გაუჩინარდეს,  
რომ ჩასულმა მზემ ანათოს ისევ.

დაჭრილი დიდი დიაოხი გონზე მოვიდა —  
არც ჯაჭვი ეცვა, აღარც ხმალი ეჭირა ხელში,  
არც მუზარადი ეხურა თავზე...  
თითქოს წყვდიადის გადამიდან გადმოაღწია,

ფრთაში დაჭრილი ფრინველივით დაასკდა მიწას.  
 სისხლში და რაღაც მძაღლე სუნში გამოელვცია,  
 ინვა და სუნი აწვებოდა მძიმე ქვასავით.  
 დღისა და ღამის სამძღვარზე ინვა,  
 მისი გონი და უგონობა ებრძოდნენ ერთურთს.  
 ვერ გაარკვია, რა სუნი იყო,  
 თავზე რომ ედო მძიმე ლოდევით —  
 ცეცხლის? — არც ცეცხლის,  
 ცრემლის? — არც ცრემლის...

ადგომა სცადა — აინია და ვერ წამოდგა,  
 ხერხემალი სტკიოდა,  
 ხერხემალში გუგუნებდა ხანძარი  
 და გაიფიქრა: — ვერასოდეს ველარ ავდგებიო,  
 ხერხემალი მაქვს გადალენილ-გადაფშვნილიო...  
 და კვლავ უგონო გონებაში გადაბურუსდა —  
 ინვებოდნენ ვარსკვლავები,  
 შავი ბოლით ბოლავდნენ,  
 ინყებოდა სინათლის და სიბნელის ომი,  
 საბრძოლველად მოცურავდნენ ღრუბლები,  
 მწვერვლები შუბებივით მიიწევდნენ ცისკენ,  
 ინყებოდა სიკვდილის და სიცოცხლის ომი.  
 ...და დაინახა ძილ-ღვიძილში, თუ სიზმარ-ცხადში:  
 სავსე მთვარიდან თეთრი ქალი გადმოქათქათდა —  
 თეთრკაბიანი, თეთრთმიანი, თეთრსხვიანი,  
 თეთრი ყვავილი ეჭირა ხელში  
 და მოფრინავდა, მთვარის წყალში მოლივლივებდა.  
 მოფრინდა იგი, წამოსწია ძირს დაცემული,  
 მახვილი მისცა ხელში და უთხრა:

— ადე, იბრძოლე!..

ისევ გონს მოვიდა.  
 ისევ იმ სუნში გამოელვცია  
 და მაშინ მიხვდა...

მიხვდა, სიკვდილის სუნი იყო ის მძაღლე სუნი,  
 ხერხემალში რომ შეჭრილიყო რკინის სოლივით.  
 თვითონ სიკვდილი მოსულიყო მასთან საომრად,  
 სიკვდილს უნდოდა დიაოხზე ეცადა ღონე.  
 არც დიაოხი იყო უარზე...  
 ისიც მზად იყო, კვლავ ებრძოლა სიცოცხლისათვის  
 და შეიბნენ —

სიკვდილი და დიაოხი შეიბნენ —  
 და დაიწყა ომი. მოსკდა დიდი მენყერი —  
 დიაოხივით შეუპოვარი და სიკვდილივით უსასტიკესი.  
 გადადიოდა ეს მენყერი წლებიდან წლებზე,  
 თაობებიდან თაობებზე, სისხლიდან სისხლზე,  
 ქუხდნენ მთები და დულდნენ დიდი მდინარეები...

დღემდე გრძელდება დიაოხის ომი სიკვდილთან,  
 დღესაც გრძელდება მახვილების გადაწვილი,  
 სიკვდილისა და დიაოხის შუღლი გრძელდება...  
 შენ მეკითხები: — რის იმედი გაქვს?  
 ვის მოუგია სიკვდილთან ომი?!  
 მე გეუბნები: — უნდა ვიომოთ,  
 დიაოხების ჯიშშია ომი!  
 ჩვენი სიცოცხლის ნიშანია ბრძოლა და ომი...



ამბროსი გრიშკაშვილი

# მიცკევიჩის „პან თადეოზი“ ქართულად

გასული წლის ბოლოს ქართულმა ლიტერატურამ მეტად ძვირფასი საჩუქარი მიიღო: ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ლოდინის შემდეგ გამოჩენილი პოლონელი კლასიკოსის, ადამ მიცკევიჩის შედევი — „პან თადეოზი“ გამოიცა.

აღსანიშნავია, რომ პოემის თარგმანი ეკუთვნის ქართველ ემიგრანტს, ქართული საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ სამხედრო პირს, საზოგადო მოღვაწესა და ლიტერატორს ვიტალი უგრეხელიძე-უგორსკის. ქართული ტექსტი დედან-თან შეადარა, წიგნს ბოლოთქმა დაურთო და გამოსაცემად მოამზადა ჩვენმა თანამემამულემ, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა დავით ყოლბაიამ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, სამწუხაროდ, ბატონ დავითისათვის უცნობი ყოფილა, რომ ქართველ მკითხველს ამ ოცდაათიოდე წლის წინათ უკვე მიეწოდა ამ პოემის ქართული თარგმანი; ეს ანუ უგრეხელიძესული თარგმანი არის მეორე (თუმცა ქრონოლოგიურად პირველი, რადგანაც გაცილებით ადრეა შესრულებული).

ადამ მიცკევიჩის ეს ნაწარმოები ქართულად ითარგმნა და გამოიცა 1986 წელს, სერიით „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“. თარგმნეს ოთარ ჭელიძემ და დილარ ივარდავამ. ამ კრებულში შევიდა მიცკევიჩის სხვა პოემებიც — „დძიადები“ (მთარგმნელები — შ. მირცხულავა, ა. გელოვანი და ვ. გორგაძე), „გრავინა“ (მთარგმნელი — ა. აბულაშვილი) და „კონრად ვალენროდი“ (მთარგმნელები — კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე და ი. აბაშიძე). კრებულში შესულია მიცკევიჩის პოეზიის შედევრებიც, რომელთა მთარგმნელებიც არიან ა. აბულაშვილი, თ. ბექიშვილი, ზ. მოლაშხია, ტ. მეზურიშვილი, გრ. აბაშიძე, ხ. ვარდოშვილი...

თუმცა ეს ფაქტი ოდნავადაც ვერ აკნინებს „პან თადეოზის“ კიდევ ერთხელ გამოცემის დიდ ეროვნულ მნიშვნელობას, მიუხედავად, რომ ლიტერატურული სტილი, რომელსაც მთარგმნელები მიმართავენ, დიდადაა ერთმანეთისაგან განსხვავებული.

## ადამ მიცკევიჩი — მცირე ბიოგრაფია

ადამ მიცკევიჩი, პოეტი და პოლიტიკური პუბლიცისტი, 1798 წლის 24 დეკემბერს, ამჟამინდელი ბელარუსის ტერიტორიაზე, ზაოსიეში დაიბადა. იგი იულიუს სლოვაკისა და ზიგმუნდ კრასინსკისთან ერთად არამხოლოდ პოლონეთის რომანტიზმის ყველაზე გამოჩენილი პოეტი, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც უდიდეს ლირიკოსადაა აღიარებული. მრავალი კრიტიკოსი მას სლავ ბარდად მოიხსენიებს. ხშირად გოეთესა და ბაირონსაც ადარებს.

ადამ მიცკევიჩი ადვოკატ ნიკოლოზ მიცკევიჩისა და ბარბარა მაიევსკის შვილი გახლდათ. 1807-1815 წლებში სწავლობდა ნოვოგრუდსკის დომინიკანელთა სკოლაში. 1812 წელს მის ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, — 16 მაისს გარდაეცვალა მამა, ხოლო მცირე ხნის შემდეგ მის სამშობლოზე მოსკოვის დასაპყრობად დაძ-

რულმა ნაპოლეონმა გადაიარა. თუ პირველმა დიდად და-  
ამწუხრა პოეტი, ამ უკანასკნელმა მოვლენამ დიდი სიხა-  
რულით აღავსო როგორც მისი, ისე მის თანამემამულეთა  
გულები. პოლონელებს იმედი ჰქონდათ, რომ ბოლოსდა-  
ბოლოს მათი სამშობლო რუსეთის უღლისაგან გათავი-  
სუფლდებოდა, მაგრამ ორიოდ თვის შემდეგ ფრანგების  
აქამდე თითქმის დაუმარცხებელი არმია, რუსების მიერ  
ძლეული, უკან ძალზე შეთხელებული გამობრუნდა.

1815 წელს სასწავლებლად ვილნოში (ვილნიუსი) გაემგზავ-  
რა. იგი ვილნოს უნივერსიტეტში ჰუმანურ მეცნიერებებს ეუფ-  
ლებოდა. პოეტი სწავლას 1819 წელს  
მაგისტრის დიპლომით დაასრულებს.

1817 წელს მიცკევიჩის თაოსნო-  
ბით „ფილომატების“ (სიბრძნის მოყ-  
ვარულთა) პატრიოტული ორგანი-  
ზაცია დაფუძნდა. მან მიზნად პო-  
ლონელი ახალგაზრდების პატრიო-  
ტული სულისკვეთებით აღზრდა და-  
ისახა. მიცკევიჩი ხშირად გამოდიო-  
და ამ საზოგადოების სხდომებზე,  
კითხულობდა საკუთარ ლირიკულ  
ნაწარმოებს, აკრიტიკებდა ცარი-  
ზმის პოლიტიკას. ცნობილი პოლო-  
ნელი კრიტიკოსის სიტყვით, პირვე-  
ლად ამ ორგანიზაციის შეკრებებზე  
ენოდა მეფეს ტირანი, მაგნატსა და  
ეპისკოპოსს — მოღალატე, ხოლო  
ხალხს — მათი მსაჯული. ორგანიზა-  
ციის საქმიანობა ცარიზმის პოლი-  
ციის ორგანოებს არ გამორჩენიათ.  
უნივერსიტეტის დასრულების შემ-  
დეგ მიცკევიჩს, როგორც „არასაიმე-  
დო პიროვნებას“, კოვნოში მასწავ-  
ლებლად ამწესებენ.

კოვნოში მიცკევიჩის როგორც  
პოლიტიკური, ისე ლიტერატურუ-  
ლი მოღვაწეობა კიდევ უფრო მეტ  
სიმძაფრეს იძენს. თავის ფილომატებს კოვნოდან მეთაუ-  
რობდა; მისი ხელმძღვანელობითა და მის მიერ შედგენი-  
ლი წესდების საფუძველზე „ფილომატები“ ახალ, უფრო  
საიმედო „ფილარეტებს“ (სიკეთის მქმნელთა) ორგანიზა-  
ციას ჰქმნიან, რომელიც კავშირს ამყარებს ვარშავის, უკ-  
რაინისა და რუსეთის საიდუმლო ორგანიზაციებთან, რა-  
თა მჩაგვრელს საერთო ძალით ებრძოლონ. მიცკევიჩი  
ორგანიზაციის საქმიანობას, როგორც „სასწავლო-საწრ-  
თენელ მოედანზე პოლკის საბრძოლო მზადების პერი-  
ოდს“, ისე აფასებს. იმავდროულად ჰქმნის მრავალ პატ-  
რიოტული სულისკვეთების პოეტურ ნაწარმოებს. მის  
ლექსებს ზეპირად წარმოთქვამს ახალგაზრდობა, მათ სა-  
ფუძველზე დაწერილი სიმღერები კი ჰიმნად იქცევიან.

1818 წელს „ვილნოს კვირეულში“ გამოქვეყნებული  
ლექსი „სოფლური ზამთარი“ მიცკევიჩის პოეტური დები-  
უტია. როგორც კრიტიკოსები წერენ, პოეტი იმხანად დი-  
დი ფრანგი ფილოსოფოსის, ვოლტერის გავლენის ქვეშ  
იმყოფებოდა, რომელსაც იმ პერიოდში ფრანგულიდან  
პოლონურად თარგმნიდა.

1822 წელს თავის ბალადებსა და რომანებს წიგნად გა-  
მოსცემს. როგორც ლიტერატურის კრიტიკოსები მიიჩნევენ,  
პოლონეთში სწორედ აქედან იწყება რომანტიზმის ეპოქა.

1823 წლის 22 ოქტომბერს ამგვარი ანტისახელმწიფო-  
ებრივი საქმიანობის გამო მიცკევიჩსაც და მასთან ერთად  
საიდუმლო ორგანიზაციის ასამდე წევრს აპატიმრებენ.  
ორგანიზაციის წევრებმა შეძლეს ოხრანკის დაჯერება,  
რომ მიცკევიჩს მათთან საერთო არაფერი ჰქონდა, რადგან  
მთელი ეს ხანი ის ვილნოდან (ვილნიუსი) შორს, კაუნასში  
ცხოვრობდა. კოლეგების ამგვარმა ერთგულებამ გასჭრა

და მიცკევიჩს ციხეში მხოლოდ ნახე-  
ვარ წელიწადს გააჩერებენ. თუმცა,  
როგორც საეჭვო და არასაიმედო  
ადამიანს, სამშობლოში ცხოვრებას  
აუკრძალავენ და იმპერიის შიდა გუ-  
ბერნიებში ცხოვრებას აიძულებენ.

პეტერბურგში დამკვიდრებული  
მიცკევიჩი უახლოვდება რუს ინტე-  
ლიგენციას, განსაკუთრებით დე-  
კაბრისტებს, გრიბოედოს, პუშ-  
კინს. როგორც კრიტიკოსები წე-  
რენ, პუშკინი და მიცკევიჩი ხშირად  
ხვდებოდნენ და ერთმანეთს ლექ-  
სებსაც კი უკითხავდნენ.

რუსეთში ემიგრაციის დროს  
პოეტმა „ყირიმული სონეტები“,  
„კონრად ვალენროდი“ და სხვა ნა-  
წარმოებები შექმნა.

1829 წელს მეფის მთავრობა პო-  
ეტს საზღვარგარეთ გამგზავრების  
ნებას დართავს.

მიცკევიჩი 4 თვე ევროპაში მოგ-  
ზაურობს: იტალია, შვეიცარია, გე-  
რმანია. მასზე წარუშლელ შთაბეჭ-  
დილებას გოეთესთან შეხვედრა  
დატოვებს.

ამ დროს შეიტყობს, რომ მის სამ-  
შობლოში აჯანყება დაწყებულია და გული იქით გაუწევს.  
სამწუხაროდ, დრეზდენში გაიგებს, რომ აჯანყება დამარ-  
ცხებულია და სისხლში ჩაუხშვიათ. ერთხანს პოეტი ამ ქა-  
ლაქში დარჩება და პოემა „დძიადებს“ იქ დაასრულებს.

დრეზდენიდან პარიზში გადადის, სადაც 20 წელზე  
მეტხანს ცხოვრობდა. აქ 1834 წელს მიცკევიჩი იქორწი-  
ნებს ცელინა შიმანოვსკაზე, რომელთანაც ექვსი შვილი  
— ორი ქალიშვილი და ოთხი ვაჟი — ეყოლება.

პარიზში ცხოვრების პერიოდში მიცკევიჩი მჭიდრო  
კავშირს ამყარებს აქაურ პოლონურ ემიგრაციასთან,  
წერს მგზნებარე პოლიტიკურ სტატიებს. 1839-40 წლებში  
ლოზანის უნივერსიტეტში ლათინური ლიტერატურის  
პროფესორი ხდება, ხოლო 1840 წელს მას კოლეჟ დე  
ფრანსეში სლავური ენის კათედრას ჩააბარებენ. აქ მუშა-  
ობის პერიოდში წაიკითხავს მიცკევიჩი თავის ცნობილ პა-  
რიზულ ლექციებს, რომელსაც ესწრებოდნენ იმდროინ-  
დელი ფრანგი გამოჩენილი მოღვაწენი, და მათ შორის,  
მწერალი ქალი ჟორჟ სანდი. მისი საზოგადოებრივი პოზი-  
ციისა და აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის გამო მიც-



ადამ მიცკევიჩი

კვეცირი საყოველთაოდ იყო მიჩნეული იმ ეპოქის პოლონურ-დიდი ემიგრაციის თავკაცად.

1844 წელს ფრანგმა ხელისუფლებამ მიცკევიჩს ჩამოართვა კათედრა, რამეთუ იგი მათთვის მიუღებელ პოლიტიკას უწევდა პროპაგანდას (მაგალითად, აქებდა ნაპოლეონს), გარდა ამისა, სამღვდლოებას ქრისტიანული პრინციპებიდან გადახვევისათვის აკრიტიკებდა და ა. შ..

პარიზში მიცკევიჩი თავის მარგალიტს — „პან თადეუშს“ — წერს და აქვე დაბეჭდაც 1834 წელს.

პარიზში გამოსცემს ასევე გაზეთ „ტრიბუნა ლუდუს“. გაზეთი მეტისმეტად გამოკვეთილ რადიკალურ საზოგადოებრივ შეხედულებებს ქადაგებდა, რის გამოც აქ არსებულმა რუსეთის საელჩომ მისი დახურვა განიზრახა და მიზანსაც მიადგინა. ბურბონთა დინასტიის აღდგენამ მიცკევიჩს საბოლოოდ გაუცრუა იმის იმედი, რომ საფრანგეთი პოლონეთის გამო დესპოტურ რუსეთს დაუპირისპირდებოდა. პოეტის ბოლო ქმნილებას წარმოადგენს ლათინურად დანერილი ოდა ნაპოლეონ მესამისადმი.

1855 წელს ყირიმის ომის დროს მიცკევიჩი კონსტანტინე-პოლში გაემგზავრა, რათა იქ პოლონური ლეგიონი ჩამოეყალიბებინა. შეეცდებოდა ებრაელთა სამხედრო ნაწილის ფორმირებასაც, რათა ერთობლივი ძალებით შებრძოლებოდნენ რუსეთის მტარვალურ პოლიტიკას. სამწუხაროდ, ამ მიზნის მიღწევას ვერ მოახერხებს, რადგან ქოლერით დაავადდება (არის მოსაზრება, რომ შესაძლოა მონამღეს). მიცკევიჩი 1855 წლის 26 ნოემბერს, კონსტანტინეპოლში გარდაიცვალა.

მისი გვამი გადაასვენეს პარიზში და დაკრძალეს. 1890 წელს პოეტს პოლონეთში, კრაკოვში, ვაველის საეკლესიო კომპლექსში (ვაველში განისვენებენ პოლონეთის მეფეები, აქვეა დაკრძალული პილსუცკი, 2010 წელს სმოლენსკში თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად გარდაცვლილი პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი და სხვა გამოჩენილი პოლონელები) დაასვენებენ. პარიზიდან პოეტის გადასვენება სამშობლოში პოლონელი ხალხის დიდი პატივითული მანიფესტაციის მიზეზად იქცა.

### მიცკევიჩი და საქართველო

საქართველოში მიცკევიჩს მის სიცოცხლეშივე იცნობდნენ. ჩვენთან მის პოპულარობას ხელი შეუწყო იმან, რომ აქ პოეტის ბევრი თანამებრძოლი პოლონელი იყო გადმოსახლებული. თუნდაც აკაკი წერეთლის მასწავლებელი როდ-ზივიჩი, რომელსაც დიდი გავლენა მოუხდენია აკაკის სულიერ და იდეურ მრწამსზე. ცნობილია, რომ აკაკის ძალზე უყვარდა მიცკევიჩის პოეზია და დიდად აფასებდა მას:

**...მე მიცკევიჩის გმირებში  
მომწონდა ვალენროდიცა,  
ის მამხნევებდა ვაჟკაცად,  
გულს შორდებოდა ლოდიცა,  
მეც გამიტაცა ოცნებამ,  
რომ შევწეოდი მხარესა...**

მიცკევიჩის პოპულარობა საქართველოში დაკავშირებულია 1832 წლის შეთქმულებასთანაც. ცნობილია, რომ

შეთქმულები ერთ-ერთ შეკრებაზე სოლომონ რაზმაძის მიერ თარგმნილ მიცკევიჩის „ფარისს“ კითხულობდნენ. მიცკევიჩის „ყირიმული სონეტები“ შეთქმულების მეორე მონაწილემ, მწერალმა და დრამატურგმა გიორგი ერისთავმა თარგმნა.

1951 წელს პირველად ქართულ ენაზე ცალკე წიგნად გამოვიდა მიცკევიჩის ლექსების, ბალადებისა და სონეტების კრებული. მასში იყო მოთავსებული პოემა „კონრად ვალენროდიც“. ამავე წელს გამოიცა მიხეილ კვესელავას ვრცელი მონოგრაფია „ადამ მიცკევიჩი“.

მიცკევიჩის ნაწარმოებთა თარგმნა არც შემდგომ წლებში შენელებულა, რომელთა თავმოყრის საფუძველზეც წარმოდგა ზემოთ ნახსენები კრებული, „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემული.

### ვიტალი უგრეხელიძე-უგორსკი

**„პან თადეოზის“ მთარგმნელის ბიოგრაფიას პირველად 1999 წელს გავაცანი პოლონეთში გამოშავალი ჟურნალის „Pro Georgia“ საშუალებით. რედაქტორი და გამომცემელი ზემოთ მოხსენიებული ჩვენი თანამემამულე, პროფესორი დავით ყოლბაია. ამ ჟურნალის მეშვეობით დაიბეჭდა ვიტალი უგრეხელიძის ქალიშვილის სევდიას წერილი, რომელიც მამამისს ეხება. ეს წერილი ვთარგმნეთ და 2008 წელს გამოცემულ წიგნში — „ქართველები პოლონეთში“ მოვთავსეთ. წინამდებარე წერილი სწორედ ქალბატონი სევდიას მოგონებათა საფუძველზეა დანერილი.**

ვიტალი უგრეხელიძე ძველ კეთილშობილურ ქართულ ოჯახში დაიბადა. მისი წინაპრები, რომლებიც თავდაპირველად გვარად ჯანდიერები ყოფილან, მეფესთან ძალიან დაახლოებულან, იმდენად, რომ VII საუკუნეში მათი ერთ-ერთი წინაპარი მისი მთავარი მრჩეველიც კი გამხდარა. ერთხელ, როდესაც მეფე დაავადებულა, მას მცენარე უგრეხელისაგან დამზადებული წამლით განუკურნავს იგი. ამის შემდეგ ჯანდიერთა გვარის ამ შტოს, მეფის მოთხოვნით, გვარად უგრეხელიძე მიუღია.

ძველი ქართული ტრადიციის თანახმად, ვიტალი აღსაზრდელად სხვა ოჯახისთვის მიუბარებიათ. აღნიშნული წესჩვეულება იმ ეპოქაში იმიტომ იყო გავრცელებული, რომ დედა მეტისმეტად არ შეჩვეოდა შვილს, რომელსაც, როცა გაიზრდებოდა, სამშობლოს დასაცავად მტერთან ბრძოლაში თავი არ უნდა დაეზოგა. ვიტალის ძალიან ჰყვარებია თავისი დედობილიცა და მისი ოჯახიც. მაშინაც კი, როცა გაიზარდა და დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგა, არ ივინყებდა მათ და ხშირად ნახულობდა. აქ ეცნობოდა ქართულ ტრადიციებს, ეროვნული ფოლკლორის ნიმუშებს, მითებსა და ლეგენდებს, ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს... იქ ცხოვრების დროს ვიტალი დაინტერესებულა თავისი სამშობლოს ისტორიითა და ბუნებით. არდადეგების დროს ხშირად და ბევრს მოგზაურობდა. განსაკუთრებით იზიდავდა მხატვრული ლიტერატურა და განზრახული ჰქონდა თბილისის უნივერსიტეტში სწორედ ამ განხრით ესწავლა.

როდესაც 7 წელი შეუსრულდა, ტრადიციის თანახმად, თავის მშობლიურ ოჯახს დაუბრუნდა ქუთაისში, სადაც დაიბადა. აქ სწავლა კეთილშობილთა სასწავლებელ-

ში დაინყო. აქ გაკვეთილები ქართულად — და არა რუსულად — ტარდებოდა.

როდესაც მეფის რუსეთმა არსებობა შეწყვიტა, საქართველოში მოხუციცა და ახალგაზრდაც დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოვიდა, იმ რწმენით, რომ ქვეყანა მზად უნდა ყოფილიყო დამოუკიდებლობის დასაცავად, ვიტალი იუნკერთა სამხედრო სასწავლებელში შევიდა. 3 წლის შემდეგ ბოლშევიკებმა დაიპყრეს საქართველო. საოფიცრო სასწავლებლის სტუდენტები უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ. დამარცხების შემდეგ მათი გადარჩენილი მცირე ნაწილი, სხვა სამხედროებთან ერთად, ემიგრაციაში, თურქეთში წავიდა. 10 თვის კონსტანტინეპოლში ყოფნის შემდეგ, პოლონეთის მთავრობამ მარშალ იოსებ პილსუცკის ინიციატივით, ისინი პოლონეთში მიიწვიეს, სადაც ბინა და სამსახური შესთავაზეს.

ვიტალი, ქართველ სამხედროთა მოზრდილ ჯგუფთან ერთად, 1921 წელს ჩავიდა პოლონეთში. მას ადრეც ბევრი რამ ჰქონდა გაგებული პოლონეთის შესახებ, ამ ქვეყნის მკვიდრთა სიჩაუქისა და პატრიოტიზმის თაობაზეც იცოდა, მას ჯერ კიდევ ბავშვობაში ჰქონდა წაკითხული ჰენრიკ სენკევიჩის „ტრილოგია“, რომლის გავლენით არაერთხელ უოცნებია პოლონელ ჰუსარად გახდომაც. ამიტომ, როდესაც ჯერ ვარშავის კურსანტთა სასწავლებელი, ხოლო შემდეგ კავალერიის სკოლა დაამთავრა, საკუთარი სურვილით წავიდა ულანთა 19-ე პოლკში სასამსახუროდ. ეს პოლკი პოლონეთის მეორე რესპუბლიკის აღმოსავლეთ საზღვრების დაცვის სადარაჯოზე იდგა. ვიტალის დიდად ეამაყებოდა, რომ პოლონეთის ულანთა საძმოს ერთ-ერთი წევრი გახდა.

იმხანად პოლონეთს არ ჰქონდა საკმარისი ფინანსური სახსრები, რათა თავისი საზღვრები კარგად დაეცვა. ამიტომ ბოლშევიკთა ბანდები ხშირად „სტუმრობდნენ“ ამ ქვეყანას და მის საზღვრისპირა რაიონებს არბევდნენ. ვიტალიმ სწორედ იმისათვის ითხოვა მე-19 პოლკში გამწესება, რომ მათთან ბრძოლის გაგრძელება ენადა. იგი მართლა ისე შედეგადად ებრძოდა მტერს, რომ სტალინმა საგანგებოდა სთხოვა პილსუცკის მისი გადაცემა რუსებისათვის. საზღვრისპირა რაიონებში თურმე ვიტალის ისე გაუფარდა სახელი, რომ მშობლები თავიანთ ურჩ ბავშვებს „შავი პორუჩიკით“ აწინებდნენ.

აღმოსავლეთ პოლონეთში სამხედრო სამსახურისას ვიტალი ყოველ წუთს იყენებდა იმისათვის, რომ ახლოს გაეცნო თავისი მეორე სამშობლო. ამ მიზნით სულ მოიარა მთელი პოლონეთი, ითვისებდა ადგილობრივ მკვიდრთა წესჩვეულებებს, ათვალერებდა და სწავლობდა ისტორიულ ადგილებსა და ხუროთმოძღვრების ძეგლებს. ვიტალიმ მაგალითად, მთა ბონაზე (პოლონეთში, ოსტროვის ახლოს) სხვა ნივთებთან ერთად რენესანსის დროინდელი ლოცვანი, ყოველდღიური მოხმარების სხვადასხვა ჭურჭელი და ნივთები აღმოაჩინა, რომლებიც კრაკოვის მუზეუმს გადასცა.

ამავე დროს ვიტალის ძალიან იზიდავდა ცხენთა შეჯიბრებებში მონაწილეობა. თავდაპირველად რამდენჯერმე წარუმატებლობა იწვინა, მაგრამ შემდეგ იმდენად დახელოვნდა, რომ მრავალ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია. ხშირად იღებდა ჯილდოებსაც. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ჯილდო ვერცხლის მომცრო ჭიქები იყო. თურმე ვიტალის ისინი კარგა ხანი ოჯახში შენახული

ჰქონდა, მაგრამ ქართული ჩვეულების მიხედვით, როდესაც სტუმარს რაიმე მოეწონება, მასპინძელი ვალდებულია ის აჩუქოს, ბევრი ჭიქა მიმოიფანტა. უფრო მეტიც: თურმე ხდებოდა ისეც, რომ როდესაც ვიტალი შინ არ იყო, სტუმრები მის დაუკითხავად იღებდნენ ასეთ ნივთებს. ისინი კი, რაც დარჩენილა, გერმანელებს 1939 წელს გაუტაციათ. ყოველივე ამის შედეგად ასეთი ნივთები, სამწუხაროდ, უგრეხელიძეების ოჯახში აღარ დარჩენილა.

გერმანელებს ნაუყვანიათ ვიტალის დოღის ცხენიც, რომელზედაც ამხედრებული ხშირად მონაწილეობდა შეჯიბრებებში. ამ ცხენით ასპარეზობდა პარიზისა და ბერლინის დოღში. ეს იყო თავის დროზე მთელს ევროპაში განთქმული არაბული ტაიჭი, სახელად ქაშმირი.

ვიტალის ახლო მეგობარი ყოფილა რომან სამუშეკო, რომელიც როვნოში ცხოვრობდა. ის პილოტი იყო და მომავალი მეუღლის გასაცნობად ვიტალი ვერტმფრენით ვარშავაში გადაუფრენია. ვიტალის თავისი მომავალი მეუღლე ბაგრატიონთა ოჯახში გაუცნია, რომელიც ასევე ბოლშევიკებს გამოქცევია სამშობლოდან. ჯვრისწერის შემდეგ ვიტალი ჯერ ულანთა პოლკში გადასულა, რომელიც ლეოვში ყოფილა დაბანაკებული, ხოლო შემდეგ პოზნანთან, კავალერიის პოლკში დაუწყია სამსახური. სწორედ აქ მოუხსრია მისთვის ომს.

1939 წლის სექტემბერში ბრძოლებში გამოჩენილი მამაციობისათვის პოლონეთის ხელმძღვანელობას უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი — „ვირტუტი მილიტარით“ დაუჯილდოებია. ეს სამხედრო კამპანია ბოლოს დამარცხდა და ვიტალი გერმანელებს ჩაუვარდა ხელში. ჯერ ტყვეთა ბანაკებში ჰყოლიათ, მაგრამ შემდეგ გაუთავისუფლებიათ იმ მიზნით. რომ გერმანელებს ქართველთა ლეგიონის შექმნა სურდათ რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად და ვიტალის იქ გამოყენებას აპირებდნენ.

ვიტალი ვარშავაში დაბრუნდა და დაუყონებლივ ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში. მცირე ხნის შემდეგ გახდა კონსპირაციაში მყოფი ულანთა 17-ე პოლკის ხელმძღვანელი. მას, ფირმის საფარქვეშ, რომელიც ინჟინერ დიმიტრი ედგოვთან ერთად შექმნა, არმია კრაიოვას (პოლონეთის ურავნული არმია, რომელიც შემდეგ ბოლშევიკებმა დაშალეს და გაანადგურეს) ნაწილებს საბრძოლო აღჭურვილობით ამარაგებდა. ვიტალის, როგორც ქართველს, ამგვარი საქმიანობა შედარებით უსაფრთხოდ შეეძლო, თუმცა, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, გერმანელები არც ქართველებს ერიდებოდნენ. მათ ამგვარი საქმიანობისათვის დახვრიტეს მისი ახლო მეგობარი გენო ხუნდაძე. ვიტალის ამგვარ საქმიანობას ართულებდა ისიც, რომ ქართველთა კომიტეტის თავმჯდომარე, დოქტორი ალშიბაია და მისი მარჯვენა ხელი, პოლკოვნიკი კანდელაკი, ქართველ ემიგრანტებს დაულალავად მოუწოდებდნენ, რათა ისინი გერმანელთა არმიაში შესულიყვნენ. მათ ვიტალის სახლის მოპირდაპირე სახლში სამეთვალყურეო პუნქტიც კი მოუწყიათ, საიდანაც მას უთვალთვალებდნენ.

მიუხედავად ამისა, ვიტალის თავისი საქმიანობა არ შეუწყვეტია და კიდევ უფრო გააფართოვა. მეტიც: ხვდებოდა ინგლისიდან შემოპარულ აგენტებს, აწყობდა ტერორისტულ აქციებს, საბოტაჟს, მფარველობდა ებრაელებს. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, ვიტა-



ლის სახლის სარდაფიდან გაითხარა რამდენიმე კილომეტრის სიგრძის გვირაბი, მოეწყო ხანძარსანიშნალმდეგო ორგანიზაცია და ა. შ.

ვიტალი მეტად უკომპრომისო და პრინციპული კაცი ყოფილა. მაგალითად, როდესაც საჯარისო ხელმძღვანელთან შეკრება იყო, ვარშავის აჯანყების ორგანიზებასთან დაკავშირებით, ბოლშევიკებთან რაიმე თანამშრომლობას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ იტალიაში ჩავიდა საგანგებო დავალების შესასრულებლად სპეციალური ყალბი დოკუმენტებით აღჭურვილი. კერძოდ, ამ დოკუმენტებით იგი აერონავტიკის ინჟინერი იყო და იტალიის ერთ-ერთ თვითმფრინავის ქარხანაში მიდიოდა. ცოლი კი ვითომ მისი მდივანი გახლდათ. ამგვარად, ცოლქმარმა, 1945 წლის ადრე გაზაფხულზე ვენის გავლით მილანამდე ჩააღწიეს. როგორც კი ამ ქალაქში ამერიკელები გამოჩნდნენ, ვიტალიმ მაშინვე პოლონეთის 2 კორპუსს მიაკითხა, რომელსაც გენერალი ანდერსი ხელმძღვანელობდა, ვისაც პოლონეთში სამსახურის დროიდან იცნობდა. ვიტალიმ სპეციალური მოხსენება გააკეთა და თავისი დოკუმენტები კორპუსის ხელმძღვანელობას ჩააბარა. დაუჯერეს და კორპუსში ჩარიცხეს.

ვიტალი საკმაოდ დიდხანს მსახურობდა გალიპოლში, სამხედრო კურსანტთა მომზადების ცენტრში. მას რამდენჯერმე შესთავაზეს სხვადასხვა სამხედრო თანამდებობა იტალიის ქალაქებში, მაგრამ უარს ამბობდა, ეშინოდა, იტალიაში იმ დროს გავლენიან კომპარტიას არ შეეტყო მისი არსებობის შესახებ. თავისუფალ დროს ჯარისკაცები ექსკურსიაზე მიჰყავდა, აცნობდა მათ იტალიის ისტორიასა და თანამედროვეობას, დაჰყავდა მუზეუმებში, ოპერასა და სხვა კულტურულ დაენესებულლებში.

ინგლისში ჩასვლისა და დემობილიზაციის შემდეგ ვიტალიმ ლონდონის ერთ-ერთ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, აქტიურად მონაწილეობდა მრავალრიცხოვან რუსულ, პოლონურ თუ ქართველ ემიგრანტთა კულტურულ ცხოვრებაში. თავისუფალ დროს წერდა სტატიებს ქართული და რუსული ემიგრაციული ჟურნალ-გაზეთებისათვის. დაიწყო თავის მშობლიურ ენაზე პოლონური ლიტერატურის კლასიკოსთა შედევრების თარგმნაც. კერძოდ, გადმოიღო მიხეილ ბოლოცკის, ალექსანდრე ფრედროს, იან პარანდოვსკის და სხვათა ნაწარმოებები. განსაკუთრებული მოკრძალებით ეკიდებოდა ადამ მიცკევიჩის პოემის „პან თადეუსის“ თარგმნას. პოემის დასაბეჭდად გამზადებული თარგმანი მან მიცკევიჩის იუბილეს მოსამზადებელ კომიტეტს (100 წლისთავისადმი) გადასცა.

ვიტალი უგრეხელიძე 1983 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა.

მაია ჯალიაშვილი

## მსახიობის დაბრუნება

ყოფნა? არყოფნა? საკითხავი აი, ეს არის!  
„ჰამლეტი“

იმ დღეს, 10 დეკემბრის სუსხიან, ჩუმ საღამოს თავისუფალი თეატრის სცენაზე პრემიერა გაიმართა — „თამაშით შეპყრობილი“. ბოლოს ამ თეატრში ახალგაზრდა რეჟისორის, ვანო ხუციშვილის შესანიშნავი სპექტაკლი „თოჯინების სახლი“ (ჰენრიკ იბსენის პიესა) ვნახე. დღემდე არ გამნელებია შთაბეჭდილება.

ახლაც არ მიმტყუნა მოლოდინმა.

ახლაც გულშემატკივარი მაყურებელი ვიყავი.

სპექტაკლის ბოლოს მეც აღტაცებული ტაშს ვუკრავდი მსახიობებს, რეჟისორსა და პიესის ავტორს.

შინ მობრუნებული კი დავფიქრდი:

რა ქმნის ისეთ კარგ სპექტაკლს, როგორც „თამაშით შეპყრობილი“? ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, ბოლოს დავასკვენი ისედაც საყოველთაო ჭეშმარიტება:

1. კარგი პიესა;
2. კარგი რეჟისორი;
3. კარგი მსახიობი.

პიესა სპექტაკლად იქცა და დარჩება მაყურებლის მეხსიერებაში, რადგანაც „სამეული“ ბედნიერად შეხვდა ერთმანეთს.

პიესის ავტორი: ნონა კუპრეიშვილი, აქამდე მას ვიცნობდით, როგორც შესანიშნავ ლიტერატურათმცოდნეს, ქართული ლიტერატურის მკვლევარს, დახვეწილი გემოვნებისა და მაღალი ინტელექტის მეცნიერს, ახლა გავიცანით, როგორც საინტერესო შემოქმედიც.

რეჟისორი: თინათინ ჭაბუკიანი, კინოსა და თეატრის რეჟისორი, სცენარისტი, დადგმული აქვს არაერთი სპექტაკლი გორისა და ქუთაისის სახელმწიფო თეატრებში (ლ. თაბუკაშვილის „შენკენ სავალი გზები“, ვ. როზოვის „გზაში“, გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“, თ. ჭილაძის „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო“, ე. კრიბის „ჭიქა წყალი“), 30-მდე ტელეზღაპრის რეჟისორია, გადაღებული აქვს ფილმები: „შეიდფრა ყვავილი“, „კაპუნიას დღესასწაული“, „ჩვენ მშვიდობა“; დოკუმენტური ფილმები: „ცარიელია სახლი“ (ეძღვნება 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს, წმ. ანდრეას მართლმადიდებლურ ფესტივალზე დაჯილდოვდა მთავარი პრიზით), „ხილული სასწაულები“ (ეძღვნება არქიმანდრიტ სოგრატ ჭულუხაძეს), „ხიდები სამშობლოსკენ“ (ორივე ფილმმა მიიღო იმავე ფესტივალის სიგელ-გუჯარი) და სხვ. ამჟამად ასწავლის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში.

მსახიობი: თენგიზ ნულაია, მიხეილ თუმანიშვილის ნამონათფარი, თეატრს დიდი ხნის გამომშვიდობებული.

სცენასა და მაყურებელს არ ჰყოფდა ფარდა და მაყურებელს ექმნებოდა განცდა, რომ ეს სცენა ცხოვრების ნაწილი იყო. სინათლე უცებ ჩაქრა და როცა განათდა, სიბნელიდან თანდათან გამოიკვეთა ოთახი, ერთი უზადრუკი და ღარიბული საცხოვრისი, შესაბამისი საწოლითა და ტანსაცმელსაკიდით... სცენის ყოველი დეტალი მეტყველებდა აქ მცხოვრებ ადამიანთა უსაშველობასა და უბედურებაზე. გამთოშავი სიცარიელის შეგრძნებას ხანდახან არღვევდა ტელეფონის ზარის წკრიალი, რომელსაც სცენაზე შემოჰქონდა აბსურდული ყოფის გულგრილი ხმები, რომლებიც უფრო ამძაფრებდნენ ამ ბინაში მცხოვრებთა მარტოსულობასა და მიუსაფრობას.

საწოლში იწვა კაცი, უფრო სწორად „ნაკაცარი“. სპექტაკლის მთავარი გმირი, რომლის მონოლოგებთაც დაიხატა თამაშით „შეპყ-

რობილი“, სცენასა და როლებს მონატრებული და ამის გამო დაავადებული კაცის სულიერი პორტრეტი, თანვე — უღმობელი დრო, რომელიც არად აგდებს კაცის ნიჭიერებასა და პატიოსნებას.

იქვე — ყველაფერზე გულაყრილი და უნიათ ქმარზე გამწყრალი ცოლი, უზარმაზარი ჩანთებით საშოვარზე ნასასვლელად გამზადებული.

ერთი სიტყვით, სცენაზე მეფობდა ცარიელი და დამთრგუნველი, ღირსების შემლახავი მატერიალური ყოფა, ყოველგვარი სულიერების ჩამკველი და დამარბეველი.

სპექტაკლის პირველივე წუთებიდან, ცოლ-ქმრის ძუნწი დიალოგებიდან გამოიკვეთა, რომ მაყურებლის თვალწინ გათამაშდებოდა დრამა, რომელიც ბედისწერასთან დამარცხებულ ადამიანს გაგვაცნობდა. ბედისწერის ხსენებამ არ დაგაბნო, მკითხველო, ვიცი, რომ წაგიკითხავს ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს პიესები, შექსპირი, რაღა თქმა უნდა... და გაიფიქრებ, რომ ბედისწერა რა სახსენებელია ყოფით პრობლემებთან ბრძოლაში. ლუკმაპურის ძიებაში დაკარგული ადამიანი იდეალებს ვერ გამოეკიდება. მაგრამ, როგორც ვაჟაფშაველა ამბობდა, მართალია, კატა ვეფხვი არ არის, მაგრამ ყველაზე მეტად მას ჰგავსო, პატარა სცენაზე პატარა ადამიანის გულშიც შეიძლება დატრიალდეს ქარიშხალი და ის ტრაგიკულ გმირად, სწორედაც ბედისწერასთან დამარცხებულ გმირად წარმოჩნდეს.



თენგიზ ნულაია (მამაკაცი)

ასეთია ამ პიესის მთავარი პერსონაჟი — ცხოვრებასთან უშედეგაოდ ბრძოლაში დამარცხებული. ზემოთ ნაკაცარი ვახსენეთ, ახლა დავამატებთ, ის ნამსახიობარია, საკუთარი ადგილი თუ ფუნქცია რომ ვეღარ უპოვია და თავს ზედმეტად, დაკარგულად მიიჩნევს. არადა, მისი მონოლოგები ამხელს მის სულიერ სიფაქიზეს, ხელოვნების სიყვარულს, სამსახიობო გამოცდილებას, ადამიანის სურვილთა და მისწრაფებათა ბნელი ხვეულების ცოდნას.

ამ მცირე სცენაზე მაყურებლის თვალწინ სასწაული ხდება. ავადმყოფი კაცი, სიკვდილზე რომ ფიქრობს და დასამარხი ფული ადარდებს, უცებ გამოცოცხლდება.

უკიდურესი მატერიალური და სულიერი გაჭირვებისას ადამიანში იფეთქებს სასიცოცხლო ენერჯია. პიესის ავტორმა ამ ენერჯიის გამოსავლენად არაჩვეულებრივ ხერხს მიაგნო — მან მსახიობს ერთბაშად რამდენიმე როლი ათამაშებინა სხვადასხვა სპექტაკლიდან. ამან მონოლოგებს მეტი სიცოცხლე შესძინა. სცენაზე ფერები გააჩინა. მსახიობს კი შესაძლებლობა მისცა ნიჭის სრულყოფილი გამოვლენისა. მაყურებლის თვალწინ ფენიქსივით ფერფლიდან აღორძინდება ადამიანი, მერე ითამაშებს

როლს და ისევ ჩაიფერფლება და მერე ისევ აღდგება ახალი როლისთვის. ეს კი უბრალოდ როლები როდია — არამედ ნამდვილი ცხოვრება. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლება ეპიზოდები ქართული და მსოფლიო თეატრალური კლასიკისა. ორივე შთამბეჭდავი და ახლობელია ქართველი მაყურებლისთვის: შექსპირის უბედური მეფე ლირიცა და კლდიაშვილის გაჭირვებული დარისპანიც.

პიესის გმირი ქალი, მსახიობის უსახელო ცოლი (ალსანიშნავია, რომ მსახიობიც უსახელოა) თვითონ ცხოვრებას განასახიერებს, ევას, რომელიც მკაცრია და უშედეგაოდ. გმირების ამგვარი უსახელობა თითქოს ხაზს უსვამს მათ უაზრო ყოფასა და არაფრობას. ცოლის ეპიზოდურ როლს მსახიობი მაია ლომიძე ასრულებს, რომელიც ისეთი ბუნებრივია, გეგონება, პირდაპირ ქუჩიდან შემოიყვანეს. ასეთივე ეპიზოდური როლი აქვს მსახიობ თემურ ხუციშვილსაც, თუმცა მასაც მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია და ამაღლებულისა და მდაბალის თანაარსებობის ტრაგიკულობას წარმოაჩენს.

„უნდა ნავიდე, სხვა გზა არა მაქვს“, — ამბობს ცოლი. „სხვა გზა არა მაქვს“ ამხელს ამ ოჯახის გაუსაძლის ყოფას. მაგრამ სწორედ ამ უგზოობისას გამოჩნდება „გზა“ გადარჩენისა. კაცის გონებაში მოულოდნელად დაიბადება პროტესტი: „ჯერ შეიცადეთ, მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა“. ამას აკაკი ხორავას ინტონაციით წარმოთქვამს. ცხადია, პიესის ავტორის აზრით, მხოლოდ ხელოვნებას შეუძლია შეუტეოს საზარელ რეალობას და შეენიშნაღმდეგოს მის ამღვრულ, მღორე დინებას. ამიტომაცაა, რომ ლოგინზე მისვენებული უფერული გაუპარსავი კაცი უცებ აკაკი ხორავასავით ამეტყველდება. მისი ხარხარიც მეფისტოფელურია, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ხაზგასმა იმ უჩვეულო ენერჯიაზე, რომელიც ამ გათელილი კაცის გულში მოზღვავდება და ფეხზე წამოაყენებს.

პიესასა და სპექტაკლშიც ჩნდება სარკე, თავისი სიმბოლური მნიშვნელობით, ის ჩვენი გონების სიღრმეს ირეკლავს, ის ნამდვილ მეს გვაჩვენებს. სხვა დროს შეიძლება ეს კაცი ამ სარკეს შეეძრწუნებინა, რომელიც სასტიკი შეუბრალებლობით აჩვენებდა ნამდვილ სახეს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, სარკემ მიძინებული კაცის გამო-მაფხიზლებლის ფუნქცია იტვირთა, კაცში გაჩნდა სარკეში დანახული სახისგან გაქცევის, განსხვავებული სურვილი. ეს სურვილი კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ სულში დიდი ძვრები გაჩენილიყო.

პიესაში კიდევ ერთი სიმბოლოა — ესაა ქექ-ქუხილი, რომელიც კაცის სულიერ მშფოთვარებას, მის ამბოხს გამოხატავს. საზოგადოდ, ლიტერატურასა და ხელოვნებაში ქექ-ქუხილი სიმბოლოა დიდი ცვლილებისა, სამყაროს გარ-

დასახვისა, ადამიანის ხელახლა შობისა. სწორედ ეს ხდება მაყურებლის თვალწინ. აქვე ვიტყვი, რომ სპექტაკლი გაფორმებულია კომპოზიტორ ეკა ჭაბაშვილის მუსიკით.

სცენაზე უბრალო ადამიანი გარდაისახება მრავალ ნიღბად. თითოეულ ნიღბს თავისი ამბავი, ისტორია, თავისი სიცოცხლე აქვს. ამ სხვადასხვა ნიღბად გარდასახვის პროცესში კაცი აღმოაჩენს ცხოვრების საზრისს, იპოვის საკუთარ დაკარგულ მეს და ამგვარად შესძენს სიცოცხლეს ღირებულებას.

უბადრუკ ოთახში (რომელიც 90-იანი წლების საქართველოს სიმბოლოდაც შეიძლება გავიაზროთ) ერთგვარი სასწაული ხდება, ცხოვრების სცენიდან განდევნილი კაცი სცენას უბრუნდება, არა ვინმეს დახმარებით, არა რეალურ სცენას, არამედ წარმოსახულს, მაგრამ რეალობასა და წარმოსახვას შორის საზღვარი ირღვევა, თუ ნამდვილი მსახიობი ხარ, თამაშით შეპყრობილი, მაშინ ყველგან ითამაშებ, მაყურებლით გადაჭედილი, უზარმაზარი ძვირფასი ჭაღვებით გაჩახჩახებული მდიდრული დარბაზის სცენაზე თუ ჩამოხეულშპალერიან სიღარიბისაგან დახრულ და ჩამობნელებულ ცივ ოთახში. აქ თვითონ ღმერთია მაყურებელი და ვის შეუძლია მასზე უკეთესად ადამიანის ნიჭის შეფასება. ამიტომაც ასე თამაშდება ცხოვრებისგან გათელილი ადამიანი, ასე იმართება წელში, ასე მაღლდება და ამიშვლებს სულს, რომელზედაც უამრავ ნაიარევს ამჩნევს მაყურებელი და მის მიმართ თანაგრძნობით იმსჭვალება, თითქოს ჩუმად ეხმიანება სცენაზე მსახიობს და ამხნევებს: მამ ითამაშე, ლაღად და თავისუფლად! მოირგე სხვადასხვა როლი და საკუთარ თავს დაუმტკიცე, რომ შენი არსებობა გამართლებულია.

სწორედ ეს ხდება სცენაზე. უხილავი ძაფები იბმება მსახიობსა და მაყურებელს შორის, მათ თითქოს ერთმანეთის გულისცემა ესმით და ამ თანაგრძნობიდან იზადება სიყვარული, რომელიც ასე აკლია სამყაროს!

რეჟისორი თინათინ ჭაბუკიანი მინიმალისტური რეჟისურით ქმნის საოცარ სცენურ ატმოსფეროს. ჩანს, მას ადარდებს ადამიანის ბედი ამ გაუცხოებულ სიყვარულსმოკლებულ სამყაროში, ამიტომაც ყოველივეს ადამიანს უქვემდებარებს, ადამიანს, რომელიც საკუთარ თავს დაეძებს ჩვენ თვალწინ, როცა შინ მარტო დარჩენილი ადრე ნათამაშევი როლების გახსენებას იწყებს და თამაშობს — თამაშობს მთელი არსებით, თავგამეტებით, ყოველი ნერვით. ამიტომაცაა, რომ უცებ სცენაზე ჩნდებიან სხვადასხვა პიესის პერსონაჟები და სცენაც ივსება ათასგვარი ხმით... არადა, აქ მხოლოდ ერთი მსახიობია.

ერთი მსახიობი და სხვადასხვა როლი — შავ-თეთრი ოთახი და ნიღბების მოულოდნელი მრავალფეროვნება.

მონოლოგები, რომლებიც ცხოვრების ავ-კარგს ირეკლავენ: სიყვარულსა და სიძულვილს, სიკეთესა და ბოროტებას, სიხარულსა და ნაღველს.

ეს მსახიობი თენგიზ წულაიაა, რომელსაც დიდი ხანი არ უთამაშია ნამდვილ სცენაზე. ის, მიხედვით თუმანიშვილის ერთ-ერთი საყვარელი მოწაფე, 25 წლის განმავლობაში სცენის მიღმა დარჩა. სცენისა და ცხოვრების მიღმაც, რადგან თეატრისა და ცხოვრების სცენა მის წარმოსახვაში ერთმანეთს გადაეხსნა, ამიტომ აებნა თავგზა, ამიტომ გამოეცალა საყრდენი, ამიტომ დაკარგა ოჯახის (შესაბამისად, ქვეყნის) პატრონის ფუნქცია. ამიტომ შეულახეს ღირსება, ვერ ამოიღო ხმა და ვერ ამოუდგა დაბეჩავებულ ცოლს გვერდში, თავისი შვილების გადასარჩენად დამამცირებელ ყოფას შეჭიდებულს, ნამცხვრების ცხოვრებით რომ გაჰქონდა თავი. ვერ დაიცვა მეუღლე (შესაბამისად, ოჯახი, შესაბამისად, ქვეყანა) 90-იანი წლების ზნეცემულობისა და სიბინძურისაგან.



თენგიზ წულაია (მამაკაცი) და მაია ლომიძე (ცოლი)

საგულისხმოა, რომ პიესაში პალიმფსესტივით წარმოჩნდება უახლოესი წარსულის შავბნელი სურათები: ქვეყანაში გამეფებული ძალადობა, პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი, გაუფასურებული ადამიანი (შესაბამისად, გაუფასურებული ქვეყანა).

ზოგი ავტორი უამრავ სიტყვას დახარჯავდა და უამრავ ეპიზოდს შექმნიდა მთავარი გმირის სულის ლაბირინთების წარმოსაჩენად.

ამ პიესაში კი ორიოდ ფრაზით (კაცის მონოლოგიდან) იხატება მისი სულის ბნელი უფსკრულები, საიდანაც თავი ვერ დაუღწევია.

მკითხველისა თუ მაყურებლისთვის ნაცნობი იქნება კაცის მონოლოგებში გამჟღავნებული სასაყვედურო ინტონაციები უკმაყოფილო მარჩენალი ცოლისა თუ უმადური შვილების მიმართ (რომელთა უკმაყოფილებასა თუ უმადურობას თვითონვე კვებავს და ასაზრდოებს თავისი ბედსმეგუებულობითა და მცონარობით).

პიესაში მრავალი საგულისხმო დეტალია, რომლებიც ზუსტად წარმოაჩენენ კაცის შინაგანი სულიერი ძვრების მდინარებას. ეს პიესის ავტორისა და რეჟისორის ერთობლივი დამსახურებაა. სწორედ რეჟისორმა ბოლომდე გაითავისა, ანუ თეატრის ენაზე აამეტყველა ეს პრობლემატიკა და იგი ზუსტად მიგნებული აქცენტებით გამოკვეთა.

ერთ ეპიზოდში მსახიობი კაცი გადასახადის ქვითრებიან ყუთში შემთხვევით ნაანყდება ახალგაზრდობის ფო-

ტოებს, რომლებშიც მისი სასცენო ცხოვრებაა აღბეჭდილი, ის ბედნიერი დრო, როდესაც მიხეილ თუმანიშვილის შექებით შეთანამებული თამაშობდა სხვადასხვა როლს. წარსული მოულოდნელად და ერთბაშად შემოიჭრა ცხოვრებაში და კაცის მიძინებულ თავმოყვარეობას გასაღვიძებლად უბიძგა.

წარსული ხომ არსად არ ქრება, როგორც მარსელ პრუსტი ამბობს, ის საგნებს შეეფარება. ამ შემთხვევაში, ფოტოებს შეფარებულმა წარსულმა ანმყოში შემოაღწია და კაცს სასიცოცხლო ენერჯია მისცა გარდასაქმნელად, ოთახის ჩახუთულ-ჩაკეტილი სივრციდან თავდასაღწევად.

მას თითქოს გონება გადაენმინდა და იგრძნო, თავის ხსნას გარედან კი არ უნდა დალოდებოდა, არამედ საკუთარ არსებაშივე გაელვძებინა ჩამქრალი ღირსების ვულკანები — ეს კი ადრე ნათამაშევი ან საოცნებო როლები იყო.

მნიშვნელოვანი და საგულისხმო სწორედ ესაა ამ პიესასა და სპექტაკლში, ხელოვნების გზით ადამიანის მეორედშობის მისტერიის ჩვენება.

ეს, მართლაც, დიდი საიდუმლოა — გარდასახვის გზით ახლადშობა.

პიესა პირობითად სამფაზიანია — გამოლვიძება სხეულებრივი ძილიდან — სიცოცხლე, მოძრაობა სხვადასხვა ნიღბის მორგება და თამაში — ხელოვნებაში ახლადშობა (ის უკვე სხვა კაცია — ღირსებამოპოვებული და დაუმორჩილებელი).

ჩვენ თვალწინ გარდასახება კაცი ჯერ პეტრუჩიოდ (შექსპირის „ჭირვეულის მორჯულება“) ხორცშესხმულ სიბრიყვეს, ტიკინას, ჭირვეულ კატარინას „რქებს რომ მოუგრებს“, სიმბოლურად — ეს ცხოვრებისთვის რქების მოგრებაა, მისი დამორჩილება. მერე ჯერ სხვა ნიღბებსაც მორგებს, ნიღბთა ცვლაში დროდადრო რეალობაში ბრუნდება, ბრაზდება შვილებზე (ერთ-ერთი მსახიობობა-საც რომ გაბედავს და იმ სცენაზეც შეადგამს ფეხს, მას რომ დიდი ხანია დაავიწყებინეს), არამკითხველ ცოლსა და შემოძარცვულ ნათესავ-მეგობრებზე, სამშობლოზე. უნდა ითქვას, ეს ემოციურად დატვირთული მონოლოგები, იმავდროულად, ქართული სიტყვის სიყვარულითაა გაჟღერებული. ამ თვალსაზრისით, უდავოდ გამორჩეულია ეს პიესა, რადგან მაყურებელი სცენაზე ხედავს არა მხოლოდ მსახიობის შესანიშნავ ფესტ-მიმიკას, პლასტიკას, არამედ ისმენს დახვეწილსა და მოქნილ ქართულ ენას — ეპიზოდების შესაბამისად შერჩეული ლექსიკით.

ლიტერატურული თვალსაზრისით გამორჩეულ მონოლოგებს შორის ერთ-ერთი ისაა, რომელშიც გმირი სამშობლოს საყვედურობს: „ჩემო ავო დედინაცვალო, შენ, სწორედ შენ ამინენე სული, შენ დამიკარგე მოსვენება, შენ ამომახტუნე საკუთარი სხეულიდან და წარმართული მსხვერპლივით ასად დაკეპილი მომომფანტე ამ მშვენიერ მინდორ-ველებზე, მთებსა და ხეობებზე, ანკარა წყაროებსა და ჩანჩქერებზე, ბაღებსა და ვენახებზე... დამამედე, მომიშინაურე, შემდეგ კი გამწირე და მიმატოვე...“

ამიტომაც იყო ასეთი გადამდები გმირის სულიერი ტკივილი, ის ყოველი მაყურებლის გულს არხევდა და კვალს ტოვებდა.

სცენიდან ექოსავით გაისმოდა გაუსაძლისი კითხვა, ყოფნა-არყოფნასავით გადაუჭრელი: როგორ შეიძლება

დააღწიოს თავი „ყოველდღიურობის შმორს“?

ჩანს, რომ პიესის გმირს ნაკითხული აქვს წიგნები — გენიოსთა დანერილი, რომლებშიც ქართველთა სულიერ-ზნეობრივი ნაკლი და ღირსებაა გაჩხრეკილ-გაანალიზებული. მის გონებაშია დაღექილი ნანახი და განცდილი — ყოველივე, მათ შორის, ის გონებამახვილური დაკვირვებაც, რომ ცხოვრება თეატრია და ჩვენ, ყველანი უხილავი რეჟისორის შერჩეულ როლებს ვთამაშობთ, თანვე აქვეა მწარე რეალობა, რომელიც შეგაგრძნობინებს, რომ კაცი კი აღარ ხარ, — არამედ არარაობა. როგორ უნდა გაუძლო ამ ყოველდღიურობის, წარმოსახულისა თუ რეალურის, შემოტყვევს? და მას ეუფლება აბოკალიფსური ნგრევის ხილვის წყურვილის განცდა, რათა პირისაგან მიწისა აღიგავოს უზნეობა, ძალადობა და სისასტიკე. მას სურს თავი დააღწიოს ცხოვრების უფსკრულს და მალა ამოღწევისთვის მსხვერპლად საკუთარი ხორციტ კვებოს ზემსწრაფი ფასკუნჯი — სულის სიმბოლო. ამიტომაც ბუნებრივად ჩნდება ახალი ნიღბი მეფე ღირისა — შთამბეჭდავი მონოლოგი: „მოვარდი მესო, დედამინის შემარყვევლო/ და გააბრტყელე ეს ქვეყანა, ბურთივით მრგვალი“.

პიესისა და სპექტაკლის ფინალი ერთმანეთისგან განსხვავდება.

პიესაში ხსნის მოლოდინი ისევ მიღმაა — გარედან! მკითხველი პიესის ბოლოს გაურკვევლობის ბურუსში ეხვევა — რა ეშველება ამ ნიჭიერ, კეთილშობილ კაცს, ნუ-თუ ისევ უნუგემოდ დაიფერფლება?

პიესაში კი ხსნა ჩანს — ის ადამიანის სულიდან ამოიზრდება. აქ ფერფლიდან ფენიქსივით აღმდგარი მსახიობი ჩანს, რომელიც შეიძლება ისევ დაიფერფლოს, მაგრამ ისევ აღდგება.

თენგიზ წულაიას სცენაზე დაბრუნება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ნიჭს დრო ვერ ახუნებს.

ის ისეთი ნამდვილია სცენაზე, ისეთი ლალი, თამამი, გულწრფელი და დამაჯერებელი... მაყურებლისთვის კი სულერთია, რამდენხნინი პაუზის შემდეგ გამოჩნდა სცენაზე. თუმცა სულერთი არ არის ის ამბავი, რომ თინათინ ჭაბუკიანმა — ნიჭიერმა რეჟისორმა — ხელი გაუწოდა თავის ძველ მეგობარს და სცენაზე დააბრუნა.

მაყურებელს ის ალღევებს, რაც სცენაზეა. თავისუფალი თეატრის პატარა სცენა ჯადოსნურად ფართოვდება, იზრდება და თითქოს მთელ სამყაროს მოიცავს, რადგან ერთი საათის განმავლობაში აქ გამოჩნდებიან შექსპირის, იბსენის, კლდიაშვილის უკვდავი თეატრალური პერსონაჟები.

და კიდევ ერთხელ წარმოჩნდება, რომ თუმცა არაფერია ცისქვეშეთში ახალი, ახალია ყოველი ადამიანის განცდა და მეგრძნება სიხარულისა თუ ტკივილისა.

ადამიანი ტანჯვისთვის გაჩენილია.

მაგრამ ადამიანს შეუძლია ამ ტანჯვიდან ხელოვნების უმშვენიერესი ყვავილების შექმნა.

ეს ყვავილები — მაცოცხლებელი ფერთა და სურნელით — ამჯერად როლებია, რომლებსაც მსახიობი ქმნის და რომლებიც ქმნიან მსახიობს.

ასე ბრუნდება სცენაზე მსახიობი — თენგიზ წულაია. ასე გულშემატკივრობს მას მაყურებელი.

ნოშრევან არაბული  
**ერთხელაც  
 დუელის  
 შესახებ**

ბოლოს პაატა ჩხეიძემ შეგვასხენა დუელი ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებიდან (2012, №12).

ამჯერად არაფერს ვიტყვი როსტომ ჩხეიძის მონოგრაფიაზე „ქართული დუელიანა“ და მასზე ბოლოსიტყვაობად მიდევნებულ ივანე ამირხანაშვილის ესეიზე „ბარიერთან — ვაჟკაცობა თუ სისულელე?“ (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, 2011)

არც ზაზა აბზიანიძის ვრცელ გამოხმაურებაზე „დუელიანას პარადოქსები“, რომელიც ცალკე წიგნაკად დაერთო „ჩვენი მწერლობის“ 2012 წლის მე-9 ნომერს.

პაატა ჩხეიძემ კი თავის ესეიში „დუელი ჯოზეფ კონრადის თვალთ“ ამონურა დუელის ფენომენი და, მე ვიტყვოდი, საჩვენოდ ერთგვარი პარადიგმული სახეც კი მიანიჭა აბზაცში, სადაც შემდეგს მოგვასხენებს:

„ჩემი ღრმა რწმენითა და გამოცდილებით, დუელი დღემდე შემორჩა, მაგრამ შემორჩა განძარცვული რაინდული საბურველისაგან. ორმა გაბრაზებულმა კაცმა შეიძლება ახლაც დაუფიქრებლად ესროლოს ერთმანეთს საქართველოში, მაგრამ წესებს არ დაიცავენ. ღირსებაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. გამოიწვევ „კაცს“ დუელში და ან დაიმალება, ან პოლიციაში დაგაბეზლებს, მოკვლას მიპირებსო. კაცური ღირსება?! მთელი ქვეყნის დასანახად ერთმანეთს წყალს ასხამენ, ულანუნებენ და... ვითომც არაფერი. უნამუსოს აფურთხებდნენ და ვიმ, რა კაი წვიმა მოდისო“.

აგაშენა ღმერთმა!

აი, რა დაგვმართინა!

და რა — ბ-ნი პაატას რომ არ ეთქვა, ჩვენც ხომ უნდა შეგვემჩინა, რომ ზნეობის დამპყრებელი ღირსება ქატოსავით გაიფადა?!

შეგვიმჩნევია, როგორ არა, მე შენ გეტყვი და ძებნა უნდა ამისთანა მაგალითებს, მაგრამ უბედურება ისაა, ისე ჩვეულებრიობად იქცა ღირსების შემლახავი გამოხდომები (ტელევიზიითაც კი!), რომ აღარც კი გვიკვირს, თუ პირადად ჩვენსკენ არ იქნა მომართული. ორმაგი უბედურება კიდევ ისაა, რომ ძალიან ბევრს აღარც მისკენ მიმართული ეხამუშება.

გუმანი და ინტუიცია თუ არ მალატობს, დუელი თუ მისი რალაცნაირი სახესხვაობა თვითონ პაატა ჩხეიძესაც გადახდომია ოდესღაც თავს. ამაში უცხო და მოულოდნელი არაფერი იქნება, ბოლოსდაბოლოს მისი ჩამომავლობის კაცს ღირსების დაცვა არავისგან ესწავლება. ზემოთმოტანილ აბზაცში, რამდენადმე პირადული ხასიათის ფრაზაში უნებურად მგონი სწორედ ასეთმა ინფორმაციამ „გაჟონა“...

არავის წარსულში არ ვიქექები, უბრალოდ ჩვევა მაქვს ასეთი, თუ სიტყვა გულზე მეძგერა, მერე ფანტაზიასა და წარმოსახვას ვეღარ ვიოკებ, ესენი კი, ერთიცა და მეორეც, ჰაერზე არ ამოდის, „ნიადაგიდან“ აღმოცენდება...

არა, მე არ ვამბობ, რომ ბ-ნი პაატა მაინცდამაინც ჩახმახმოზიდული პისტოლეტის სამიზნედან გაჰყურებდა მოწინააღმდეგეს (თუნდაც!).

მე არც იმას ვამბობ, რომ დუელი მხოლოდ თანაბარ პირობებში, თანაბარი იარაღით და გარკვეული წესებით ორთაბრძოლაა.

მე ვამბობ, რომ თანაბარ პირობებში მომხდარი, წინასწარ დათქმული, ღირსების დაცვის მოტივით მომხდარი ყველა ორთაბრძოლა არის დუელი, მათ შორის „ნელთბილი“ იარაღითაც...

ჰოდა, ვილა არ წერდა თურმე მის შესახებ... და წერენ ქართველებიც.

ევროპაში დუელი ხელობადაც კი აღიქმებოდა.

ბევრი ბრალიანი და უბრალო სისხლი დაღვრილა, ბევრი ღირსეული ადამიანიც შეენირა.

არ ვიცი და გულწრფელად მაინტერესებს: ნეტავ როგორ და რა ფორმით გამოხატავდა ქრისტიანული ეკლესია თავის დამოკიდებულებას ძმათამკველელი ამ წესისა თუ ტრადიციის მიმართ?!

არ ვიცი და არანაკლებ მაინტერესებს ისიც, რომ ეს დუელი მხოლოდ ქრისტიანი ხალხებისთვის დამახასიათებელი წესია თუ ასეთი ან მსგავსი რამ იცოდნენ სხვა დიდ (ან მცირე) რელიგიათა აღმსარებელ ქვეყნებშიც?!

ნეტავ ვინმე მიპასუხებდეს.

შეურაცხყოფისადმი შეუგუებლობა და მისი ჩამორეცხვა რომ აღმატებულ კაცთა წესია, ეს გასაგებია და ამას არც განსაკუთრებული რელიგია სჭირდება და არც ეროვნება, მაგრამ როგორ, როგორ, როგორი „რაინდული საბურველით“, აი ესაა საინტერესო, რაინდული სულით მოუკირწყლავ ასპარეზზე ჭიდილი ხომ დუელიც ვეღარ იქნება.

პაატა ჩხეიძე კი — „დუელი დღემდე შემორჩა“...

ძველი და აღარც მთლად ძველი თბილისის „ყორები“ დუელანტები არ იყვნენ, აბა, ვინ იყვნენ? კაცი კაცს სახალხოდ სიტყვას ეტყოდა, ამა და ამ დროს აქა და აქ გელოდებო, და მორჩა. არც სეკუნდანტების იქით-აქეთ სირბილი იყო საჭირო, არც ექიმები და არც სხვა მისთანანი. მთელი კი არა, ნახევარი ქალაქი სუნთქვაშეკრული ელოდა, რა მოხდებოდა, მაგრამ რაც უნდა მომხდარიყო, ბოლო მაინც ან დუქანი იყო, ან — რესტორანი.

„ვაჰ, დრონი, დრონი!..“

ახლა „სპორტის“ ერთი სახეობა მასხენდება — „ბრძოლა წესების გარეშე“, დღეს რომ დასავლეთში ძალზე პოპულარულია და რეკლამირებასაც ფართოდ ეწევიან. აბა, სად მივლენ ესენი იმათთან! ესენი ჯერჯერობით კბილებით არ ჭამენ ერთმანეთს და უხერხულ ადგილებში არ ეხებიან (ჩათვალეთ, რომ მომავალში ესეც ნებადართული იქნება), იმათ ამას არავინ უკრძალავდა, ეს ისედაც იგულისხმებოდა. ისინი ნაქცევულ მოწინააღმდეგეს ხელს როგორ შეახებდნენ, თუ მაინც — ნამოსაყენებლად გაუწვდიდნენ; ესენი — მისდგებიან იმ ნაქცევულს და ლამის სულის ამოხდომამდე უზაპუნებენ.

ჩემი ღრმა რწმენით კი, ჩემო პაატა, ასეთი ორთაბრძოლა დუელი ვერაფრით ვერ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ისიც დათქმულია, ისიც თანაბარი „იარალით“ წარმოებს; ვერ იქნება, რადგან აქ სწორედ ისაა გათელილი, რისთვისაც ხდება დუელი — ღირსება.

აი, იმ ღირსებით შემკულ ჩვენს ქალაქელებს კი, „ყოჩი“ კი არა, „კრავიც“ რომ ყოფილიყო, დაუნერულ კანონთა შორის, გარდა იმისა, რომ ნაქცევულს არ ურტყამდნენ, ასეთიც ჰქონდათ: ქვეყანა რომ დანგრეულიყო, ოჯახის წევრისა და თანმხლები ქალის წინაშე არც სიტყვიერად და არც ფიზიკურად, არც დამსახურებულად და არც დაუმსახურებლად კაცს შეურაცხყოფას არ მიაყენებდნენ.

სწორედ ამიტომ „ბოი ბეზ პრავილ“ საქართველოში სპორტის წარმატებული სახეობა ვერასოდეს ვერ იქნება... საბედნიეროდ.

დამრტყმელთა და ფალავანთა „კასტა“ XX საუკუნის შუა ხანებშიც კი ისეთივე პოპულარული იყო, როგორც დღევანდელი ოლიმპიური ჩემპიონები არიან.

ვაჟკაცი ჯიბეში დანას როგორ ჩაიდებდა! დანის ტარება (ცეცხლსასროლ იარაღზე აღარაფერს ვამბობ) აჩრდილივით ადევნებული შიშის სინდრომის ტყვეობაში ყოფნას თავისთავად გულისხმობდა.

რჩეულ ვაჟკაცთა ბეჭებისა და წელის ზომები ყველამ იცოდა, ვინ სად „აბირუავენდა“, არც ის გამოეპარებოდათ და არც ის, რომელ მანდილოსანს ჰქონდა ბედნიერება მათთან ხელკავით გამოჩენისა ხან „გოლოვინზე“ და ხანაც „რუსთაველზე“.

სხვანაირი დროა ახლა, მამაკაცის ბეჭებს მამაკაცები კი არა, ქალებიც აღარ უყურებენ (ღირსეულ მანდილოსანთა წინაშე ქედი მომიხრია), სამაგიეროდ, მავან ლამაზმანთა მრგვალი ფორმების პროპორციები იციან ზეპირად და უბედურება ისაა, რომ ქალს მხოლოდ იმ სამ განზომილებაში აღიქვამენ, შინაგანი ავლადიდება საერთოდ არ აინტერესებთ და მდებარე მხოლოდ ხორციელი სიამოვნების წყაროს ხედავენ (ღირსეულ კავალერთა წინაშეც ქედი მომიხრია).

ასეთი შეურაცხყოფილი ქალი არც არასოდეს ყოფილა!..

და მაშინ, როცა ქალი ასე შეურაცხყოფილია, მამაკაცთა საქმე ორგზის სავალალოა. საბოლოოდ კი პლანეტის მოსახლეობის ზნეობრივი სურათი, დასავლეთის მითუფრო, ერთობ არასახარბიელოა, რაც იმის მიმანიშნებელი

უნდა იყოს, რომ კაცობრიობა შესულია აპოკალიფსურ ეპოქაში.

ახლა ურთიერთობის გარკვევის წესიც სხვანაირია: დროსაც დათქვამენ, ადგილსაც, ოღონდ ისეთი ამალით მივლენ და არცთუ იშვიათად ისე სასტიკად და გამეტებით ჩეხავენ ერთმანეთს, გაცოდები — საიდან დაგროვდა ამდენი აგრესია ერთი შეხედვით ანგელოზივით ახალგაზრდებში. არც ისაა იშვიათობა, რომ ამ ორომტრიალს ბრალიანი კი არა, სწორედ უბრალო „პადერჟისთვის“ მისული ვინმე გულუბრყვილო შეენიერება.

სამძო-სამეგობრო წინათაც ჰყავდათ, მაგრამ ვაჟკაცი თავისი საქმის გასარკვევად სხვას როგორ შეანუხებდა, ან თავს როგორ აპატიებდა, მისი გულისთვის ვინმეს უბრალო სისხლი რომ დაღვრილიყო. თავისი პრობლემა, ავად თუ

კარგად, თვითონ უნდა მოეგვარებინა. დაკარგულ სიძარტლეს, სხვა გზა რომ აღარ იყო, იარალით მაშინლა ეძებდნენ, უთანასწოროდ დაპირისპირებულთაც იარალი ასწორებდა ისე, როგორც ოდესღაც:

**ჰკითხავდეს გელდიაურსა ამბავსა წინაწინასა, ჯერ ჭკვას გამურჩევს მამუკა, არ გამგონისად — რკინასა.**

ჰოდა, დუელიც ეგ იყო, დუელი ქართულად — უბრალოდ და ღირსეულად.

ვერობელები სხვანაირები არიან, იმათ ყველაფერი პომპეზურად იციან.

არ ვიცი, ჩვენი ვეროპელობა როგორ იქნება...

აი, კავკასიელობა კი...

\*\*\*

თანამედროვე ახლებისა და ძველების დაბლაგვებული ღირსება ასტიკებია პაატა ჩხეიძესაც. ამან თუ დაანერინა ის წერილი, ფაბულა რომ ჯოზეფ კონრადს უტრიალებს, როგორ აუნეცია მალა დუელს ორი სამხედრო პირი, ადამიანური სულის სიღრმეებიდან როგორ ამოუმზეურებია დუელს საუკეთესო პიროვნული თვისებანი, მაგრამ მარჯვე კომპოზიციური მონასმიდან ესეის თავსა და ბოლოში მაინც ჟონავს ქართული ტკივილი — პამპულეზად არ გამოეჩნდეთ, პამპულას ხომ ღირსება არ გააჩნია, უღირსებო კაცი კი ლემის ტომარაა და მეტი არაფერი.

არა, არა, რაკილა შემორჩა, კარგია, ბრძოლაა, მოძრაობაა, „მოძრაობა და მოძრაობა, ჩემო თერგოო“, ეგებ არ დაემყაყედეთ...

„ჩემი ღრმა რწმენითა და გამოცდილებით, დუელი დღემდე შემორჩაო...“

ჩემითაც, ბატონი პაატა, ჩემი ღრმა რწმენითა და გამოცდილებითაც!..



მხატვარი კარლო ფაჩულია

ეკა ბუჯიაშვილი

# დეტექტივად ისევ ილია

□

## ივანე მაჩაბლის გაუჩინარების უცნობი ვერსია

— იპოვეს? — ეკითხებოდა თავის თანამშრომლებს დროდადრო ილია ჭავჭავაძე, — ვერ იპოვეს?

ისინიც, როგორც ყველაზე დიდ ჭირისუფალს, ისე პასუხობდნენ:

— ვერა, ჯერ ვერ იპოვეს.

და ილიაც თავს ნაღვლიანად ჩაჰკიდებდა ხოლმე.

ასე მთავრდება ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფიული რომანი „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ — ილიას მწარე განცდებით, ამ დიდი მოღვაწის ტრაგიკულ ხვედრს სულით-ხორცამდე რომ შეუძრავს.

ივანე მაჩაბლის მოულოდნელმა გაუჩინარებამ თავის დროზე მთელი საქართველოც შეძრა და გამოიყვანა გარეთ მის საძებნელად, მაგრამ ეს ამბავი დღემდე იდუმალეობითაა მოცული. ათასგვარ ვერსიას შორის გავრცელდა ერთიც, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაფარული რჩებოდა; და აი, სწორედ ეს ვერსია დაედო საფუძვლად **როსტომ ჩხეიძის** ახალ პიესას „**26 ივნისის საიდუმლო**“, რომლის მეოხებითაც მისი პიესების ციკლი უკვე ტრილოგიადაც წარმოგვიდგება. ილია ჭავჭავაძე, როგორც დეტექტივი, ამ თხზულებაშიც შემოდის პერსონაჟად და თუ მანამდე ზურაბ ანტონოვის („ჩემი გზა ჩემი აკლდამა“) ტრაგიკული აღსასრულის მიზეზებს იძიებდა, ამჯერად ივანე მაჩაბლის გაქრობის გამორკვევას ცდილობს.

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართულ წარდგინებაზე როსტომ ჩხეიძე სწორედ ამ პიესის, ასევე იმ საზოგადოებრივი ყოფის, გარემოებებისა და ინტრიგების შესახებ საუბრობდა, რომელთა ფონზეც მოხდა ივანე მაჩაბლის გაუჩინარება.

\*\*\*

ბატონი როსტომის თქმით, ეს ამბავი, რომელიც საფუძვლად დაედო მის პიესას, დიდი ხნის განმავლობაში ძალიან ალღევებდა, ბოლო ხანს კი განსაკუთრებით იყო ამით შეპყრობილი. იმასაც ფიქრობდა: ან დავენერ, ან საერთოდ ავიღებ ხელსა.

ივანე მაჩაბლის დაკარგვის შესახებ თავის დროზე რამდენიმე ვერსია გავრცელებულა: ზოგი ძალიან მიკერძობული, ყალბი — თალღითურიც კი — ზოგიც გულუბრყვილო. შედარებით კანონიკური სახე მიუღია იმ ვერსიას, რომ ლოგინად ჩავარდნილი მაჩაბელი, რომელსაც წა-

მოდგომაც კი უჭირდა, ერთ დღეს გარეთ გამოსულა და, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მტკვარში გადავარდნილა.

როგორც კი ეს ვერსია გახმაურებულა, მთელი თბილისი გამოფენილა გარეთ, რათა მოექცნათ ნეშტი, კასპიის ზღვამდე უჩხრეკიათ მტკვარი, მაგრამ... ვერა და ვერ მიუკვლევიათ.

გაუჩინარებულიყო ივანე მაჩაბელი, ერთ-ერთი დიდი მოღვაწე მე-19 საუკუნის საქართველოსი, ვინც ილიას გამოეყვანა ლიტერატურულ ასპარეზზე — თავის მემკვიდრედაც წარმოუდგებოდა, ერთად დაენყოთ შექსპირის თარგმნა, „მეფე ლირის“ გადმოქართულების შემდეგ კი ილიას მთლიანად მისთვის გადაეზარებინა ეს საქმე, თუმცა კი ერთად შეემუშავებინათ სტილისტიკა, სალექსო საზომი, რომლითაც შემდგომ უმაღლესი რანგის თარგმანებს შესძენს ივანე მაჩაბელი ქართულ ლიტერატურას და, რაც მთავარია, უდიდეს ღვაწლს დასდებს ქართულ ენას. „ივერიაშიც“ ილია მიიყვანს, დრამატულ საზოგადოებაშიც, ბანკშიც ილია ამოიყენებს გვერდით, მაგრამ ისე მოხდება, რომ სწორედ საბანკო საქმეებში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ერთ დროს ფრიად უწყინარი კამათი შემდგომ და შემდგომ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში გადაიზრდება. ჯერ თბილისი გაიყოფა ორად — ერთი მხრივ ილიას და მეორე მხრივ მაჩაბლის მომხრეებად — მერე კი მთელი საქართველოც, და ამ დავაში ისეთ გავლენას მოიპოვებს მაჩაბელი, რომ ილია გადაწყვეტს... დათმოს ბანკი.

განსხვავებული შეხედულებანი კი საბანკო პოლიტიკას შეეხებოდა — ილია უფრო მკაცრი პოლიტიკის მომხრე იყო, მაჩაბელი — უფრო ლიბერალურისა, და ეს უბრალო კამათი, რომელიც შეიძლებოდა სულაც პირადულ დავად დარჩენილიყო და უმტკივნეულოდ მორიგებულიყვნენ — უამრავი ადამიანი რომ არ ჩარეულიყო — ასეთ დაპირისპირებაში გადაიზრდება.

ილიასა და მაჩაბლის საჯარო კამათს ესწრებოდა ყველა მსურველი, განსაკუთრებით კი სემინარიელები დაინტერესებულიყვნენ და მხარს ივანე მაჩაბელს უჭერდნენ, როგორც უფრო ახალგაზრდასა და ემოციურს, გრიგოლ ორბელიანი ილიას მიემხრობა — მართალია წლების წინათ დაპირისპირებულნი იყვნენ, მაგრამ იგი მიიჩნევს, რომ ილიას წასვლა ბანკიდან დამღუპველი აღმოჩნდება საქართველოსთვის.

ივანე მაჩაბელს დაუჭერენ მხარს აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი... და ილიას დიდი ავტორიტეტის მიუხედავად — ილიასი, ვინც ამდენი წელი წარმართავდა არა მხოლოდ ლიტერატურულ ცხოვრებას, არამედ საზოგადოებრივ ყოფასაც მთლიანად — აღმოჩნდება, რომ ხალხს მისი შემცველი სჭირდება.

და აი, ისიც — ივანე მაჩაბელი, ილიას ტიპის მოღვაწე!

\*\*\*

— ამ ილია ჭავჭავაძემ როგორ იმგვანა ყველაო, — ამბობდა იმჟამინდელი მინისტრი (მზრუნველი რომ ერქვა) კირილ იანოვსკი — ქართულ ყოფაში კარგად ჩახედული კაცი, რომელმაც ისე ძალიან გაამკაცრა საგანმანათლებლო პოლიტიკა, ქართველი ახალგაზრდების სრულ გადა-

ჯიშებასაც კი ისახავდა მიზნად, — აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ნიკო ცხვედაძე... ეს ივანე მაჩაბელიც პირდაპირ ილია ჭავჭავაძეაო.

ემაყებოდა მაჩაბელს ეს შედარება.

დიმიტრი ყიფიანი რომ გარდაიცვალა, მაჩაბელი პირველად ილიასთან გაქცეულა:

— ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს, დიმიტრი ყიფიანი მოგვიკლესო, — და ივანეს თვალწინ ატირებულა ილია, ვის თვალზეც ცრემლი არასოდეს უნახავთ.

გახურებული საბანკო ბრძოლებია.

ეს ის დროა, სერგეი მესხი რომ გარდაიცვალა, „დროება“ მაჩაბელმა გადაიბარა და ჟურნალის ვალებშია ჩაფლული.

ხელისუფლებას მაინცდამაინც ჭკუაში არ უჯდება, ამ ეროვნული კაცის ხელში რომ მოექცეს ეს გამოცემა, ამიტომ ვალების სასწრაფოდ გადახდას მოსთხოვს.

მძიმე დღეში ვარდება ივანე მაჩაბელი...

და აი ასეთ ვითარებაში ილია სწერს დავით მესხს, სერგეი მესხის ძმას:

— არ შეიძლება მაჩაბლისხელა მოღვაწეს ხელიდან გამოეცალოს ისეთი ტრიბუნა, როგორიცაა ჟურნალი.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ ქართულმა საზოგადოებრიობამ, ფული შევაგროვოთ და ვალი გავისტუმროთ, ოღონდ ვანომ ეს არ უნდა გაიგოსო.

არ უნდა გაეგო იმიტომ, რომ თუკი შეიტყობდა, საიდან მოდიოდა ეს დახმარება, უარს იტყოდა თანხის აღებაზე და ეროვნული საქმე დაილუპებოდა, ილიასთვის კი მთავარი საქმეა.

ჯერ ისევ გახურებული საბანკო ბრძოლებია.

ბრძოლები, რომლებიც საბედისწეროდ შემოუბრუნდებათ ილიასაც, ივანე მაჩაბელსაც და... ორად გაყოფილ საქართველოსაც.

ჯერ ის დროა, როცა მაჩაბლის ავტორიტეტი ისე გაზრდილა, ილიასას აჭარბებს და როცა პირველს უკვე გამარჯვებას ულოცავენ და მეორე მზადაა — დათმოს ბანკი, კეთილისმსურველები მაჩაბელს ურჩევენ:

— კარგი იქნება, თუ გამოქვეყნდება კრიტიკული წიგნი ილიას მოღვაწეობაზე.

მკაცრი წიგნი, სადაც ილია და მისი ღვაწლი მთლიანად იქნება მოთხრილი.

მაჩაბელი არ არის მისი გამოქვეყნების მომხრე, მაგრამ რაკი დაპირისპირება პოლიტიკურ ბრძოლებშია გა-

დაზრდილი, იძულებული ხდება გამოაქვეყნოს მწვავე პასკვილი, რომელშიც ილიას მიერ გაკეთებულ ყველა საქმეს ლაფი ექნება გადასხმული.

და გამოიცემა წიგნი, სადაც მთელი მისი ღვაწლი გადახაზულია, თვითონ ილია კი წარმოჩენილია როგორც გველეშაპი, მთელ საზოგადოებას რომ უხუთავს სულს, და ვიდრე მის ხელში იქნება რაიმე სადავე, საქართველო ვერ განვითარდება.

...და მაჩაბლის მრჩეველთა მოლოდინის საპირისპიროდ, წიგნი საწინააღმდეგო შედეგს გამოიღებს.

ეს უკვე აღარ მოეწონება საზოგადოებას.

თვითონ მაჩაბლის მომხრეებსაც აღარ დაუჯდებათ ჭკუაში:

— არ შეიძლება ილიას ამხელა ღვაწლი ასე იყოს განქიქებულიო.

და ილია, რომელსაც ხელი ჰქონდა ჩაქნეული ყველაფერზე, უცებ კვლავ მოვლენათა სათავეში აღმოჩნდება... ის ბრძოლა კი, ლამის მოგებული ბრძოლა, მაჩაბლის მარცხით დამთავრდება.

— ამბობენ, ეს მარცხი ვერ გადაიტანაო...

ლოგინადაც სწორედ ამიტომ ჩავარდაო.

მე კი მგონია — რამდენადაც ივანე მაჩაბლის პიროვნებას ვიცნობთ — იმ წიგნაკის დაწერა ვერ აპატიო საკუთარ თავს, — ამასაც დასძენს ბატონი როსტომი.

ასე იყო თუ ისე, სწორედ ამგვარ ვითარებაში გაუჩინარებულიყო ივანე მაჩაბელი და ეძებდა მთელი საზოგადოება.

უფრო ცნობილი კაცი იმ დროს იქნებ სხვა არც არავინ მოიძებნებოდა და ხელისუფლებაც ძალიან დაინტერესებულიყო ამ ამბის გამორკვევით, რადგან ეჭვმიტანილად მასაც მიიჩნევდა საზოგადოება.

ეძებდა ყველა, ვინც იცოდა ამ დიდი მოღვაწის ფასი.

— იპოვეს? — დროდადრო ეკითხებოდა თავის თანამშრომლებს ილია, — ვერ იპოვეს?

ისინიც, როგორც ყველაზე დიდ ჭირისუფალს, ისე პასუხობდნენ:

— ვერა, ჯერ ვერ იპოვეს...

და ილიაც თავს ნალვლიანად ჩაჰკიდებდა ხოლმე...

\*\*\*

სწორედ ასეთ ვითარებაში ისარგებლებენ სოციალ-დემოკრატები.

ნოე ჟორდანიას გამოაქვეყნებს წერილს — რომელშიც მთლიანად აისახება სოციალ-დემოკრატთა მრწამსი — და



როსტომ ჩხეიძე



ინგლისურ შეგონებას შეახსენებს საზოგადოებას:

— ვინ იქნებოდა ძალიან დაინტერესებული ივანე მაჩაბლის დალუპვით?

ვინ იყო მასთან დაპირისპირებული და ყველაზე ძალიან ვის გაუხარდებოდა მისი დალუპვა?

ილიას ირგვლივ იქსოვებოდა ბადე.

ვინ დაიჯერებდა ამას და ვინ — არა, უკვე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, აგორებულები ბრალდება, მკვლელობაში რომ ჰხვევდა ილიას და უმძიმეს დარტყმას აყენებდა მის სახელს.

უმძიმეს დარტყმას აყენებდა საქართველოსაც.

ასე გაშმაგებულიყო ილიას წინააღმდეგ დიდი ხნის წინათ დაწყებული ბრძოლა, რომელსაც სოციალ-დემოკრატები მისი სამოქალაქო მკვლელობითა და სულაც წინამართლით დაამთავრებენ.

— არადა, ასეთ რამეს ვერც წარმოიდგენდი, რადგან სოციალ-დემოკრატების მოსვლამდე საზოგადოება სხვა მორალის, სხვა ზნეობის სინამდვილეში ცხოვრობდა — იქ, სადაც წარმოუდგენელი იყო ცილისწამება. სოციალ-დემოკრატები კი რაც უნდოდათ, იმას აბრალებდნენ ადამიანებს და ყველაფერი შერჩებოდათ — მაშინაც და მერეც, — იტყვის ბატონი როსტომი.

ამიტომ იყო, 1905 წლის რევოლუციურ გამოსვლებს პირველი ილია რომ დაუპირისპირდება. ის, ვინც მთელი ცხოვრება იმპერატორის რეჟიმს ეწინააღმდეგებოდა, ბოლო წუთს, აცნობიერებს რა, რომ უარესი ძალა მოდის სათავეში, დგება მთავრობის გვერდით — სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

და აი სწორედ ეს ძალა ნაცადი ხერხებით, ახალი ვერაგული შეტევით განაახლებს ბრძოლას ილიას წინააღმდეგ.

სწორედ ამ საკითხს გამოეხმაურება შეხვედრის ბოლოს **მანანა გაბაშვილი**:

— ისტორიაში არაერთი შემთხვევა ვიცით, როცა პირადულამდე დაუყვანიათ ძალიან დიდი მნიშვნელობის მოვლენები, რომლებიც ხშირად პოლიტიკას უკავშირდებოდა. შესაძლოა ესეც წინასწარ მოფიქრებული პოლიტიკური აქცია იყო, არსებული ფონითა და ვითარებით ისარგებლეს პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებმაც ჯერ მაჩაბელი შეინიერეს, შემდეგ — ილია.

ქალბატონ მანანას დაეთანხმება **პაატა ჩიქოვანი**, ვისი თქმითაც, ეს მკვლელობა თავის დროზე ლაკმუსის ქალღმერთი იყო — იმის მიხედვით, ვინ იზიარებდა ჟანდარმერიის ვერსიას და ვინ — არა, შეგეძლო გაგეგო, ვინ ემსახურებოდა იმ ხელისუფლებას და ვინ იყო ნამდვილი ეროვნული ძალა:

— ათწლეულების განმავლობაში იყენებდნენ თავიანთ ნაცად ხერხებს (მოგვიანებით **ციალა არდაშელია** დასძენს, რომ ნეობოლშევიკები ახლაც ამ გზას ადგანან. ე.პ.), ამიტომაც ეს პიესა დღეს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს და, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა დაიდგას.

თუმცა ეს მერე იქნება.

ჯერ კი...

\* \* \*

— როსტომ ჩხეიძის თქმით, ამ ვერსიათა გვერდით

იყო კიდევ ერთი, არსად რომ არ დაწერილა, მაგრამ საზოგადოებაში ტრიალებდა და იზიარებდნენ შალვა დადიანი, თედო სახოკია, გერონტი ქიქოძე...

მოდის ახალი თაობა, ვახტანგ ჭელიძე წერს შესანიშნავ ბიოგრაფიულ რომანს — ქრესტომათიულ ნიმუშს ამ ჟანრისა — და არც ის ახსენებს იმ ვერსიას. რომანი მთავრდება მაჩაბლის გაქრობით, რის გამოც წუხს მთელი საზოგადოება და მათ შორის ილიაც.

— იპოვეს? — დროდადრო ჰკითხავს ხოლმე თანამშრომლებს, — ვერ იპოვეს?

— ვერა, ჯერ ვერ იპოვეს, — როგორც დიდ ჭირისუფალს, ისე პასუხობენ ისინიც.

და ილიაც თავს ნაღვლიანად ჩაჰკიდებს ხოლმე.

ოთარ ჩხეიძე წერილით გამოეხმაურება ივანე მაჩაბლის გაუჩინარების გულუბრყვილო ვერსიებს — მათ შორის ასეთსაც: თითქოს იმ დროს კვიპროსისკენ დაძრულ დუხაბორებს გაჰყოლოდა მაჩაბელი — და დაწერს: შეუძლებელი იყო ასეთი პიროვნება, მართლმადიდებელი ქრისტიანი, პატრიოტი კაც რუსულ სექტანტურ მოძრაობას აჰყოლოდაო.

ის ვერსია კი — აი ის, როსტომ ჩხეიძის პიესას რომ დაედო საფუძვლად, შალვა დადიანი, თედო სახოკია, გერონტი ქიქოძე, ვახტანგ ჭელიძე და ოთარ ჩხეიძე ყველაზე დამაჯერებლად რომ მიიჩნევდნენ — წლების განმავლობაში დაფარულად რჩებოდა.

და ბურუსითა და ლეგენდურობით შებურვილიყო გაქრობა ივანე მაჩაბლისა.

— დაწერეთო, — სთხოვდა ბატონი როსტომი ოთარ ჩხეიძესა და ვახტანგ ჭელიძეს.

ვერ დაიყოლიებდა.

— შესაფერისი დრო არ არისო, — პასუხობდნენ ისინი.

„ლეგენდას ანგრევედა ის ვერსია.

და თუმც მისალოდნელია, რომ ყველაზე ახლოს იყო რეალურად მომხდართან, რაკილა ლეგენდურობამ თავისთავად იჩინა თავი ივანე მაჩაბლის ბიოგრაფიაში, აღარ უღირდათ საზოგადოებრივი ცნობიერების ზედმეტად აფორიაქება.

მე ვაგულიანებდი ერთსაც და მეორესაც, რომ სადმე როგორღაც აღენიშნათ ეს ვერსიაც, თუნდ გამიჯვნოდნენ, მაგრამ სამეცნიერო-ლიტერატურულ მიმოქცევაში შემოტანით შემოეტანათ...

— როდის დადგება ის შესაფერისი დრო? — არ ვეშვებოდი, რადგანაც სული მისწრებდა.

გამოჩნდებაო, — მამშვიდებდნენ... და ვერც მამშვიდებდნენ“, — დაწერს როსტომ ჩხეიძე პიესის ბოლოსიტყვაობაში.

გადის დრო და თვითონ დაუდებს პიესას საფუძვლად ამ ვერსიას:

— რომელსაც დოკუმენტურად, ცხადია, ვერ დავასაბუთებთ, მაგრამ ეს სჯეროდათ ადამიანებს, რომლებსაც მე მჯერა. იმ კანონიკური ვერსიის გვერდით იყოს ეს ვერსიაც, ბოლოს და ბოლოს პიესა და არ ხარ ვალდებული რაიმე დაასაბუთო, მკითხველს კი შეუძლია უბრალოდ მხატვრულ სინამდვილედ აღიქვას ეს ყველაფერი და არა ყოფით სიმართლედ.

და როსტომ ჩხეიძე შეხვედრაზე რამდენიმე ფრაგმენტს რომ წაიკითხავს პიესიდან, მათ შორის ამ საკვანძო ნაწილსაც, სადაც ბოლომდე იხსნება ბურუსით მოცული მკვლელობის საიდუმლო:

ამ ვერსიით აკაკი გაეხვეოდა ივანე მაჩაბლის გაუჩინარების ტრაგიკულ ამბავში, საბედისწერო სამკუთხედად რომ იკვრება.

ლოგინად ჩავარდნილი მაჩაბელი დილით დგება, სასტუმრო ოთახში გამოლასლასდება და... ხედავს: ტასო მაჩაბელი როგორ უუთოებს მუნდირს იქვე მჯდომ წელსზევით გახდილ ოფიცერს.

„გაცეცხლდებოდა მაჩაბელი, აბა, რა მოუვიდოდა, თუ რამ ძალ-ღონე შერჩენოდა, იმ წუთას ერთბაშად დაუბრუნდებოდა, აიტაცებდა უთოს და თავზემით შემართავდა, რათა ძლიერად დაეკრა მისი ოჯახის შემარცხვენელისთვის. ოფიცერი წამისუსწრაფესად მოასწრებდა შემართულ მკლავზე ხელი ეტაცა, რათა დარტყმა აერიდებინა. ვანოს დაავადებული სხეული ველარ გაუძლებდა სამხედრო პირის ნავარჯიშევი ხელის მოჭერას მაჯაზე, უთო გაუვარდებოდა და... თავში დაეცემოდა“.

ოფიცერი სასწრაფოდ გაიქცევა, ტასო კი დაბნეული და ნახევრად გულწასული აკაკისთან აფრენს კაცს დახმარების სათხოვნელად.

რალაც იდუმალი სულიერი კავშირი მანამდეც გაბმულიყო ტასო მაჩაბელსა და აკაკი წერეთელს შორის. მართალია, აკაკის ტასოს თანაგრძნობა ვერ მოეპოვებინა, მაგრამ ქალი გუმანით გრძნობდა მის დამოკიდებულებას და ამ თავზარდამცემ წუთებშიც სწორედ მას უხმობდა დასახმარებლად.

თავის დროზე ჭორებიც აგორებულები ამის ირგვლივ და შეხვედრის ბოლოს კიდევ იკითხავს **ჯემალ ფოცხვერია**: — მაშინ ის ვერსიაც გავრცელდა, რომ აკაკი უშუალოდ გახლდათ გარეული მაჩაბლის მკვლელობაში, რადგან მასა და ტასო მაჩაბელს შორის დიდი გრძნობა იყო, ამიტომ იმ ოფიცერში თვითონ აკაკი ხომ არ იგულისხმება?

ბატონი როსტომი კი:

— ჭორები დაიყარა, მაგრამ რამდენადაც ვიცი, იმ ადამიანებს, ვისი აზრიც დასაჯერებელია, სწამდათ, რომ აკაკის მხოლოდ პლატონური სიყვარული ჰქონდა ტასოს მიმართ და ამ პიესით არა მხოლოდ სიმართლის დადგენა, ასეთი ჭორების გაფანტვაც მიხდოდაო.

აკი თვითონ აკაკის ათქმევინებს — როცა ილია, ვინც გადაწყვეტს, ბოლოსდაბოლოს თვითონ მიაკვლიოს სიმართლეს, პირად საუბარში ამ კავშირზე მიანიშნებს მას — „ღვთის წინაშე გეუბნები, ვანოსთან ძმობა არ შემიბლავს, პირნათელი ვარ მის ხსოვნასთან“.

ხსოვნასთანო...

მამ აკაკი თავადვე ადასტურებს მაჩაბლის დალუპვას და მერე კიდევ ხსნის ამას:

— ქალის ღირსება იყო გადასარჩენი, ვანოს რალა ეშველებოდა, დაილუპა, გავიდა წუთისოფლიდან...

და საკირეში დაიფრფლავდა ივანე მაჩაბლის ცხედარი.

— მტკვარში გადავარდაო, — ამ ვერსიას გაავრცელებენ დილიდან.

ეს ვერსია მიიჩნეოდა კანონიკურად წლების განმავ-

ლობაშიც, მაგრამ...

\*\*\*

აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ ასეთი წაკითხვა კი, ბატონი როსტომის თქმით, სოსო სიგუას დამსახურებაა.

— საერთოდ, ძალიან სახიფათოა ფროიდის ფსიქოანალიზს რომ მოარგებენ ხოლმე თხზულებას, რადგან ძალიან მაცდური თეორიაა, ყველაფერს მიუდგება, ძალიან იოლად იხსნება ყველაფერი, მაგრამ საბოლოოდ ხელში აღარაფერი გრჩება, მაგრამ აქ — სოსო სიგუას მონოგრაფიაში „მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“, სადაც ავტორი ფსიქოანალიზის მეთოდის მომარჯვებით ხსნის მაჩაბლის ტრაგიკულ აღსასრულს — ძალზე თავშეკავებულად და ფაქიზადაა გამოყენებული და ყოველგვარი ხელოვნურობის გარეშე არკვევს პერსონაჟთა ხასიათების ცალკეულ ფსიქოლოგიურ ნანამძღვრებს.

საქმე კი ისაა, რომ ქრება ივანე მაჩაბელი და ერთ თვეში კიდევ იწერება და კიდევ ქვეყნდება „გამზრდელი“.

ალბათ ნებისმიერ ჩვენგანს გვეგონა, რომ აკაკი შავი-უსუბი იყო, მაგრამ იგი თურმე საკუთარ თავს საფარ-ბეგად ხატავს.

ერთი ეს შემთხვევა იცის ქართულმა ლიტერატურამ, ავტორი ულმოზღად რომ უსწორდება თავის თავს, და მეორე ის, მიხეილ ჯავახიშვილი თეიმურაზ ხევისთავის სახეს რომ ქმნის. ამიტომ ამ პოემასაც და სხვა ნაწერებსაც სხვა თვალთ წაკითხვა სჭირდება.

სოსო სიგუას ეს მონოგრაფია კი თავისთავად კიდევ ერთი ბიძგი აღმოჩნდება პიესის შესაქმნელად როსტომ ჩხეიძისათვის, ვინც იმთავითვე გაიზიარებს ძიებათა ამგვარ წარმართვას და „გამზრდელის“ ფროიდისტულ ახსნასაც დამაჯერებლად მიიჩნევს.

ქალის ღირსება უნდა გადარჩესო...

ვერა, ვერ გაითვალისწინებდა აკაკი იმ მძიმე შედეგებს, რომლებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა სიმართლის დაფარვას.

შეიძლებოდა მთელი თავადაზნაურობა შესწირვოდა.

შეიძლებოდა ილიაც თან გადაჰყოლოდა.

და კიდევ —

კიდევ ექვს საბედისწეროდ მთელ საქართველოს 26 იენისის საიდუმლო.

\*\*\*

— ნეტა მე ვერ ვეშვები ილიას ამ ახლებურ სახებას — მის გარდასახვას გამომძიებლად თუ... ის არ მეშვება?! — ამასაც იკითხავს პიესის ბოლოსიტყვაობის ფინალში როსტომ ჩხეიძე და მკითხველსაც ენიშნება, რომ თუკი ოდესმე ტრილოგია ტეტრალიგოდაც გადაექცევა, ვინ იცის, შეიძლება იქაც ილია ჭავჭავაძეს მიახლოს საიდუმლო საქმის გახსნა, ან უბრალოდ ახლებური სხივით, მაგრამ მაინც გაიეღვოს ილიას ლანდმა.

ვინ იცის... ვინ იცის...

მანამდე კი ამის შესახებ ასე გვიპასუხებს ბატონი როსტომი:

— ჯერ ეს დრამატურგიული თხზულება ახალი ჩამთავრებული მაქვს, კვლავაც მის ბურუსში — გალაკტიო-

მურმან ჯგუბურია

# ცოტა რამ მეტისა და ნაკლების შესახებ

ანუ

ლია სტურუას განამხივებლად

ძვირფასო ლია, „ჩვენი მწერლობის“ უახლოეს ნომერში წაკითხეთ შენი გამოხმაურება „პირველ მეორეზე გაითვალეთ!“ რაზედაც მინდა ჩემი კინი აზრი გაგიზიარო.

შენ და ბესიკ ხარანაული, ორივე, მართლა ჩინებული პოეტი ხართ (გამბედაობა არ მყოფნის, რომ უეპითეტოდ მოგიხსენიოთ, არადა, პოეტს, ჩვენში დარჩეს, „პოეტის“ გარდა კიდევ რა ეპითეტი უნდა მიესადაგოს, ტერენტი გრანელის გამონათქვამისა არ იყოს: „გალაკტიონმა დაიმსახურა პოეტის სახელი“, რომ გვეუბნება), და მაინც ვიტყვი: შენ და ბესიკ ხარანაული, ორივე, მართლა შესანიშნავი პოეტი ხართ, — ორივე თავისებური, სხვათაგან განსხვავებული, და ორივე თითქმის ერთნაირად დაფასებული დედა-სამშობლოსაგან.

„სტურუა ლია — საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო ილია ჭავჭავაძისა და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიების ლაურეატი.

ღირსების ორდენის კავალერი“.

„ხარანაული ბესიკ — საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო და „საბას“ პრემიების ლაურეატი.

ბრწყინვალეების ორდენის კავალერი“.

(საქართველოს მწერალთა კავშირის ცნობარი. გამომცემლობა „მერანი“, 2012 წ.).

აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ ორივენი ერთსადაიმევე 1939 წელს ხართ დაბადებული.

ასე რომ, არაფერი გაქვთ, ძვირფასო ლია, ერთმანეთისაგან გასაყოფი.

ეს მე უნდა ვიკითხო (მეგრეღმა რომ თავი არ იქოს, არ იქნება), თანამედროვე სიტყვიერებისათვის მცირედი რამ თითქოსდა რომ შემინევი, და მაინც ვერანაირი პრემია ვერ დავიმსახურე, თუმცა ასაკით (ასაკი რა შუაშია?!) ორივე თქვენთაგანზე ზუსტად ერთი წლით ვარ უფროსი, 38-ში დავიბადე, და საცაა, ჰა და ჰა, 75 წლისა მოვიყრები, თუკი ჩემებრ გამხდარსა და გალულ კაცზე ითქმის, მოიყარაო, — წლებს კი მაინც თავისი მიაქვთ, გინდა მსუქანი იყავი და გინდა გამხდარი.

გეხსომება, ერთი ხანობა მე გაზეთ „სიტყვის“ რედაქტორი ვიყავი. პირველივე ნომერში გამოვაქვეყნე შენი შესანიშნავი პოემა, რასაც მოვადევნე ხარანაულის ასეთივე შესანიშნავი პოემა; ორი პოემა, ეგრეთნოდებული ვერლიბრით გასრულებული, და ორივე სხვადასხვა, თავისებური, განსხვავებული.

ასე რომ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ძვირფასო ლია, თუ კერძოდ, ვახტანგ ჯავახაძე რომელ თქვენთაგანს უფრო შეაქებს, ან არ შეაქებს (ჯილდო-პრემიები ხომ თითქმის ერთნაირი გაქვთ, რაც უკვე ითქვა, ამიტომაც, უნდა ვიგულისხმოთ, როცა ხარანაულს აქებენ, ეს შენი ქებაცაა, და როცა შენ გაქებენ, ეს ხარანაულსაც ეკუთვნის), რა ვითარებაზეც, დახანებით, კიდევ მინდა რაღაცა ითქვას.

მაინც რანაირები ვართ ეს ქართველები.

„შური — მწუხარებაა სხვისა კარგსა ზედა“ — რა უბედურებაა!

ერთხელაც ვაჟსა გამოცხადა სიზმარში ღმერთი და უთხრა ღმერთმა, შე შურიანოო. ვაჟამ, შური რა არი, არ ვიცო. ღმერთმა, ძალიან კარგადაც იციო. დიდი ხანი ესიტყვენ ერთმანეთს. ბოლოს იკითხა მამა-უფალმა, რა ეროვნებისა ხარო. ქართველი ვარო, ვაჟამ. აბა, რა გალაპარაკებსო, ღმერთმა.

ისე, კაცმა რომ იკითხოს, მართლა რა მნიშვნელობა აქვს, ძვირფასო ლია, თუ რას იტყვის ამა თუ იმ პოეტზე ესა თუ ის მკითხველი, გინდა-პოეტი (ვ. ჯავახაძე), გინდა, ტ. ჭანტურია. თავისი ფეხით მოვიდაო, იტყოდა ხოლმე ასეთ შემთხვევაზე ცხოვრებული ოთარ მაფგორია, — ჯავახაძე ვახსენე და ჭანტურია მოჰყვა. გაჭრილი ვაშლივით რომ ჰგვანან ერთმანეთს, რაც არ ითქმის, ცხადია, შენზე და ბესიკ ხარანაულზე. ამიტომაც, მართლაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს (თუმცა თავად შენ ასე არ გგონია), ვინ უფრო ადრე, შენ თუ ბესიკმა, გამოაქვეყნა თავისი ვერლიბრი. ვერლიბრი (თავისუფალი ურიტომო ლექსი) ათეული საუკუნეების წინ შექმნა გენიალურმა სვანურმა ზეპირსიტყვიერებამ, რაც ძალიან კარგად იცის ბესიკ ხარანაულმა, და რაც არც ჯავახაძეს ვახსენებია და არც შენ, ძვირფასო ლია, თუმცა, შენი ინტელექტი, მარტო ჩემთვის როდია ცნობილი და მიმზიდველი. რა შუაშია თითქო, მაგრამ უნდა ვთქვა (ინტელექტმა გამოიძახა), ელიოტი წერს, ჩემს დასაწყისში ჩემი დასასრულიაო, რაც „არანტელექტუალმა“ ქართველმა მელექსემ დიდი ხნით ადრე ასე გამოთქვა: „საცა კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არი“.

არ გვიყვარს უკან მოხედვა, წინ ვიყურებით, თუმცა ყოველთვის ის უფრო კაფიერად ჩანს, რაც იყო, ვიდრე ის, თუ რა იქნება.

საინტერესოა ბესიკ ხარანაულმა თუ წაკითხა (მე არ წამიკითხავს) ვ. ჯავახაძის წერილი, ანუ ის, რაც მიენერა, და თუ წაკითხა, რა აზრი გააჩნია, შეირგო (შეიშრო?) თუ არ შეირგო მონიშნული ტერიტორია (გალაკტიონი-ხარანაული), მაგრამ, არა, ეს არც უნდა მეკითხა. კაცი, რომელმაც გვითხრა, „რაკი ვერავინ ვერ შევცვალე, თვით შევიცვლები“, არამ ხობტა-დიდებას არ დახარბდება.

მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი, შენზე და ბესიკზე რას იტყვიან. ჭანტურიასა და ჯავახაძის შემთხვევაში კი საგულისხმო მნიშვნელობა გააჩნია. სხვათაშორის, ერთიც და მეორეც რუსთაველის პრემიის ლაურეატია, როგორც შენ და ბესიკი. იმიტომ გააჩნია მნიშვნელობა, რომ მათი ლექსი ნაკლებად გამოირჩევა ერთმანეთისაგან. საამისო მაგალითების მოტანა უხვად შეიძლება, თუკი საჭირო შეიქნა და რომელიმე მათგანმა იხუა-ითაკილა ჩემი მინიშნება. მერე რა, თუ ვ. ჯავახაძეს თურმე ხარანაულის მიმდე-

ვარ-მიმბაძველები ვგონივართ. — რაკილა თვითონ სხვისი მიმბაძველია, აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, მოეჩვენოს, რომ ყველანი ვიღაცას ბაძავენ. შენც ხომ ამბობ, ძვირფასო ლია (თუმცა არ ასახელებ), ხარანაულზე არანაკლები მიმდევარი მყავსო.

არ ეკადრება შენეული ინტელექტისა და ერუდიციის პატრონს მსგავსი ტონით ლაპარაკი და თავის მოწონება, საკუთარი თავის ქება-დიდება, და არც ბატონი რეზო ესაძეა პოეზიის მენცარი და კანონმდებელი, ცაში რომ აგიყვანა და იქ დაგასახლა. და არც შენ ხარ პოეზიის კანონმდებელი (პოეზია და კანონი რა შუაშია?), და, რა თქმა უნდა, არც მე („Существует и ни в зуб ногой“).

ცხელ გულზეა, როგორც იტყვიან, შენი „გამომბაზრება“ ჩამონერლი, ძვირფასო ლია, რასაც შენ მცირე წერილში გაპარული რამდენიმე უზუსტობა-გადამეტება მაღაპარაკებს.

მაგალითად: ანა ახმატოვა გგონია ცამდე მართალი, როცა იგი სათავისო ოთხეულს ასახელებს („ჩვენ ოთხნი ვართ, დიდო სტალინი!“), საიდან მახსოვს. არ ვიცი, ანუ, გალაკტიონის გამონათქვამისა არ იყოს, „არ მახსოვს, მაგრამ კი მომაგონდა“. ანას ოთხეული ასეთია: პასტერნაკი, ცვეტაევა, მანდელშტამი, ახმატოვა. რანაირი იქნებოდა, რომ ვიკითხოთ, მაგალითად, ბლოკის ოთხეული? დაუჯერებელიაო, იტყვის ვინმე, მაგრამ, გამორიცხული არაა, ბლოკს სავარაუდო ოთხეული მ. კუზმინი დაესახელებინა. „შენი ლექსების წიგნი („ალექსანდრიული სიმღერები“) ისე ძვირფასია, მარცხენა ხელიდან მარჯვენა ხელში გადატანა დაგეანებაო“. საკუთარ ხელზე ამბობს. სხვა კიდეც სხვა ოთხეულს ჩამოწერდა, ცხადია. და შეიძლება ზოგიერთ „სხვას“ ახმატოვას ოთხეულის არცერთი წევრი არ გახსენებოდა. მაგალითად, თავისი თანამედროვე მესიტყვეებისაგან აღიარებულ ლიტერატურათმცოდნეს ვ. კოჟინოვს, რომლის ოთხეულიც, ჩემი გაგებით, ამ ვარაუდს არ გასცდებოდა: ესენინი, ვასილიევი, რუბცოვი, კუზნეცოვი. სხვათაშორის, ვ. კოჟინოვმა ამ სამი ათეული წლის წინათ შეადგინა და გამოსცა თავისი თანამედროვე პოეტების ლექსთა კრებული, სადაც რატომღაც ვერ შევიდნენ, ჩვენგან, ქართველებისაგან მოწონებული პოეტები: ახმადულინა, ვოზნესენსკი, ევტუშენკო, ოკუჯავა, მორიცი...

და აქვს კი აზრი, ძვირფასო ლია, ვ. ჯავახაძის გამონათქვამებს გამოვედევნოთ, ვისაც, შენი წერილის მიხედვით, გალაკტიონსა და ხარანაულს შორის გამოორჩა გრანელი, ნიკო სამადაშვილი, ანა კალანდაძე, შოთა ჩანტლაძე... არა აქვს აზრი, ცხადია, და აქედან გამომდინარე, ჯავახაძის გამონათქვამებზე, უკაცრავად პასუხია, არ უნდა გავწინმატდეთ.

არაფერი არ დაიკარგება, მკითხველი ყველაფერს დააღაგებს, როგორც უნდა დააღაგოს. სამაგალითოდ, რამდენიც არ იძახეს და იკიჟინეს ნეკრასოვზე „ვიშე, ვიშეო“, პუშკინს ხომ მაინც ვერ გადაახტა!

სხვა მხრივ, შენ რა გაქვს დასალაგებელი, ძვირფასო ლია, აღიარებული პოეტი ბრძანდები. მრავალი პრემიის ლაურეატი, თავად რუს-

თაველის პრემიის ლაურეატი („რაცა ოდენ თქვან ნათელადო“, ალბათ ამ გამონათქვამის გათვალისწინებით), თან არავის არ შეუძახნია, რუსთაველის პრემია სტურუასთვის არამიო, არ ეკუთვნისო, და ჩამოვართვათო, როგორც ამას უპირებენ ზემორე დასახელებულთაგან ერთ-ერთ პოეტს, — ზოგჯერ უკეთესია, როგორც ჩანს, არ მოგეცეს, ვიდრე მოგეცეს და მერე წაგართვან, შეცდომით მოგვიციაო.

კიდეც კარგი (ჩემს თავს ვეუბნები), არანაირი პრემია რომ არ გაგაჩნია, რაც არა გაქვს, იმას როგორ ჩამოვართმევინ!

ასე რომ, ნუ გაბრაზდები და ნუ განინმატდები, ძვირფასო ლია, — საკუთარი თავის ფასი ხომ იცი და იცი. „თუ თავი შენი შენ გახლავსო“, ესე იგი, რასაც შენი წერილი გვიდასტურებს, ბესიკ ხარანაულზე არანაკლები მიმდევარი მყავსო, ამბობ, თანაც „ლია სტურუა კოსმოსის პოეტიო“, გითხრა კაცმა, ანუ, დედამინაზე არ უდგასო ფეხი, და რაში გენაღვლება, აქ შენზე ვინ რას იტყვის, ან არ იტყვის.

„И Мир!“ — ასე ამთავრებდა შამილი თავის წერილებს.

**P.S.**


„ჩვენი მწერლობის“ იმავე ნომერში, ძვირფასო ლია, გამოქვეყნებულია როსტომ ჩხეიძის „ანტონიო მაჩადო და მისი ნიღბები“, რასაც ალბათ ჩემი მითითების გარეშეც გადაიკითხავდი.

ხუან რამონ ხიმენესი სანობელო სიტყვაში განაცხადებდა: „ეს პრემია ეკუთვნით ანტონიო მაჩადოსა და გარსია ლორკასაც...“

მე რა შუაში ვარო, ხუან დე მაირენას ეკუთვნისო, — იტყოდა ანტონიო მაჩადო...“

მაგრამ, რაღა შორს წავიდეთ, როცა აგერ, თვითონ ვაჟა გვეუბნება ისეთ რალაცას, რაც არ შეიძლება ქ რ ის ტ ი ა ნ მ ა პოეტმა ყურად არ იღოს:

**პოეტად ვიხსენიებ, თუმცა ხარი ვარ, ლაბაო, ჩემისთანები ბაგაზე, ასი ათასი აბაო...**



აბსტრაქცია

დავით კაკაბაძე

გურამ ბენაშვილი

# ლიტერატურული ვიტრაჟები

ნიკო სამადაშვილი

ნიკო სამადაშვილი, როგორც უნიკალური პოეტური ხილვებით აღბეჭდილი ლირიკოსი, სრულიად კანონზომიერად დამკვიდრდა XX საუკუნის ქართული პოეზიის სივრცეში...



ყოველი ნამდვილი შემოქმედის მსგავსად, წარმოსახვითა სამყაროებში „საფრენად“, მასაც მხოლოდ საკუთარი ინტელექტუალური თუ წმინდა პოეტური ინსტიქტები გააჩნდა...

რაც ყველაზე არსებითია, მას ჰქონდა თავისი „ექსკლუზიური“ სევდა, პოეზიის ეს უძვირფასესი „საუნჯე“... ამიტომაც სულის სიღრმეში შეიმკვრელია მისი ლირიკული მედიტაციების გრძნობად-ემოციური კონტექსტები, მათი სემანტიკური ჰორიზონტები...

რომანტიკული სულის ირაციონალური წიაღსვლები, ზედროულსა თუ ზესივრცულთან იდენტიფიცირდება... თეოსოფიური მსოფლგანცდით მანიპულირება — მის პოეტურ რეფლექსიათა არსებით კონოტაციებს განასახიერებენ...

და ეს ყოველივე იქმნებოდა რომანტიკული ილუზიების გამძვინვარებული მსხვერვის ჟამს... როცა სასტიკად იკრძალებოდა სულის თავისუფალი „სიზმრებით“ აზროვნება... ნეგატიურის აღქმის მეტაფიზიკური თუ რომანტიკული პათოსი...

პოეტისა და პოეზიის „მარგინალური“ მოდიფიკაცია ნიკო სამადაშვილის ეგზისტენციითაც ავლენდა თავს...

მისი ოდენ აპოკალიფსური ინფერნალიებით აღბეჭდილი ვიზიონები, პოეტის ხაზგასმულ ინდივიდუალობას ამჟღავნებს და რაც მთავარია, არ წარმოადგენს კარგად გამოცდილი და ნაცნობი პოეტიზმების გადამღერებას...

სრული თავისუფლება, საკუთარი რეფლექსიებისადმი ნდობა, შინაგანი რწმენა იმისა, რომ პირობითობათა უმნიშვნელო გამოვლინებაც კი აუტანელია მისთვის — პოეტის ესთეტიკის თვალშისაცემ კონცეპტებს წარმოადგენენ...

ნიკო სამადაშვილის თემატური რეპერტუარი არ არის განსაკუთრებული მრავალფეროვნებით „განებიერებული“... იქნებ ამიტომაცაა სუბსტანციური და გულუბრყვილობამდე თვითკმარი...

ის, რაც მისი სულის წიაღიდან იბადება, არასოდესაა უფერული და მკვდრადშობილი...

გულისყურით გაასრულებ რა ნიკო სამადაშვილის სულიერ თავგადასავალთა ფანტასმაგორიულ ქრონიკებს, ერთი რამ არ უნდა დაივიწყო — საბოლოო მსჯავრის გამოსატანად პოეტის ტანჯვის გაზიარების ამაღლებული გრძნობა გამოიფხიზლო, ირგვლივ მომრავლებულ „მხატვრულ“ უსახურობათა „მტვერი ჩამოიფერთხო“ და მხოლოდ ამგვარად განჭვრიტო და შეაფასო მისი ლირსებანი...

იგი არ საჭიროებს არც მოჭარბებული გუნდრუკის კმევას და არც კვაზიპოპულარიზაციას, რადგან მისი ქრისტიანული ალეგორიებით აღბეჭდილი კამერული მედიტაციები, ისევე როგორც მრავალი ლირებული რამ ამქვეყნად, საყოველთაო აღტაცებისთვის არ არის მოწოდებული...

მისი მითოპოეტური მსოფლმხედვა და სრულიად უნიკალური, არაკონვენციური ცნობიერებაა ამგვარი პროგნოზირების საფუძველი... მედიტაციური ლირიკა, დარწმუნებული ვარ, მასის მხოლოდ ზედაპირული აღფრთოვანების საგანი იყო ყოველთვის...

არც ჩემი ეს ესსეა პოეტის აპოლოგია...

ის უფრო სტიქიური, ჭეშმარიტად ქართული ირაციონალური წიაღიდან ამოტყორცნილი ტალანტია, თავდავიწყებული მეოცნება, წარმართულ თუ ქრისტიანულ წარმოდგენათა თავისებური სიმბიოზია და სოფლის სამღურავით გულდამძიმებული რიტორია, რომელსაც ღრმად სწამდა წარსულის გადავინწყების ფატალური შეუძლებლობა...

მისი ლირიკული ტექსტები „საჭიროდ მიიჩნევენ“ ყოფიერების იმ პირობითობების, კოდებისა და აზროვნების კონცეპტუალიზაციას, რომელიც ეროვნული იდენტობით გამოირჩევიან და ამძაფრებენ წარსულის იდეალიზაციას...

ბუნებას შეხიზნული, უძველესი ქართული ქრისტიანული საყდრის პირველყოფილი უმანკოებითაა აღბეჭდილი ჩემთვის ნიკო სამადაშვილის პოეტური სამყარო, ანუ ის ემოციური აურა, რომელსაც იგი ამკვიდრებს...

მის დაბინდულ წიაღში შესულთ, პოეზიით „განანამების“ წრფელი მონოლოგები მოუთხოვრებენ კიდევ ერთი ტანჯული სულის ცხოვრების იგავს... თუ როგორ ბავშვურად სჯეროდა იმისა, რაც განიცადა... რაც თითქოს იყო და არასოდეს განმეორდება...

მისთვის ამოუცნობი და გაუცხოებული ყოფიერებისაგან შეძრწუნებულის ხილვებმა შეიპყრეს იგი და უმწეო მსხვერპლივით სტანჯეს და ანამეს...

ფლობერის ერთი ელევანტური ვიზიონის პროტაგონისტივით, მე მას დრო-ჟამის ვრცლად გადაშლილი ოკეანის პირას „ვხედავ“, ჯიუტი ვნებიანობით რომ ითვისებს მუჭში მომწყვდეული სილის მარცვლებს და ეცლება რა იგი ხელიდან, წუხს და ვალალებს...

ასეთი ყოფილა არაერთი ხელოვანის, უფრო კი პოეტის ბედისწერა და არავინ იცის, ამ რომანტიკულ ილუზიაში რაოდენი სიბრძნე და სულიერი თრთოლვის შესაძლებლობებია დაფარული...

საზოგადოებისათვის ახლად აღმოჩენილი ამგვარი „მარგინალები“ სრულიად ბუნებრივად გადაადგილდებიან ხოლმე ერის შიდაკულტურულ სივრცეში... პერმანენტულად „განახლებულნი“, ისინი წიაღად ცოცხალ ფიქრთა მრავალფეროვანი სემანტიკით იმოსებიან და თავის კანონიერ ადგილს იმკვიდრებენ ერის კულტურულ სივრცეში...

\* დასასრული, დასაწყისი იხ. „ჩვენი მწერლობა“ №1

შოთა ჩანტლაძე

ცხოვრების ბოჰემური სტილი ოდენ პიკანტური ხიბლისა და შთამბეჭდავი ილუზიების ბრწყინვალე ვიზუალია... არაერთი შემოქმედი თუ ინტელექტუალი ყოფილა „მოსილი“ ამ გალანტური შარმით... თუმც საეჭვოა იგი ისეთი ბუნებრივი გამოვლინებით და დოზით განსახიერებულყო, როგორც ეს შოთა ჩანტლაძემ „შეძლო“...



თითქოს ბედთან შერიგებული, ამაყიცა და ქედდადრეკილიც, პროზაული ყოფიერებით დათრგუნული მარტოხელა, რაღაც არსებითსა და მნიშვნელოვანში ღრმად დარწმუნებული, გასარიყად განწირული ნაფოტივით უმწეოდ მოფარფატე — ასეთი იყო იგი...

გავიდა დრო და მისი პოეზიის თვალსაწიერიდან, სულ სხვა მნიშვნელობას და აზრს იძენს ყოველივე ის, რაც მასთანაა დაკავშირებული... რაოდენ დამაფიქრებელი ჩანს გაუმხელელი ტყვილებით გატანჯული პოეტის ქალაქის ქუჩებში ხეტიალიცა და მისი მონოლოგებიც, ადამიანებთან ურთიერთობაცა და განუწყვეტელ „ტრაპეზთა“ რომანტიკაც...

შოთა ჩანტლაძეს, მისი თაობის რამოდენიმე შემოქმედთან ერთად, ბედმა არგუნა ყოფილიყო პოეზიაში ახალი ესთეტიკის მაძიებელიცა და აღმომჩენიც...

ეს არ იყო ადვილი, თუ გავითვალისწინებთ დრო-ჟამის სასტიკ რეგლამენტაციებსა და საყოველთაოდ აღიარებულ ავტორიტეტთა მიერ „დაკანონებულ“ გემოვნებას.

ავად თუ კარგად, ამ თაობამ შეძლო პოეზიის ურთულეს „უღელტეხილებთან“ შეჭიდება... რამოდენიმე მათგანმა მოახერხა შერწყმობა და ჩართულიყო წარმატებულთა იმ საერთო ნაკადში, რომელიც თავისი რესპექტაბელური ცხოვრებითაც „ინონებდა“ თავს...

„სამწუხაროდ“, შოთა ჩანტლაძეს არ აღმოაჩნდა დროებასთან ადაპტაციის უნარი... ცხოვრების ციკაბო ქარაფებსა თუ ფრიალო კლდეებზე „ბობლივით“ დაღლილსა და განანამებს შემოაღამდა და თვალწინ ჩაუქრა მაცდურ „სიმაღლეთა“ დაძლევის ჟინი...

მედიტაციურია მისი ლირიკა... საკუთარი სულის ხეულებში „მოხეტიალე“, ყოველთვის რაღაც ახალს აღმოაჩენდა იქ, სადაც თითქოს ყველაფერი ძველი და მოსაწყენი იყო...

დიდი გულისყურითა და დაკვირვებით „სწავლობდა“ საკუთარ შეგრძნებათა სიღრმესა და მის ნამდვილობას, რადგან ყველაზე სანდო და შეუმღვრეველი მეგობარი მისთვის საკუთარი სული და მისგან დაპარული იმპულსები იყო. თვითკრიტიკული, ირონიული ღიმილით ჩხრეკდა საკუთარსავე მენტალობას და რაღაც სატანური შეუბრალებლობით გამოკეტავდა ხოლმე ლექსებში სანამებლად... „მე მხოლოდ ჩემზე, მხოლოდ ჩემზე გამცინებია“-ო — გულწრფელად აღიარებდა იგი... ფლობერისეული თვითანალიზის დისკურსი პრევალირებს თითქოს მოტივაციათა სხვა გამოვლინებებზე და არსებითად მეგათემად მკვიდრდება მის პოეზიაში...

ყოფიერების ვიწრო ინტერიერი ლირიკული გმირის განწყობილებებს განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებს... სხვა ღირსებებთან ერთად ამ ტიპის მედიტაციებს გრძნობათა სინრფელე გამოარჩევს... არაფერია მისთვის თვით მხატვრული „სამკაულების“ სიღარიბეც კი, თუ განცდა სადა, მაგრამ ამაყი სიმართლის სამოსელით ითხოვს ავანსცენაზე „გასვლას“...

საგულისხმოა, რომ შოთა ჩანტლაძე „მელანქოლიური მხიარულების“ — ამ აშკარა ანტინომიის ჭეშმარიტი ხელოვანია. მისი პირადი ცხოვრება იყო ამ მოთხოვნილებათა მაპროვოცირებელი...

არა აბსტრაქცია და ხელოვნური წარმოსახვებით აღბეჭდილი ვიზიონები, არამედ ყოფიერების უსახურ სივრცეებში მოხეტიალე სულის დღიურებია მისი პოეზიის ტექსტი... დამწუხრებული სიმართლე აქ წინ აღუდგა „ამაღლებული“ გმირის ნიღაბს... იგი უკვე თითქოს გულმოდგინედ იცავს და უფრთხილდება საკუთარ განდევნობას, რათა ნებაყოფლობით იქცეს ამაო ყოფიერების ცოცხალ ილუსტრაციად...

მისი პოეზია ნაკლებად სწვდება კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს, მოვლენებსა და სახელებს — არ არის მისი პოეტური დიაბაზონი დიდი სივრცეებით გამორჩეული, რადგან იგი სენსუალისტური მსოფლშეგრძნების შემოქმედი უფროა, ვიდრე ტრანსცენდენტით გატაცებული ვიზიონერი...

ლექსების ღრმა ანალიტიზმი და სინამდვილის ანატომიური აღქმის პათოსი, მისი თავისუფალი პოეტური აზროვნების ლოგიკური შედეგია. ეს არ არის მისი თაობის შემოქმედთა საერთო ნიშანი, მათი ესთეტიკური კოდი... პროზაული ინსტინქტებით მოდელირებული მედიტაციები ძნელია აღმოაჩინო სხვათა შემოქმედებაში.

შოთა ჩანტლაძის ლირიკულ მონოლოგებში ჩვეულებრივი ყოფითი ემოციებიც კი ხაზგასმით „დამინებულია“, არაესთეტიზებულია და ეს თითქოს იმიტომ, რომ პოეტურ გულისთქმას არ მიეცეს ყალბი ფერადოვნების სახე და ხასიათი... მათში უსაგნო მეოცნებობა გზას უთმობს ერთი ჩვეულებრივი დღის ბანალობას... ლირიკული გმირის ინდიფერენტობიში მაუწყებელია იმ ჭეშმარიტებისა, რომ გულუბრყვილობა ჩივილი ყოველივე იმაზე, რაც გვანუხებს და გვაღიზიანებს, რადგან ეს ნიშნავს ინუწუნო არსებობის თვით არსზე, ანუ იმაზე, რასაც ველარაფერი შეცვლის... როცა იმსხვერვა ბავშვობიდან შეთვისებული კულტურული მითოლოგია, რეალობა ოდენ მეუხეხელთებელ აბსტრაქციასლა წარმოადგენს... აქედან, ტრაგედიისა და ფარსის აღრევიდან იშვება პოეტის მწარე ირონიაც...

აღქმა და წარმოჩენა გამოაგნებელი ჩვეულებრივობისა — ესაც პოეტის ვალი და მოწოდებაა.

მას, საკუთარი სულისა და ქალაქის „პეიზაჟების“ ხატვით დაღლილს, ბედისწერისადმი საყვედური მიაცილებდა ღამეული სიზმრებისაკენ: „დავეხეტები უგზო-უკვალოდ, გზა ყველგან არის, სავალი არ ჩანს, შენ გვედრები უფალთ-უფალო, მომეც წყალობა თუკი რამ დაგჩნა, თორემ მტანჯავენ სულით და ხორცით, ბოლოს გოლგოთის სიცხეც ვიგემე, ჩემებრ ტანჯულო, შენ გვედრებ ლოცვით, თორემ მოკვდავნი რას გამიგებენ, ო, შენი სული ჩამიდგი წამით, იქნებ გადვურჩე სატანჯველს ამით“.

ეს იყო უკიდურესი სასოწარკვეთის ნუთები... ნუთები ქრისტიანული სიმბოლოებით „გატაცებისა“ და მხატვრული დროის სემანტიკის საკრალიზაციისა...

მერე კვლავ თენდებოდა თბილისის დილა, ჩვეული სიხალისით რომ აიკრეფდა ბინდს და აცხოველებდა სიამოვნებათა მოლოდინის ტკბილ ილუზიას... ნაცნობ სახეთა წრეში თრობას, ქუჩებში მარტოდ ხეტიალი მოსდევდა... ვითარცა გუშინ და ვითარცა ყოველთვის... ღვინითა და აურზაურით მოქანცული სხეული კვლავ საწერ მაგიდასთან ჰპოვებდა „განსასვენებელს“. ქალაქური რომანტიკის მოტრფიალე, თუმც ან მისი პაროდირებული ინერციის მსხვერპლი, ირონიის შხამით იგრილებდა ნაღვინეზე წამოშლილ ამბიციათა სიმხურვალეს... და მაშინ, ყოფიერება მისთვის თითქოს წარმოადგენდა არა შეურიგებელი კონტრასტების სივრცეს, არამედ რეალობის ერთადერთ ფატალურ ჰარმონიას...

თვითირონიას ენაცვლებოდა გულწრფელი კაეშანი. წუხდა უსახელოდ ჩავლილი, კამერული სიცოცხლის გამო, „ჩუმი ნაღველით“ გამოხატავდა გულგრილობის სუსხით მიყენებულ წყენას: „რადგან ეს სული, ასე ობოლი არ იყო მათი სულების მსგავსი... არსად ძმობილი, არსად დობილი, მე მარტოსული ვიყავი კაცი“...

ნუ გაგვაოცებს მისი ზოგჯერ მოძალებული განდიდებისა და საკუთარი თავის მესიად გამოცხადების სურვილი. ეს ყოველივე სვეგამწარებელი ადამიანის აზარტული პოლემიკაა დროსა და ადამიანებთან... იგი საკუთარი სულიერი რეაბილიტაციის ჯიუტი ცდაცაა ალბათ...

და ბოლოს, მასაც ხომ ჰქონდა უფლება, საკუთარ თავთან განმარტობულს, თუნდ ერთი წამით, ტკბილ ილუზიებში შეცურებისა და სხვათაგან შეუცნობელი გენიალური პოეტის როლით ნეტარებისა...

საკუთარი თავის ბატონ-პატრონად ყოფნა ამ კატეგორიის შემოქმედთა ყველაზე დიდი ბედნიერება...

მთავრდებოდა შემოდგომის მელანქოლიის ჟრუანტელი და სადღაც, სულ ახლოს, ზამთრის სიცივე ეფინებოდა მოწყენილ თვალსანიერს... მხოლოდ პირქუში ვიზიონებითა და ინფერნალური ხილვებით აღბეჭდილი ტრაგიკული თვითცნობიერება-და იყო მისი პოეტური მედიტაციების არსებითი იმპულსი...

უკვე სრულიად უაზრო იყო სინანულისა და გლოვის მელოდიებით თავის მოტყუება: „არ გასურდა სიცოცხლე და მაინც იცოცხლე, არ გასურდა სიკვდილი და მოკვდი მაინც, და შენ აღარ გაქვს ეხლა სურვილები“...

უკან დარჩენილი წარსული ნისლში განქარდა... ახლის, რაღაც განსაკუთრებულისა და ამალეღვებლის მოსვლამ კი საოცრად დაიგვიანა...

იმედგადაწურული, თითქოს მიხვდა, ფუჭი მოლოდინიდან ერთადერთი ღირსეული გამოსავალი რომ არსებობდა: „მე მინდა სიცოცხლე შენი, შენ გინდა სიკვდილი ჩემი, რადგან შენ სიცოცხლე გშენის, რადგან მე სიკვდილი მშენის“...

მჯერა მისი ტრაგიკული ინტუიციისა, რომელმაც წინასწარმეტყველის ნათელხილვით „გაიცოცხლა“ საკუთარი სიკვდილიცა და დასაფლავების მწუხარე რიტუალიც...

მხოლოდ ბუტაფორიულ დრამატიზმს განრიდებულ ლირიკას შეეძლო თუნდაც ისეთი სიურრეალისტური შედეგის „წარმოდგენა“, როგორცაა მისი — „წავიდა თოვლი, მოვიდა მინა“...

„სამყაროს იმპროვიზაციებს ერთი გამართლება მაინც აქვს, ის იმიტომ, რომ პოეტმა მის წინააღმდეგ გაითამაშოს გალანტური პარტია... წინასწარ წაგებულებაცა და გამოტყობულებიც“... პოლ ვალერის ეს ანალიტიკური ტექსტი, როგორც ალუზია, საოცრად ორგანიულია შოთა ჩანტლადის პერსონის მიმართ...

გურამ რჩეულიშვილი

უნიკალურია გურამ რჩეულიშვილის ფენომენი. თანამედროვეთა საკმაოდ მძლავრ და აშკარად გამოკვეთილ მრავალხმიანობაში უჩვეულოდ „ეგზალტირებულმა“, მან ახალი სადინარი მისცა ადამიანურ განცდებსა და რეფლექსიებს, არსებითისაკენ მიმართა იდეოლოგიური ბანგით გაბრუნებულთა გული და გონება... წართმეული რეალობისაკენ დასაბრუნებელი გზა „ასწავლა“ მათ...



თაობის საერთო ფონიდან, მას პირველ რიგში ადამიანის კონცეფციის, მისი ონტოლოგიური არსის ანალიტიკური წვდომის პათოსი გამოარჩევს...

მრავალგანზომილებიანია მისთვის ადამიანის ფილოსოფიური ცნება, მისი ეგზისტენცია და მენტალობა. ამიტომაც, ყოველი მისი მხატვრული ოპუსი პიროვნების იმგვარ წახანაგებს ავლენს, რომელთა განვრცობა და განვითარება მხოლოდ აქტიური აღქმის პროვოცირებითაა შესაძლებელი...

მან ღრმა და მძაფრი ობერტონებით წარმოსახა დროის მორალური და იდეოლოგიური პროსტრაციის უმძიმესი პროცესები და მისი დამანგრეველი შედეგები, რომელსაც, როგორც აუცილებლობა, უნდა მოყოლოდა ეროვნულის კოლაფსი და ყოფიერების — წარსულიდან სრული იზოლაცია.

და მაინც, საიდან მოდის გურამ რჩეულიშვილის კვაზირეალობასთან მოპაექრე სულისკვეთება, მისი ფსიქოანალიტიკური ნათელხილვანი, სტოიციზმთან წილნაყარი სიცოცხლის ფილოსოფია... რამდენად ცნობიერია მასში ტრადიციის ძალისხმევა, ან რამდენადაა იგი სპონტანური და ახალი ტრადიციის სათავე.

ამ არცთუ რიტორიკულ კითხვებს ძნელია ერთმნიშვნელოვანი პასუხი ვასცე და მაინც არსებითია ამ ტიპის რეფლექსიათა აქტუალობა... გურამ რჩეულიშვილის ყოველი მხატვრული ტექსტი ვნებამოძალებული განცდის რეალიზაციაა, საბურველსა და ნიღაბს განრიდებულ გრძნობათა დულიცია...

განუმეორებელი ხიბლი სწორედ იმაშია, რომ სევდისა თუ სიხარულის მოტივაციები ავტორის შინაგანი რწმენის რეალიზაციას წარმოადგენენ... პრაგმატულის რომანტიკული ექსპრესიით ჩანაცვლების ხელოვნებას მასში არაფერი აქვს საერთო სენტიმენტებთან თუ პოზიორობასთან.

დროდადრო, იგი თითქოს „გულუბრყვილოდაა“ შეძრული მის მიერვე წარმოსახული მორალური სიტუაციებით, თუმც, როგორც ბრწყინვალე ფსიქოლოგმა, მშვენივრად იცის პერსონაჟთა სულიერი პოტენციის საზღვრები, მათი ცხოვრების სევდიანი ფინალის პროზაცა და რომანტიკაც... ცხადი და გამჭვირვალეა მწერლის ფილოსოფიურ პარადიგმათა ვრცელი ვაშა...

არსებითი და საგულისხმოა ის, რომ პერსონაჟთა ინდივიდუალური სტრუქტურის განმსაზღვრელი მოდუსი განრიდებულია ეგზისტენციური შიშით გამოწვეულ ტანჯვას... ძლიერი და მყარი ადამიანური ინსტინქტები და თავისუფალი ნების

დინამიკაა მათი ყოფითი სიმპტომების სათავე, საზოგადოებრივ ნორმებთან დამოკიდებულების პარამეტრები. ადამიანის ბუნებრივ სანყისთა უშუალო და ძლევამოსილი ლტოლვა თავისუფლებისაკენ, მისი ეგზისტენციური ვექტორია...

გადამდებია მათი ამალგებული უბრალოება და კეთილშობილება, ანუ ის შინაგანი ჰარმონია, რითაც საზრდოობს მათი მორალური და ინტელექტუალური ცნობიერება.

გურამ რჩეულიშვილის მხატვრული სამყარო მისივე უნიკალურ შემეცნებათა სივრცითაა „შემოსაზღვრული“. საგულისხმოა, რომ იგი მისი ავტორის სრულიად გამორჩეულ მენტალურ და ემოციურ ნიშანთვისებებს უკავშირდება...

ამიტომაცაა საჭირო მხატვრულ ქმნილებათა ინტერპრეტირებისათვის, მის პიროვნულ თავისებურებათა მოშველიება და მათი ისეთი ნაკითხვა, რომელიც ავტორის განსხვავებული სუბიექტურობისა თუ ცნობიერების წვდომას უწყობს ხელს.

მან, როგორც მწერალმა, საკუთარ თავს უმაღლეს ამოცანად დაუსახა — უფრო ეკარნახა და შთაეგონებინა მკითხველი, ვიდრე აღწერა და ეჩვენებინა სამყაროს გონებაჭვრეტითი ალქმის შედეგები...

იშვიათია მისი საუკუნის ქართველი მწერალი, რომელიც მხატვრულ აქსესუართა ამგვარი ეკონომიით, ასეთ შთამბეჭდავ, რაღაც მაგიურ ზემოქმედებას ახდენდეს მკითხველზე...

ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს პროზის ესთეტიკასა და პოეტიკას, შეუძლებელია არ განაცვიფროს გურამ რჩეულიშვილის, როგორც პროზის უნიკალური ხელოვანის ტალანტმა. მხატვრული ტექნიკის თვალსაჩინო ევოლუცია მის სახელთანაც არის ასოცირებული...

მისი ქმნილებათა ანალიტიკური ალქმა იმასაც დაგვანახებდა, თუ რა დიდია მწერლის დაუოკებელი სურვილი ბუნებასთან შერწყმა-შეერთებისა... როგორ ისწრაფვის იგი პიროვნებათა ინდივიდუალური ყოფიერების ჩართვას ბუნების რომანტიკული განცდის მაგიურ ციკლში — მზის, გაზაფხულისა თუ ზამთრის, ანუ სიჭაბუკისა და სიბერის სიმბოლიურსა და უნივერსალურ რიტმებში.

არსებითად მორალი, რომელიც მან მხატვრულ პერსონაჟებსა და მათთან იდენტიფიცირებულ საკუთარ თავს განუსაზღვრა, სტოიციზმი იყო.

ყოფიერების ტრივიალური რიტმიდან ამოვარდნილი, ისინი თავისუფალი ადამიანის სულის „თავშეუკავებელ“ იმპულსებს უკმევდნენ გუნდრუსს.

დეტერმინირებული ადამიანური როლის განვრცობა, გაცვეთილ უფლებათა ნაჭუჭიდან გამოღწევა და ახალი თავისუფლებით „ტანჯვა-ნეტარება“ ინატრა „ალავერდობის“, „მუნჯი ახმედისა“ და „ბათარეკა ჭინჭარაულის“ შემოქმედმა სულმა...

ამიტომაც იყო იგი თანამედროვეთათვის რაღაც ფეერიული ლეგენდიდან ამოტყორცნილისა და კვლავ მასში ჩაბრუნებულის განსახიერება.

მისი სიცოცხლის აზრი (ისევე როგორც არაერთი მისი წინამორბედისა) ჰეროიული სინამდვილის ძიების „მარგინალური“ იმპულსებით იყო გათანგული... კვაზირეალობის უტრირებული დისკურსი აუტანლობის განცდას ამძაფრებდა და სიურრეალისტურ შეგონებებს აძლევდა დასაბამს.

მის პროზაულ ტექსტებში მოძალებული ნერვიული თრთოლვა იმ სტერეოტიპული აზროვნების ტრექტორიიდან ლამობდა გასვლას, რომელსაც მეტნაკლები ერთგულებითა და მოთმინებით მიჰყვებოდა ქართული მხატვრუ-

ლი აზროვნება. კულტურული რეპრეზენტაციების ახალი ტალღის მაცნე, იგი ნეგატიური კონოტაციებით აღბეჭდილ სოციალურ პრაქტიკას უპირისპირდებოდა...

იყო მის რომანტიკულ მედიტაციებში რაღაც სტიქიური გაბრძოლება თავანწყვტილი პროტესტანტისა, რეალობის მაცდუნებელი „რიტუალებით“ თავგაბერებული ცნობიერებისა.

არავინ იცის, რაოდენ საკრალური წარმოსახვებით იყო აღბეჭდილი მისი უკანასკნელი დღე... უჩვეულოდ გამძაფრებული განცდებისათვის ზღვის აბობოქრებული ტალღების სახით, სრულიად ახალ, არამინიერ შეგონებათა „დაგემოვნების“ ცდუნება აღიმართა და ისიც, საკუთარ არსებაში გამძლავრებული ბედისწერის ძახილითა და რაღაც დიონისური ექსტაზით ატანილი, მიენდო და გაჰყვა სხვადაყოფნის ინფერნალურ ბილიკებს...

ასეთი იყო მისივე ნებით მოხატული და წერტილდასმული სიცოცხლის „ტრაექტორია“...

გურამ რჩეულიშვილის ადამიანური თუ შემოქმედებითი ხატი — რომანტიკული მონოლოგია ჭაბუკისა, რომელმაც სულის თვითაღზრდითა და წერტნით შეძლო თავისში დაეკრისტალუბინა ღირებულებათა იერარქია, დრო-ჟამისათვის ორგანიული ცრუფერადოვანი „სამოსელისაგან“ გაეშიშვლებინა საკუთარი თავი და მთელი სისასვით გაეშინაგნებინა უძველესი იმპერატიული სენტენციის სუსხიანი სიბრძნე და აქტუალობა — „შენ თავს ისე უყურე, როგორც მომაკვდავს... თვალის დახამხამების უმალ, იქნები ერთი პეშვი ფერფლი, ჩონჩხი, სახელი... თვით სახელიც გაქრება შენი... სახელი, ოდენ მტვერი და არარაობა“... (მარკუს ავრელიუსი).

თავისთავისადმი ამგვარი ექსტრავაგანტური „ულტიმატუმით“ გულანთებულმა, კარგად იცოდა ტანჯვაგამოვლილთა ფილოსოფიის სიბრძნისა და შემეცნების ფასი.

ჩემთვის გურამ რჩეულიშვილი XX საუკუნის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის ლიტერატურული მოვლენაა, უნიკალური არქიტექტურული სიმეტრიითა და რიტმით აღბეჭდილი „ტაძარი“, თავისი პილიასტრებითა და თაღებით, „ტიპიკონით“ და წმინდანთა იერარქიით, ასკეზითა და დუმლით, ინიციაციითა და მარადიულობის ჭვრეტით, ანუ დრო-ჟამის იმ სისტემური პანორამით, რომლის ალქმა-წარმოსახვა კოლოსალურ სულიერ გამოცდილებას ითხოვდა...

ეაზროვნა სუბსტანციური განზომილებებით — ნიშნოვდა ეცხოვრა ეგზისტენციური გამოწვევებით და არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ყოფიერების „ტექსტითაც“ ცნობიერი გაეხადა საზოგადოებისათვის თავისუფალი შემოქმედის საკრალური მნიშვნელობა... სულიერი აღორძინების ამ ფაზამ მხატვრული დეკლარირება „ალავერდობაში“ ჰპოვა... უნივერსალური მნიშვნელობის ეს მისტერია რეპრეზენტაციაა ონტოლოგიურად არტიკულირებული მორალური თუ იდეოლოგიური სტრატეგიისა, ცხოვრების ფილოსოფიის სემანტიკური ფუნდამენტის ანალიტიკური დისკურსისა...

ახალი რწმენით უჩვეულოდ გაზრდილი და თავისუფალი შემოქმედის სიბრძნით ნეტარი, ოცდაშვიდი წლის გურამ რჩეულიშვილი, სტოვეებს მისთვის განკუთვნილ ნუთისოფელს...

მანკიერთა თუ სათნოთა, ცოდვილთა თუ წმინდანთა სილუეტებით აღბეჭდილმა XX საუკუნემ გურამ რჩეულიშვილის სულიერი კონფიგურაციებითაც გაამყვანა თავი და იგი იმ რანგის შემოქმედად წარუდგინა მომავალს, არასოდეს რომ არ ივიწყებენ და დროთა განმავლობაში კლავ-



სიკოსის შარავანდედით იმოსებიან...

**რეზო ამაშუკელი**

ქართველს თავდავინყე-ბამდე უყვარს და ეთავყანება ამაყსა და კეთილშობილ პო-ზას... თუმც, სიამაყის ღირსე-ული ტარება ყოველთვის სა-ტანჯველიც იყო... მით უმე-ტეს დღეს, როცა ამაყი კაცის ქედის დადრეკას ასე ცდილ-ლობს და ახერხებს კიდევც თანამედროვე ცხოვრება.



სამწუხაროა, რომ ახალ, რალაც უცხოდ მონაბერ სიოს ძველებური სურნელით აღ-ბეჭდილი ქროლვა დავინყე-ბია, ჩამქრალ-ჩანავლებულა და მომავლის ქარად ვერა და ვერ ქცეულა. ლიტერატურით გაჯერებული ყოფიერების ნეტარ ჟამს ჩაუვლია და რალაც გაურკვეველი და სრულიად უსახური რეალობის აუტანელ ნისლოვანებას შერწყმია... სიკეთესა და სათნოებას მივტი-რით და თითქოს სულ ამაოდ ვცდილობთ მის მოხელთე-ბას...

ამ ფსევდოვითარებაში, როგორც დიდი ეკზიუპერი იტყოდა — ჩვენ, მამაკაცები, ძალიან ხშირად ვიკეთებთ ხოლმე საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანის ნი-ლაბს... თუმც, სულის ჯერ კიდევ შერჩენილ სიღრმეში ფეთქავს და მორცხვად იმშენება ჩვენივე ეჭვი, მერყეობა და სისუსტის სევდა...

ქართველს საოცრად უყვარს ამაყი პოზა!

ქართველ პოეტს — მით უფრო!

რეზო ამაშუკელი თხემით ტერფამდე ქართველი პოე-ტია!.. ორჯერ პოეტიც ალბათ... ოდესღაც ოვანეს თუმანი-ანის ამ მშვენიერი ნათქვამისა მინდა დავიჯერო და აღმა-ტებულ ხარისხში წარმოვიდგინო ყოველივე ის, რასაც ქარ-თული მიწისა და ზეცის სურნელი ახლავს...

თუმც ეს ყოველივე ალბათ, მაინც ლირიკაა...

რეზო ამაშუკელის პოეტური სამყაროს პროსოდიული დინამიკა, სოციალური სამეტიყველო პროცედურების კონ-ტექსტშია მოსააზრებელი...

პოეტის თვითკონცენტრაციის, ერთ დაჭიმულ „ზამბა-რად“ ქვევის ამგვარი შეგრძნება და მისი სოციოკულტუ-რულ სახედ გააზრება, შესაძლოა სულაც არ იყოს მხოლოდ ჩვენეული ინტერპრეტაცია. ეს ყოველივე უფრო პოეტის თვითიდეინტიფიკაციის დისკურსთან ასოცირდება, როდე-საც პოეტური დეკლამაციების მეშვეობით ხდება პიროვნე-ბის სრული გარდასახვა, როცა იგი მთელი თავისი სხეულებ-რივი ტემპორალობით ორგანულად ექსოვება პოეტური მე-დიტაციების სივრცეს და სრულიად ბუნებრივად იძენს რო-მანტიკული „კანონმდებლის“ იერსა და უფლებებს.

რეზო ამაშუკელისთვის შეიძლება გვენოვებინა „პოე-ტი-სიუზერენი“, და ვფიქრობ, ეს სულაც არ იქნებოდა ცდო-მილება, რადგან იგი, ჩემის მხრიდან რა პიკანტიურიც უნდა იყოს, ამ თავის უმინაგნეს თვისებას მშვენივრად ავლენს ქართულ რაგინდ მრავალგანზომილებიან ტრაპეზებზე.

რეზო ამაშუკელის გალანტურ პოეტურ ემოციას მე-

გობრული ნადიმ-მოლხენებიც ჰკვებავს და მერე... სიტყვის მაესტრო, ლექსის წარმტაც ყალიბში ასხამს ყველა ამ გან-ცდათა ტკბილ-მწარე „მასას“ და პოეზიის „ჟრუანტელად“ მიმართავს მკითხველისაკენ...

მას საოცრად უყვარს სიტყვა, სიტყვის ფარული არტის-ტიზმი, მისი ფერი და გემო და ვფიქრობ, ეს ყოველივე მხო-ლოდ იმიტომ კი არა, რომ იგი რალაც კონკრეტულის გამოხა-ტულებაა, არამედ უფრო იმიტომაც, რომ ის ტკივილებით გა-თანგული სულის ერთადერთი ჯადოსნური მალამოა, ღირსე-ული თავშესაფარია უკაცურობისა და უაზრობისაგან შენუ-ხებულისათვის, საკუთარივე „მშობლიური“ სივრცეებიდან „დევენილისათვის“... სწორედ ამიტომაც მისი ლექსი რალაც პროვიდენციული ტკივილებით აღბეჭდილი და რაც მთავა-რია, ტოტალურ ესთეტიკურ უსახურობებზე ამაღლებული...

ეს ადამიანური ჯავრი, ვფიქრობ, არასოდესაა შხამსა და ბოლბასთან წილნაყარი. იგი უფრო დამწუხრებული პო-ეტის „განრისხებაა“, რომელიც მის პოეზიაში ამაღლებული აფექტის მოტივაციად ყალიბდება...

აფექტის ამ უნიკალური სახეობის სინონიმია — მალა-ლი რომანტიკული განცვიფრება! რომელიც იმ რაინდული სიყვარულის მდგომარეობა და ენთუზიაზმია, ზნეობრივ იდეალებს რომ შეერთვის...

ამ ულტრამოთხონილებებით აღძრული ვნება და ალტყი-ნება მსჭვალავს რეზო ამაშუკელის პოეზიას და სულის ამ მოძ-რაობებს თავის ამკარად განსაზღვრულ ფუნქციას ანიჭებს... დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რეზო ამაშუკელთან დისკურსის დონეზე სწორედ ვნებას ენიჭება უმნიშვნელივანე-სი როლი — რომანტიკული პათოსის სტრატეგიის სახით. იგი მნიშვნელოვანია, როგორც სულის არსებითი მოტივაციაც, და რაც აგრეთვე არანაკლებ ყურადსაღებია, იგი (ვნება) პოე-ტური ტექსტის ცენტრში და სწორედ მას ეყრდნობა პოეტის მახინჯი უსასრულობის შეცვლისა თუ გარდაქმნის იმედი...

სწორედ ეს მავედრებელ-მბრძანებელი ვნება მრისხა-ნებს მის პოეზიაში და კლასიკური რიტორიკისეული დარწ-მუნების ორ საშუალებათაგან — აფექტური ემოციებით მანიპულირებას ანიჭებს უპირატესობას...

ბესარიონ ბელინსკის ხსენება და მით უფრო მისი და-მონებება, დღეს მოდაში აღარაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობ, რომ ეს ტიტანური ტემპერამენტის კრი-ტიკოსი ცამდე მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ პოეტური იდეა ეს არც სილოგიზმია, არც დოგმატი და არც წესი... რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ცოცხალი ვნება, პა-თოსი და „სულის აფეთქება“...

განვთავისუფლდები თეორიული რეფლექსიებისაგან და კიდევ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ შემოქმედის შინაგანი, უღრმესი რწმენის გარეშე საბრალო და სულაც ნონსენსია — პათოსი.

მშობლიური ქვეყნის ლანდშაფტი, წინაპართა თუ თანა-მედროვეთა სიყვარული — უკვე პათოსია... მაგრამ როცა მას რეზო ამაშუკელისდარი პოეტი ახმოვანებს, განცდის ტემპერატურა ისე მაღლა იწევს, რომ ყველა ნიშნულს სცდება და სრულიად შესაძლებელია — პოეტურმა მედი-ტაციამ საკუთარივე თავიც კი „ამოზუგოს“...

რეზო ამაშუკელის პოეზიაში ინფორმატიული გარემო უმაღლესი განცდით იმუხტება და მონუმენტურ მონოლი-თებად გარდაიქმნება.

ამ საოცრად „ექსტრემალურ“ პროცესებში შემთხვევითო-

ბა ნულის ტოლია... აქ „შემთხვევითი“ არასოდეს უერთდება „აუცილებელს“... აქ აუცილებელი — აუცილებელს ერწყმის და უეცარ, „ფეთქებადსაშიშ“ ვითარებასაც სწორედ ეს ქმნის.

აპრიორია, რომ პოეტი საკუთარი სულის პეიზაჟებს „ხატავს“ და ამით ცდილობს მისი ერთადერთი რეალური პორტრეტის მიგნებასა და წარმოსახვას... მისი პოეზიიდან სულ მუდამ მკაფიოდ მოსჩანს პიროვნება, მრისხანეცა და მოალერსეც, მჭმუნვარეცა და ღიმილიანიც... რომანტიკულად აღტყინებული და „ველად გაჭრილიც“ და მერე, უცაბედად, ლირიკას მინდობილი და მშვენიერების ფილოსოფიით დამცხრალ-დაფიქრებულიც... — „გადავიხსენი მთავარი ძარღვი და ეჭვებს სისხლი დადხანს ვანოვე და მაინც, როგორც ერთგული ძალღი უკან დავბრუნდი ვერ მივატოვე“...

ასეთი იყო იგი ყოველთვის... და მაინც, დამდგარა წელთა სიმრავლით გაჭაღარავებული დროება... ჟამი ასაკის მუხანათი ძალთახმევისა და სხეულზე გაბატონებისა... სევდიან ფიქრთა მოძალებისა და საკუთარ წარსულში ნეტარი პილიგრიობისა, სადაც ცოდვებიც ბევრი ყოფილა, მაგრამ ქრისტიანულ სათნოებათა „ყვავილოვნება“ არასოდეს შეწყვეტილა... — ვაი, რომ მწიფდა ნიადაგ ცოდვით დამტკბარი მტევანი! — ვაი, რომ დაგავიანდა გულმკერდზე მჯღილის რტყმევანი!... და კიდევ — „მე არაერთხელ გამივლია ამ ვინრო ქუჩით, ახლაც აქა ვარ და ჩემს თავს ვტირი“...

პოეტის ერთი წიგნის სათაურია „via dolorosa“. მისი შემოქმედების უმძაფრესი „ვენების გზა“, ბუნებრივია, ამ წიგნზეც გადის. მჯერა, საკუთარი ცხოვრება რომ გაემეორებინა, კვლავ იმავე ცოდვებით დაიძიმებდა სულს, რა თქმა უნდა თრთოლვითა და შინაგანი კმაყოფილებით... რადგან, ყველაზე უკეთ ნაღმა პოეტმა უწყის, რომ სიცოცხლე ამ ცოდვა-მადლიან დედამინაზე ამაოებასა და იდეალს შორის ინაკვეთება...

მან ისიც მშვენივრად იცის, რომ იდეალიზმი რომანტიკული განახლების მუდმივი წყაროა და თუკი ზოგჯერ ისე არ ხდება, როგორც პოეტს წარმოუდგენია — მრისხანებს და გულწრფელი ცრემლით აელვარებს დაბინდულ თვალთახედვას.

ერთადერთი, ალბათ მაინც სიძულვილია მისთვის სრულიად უცხო და არაორგანიული. ეს რომ არა, სრული ნონსენსი იქნებოდა მადლი ნათქვამისა... მკვდრადშობილი სიტყვა კი ვეღარაფრით გაიკვლევდა გზას მკითხველისაკენ...

პოეტის ჯიშს არ ძალუძს მტრობა, უფრო ზუსტად — „საიმედო მტრობა“ და თუ სწორად ვიხსენებ, რატომ არ მიიღეს და არ შეითვისეს პუშკინი დეკაბრისტებმა, — ერთი თითქოსდა „უმნიშვნელო“ მტრისისა გამო — „Ненадёжно-сть вражды“ (მტრობის არასაიმედოობა)...

ამიტომაც მიუტევებ პოეტს, თუკი რომელიმე თავის პუბლიცისტური სულისკვეთებით აღბეჭდილ ლექსს „მძიმე ლექსს“ დაარქმევს...

იგი ბოლომდე ვერ გიმტრობს, რადგან მოჭარბებული ინტუიციისა და უდახვეწილესი გრძნობების გამო, მომავლისა უფრო მეტი გაეგება, ვიდრე მისთვის ყოველთვის უცნობი, მიუღებელი და ბუნდოვანი აწმყოსი.

კვლავ მისი „via dolorosa“ მაგონდება...

მასში დაუნჯებული ლექსები ელეგანტურნი და მაჟორულნი — იმ ადამიანის ლირიკულ მონოლოგებს წარმოადგენენ, რომელმაც ვითარცა მრავალმა მისმა ლირსეულმა წინამორბედმა, კიდევ ერთხელ სცადა ადამიანური სიმართლის ჩირაღდნით გაენათებინა უნუგემოდ ჩამქრალ-ჩაბნელებული, ქარ-

თულ ორიენტაციას აცდენილი და რესპექტაბელური სილაჩრით მოცული რეალობა... სერიოზულ ინტელექტუალურ შინაარსსა და მორალურ იმპერატივებს განრიდებული დრო-ჟამი...

მხოლოდ ამგვარად ვხედავ ნიადაგ მღელვარე და დროსთან მოპაექრე პოეტისა და მოქალაქის სილუეტს და მის სულიერ გრადაციებს — ხილვათა უმანკოებას, ატეხილ სურვილთა ჟინს, სიყვარულით ნეტარებას, ფიქრებთან ხეტიანს, იმედთა ამოფრენებსა და ბოლოს, დრო-ჟამით გამოწვეულ მწუხარებათა საოცრად ორიგინალურ შუქ-ჩრდილებს — სულიერ გამოსხივებათა ამ აუცილებელ ინგრედიენტებს.

ანუ მე ვხედავ ნაღდ პოეტს, თავისი პიკანტური მარგინალიებითა და სიბრძნით, გალანტური არტისტიზმითა და „ანგელოსური“ ნების ეფემერებით, სულიერი არისტოკრატიზმითა და უფლისგან შთაგონებული პრივილეგიებით.

### ესმა ონიანი

„ნუ შეგაკრთობთო მარტოობა, თუ ის შემოქმედებითი მარტოობის თავისუფლებასთან არისო წილნაყარი“ — მიშელ ფუკოს ამ კონცეპტის განსახიერებად წარმომიდგენია ესმა ონიანის პოეზიით, ფერწერით და ესეისტური ფიქრებით რეალიზებული სულის პეიზაჟები...



მის შთამაგონებელ სივრცეებში „ხეტიალი“ გარწმუნებს, რომ იგი, როგორც ხელოვანი, მხოლოდ თავისი ნებით ზრდიდა და ამნიფებდა საკუთარ მხატვრულ ცნობიერებას, მსოფლხედვასა და მსოფლშეგრძნებას...

ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი დაჟინებით ქმნიდა თავისი ყოფიერების იდუმალ „საღვინებელს“, აღმოაცენებდა რა მას ემპირიული „არყოფნიდან“...

ასე და ამგვარად მასში იბადებოდა ხელოვანი... დამკვიდრებული მხატვრული გრძნობადობიდან და ესთეტიკური რეალობიდან განრიდებული შემოქმედი, სიტყვისა და ფერის ფარულ მშვენიერებასთან, მათ იდუმალ აკუსტიკურსა თუ ვიზუალურ ჰარმონიასთან განდობილი ესთეტიკი...

შემოქმედება, როგორც ინდივიდუალიზაციის პროცესის სიმბოლო, თვალნათლივ ცხადდება მისი მშვენიერი ალბომის ფურცლებიდან...

მიწიერსა თუ ზეციერ მწუხრსა და სიხარულზე პროეცირებული სულიერი სისასვესა აქ, ამ მალალ მხატვრულ ქმნილებებში არსებითი და აღმატებული...

სილამაზე და მშვენიერება ბუნებრივ ესთეტიკურ თანამგზავრად „ასდევნებია“ დროისგან გამოტანჯულ სულის თავისუფლებას...

ეს ის უნიკალური „მყოფობაა“ როცა კალამი თუ ფუნჯი იმპულსირდება თავისუფალი საკუთარი არსიდან, რომელიც სანყისია ყოველი ჭეშმარიტი ქმნილებისა...

აი ფიქრები, რომელიც ჩემში აღძრა ესმა ონიანის შემოქმედებითმა ხატმა, მისმა სამყაროსთან დამოკიდებულ-

ლების შთამბეჭდავმა მოდულაციებმა...

რა უნდა ვთქვა კიდევ ამ ან უკვე დაფერფლილი ქალბატონის წიგნში წარმოდგენილ „ყვავილოვნების“ ჟამზე, მასში სათუთად აღნაგ ვიზიონებზე, ელეგანტური კონფიგურაციების სილუეტებზე, სიურრეალისტური სიმშვიდის ესთეტიკაზე, რომანტიკული ხილვების გამჭვირვალეობასა და სინმიხედვით... აქ იგი პირთამდეა სავსე გამაოგნებელი ფე-

რადონებით, ჰყვავის უსათნოესი ქალური გრაციით, გარემოსილია სურნელოვანი პოეზიის უებრო სისპეტაკითა და ნეტარი სევდით...

უთუოდ მოვა, და კიდევ არაერთხელ, მისი ახლებური აღმოჩენისა და განცდის, რეფლექსირებისა და ტკობის ჟამი...

ჟამი „გამოტოვებულთა“ და „დავიწყებულთა“ წიაღიდან გამობრწყინებისა და ქართული პოეზიისა და ფერწე-

თქმა მართლისა

მანანა გაბაშვილი

ქართული მეცნიერების 20 წელი

წერილი პირველი

1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებიდან დღემდე განვლილი ოცწლიანი პერიოდი სხვადასხვა თვალსაზრისით საფუძვლიან კვლევასა და ანალიზს ითხოვს. პირველ რიგში იმ მიზეზთაა და შედეგთა გააზრებით, რაც ამ მოვლენებს უდევს საფუძვლად. კერძოდ, სისტემას, რომელიც საქართველოს 1992 წლიდან გარეშე ძალებმა შიდა ძალებზე დაყრდნობით მორაგეს და ქვეყანა უმძიმესი პრობლემების წინაშე დააყენეს (ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, მიზანმიმართულად გალატაკებული ხალხი, დევნილები, ემიგრანტები, უცხოეთში დამამცირებელი სამუშაოებისათვის განწირულები და სხვ.). საფრთხე შეექმნა ფუნდამენტურ ღირებულებებს, ქართულ სახელმწიფოებრიობასა და საზოგადოებას, რომელიც საქართველოსთვის მიუღებელსა და დამანგრეველ პრინციპზე ააწყვეს. ეს არის სოციალური სოლიდარობისაგან შორს მყოფი საზოგადოება, დამყარებული უზომოდ გამდიდრებულ მცირე ჯგუფებსა და გაღარიბებულ უმრავლესობაზე.

ეს არის ის, რაც ხელს უშლის ერის თვითრეალიზაციასა და ნიჭიერების გამოვლინებას, ერის განათლებისაკენ სწრაფვას, მატერიალურად ყველასთვის მისი ხელმიუწვდომლობის გამოც. ამდენად სახელმწიფო გადატრიალებამ, მანკიერმა სისტემამ, ქვეყანასა და ყველა სფეროს რომ მორაგეს, დალი განათლებასა და მეცნიერებასაც დაასვა, დასწია მისი დონე.

1992 წლის შემდეგ სამშობლო არაერთმა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტმაც დატოვა, რაც მთავარია ახალგაზრდობამ, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს აღმშენებლობას უნდა გამოდგომოდა. ბევრს იმ ცოდნით, საქართველოში რომ მიიღო (რომლის დისკრედიტაციაც ასევე შეგნებულად მოხდა) დღეს ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წამყვანი პოზიციები უკავია, ქართველ ფიზიკოსთა ჯგუფი შვეიცარიაში (ცერნის კოლაიდერი) მსოფლიოსათვის უმნიშვნელოვანეს ექსპერიმენტში მონაწილეობს და სხვ.

ათეული წლების მანძილზე საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური კაპიტალი, რაც ქვეყნის წარმატებისა და პროგრესის მთავარი სანინდარია, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამას ფუნდამენტურ მეცნიერებაზე უარის თქმამ, ქართული სამეცნიერო სკოლების ნგრევამ შეუწყო ხელი, რასაც საერთაშორისო სახელისა და რეზონანსის მქონე ქართული სამეცნიერო სკოლებიც ვერ გადაურჩნენ.



გაქრა — ანდა გაქრობის პირასაა — ცალკეული სპეციალობები. ამის გადასაფარად და ნგრევის გასამართლებლად დაიწყო ქართული მეცნიერებისა და განათლების ხელალებით კრიტიკა, რომელიც უფრო მის დისკრედიტირებას ისახავდა მიზნად და საქართველოსათვის განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას. ამას საქართველოსათვის შესაბამისი პროგრამების მისადაგებაც მოჰყვა. არაერთი საეჭვო განათლებისა და კვალიფიკაციის, საკუთარ ქვეყანაში ხელმოცარული უცხოელის შემოსვლა, რომელთა გაფეტიშებაც ადგილობრივი კადრების დაკნინების ხარჯზე მიზანმიმართულად დაიწყეს. ამ უცხოელმა „განმანათლებლებმა“ საქართველოში პარტნიორები, უფრო ზუსტად, თანამზრახველები მოძებნეს (თავიანთ მატერიალურ ინტერესთა რეალიზაციისათვის) იმ ქართველებს შორის, ვინც 1992 წლის მოვლენებმა ასპარეზზე გამოიყვანა და ვის ამ „წარმატებასაც“ ხელისუფლებამ შეუწყო ხელი. შედეგად ნახალისა ზერელობა, ზედაპირულობა, არაკომპეტენტურობა, უზნეობა და სიცრუე. დაიწყო მცდელობა ღირებულებათა გადაფასების, საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ტრადიციების ხელყოფის, ძველი და დრომოჭმული ველური სავაჭრო კაპიტალიზმის პროგრესულ მოვლენად გამოცხადების, ოლი, არაკეთილსინდისიერი გამდიდრების გზების ძიების, ფულსა და ფულის გაფეტიშებაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნის პროპაგანდა, რომლისთვისაც უცხოა სულიერი და მარადიული ღირებულებანი, სოციალური სოლიდარობა, რაზეც ტრადიციულად ქართული საზოგადოება იდგა და საქართველო დღემდე მოიყვანა.

ფული და არა პროფესიონალიზმი გახდა ყველა დარგის და მათ შორის პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა. შესაბამისად, სხვადასხვა სფეროსა და დარგისათვის ნორმად იქცა და-

ლადობა და ძარცვა. ამას შეეწინააღმდეგებოდა პროფესიონალები, ინსტიტუტები, ბიბლიოთეკები, წიგნები, მატერიალური კულტურის ძეგლები. რესტავრაციის ხელოვნებაში გაუაზრებლობასა და პოპულიზმს, დაფუძნებულს გაუმართლებელ სისწრაფეზე, ემსხვერპლენ უნიკალური ქართული კულტურის ნიმუშები, ძეგლები (ბაგრატიის ტაძარი და სხვა), ძველი, ისტორიული მნიშვნელობის ქალაქები, რომელთაც დაუკარგეს მთავარი განცდა — ეროვნული სულისა და სიძველის იერი, რაც მათ თავისთავად და განსაკუთრებულს ხდიდა. ისინი ერთ თარგზე გამოჭრილი, ყალბ თეატრალურ დეკორაციებს დაამსგავსეს. თანაც სიღნაღში ევროპული რატუნმა ააშენეს, მცხეთაში, სვეტიცხოვლის შესასვლელთან კი გაუგებრობა, პარტენონს მიმსგავსებელი კარიკატურა. ამასთანავე მკვიდრდება ქართული აზროვნებისა და გემოვნებისათვის უცხო და მყვირალა, მჭახე, ე.წ. შხამიანი (ფერწერის ენაზე), ფერები.

გენიალური უბრალოება და ორიგინალობა ქართული კულტურის, ხელოვნებისა და არქიტექტურისა შეცვალეს ზოგ შემთხვევაში (საკუთარი ინტერესებისა და გემოვნების შესაბამისად, რისი მამოძრავებელიც კვლავ ფული და ანგარება) სხვისი გუმინდელი და დღევანდელი დღის იმიტაციითა და გადამღერებით, რაც ფაქტობრივად პლაგიატია. ამა-სათანავს მოხდა იგნორირება მეცნიერების იმ დარგებისა, რომელიც პირდაპირ კავშირშია არქიტექტურასთან, ამ რთულსა და კომპლექსურ, თავის მხრივ, სხვადასხვა მეცნიერების შემცველ სფეროსთან — ისტორიასთან, სოციოლოგიასთან, ფსიქოლოგიასთან, ეკონომიკასთან, ეკოლოგიასთან, გეოდეზიასთან, მათემატიკასთან, რაც მთავარია, ეროვნულ ფსიქოლოგიასთან, ქართული საზოგადოების თავისთავადობასთან და ა.შ. ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც მონვეულ არქიტექტორთა შენობა-ნაგებობანი, ხიდები და სხვ. უცხო სხეულებით იჭრება თბილისის უნიკალურ გეოგრაფიულ გარემოში, რომლის ხელყოფაც მიმდინარეობს მისი ბუნების თვითნებური განადგურების გზით.

უცხოელთა ეს შენობა-ნაგებობანი არ ესადაგება თბილისის საერთო მასშტაბსა და იერს. თუმცა ეს არც თბილისის მერიის მესვეურთ, არც მათ მონვეულ უცხოელ არქიტექტორებს ანაღვლებთ. მათ არ აღეღებთ ძველი თბილისი და მისი ისტორია, მისი განუმეორებლობა და თავისთავადობა, რის დასტურიც ახალაშენებული იუსტიციის სახლია, ამოვარდნილი ძველი თბილისის მასშტაბიდან. ამ სახლს თბილისელთა გულდასაწყვეტად ქალაქის ერთ-ერთი მყუდრო და გამწვანებული (ოთხმოცწლიანი, უნიკალური ჯიშის ხეებით) და ტენისის კორტები შეენირა, რაც მთავარია, სივრცეები, რომელიც გარემოს ერთ მხატვრულ კომპოზიციად კრავდა.

ასეთივე მხატვრულ გაუგებრობათა და უგემოვნობის ნიმუშია ისტორიული რიყეც, რომელსაც ბარბაროსულად მოექცნენ და ნამდვილი მხატვრულ-არქიტექტურული დომხალია. ამაზე აქცენტს ვაკეთებთ იმიტომაც, რომ ყველაზე თვალნათლივ არქიტექტურა ასახავს ეპოქის სახეს. ამ გარემოში ვცხოვრობთ, იზრდება და ყალიბდება ახალი თაობა, მისი გემოვნება, გარემოსადმი დამოკიდებულება, ფსიქოლოგია. ზოგ ახალგაზრდას ეს უკვე კიდევ მოსწონს და უგემოვნობას სილამაზედ აღიქვამს. აღმშენებლობად კი იმას, რაც ხდება თბილისის ცენტრალურ უბნებში, როდესაც ხელისუფლებასთან დაახლოებული არქიტექტორები ორიგინალობასა და თავისთავადობას უკარგავენ თბილისის უნიკალურ ლანდშაფტს, დაუმეგებელი, უსახური და მიუღებელი მასობრივი (რასაც კომუ-

ნისტები ქალაქის ცენტრიდან მოშორებით მაინც აკეთებდნენ) განაშენიანებით, ასევე, როგორც ეს უკვე ითქვა, არქიტექტურისათვის მნიშვნელოვან სივრცეთა ჩაკეცილობით, რის გამოც, მაგალითად, თბილისის სპორტის სასახლე (რომელიც მის ირგვლივ აშენებული შენობებით დაახრჩვეს) აღარ აღიქმება.

იგივე უნდა ითქვას გმირთა მოედანზე და იქ განთავსებულ სამარცხინო ბოძზე, რომელიც ძველია იმისა, თუ რა დამართეს ქართულ კულტურასა და გემოვნებას უნიჭო და უმეცარმა ჩინოვნიკებმა და მათმა ფავორიტებმა. ეს არის იმის დასტურიც, რომ თბილისის განაშენიანება და სატრანსპორტო პოლიტიკა იმ ვითარებაში ხორციელდება, როდესაც არ არსებობს თბილისის გენერალური განვითარების გეგმა, რაც ტოლფასია იმისა, რომ ქვეყანა კონსტიტუციის გარეშე იმართებოდეს.

როგორც აღინიშნა, ყველა ამ პრობლემას მეცნიერება უდევს საფუძვლად. ეს კიდევ ერთი დასტურია, რომ ყველა გზა მეცნიერებისაკენ მიდის. მეცნიერების განადგურება კი პირველ რიგში ტოლფასია სახელმწიფოს განადგურების. ცნობილია, ქვეყანა, რომელიც არ მიისწრაფის მეცნიერებისაკენ და უარს ამბობს მეცნიერებზე, კოლონიად გადაიქცევა. ამიტომაც 1991-92 წლების მოვლენების ობიექტური და მიუკერძოებელი ანალიზის გარეშე ვერ მივიღებთ სწორ პასუხს, რა მოხდა ქართულ მეცნიერებაში, როგორი სისტემა მოარგეს მას, რა მოუვიდა ქართულ საზოგადოებასა და კერძოდ სამეცნიერო წრეებს. სწორედ მეცნიერული პრინციპები და მიდგომა ითხოვს, რომ ბოლო 20 წელს მივუდგეთ არა ცალმხრივად, და კონტექსტიდან ამოგდებულად, არამედ მთლიანობაში გავიზაროთ, ისევე როგორც ყველა იმ პრობლემას, რომელიც სათავეს 1992 და არა მხოლოდ 2003 წლიდან, „ვარდების რევოლუციიდან“ იღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლო 20 წლის მოვლენები გაანალიზდება ისე, თუ ვის როგორ აძლევს ხელს, რისი ტენდენციებიც უკვე შეინიშნება.

ეს ეხება მეცნიერებაში შექმნილ მდგომარეობასაც, სადაც ისევე გაჩნდნენ თვითმარქვია, ახალი ტიპის ყველაფრის მკადრებელი ფსევდომეცნიერები და ფსევდოპატრიოტები, როგორც სხვადასხვა დარგში თვითმარქვია ჟურნალისტები, პოლიტოლოგები, ექსპერტები და, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, თვითმარქვია არქიტექტორებიც, რაც დღევანდელი კიდევ ერთი პარადოქსია.

როგორც ეს უკვე ითქვა, ბოლო 20 წლის ვოლუნტარიზმმა და განუკითხაობამ მეცნიერებაშიც ზერეულე და იოლი გზების მაძიებლები მოამრავლა, მეცნიერების მომხმარებლები, სხვათა შრომების მიმთვისებელი პლაგიატები. ამ შემთხვევაშიც ამ ტიპის ე.წ. მეცნიერთა ასპარეზზე გამოსვლას 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებამ, ქართული სამეცნიერო სკოლების მოშლამ შეუწყო ხელი, რაც მოხდა ხელოვნურად და გამიზნულად. მითუმეტეს, რომ მეცნიერება ყოველთვის სახელმწიფოებრიობასა და პოლიტიკასთან გახლდათ დაკავშირებული. ასე იყო შუა საუკუნეების საქართველოში და ასეა დღესაც. ვინც 1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს ხელყო ქართული სახელმწიფოებრიობა, ხელყო ქართული მეცნიერებაც.

მეცნიერების პოლიტიკასთან (თავისუფალ აზროვნებასთან, თავისუფლებასა და თავისუფალ საზოგადოებასთან) კავშირი ესმოდათ იმ დიდ ქართველებს, სხვადასხვა დროსა და ხანაში, ქართული მეცნიერების სათავეებთან რომ იდგნენ.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის ბრძოლის დაწყებისას აცნობიერებდა თუ რამდენად იყო საქართველოში უნივერსიტეტის დაარსება დამოკიდებული პოლიტიკაზე. ამიტომ 1905 წ. რევოლუციის შემდეგ იგი თვალს ადევნებდა რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. იმპერიის დასუსტება რეალურს ხდიდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებასა და ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. ივანე ჯავახიშვილისათვის არ წარმოადგენდა საიდუმლოებას, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერია ქართული საზოგადოების მისწრაფებას, რომელსაც სურდა ქართული უნივერსიტეტის დაარსება და ქართული სამეცნიერო კადრების ჩამოყალიბება.

1917წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნებულმა ივანე ჯავახიშვილმა ამავე წლის 12 მაისს, „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ დამფუძნებელ კრებაზე წაიკითხა მოხსენება. მან ისაუბრა საქართველოში უმაღლესი განათლების ისტორიასა და უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობაზე და ამასთან დაკავშირებით აღნიშნა:

„...რა საკვირველია ჯერ კიდევ ბევრი შრომა და მხნეობაა საჭირო, ქართული მეცნიერებისა და აზროვნების აყვავებამდის, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია. მაგრამ ყველა გრძნობს, რომ შესაძლებელია ქართულმა აზროვნებამ და ენამ წინანდებურად ლაღად ფრთა გაშალოს, ქართველობამ კვლავ აზროვნების უმწვერვალეს სფერომდე აღმაფრენა შეძლოს და თავის ამ სულისკვეთებისათვის შესაფერისად მოქნილი და მდიდარი ენა შექმნას; ხოლო თუ ჩვენ გვინდა, რომ ამ აღორძინებას მტკიცე საფუძველი ჰქონდეს, ფესვები მაგრად გაიდგას და უხვად გაიფურჩქნოს, უნდა დაუყოვნებლივ ჩვენს თანამედროვე ვითარებას ჩაუკვირდეს და საქმის შესატყვისი სამოქმედო გეგმა შევიმუშაოთ, რომლის განსახორციელებლად არაფერი არ უნდა დაგზოვოთ და არავითარი დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევდრკეთ. საქართველოს თანამედროვე აღორძინება ჯერ კიდევ ნორჩია, რომ მას გულმტკიცეული მზრუნველობა არ ესაჭიროებოდეს. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არცერთს ეროვნებასა და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაბამისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბაღია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერი კულტურის სფეროშიც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზე დამოკიდებული. რაც უნდა კარგად შეისწავლოს პრაქტიკულად გამოსაყენებელი ტექნიკის თვით უკანასკნელი აღმოჩენა და საშუალებანი, თუ რომ თეორიული მეცნიერება მას საფუძვლიანად მუდამ ნიადაგს არ უმაგრებს, ამგვარს ცოდნას, ვითარცა ნამდვილს ხელოსნურსა, მცირედი ღირებულება აქვს და თანდათან უნდა ჩამოქვეითდეს. ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩ აღორძინებას ფესვები გავუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალდონე ქართული მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ“ („სახალხო საქმე“, 1917, 63).

ივანე ჯავახიშვილის ეს სიტყვა დღესაც კვლავ აქტუალურია.

ქართული მეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, რასაც ივანე ჯავახიშვილი ითვალისწინებდა და მეცნიერებას უკავშირდებოდა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ

კერენსკის დროებითა მთავრობამ მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ქართული საზოგადოების მოთხოვნა და ქართულ უნივერსიტეტს არა სამეცნიერო, არამედ მხოლოდ სასწავლო ფუნქციის უფლება მისცა. მაგრამ ამგვარად შეზღუდული უნივერსიტეტი სრულფასოვანი არ იქნებოდა, რაც ივანე ჯავახიშვილსათვის მიუღებელი იყო. ამიტომ მისი კატეგორიული მოთხოვნა გახლდათ, რომ უნივერსიტეტი მეცნიერული ცენტრიც ყოფილიყო. ამის შესაძლებლობა ქართველ ერს მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მიეცა. თბილისის უნივერსიტეტის გახსნა 1918წ. 26 იანვარს (ახ. სტილით 8 თებერვალი) ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის შედეგი იყო, რითაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა განათლებისა და მეცნიერების კავშირი პოლიტიკასთან. რაც მთავარია, გაიხსნა ისეთი უნივერსიტეტი, რომელიც ივანე ჯავახიშვილსა და ამ საქმეში მასთან მყოფ მეცნიერთა ჯგუფს, მათ მხარდამჭერ ქართულ საზოგადოებას ჩაფიქრებული ჰქონდა.

არც ის არის შემთხვევითი, რომ ეს მოხდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, რომლის სახელიც ქართული განათლების ისტორიასაც უკავშირდება, გელათის აკადემიის დაარსებას, დიდ ქართველ მეცნიერებთან თანამშრომლობას (იოანე პეტრინი და სხვ.). თვითონ დავით აღმაშენებელი, როგორც ეს კარგად არის ცნობილი, თავისი დროის ერთ-ერთ უგანათლებულესი პიროვნება იყო. მის შესახებ შუა საუკუნეების ერთი უცხოური წყარო წერს, რომ ქართველი მეფე ხელს უწყობდა ცოდნისმოყვარე ივერიელ ერს. ქართველი ერის ცხოვრებაში განათლებისა და მეცნიერების მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ქართულ საგანებში მხოლოდ ქართველი ბერები, რომლებიც დიდ საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდნენ, ფრანგი მეცნიერის როლან პეტის აღიარებით, სხვა ეროვნების ბერებს შორის ყველაზე განათლებულნი იყვნენ. როდესაც ათონის მთის სხვადასხვა საგანეთა წიგნსაცავებში არსებული წიგნები და ხელნაწერები დაითვალეს (ბერძენმა და სხვადასხვა ქვეყნის მკვლევრებმა), ყველაზე მდიდარი ქართველთა საგანის („ივირონის“) ბიბლიოთეკა აღმოჩნდა.

დამოუკიდებელი საქართველოს (ქართველ ერს ახალ, დიდ ამოცანათა წინაშე რომ აყენებდა) ახალდაარსებულ უნივერსიტეტში, უცხოეთიდან საქართველოში სამოღვაწეოდ არაერთი მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერიც მოიწვიეს. მათი დამსახურება ქართული სამეცნიერო სკოლების შექმნა და ეროვნული კადრების აღზრდა. დროთა მანძილზე უკვე ზოგიერთი მათი აღზრდილი გახდა მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი, ვის სახელსაც უკვე მოგვიანებით ახალი ქართული სამეცნიერო სკოლების შექმნა დაუკავშირდება. მათში იმდენად დიდი იყო პატრიოტული განწყობა და სამშობლოს მსახურების სურვილი, რომ მამინაც, როდესაც 1921წ. საქართველოს დამოუკიდებლობა დაამხეს, მათ ეს დიდი ისტორიული მისია დაპყრობილი სამშობლოს პირობებშიც გააგრძელეს. ამისკენ მათ ივანე ჯავახიშვილმა, უნივერსიტეტის რექტორმა (1919-26 წწ.), პირველი გამოშვების სტუდენტებს მოუწოდა. მის მიერ წარმოთქმული სიტყვა სტუდენტმა სერგი მაკალათიამ ჩაიწერა, რომელიც მეცნიერის არქივზე მუშაობისას აღმოვაჩინე.

ეს არის უნივერსიტეტის რექტორის თამამი და მრავლისმეტყველი გამოსვლა, საიდანაც ჩანს ივანე ჯავახიშვილის მოქალაქეობრივი პოზიცია, რომელიც არათუ შეეგუა 1921წ. სა-

ქართველოს ოკუპაციას, არამედ მომავალ მეცნიერებს ამ გზითაც, ხალხში ისტორიის პოპულარიზაციით, საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე, დამოუკიდებლობაზე ფიქრისა და მოქმედებისკენ მოუწოდებდა და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„მე ბედნიერი ვარ დღეს, რომ ვხედავ დღეს ჩვენი ხანგრძლივი ოცნებისა და ბრძოლის ნაყოფს. ჩვენ მიერ დაარსებული პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველ გამოშვებას. ეს არის ჩვენი პირველი დიდი გამარჯვება, ქართველი ხალხის პოლიტიკურ-კულტურული აღორძინების მტკიცე საძირკველი და თქვენ, ჩემო საყვარელო მონაფეხებო, მშობლიური ისტორიის მცოდნეობა, შექმნილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, შეიტანეთ და გაავრცელეთ ხალხში, რომ მან იცოდეს, აცნობიერებდეს, აფასებდეს თავის ისტორიულ წარსულს. ეს იქნება საწინდარი ჩვენი ერის პოლიტიკური და კულტურული აღორძინების, თავისუფლებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივი არსებობისა. თქვენ უნდა იღვანოთ და არ უნდა მისცეთ განსვენება თვალთა თქვენთა, ვითარცა გიორგი მთაწმინდელი, რომ მოიპოვოთ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო მომავალი“.

ივანე ჯავახიშვილმა ამ სიტყვით, რომელიც უკვე ოკუპირებულ საქართველოში წარმოსთქვა და მოქალაქეობრივი გმირობის ტოლფასი იყო, აშკარად დაადასტურა, რომ მეცნიერება ერთ-ერთი გზაც არის საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაში და ისიც ამ გზას დაულოცავს თავის მონაფეხებს, რომლებიც თვითონაც უკვე მონაფეთა მასწავლებლები გახდებიან. ამ ჭეშმარიტ მეცნიერთა თავდაუზოგავი, უმიძიესი და პატიოსანი შრომის („ვითარცა გიორგი მთაწმინდელი“) მოტივაცია სამშობლო და დაკარგული თავისუფლების აღდგენა იყო.

ეს გავაცნობიერე მაშინაც, როდესაც 1991 წ. 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს ვანერდი ხელს და, თუკი მზად აღმოვჩნდი ამ დიდი ისტორიული პროცესებისათვის, ეს იყო განათლება, რომელსაც ამ მეცნიერებმა მაზიარეს, დამსახურება მათი ლექციებისა და სამეცნიერო ნაშრომებისა, სადაც ისეთ პრობლემებსა და საკითხებს წამოჭრიდნენ, როგორც არის ქართველი ხალხის გამძლეობის ის მიზეზები, რამაც ქართველები დღემდე მოგვიყვანა. თუ რას ნიშნავდა ქართველებისთვის ქართული სახელმწიფოს, ქართული მინისადმი დამოკიდებულება, ბრძოლა ამ მიწების დაცვისა და შენარჩუნებისათვის, რაც ქართველობის შენარჩუნებას ნიშნავდა. როგორ შეეძლებოდა საუკუნეთა მანძილზე საკუთარი წარმოების, მეურნეობის, კულტურისა და იდეოლოგიის შენარჩუნება და სხვ. ეს იყო შორს გამიზნული და ქართული პოლიტიკის პერსპექტივებზე გათვლილი ის აუცილებელი ცოდნაც, რაც ივანე ჯავახიშვილის ზემოთ მოყვანილ სიტყვებს მიესადაგება და პროგრამული ხასიათისა გახლდათ.

ჩვენ ლექტორებს შორის იყვნენ ის მეცნიერებიც, იარაღით რომ ებრძოდნენ ოკუპანტებს, იყვნენ გადასახლებიდან დაბრუნებულებიც, კეთილშობილი და საოცრად კეთილგანობილები, უკვე მოხუცებულები, ვიცოდით სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპულ მეცნიერთა სახელებიც. ვხვდებოდით იმასაც, რომ კომუნისტებისა და კომუნისტური სისტემისთვის არ ყოფილა იოლი ამ ჭეშმარიტ მოქალაქეთან და მეცნიერებთან ბრძოლა, რადგანაც მათზე გამარჯვება ისტორიის წინაშე მარცხის ტოლფასი იყო. ისინი პიროვნებები იყვნენ. პიროვნებასთან, რწმენასა და იდეასთან ბრძოლა კი შეუძლებელია.

მართალია ჩვენ, ლექტორები და სტუდენტები, ღიად არ ვსაუბრობდით ამ თემებზე, მაგრამ ვიცოდით ამ მეცნიერთა ცხოვრება და უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის, და მაშინ ძნელად თუ წარმოვიდგენდით, ჩვენც და ისინიც, რომ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ერთი ნაწილი მაშინდელი სტუდენტობისა, მათ მიერ გავლილ რთულსა და საშიშ გზას დაადგებოდა და დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წევრი გახდებოდა.

არის დარგები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება პოლიტიკას. არ არის შემთხვევითი, ივანე ჯავახიშვილმა პეტერბურგიდან დაბრუნებისთანავე ქართული ორიენტალისტიკის სკოლის შესაქმნელად ნიადაგის მომზადება რომ დაიწყო. ეს ზრუნვა პირველ რიგში იმ ფაქტორით იყო გაპირობებული, რომ აღმოსავლეთმცოდნეობა სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი დარგია, მით-უმეტეს ისეთი ქვეყნისათვის, როგორცაა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზასა-ყარზე მდებარე საქართველო. დამოუკიდებელ საქართველოში ამ დარგს თითქოს სტრატეგიული, კიდევ უფრო მეტი დატვირთვა უნდა შეეძინა ქვეყანაში, რომელიც კავკასიაში, მუდმივი დაძაბულობის რეგიონში მდებარეობს და მსოფლიოს ყველაზე ცხელ სამყაროს ახლო აღმოსავლეთს ემიჯნება. ამასთანავე ეს დარგი, გარდა მეცნიერებისა და პედაგოგებისა, ამზადებს დიპლომატებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელთა მოქმედების არეალიც დიდია.

დღევანდელ მსოფლიოში აღმოსავლეთმცოდნეები ჩართულნი არიან გაეროს, იუნესკოსა და ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციათა მუშაობაში, როგორებიცაა — „კულტურათა დიალოგი“, „მსოფლიო კულტურა“, „კაცობრიობის ისტორია“ და სხვ. ამიტომ მეცნიერების ეს სფერო სხვადასხვა ქვეყანაში სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ჩვენმა მეზობლებმა (რუსეთი, თურქეთი და სხვ.), ის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს დარგად გამოაცხადეს.

არც ის არის შემთხვევითი, აღმოსავლეთმცოდნეთა მსოფლიო კონგრესი ჰუმანიტარულ დისციპლინებს შორის დღემდე ყველაზე მასშტაბური და მრავალრიცხოვანი რომ არის. ამავე დროს იშვიათია, ჰუმანიტარულ დარგებს შორის მსოფლიოში ისეთი ფორუმი, რომელსაც არსებობის ასეთი ხანგრძლივი — სამსაუკუნოვანი — ისტორია ჰქონდეს (I კონგრესი პარიზში 1873 წ. გაიმართა).

თავისთავად ეს ფაქტიც მეტყველებს ყველა დროში მის აქტუალურობასა და განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ამას ისიც ადასტურებს, რომ აღმოსავლეთმცოდნეთა კონგრესები იმ ქვეყნებისა და მთავრობათა პატრონაჟით მიმდინარეობს, სადაც ტარდება. ამით კიდევ ერთი აქცენტი კეთდება ამ დარგის მნიშვნელობაზე ქვეყნის სამინაო და საგარეო პოლიტიკაში.

მაგალითად, ერთ-ერთი ბოლო კონგრესი (რომელშიც მონაწილეობა მივიღე) ანკარაში 2007 წ. გაიმართა. კონგრესი თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ერდოღანმა გახსნა. მიღებები და წვეულებანი გავგიმართეს მინისტრებმა (მათ შორის კულტურის მინისტრმა, რომელიც ქართველი აღმოჩნდა და ქართულად გამომელაპარაკა), თურქეთის რესპუბლიკის მეჯლისმა. თურქეთში ყოფნისას დავრწმუნდი, თუ განათლება და მეცნიერება თვით მოსახლეობის ფართო ფენების დონეზეც რაოდენ პრესტიჟულად მიიჩნევა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღმოსავლეთ-მცოდნეთა კონგრესი, რომელსაც მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის წარმომადგენელი ესწრება და ყველაზე მრავალრიცხოვანია, ერთგვარი მსოფლიო ტრიბუნაცია საკუთარი ქვეყნის პრობლემების წამოჭრისა და საერთაშორისო რეზონანსის გამოსაწვევად. როგორც ჩანს, ამიტომაც უახლესი ისტორიისა და პოლიტიკის სექციას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მას სხვადასხვა ქვეყნის ელჩები და პოლიტიკოსები ესწრებიან. სამწუხაროდ, ანკარაში, ამ სექციის, არცერთი ქართველი არ მონაწილეობდა, რაც გაუმართლებელი იყო, სამაგიეროდ, აქტიურობდნენ სომხები და აზერბაიჯანელები თავიანთი ცნობილი პრობლემებით. ამაში დავინახე ქართული მხარის როგორც უპასუხისმგებლობა და პასიურობა, ისე გულგრილობა.

ეს ჩემთვის უკვე საერთაშორისო დონეზე აღქმული იმ მოვლენათა შედეგები იყო, რომელიც სათავეს 1992 წლიდან იღებს, იმ ხალხიდან, ვინც დამოუკიდებლობა (გარეშე ძალების ხელშეწყობით) ხელიდან გამოგვტაცა და რამაც — პოლიტიკასთან ერთად — ქართული მეცნიერებაც დააზარალა.

ძალადობაზე აგებული იმ რეფორმებით, სადაც გაუთვითციტონობიერებელი ჩინოვნიკისა და არა მეცნიერის აზრი გავიდა, ანგარიში არ გაენია საკუთრივ მეცნიერთა მიერ მომზადებულ აკადემიის რეფორმის პროექტს, აკადემიის პრეზიდენტის (აკად. თამაზ გამყრელიძე) და სხვა ცნობილ მეცნიერთა საპროტესტო წერილებსა და ყურადსაღებ რჩევებს. შედეგად, მაგალითად, აღმოსავლეთმცოდნეობა, რომელზეც უნივერსიტეტის დამაარსებლებმა განსაკუთრებით იზრუნეს და რომელსაც, როგორც ეს უკვე აღინიშნა, მისი სტრატეგიული დანიშნულებიდან გამომდინარე დამოუკიდებლობის პირობებში მეტი მნიშვნელობა და დატვირთვა უნდა შეეძინა, დაზარალდა. მისი მიზანმიმართული დაკინების პოლიტიკის პირობებში კი აღმოსავლეთმცოდნეობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მოკრძალებული, ერთი პატარა კუთხე ზვდა ჰუმანიტარულ უზარმაზარ ფაკულტეტში.

პარადოქსულია, რომ ის, რაც ამ დარგს მისცა კომუნისტურმა რეჟიმმა, აღმოსავლეთმცოდნეობის ცხრასართულიანი ინსტიტუტის შენობის ჩათვლით, აკადემიკოს გიორგი წერეთლის დიდი ავტორიტეტის გათვალისწინებით, დარგის განვითარების პერსპექტივით, სადაც წლების მანძილზე სხვადასხვა მიმართულებით მეცნიერებისა და ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი კვლევები მიმდინარეობდა, დამოუკიდებელ საქართველოში დაარბიეს.

ესეც ექვებს ბადებს დამოუკიდებლობის ძალადობით ჩამგდებთა მიმართ, ვისაც დამოუკიდებლობაზე არც უფიქრიათ და არც უღვანიათ.

ამიტომაც უსასტიკესი რეპრესიები დამოუკიდებლობის გამოცხადებულ ეროვნული ხელისუფლების წევრთა და მათ მხარდამჭერთა მიმართ არ ყოფილა შემთხვევითი. ეს ჩანს იქიდანაც, რომ ამ ძალამ დამოუკიდებლობის დისკრედიტაციასთან ერთად (ხალხის შეგნებულნი გაღატაკება მათი იოლად მართვის გამოც და სხვ.) დამოუკიდებლობა პირადი გამდიდრებისათვის გამოიყენა, რაც დღევანდელი გადასახედიდან კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა. დღემდე ეს ძალები ქონების მითვისება-გადანაწილებით არიან დაკავებულნი და იმ ფუფუნების დემონსტრირებით (ხელისუფლების პირველი პირების ჩათვლით), რასაც ყველგან ცივილიზებულ სამყაროში ერიდებიან, მითუმეტეს გალა-

ტაკებულ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 35% სიღარიბის ზღვარზე ქვემოთ, 45% კი ზღვარზე. გაეროს 2010 წლის მონაცემებით მოსახლეობის 50% კალორიების განსაზღვრულ მინიმუმზე ნაკლებს იღებს, 35% კი კრიტიკულ ზღვარზეა, ამ ადამიანთა საკვები რაციონის 60-70% პურია. ეკონომიკურმა სიღუხტურემ დააქვეითა მოსახლეობის იმუნური სისტემა, რამაც მკვეთრად გაზარდა დაავადებები.

სწორედ ამ ზემოხსენებული ხალხის მითითებებსა და ჩარევას, მათ მიერ ორგანიზებულ რეფორმებს შეენირა ქართული მეცნიერება, სამეცნიერო ინსტიტუტები და ბიბლიოთეკებიც, რომლებიც ქართველ მეცნიერთა ძალისხმევით შედეგად (ზოგ შემთხვევაში მეცნიერთა საკუთარი ფულითაც) წლების მანძილზე (რუსეთიდან, ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან ჩამოტანილი) ათიათასობით წიგნით, უნიკალური გამოცემებითა და ფონდებით მდიდრდებოდა. პარადოქსულია აგრეთვე, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ე.წ. რეფორმატორებმა (ყველა სფეროში დემოკრატიის სახელით რომ იმოქმედეს), ზოგიერთი ინსტიტუტის ბიბლიოთეკის წიგნები უკეთეს შემთხვევაში ყუთებში ჩაყარეს და მეცნიერთათვის მიუწვდომელი გახადეს, უარეს შემთხვევაში საეჭვოდ გააქრეს, ანდა, შერჩევით, გარკვეული ლიტერატურა თავიდან მოიშორეს.

ექვს ბადებს, რომ დირექტივები, ყველა ბიბლიოთეკამ ერთდროულად რომ მიიღო (წიგნების გამოსხივების თაობაზე), გარკვეულ გარეშე ძალთა კარნახით გაკეთდა. მით უმეტეს, რომ ბიბლიოთეკებზე კონტროლის მიზნით, რაც აზროვნებაზე კონტროლიც არის, ასეთი გამოსხივები, აზროვნების მონოპოლიზების მიზნით, სხვა ქვეყნებშიც ჩატარებულა.

ამ მხრივ ბენეზია გადარჩენილი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უძვირფასესი ბიბლიოთეკა, რომლის შენობაშიც შემოსახლებულნი არიან ამ „რეფორმატორთა“ მიერ დარბეული ინსტიტუტები — ფილოსოფიის, გეოლოგიის, ფსიქოლოგიის, დემოგრაფიის, თეორიული ფიზიკის, ასტრონომიის, პოლიტოლოგიის, ზოოლოგიის. გარდა ამისა სამართლებრივი კავშირი და სპორტის ფაკულტეტი.

ეს არის ნამდვილი სამეცნიერო საერთო საცხოვრებელი ე.წ. სამეცნიერო „კომუნალკა“, რომლის მესამე სართულზე, იქ სადაც ადრე აკადემიკოს გიორგი წერეთლის მემორიალური კაბინეტი იყო, დღეს სპორტის ფაკულტეტი და ვიდრე ამ ყოფილ კაბინეტამდე მიხვიდოდეთ, თქვენს თვალწინ გადაიშლება სპორტული თასებისა და ჯილდოების გამოფენა. სიტუაციაში გარკვევამდე გეგონებათ, რომ ამ ჯილდოთა მფლობელები და სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები არიან.

ამასწინათ ჩვენთან შემოსახლებულ ზოოლოგებს პითონი გაეპარათ (მართალია არცთუ ისე დიდი, მაგრამ მაინც პითონი), ზოგი ამბობს, რომ გველი იპოვეს, ზოგი — არა, რამაც ისედაც მცირე ხელფასის მქონე, მუდმივი დაძაბულობის ქვეშ მყოფ აღმოსავლეთმცოდნეებს ნამდვილი თავზარი დასცა, ამ ცხოვრებისგან ყველაფერს რომ ელოდნენ, პითონის გარდა. ცოტა ხნის წინათ, დარბაისელი, თავის საშუალო ოთახისკენ მიმავალი აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერი ქალები გაოგნებულნი გაშეშდნენ, როდესაც დერეფანში ორ ნახევრად შიშველ მამაკაცს უცნაურ პოზაში გაქვავებულებს ნააწყდნენ. გონს რომ მოვიდნენ მიხვდნენ, რომ სპორტის ფაკულტეტის პედაგოგი თავის მოწაფეს ამეცადინებდა და ამ რთულ ელემენტს უჩვენებდა.

დღეს ეს (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის) შენობა სახელმწიფოს მხრიდან ქართული მეცნიერებისადმი ზერეულე, აგდებული დამოკიდებულების ნამდვილი ძეგლია. რაც მთავარია აღმოსავლეთთან დაკავშირებული პრობლემებისადმი არაპროფესიული მიდგომის, რაზეც დღეს პირდაპირ არის დამოკიდებული ურთულეს რეგიონში მდებარე საქართველოს უსაფრთხოება. ვინაიდან იმ ტენდენციათა და პროცესების ანალიზის გარეშე, რაც აღმოსავლურ სამყაროში მიმდინარეობს, ქართული პოლიტიკა ვერ შეძლებს არათუ აღმოსავლეთთან, არამედ დასავლეთთანაც ლავირებას. ეს კარგად იცოდნენ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, როგორც ქართული პოლიტიკის მესვეურებმა, ისე შუა საუკუნეთა ისტორიკოსებმა, რომლებიც საგანგებოდ განიხილავდნენ და აანალიზებ-

დნენ ამ საკითხებს. ვფიქრობ, ამითაც უნდა ავხსნათ ქართველ მეფეთა განათლება და განათლებისაკენ სწრაფვა, რაც მათ აღზრდასა და სამეფოდ მომზადებაში იდო. ამდენად განათლება ერთ-ერთ მძლავრ იარაღს წარმოადგენდა ქართველ მეფეთა ხელში, მათ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ქვეყნის დაცვაში, რაც პირველ რიგში, საკუთარ ძალებზე დაყრდნობაში გამოიხატებოდა, რისთვისაც ერს ყოველმხრივ (პატრიოტული სულისკვეთებითა და ეროვნული იდეოლოგიის გაძლიერებითაც) ამზადებდნენ. მოლაღატეს კი, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს „ქართლის ცხოვრება“ — წარმატებისათვის საქართველოში არასდროს მიუღწევია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კრიტიკა

ივანე ამირხანაშვილი

ქებლი ნანგრევებს შორის

ზაზა მრელაშვილი ის მწერალია, რომელიც თავის თავს უმაღლავს მწერლობას, მეტიც, თავის თავსაც უმაღლავს, რომ მწერალია, რაც, რაღა თქმა უნდა, რაღაცაზე მეტყველებს და ეს რაღაც ალბათ ის არის, რომ მან კარგად იცის ჭეშმარიტების ფასი.

ეს არის ტიპი, ერთ-ერთი ფორმა, მოდელი, სახე შემოქმედისა, რომლის ხასიათს სიფრთხილისა და ნებელობის პრიმატი განსაზღვრავს.

მას დიდი ხანი დასჭირდა იმისათვის, რომ წიგნის გამოქვეყნება გადაეწყვიტა. ერთი შეხედვით, ნებელობამ აჯობა სიფრთხილეს, თუმცა სინამდვილეში მოხდა სხვა რამ, ტექსტმა დამოუკიდებლად იპოვა გზა დღის სინათლისაკენ.

ამიტომ წმინდა წყლის ფორმალობაა ის, რასაც ავტორისეულ ანოტაციაში ვკითხულობთ: „პატივცემულო მკითხველო! თქვენს ხელთ არსებული წიგნის ხელნაწერი ჩემს სოფელში ახლახან აღმოვაჩინე...“

ტექსტმა დაძლია ავტორის წინააღმდეგობა.

ხელნაწერის აღმოჩენის ფაქტორი, გინდაც რეალური ამბავი იყოს, გინდაც მისტიკური მოტივი, მეორეხარისხოვანია იმასთან შედარებით, რასაც ხელნაწერი სჩადის ავტორის წინააღმდეგ და ავტორის სასარგებლოდ.

შესაძლოა ტექსტი გამოხატავდეს იმაზე მეტს, ვიდრე გულისხმობს ავტორი, რომელიც, მართალია, მთხრობელიც არის და მთავარი პერსონაჟიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გმირი, პროტაგონისტი, პირველი აქტიორი გახლავთ ცხოვრება, დრო, ეპოქა, საბჭოთა სინამდვილის ბოლო მონაკვეთი, როცა ძველი და ახალი ყოფიერების გასაყარზე



ყველაფერი გაჩერდა და გაირინდა რაღაც უცნაურისა და საშიშის მოლოდინში.

ავი წინათგრძნობა რომანს ლაიტმოტივად დაჰყვება და ფინალში მატერიალიზდება ტიპურ, ნაცნობ სურათად და გვემის თბილისის ომის ექო, როგორც უკანასკნელი ამოოხვრა.

„სასტუმრო „თბილისის“ ნანგრევებთან ვდგავართ მე, უჩა, ვანო, ანდრო და თუკიდიდე... მინც მოხდა ის, რისიც ყველაზე ძალიან გვეშინოდა... მინა მეცოდება, ამდენ უღმერთოს რომ უძლებს... ამის ყურება აღარ შეგვიძლიაო, დავიშალოთ ან სადმე სხვაგან წავიდეთო, ბურტყუნებენ ბიჭები. სადღა წავიდე... ესაა თბილისი“.

ეს მთხრობელის მონოლოგია. ბაჩოს, ბაჩანას განწირული ამოძახილი.

„სადღა წავიდე“, — მთავარი კითხვა, რომლითაც დრო გამოხატავდა დარღვეულ მყუდროებას.

თბილისის ომის შემდეგ დაიწყო დიდი გაქცევა. ყველა გარბოდა (ახლაც გარბიან). მნიშვნელობა არ ჰქონდა, საით. ოღონდ გაქცეულიყვნენ.

დილემის წინაშე დგას ზაზა მრელაშვილის გაორებული გმირიც: სოფო თუ მანუკო, ფილისტერული საზოგადოება თუ შინაგანი ემიგრაცია, თბილისი თუ უდაბნო? ბოლოს უდაბნოში მიდის, დავით გარეჯის მუზეუმში, სადაც მუშაობს.

კაცმა რომ თქვას, რატომ არ არის ეს რომანის ხერხემალი? თხრობა ხომ პარალელიზმის მანერაზეა აგებული: ურბანიზმი — პასტორალიზმი, ხელოვნურობა — ბუნებრიობა, მასა — პიროვნება.

ანტინომიურია მხატვრული სახეებიც. პერსონაჟთა გალერეა წარმოადგენს მხილებისა და თანაგრძნობის, ემოციისა და განსჯის, მრისხანებისა და მიტევების ერთიანობას. მხატვრული სახე მიიღება ცხოვრების ემოციური აღქმის გადაზარებით.

რომანის იდეურ-ემოციური ტემპერატურა საკმარისია იმისათვის, რომ ავტორმა ცხოვრებისეული მასალა მხატვრულ სინამდვილედ გადაადნოს. ლოგიკურად ვითარდება სიუჟეტური ჯაჭვი. ყურადღებას იქცევს მოვლენების აღწერას-



ვის ფხიზელი სტილი. შემოქმედებითი ფანტაზია ვლინდება გარემოსივრცის სწორად, გამართულად წარმოდგენაში.

შთაბეჭდავია უდაბნოს მუზეუმში ბაჩანას ჩასვლის პირველი დღეები, როცა სინამდვილე იხატება საგნების, ხმებისა და ფერების სინთეზით. ეპიზოდებსა და დეტალებში არ ჩანს ავტორი, მაგრამ ყველგან იგრძნობა მისი ხელი.

ზაზა მრელაშვილის რომანის გამოჩენა, როგორც ითქვა, ერთგვარად მოულოდნელი ფაქტია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მის შემოქმედებით ბუნებას, პიროვნულ ხასიათს, ცხოვრების წესს, მოსალოდნელი იყო, ასეთი რამ ადრე თუ გვიან მომხდარიყო.

ლადო მრელაშვილის ვაჟსა და რევაზ მიშველაძის დისშვილს არც თავიდან უნდა გასჭირვებოდა ლიტერატურულ ცხოვრებაში დამკვიდრება, მაგრამ, ჩანს, სწორედ ეს გენეტიკური კავშირი აიძულებდა ზედმეტი სიფრთხილე გამოეჩინა და ანგარიშშიუცემლად არ გადაშვებულყო აქტიურ სამწერლო პრაქტიკაში.

თუმცა ის ყოველთვის წერდა.

თავისი ხასიათითა და ცხოვრების ნირით მუდამ ქმნადობის ტალღაზე იმყოფებოდა.

შემოქმედებითი ადამიანია, ანუ კრეატიულია, როგორც თანამედროვე სწოებები იტყვიან.

ყოველთვის მაკვირვებდა მისი მუსიკალური სმენა, ბგერის აღქმისა და გადმოცემის უნარი, თუნდაც ხმა, მაგრამ არასოდეს უცდია ამ უნარის მეტ-ნაკლები სერიოზულობით წარმოჩენა.

სიტყვის გრძნობა ადრედაცვე ჰქონდა. სრულყოფილებამდე ფლობდა ფრაზას. შექმლო სიღრმეებამდე მიჰყოლოდა სიტყვის როლს. მაგრამ ტექსტების შექმნას გაურბოდა, თუმცა შემოქმედების იმიტაციას სიამოვნებით ეწეოდა. უყვარდა ბელეტრისტიკა როგორც თამაში, გართობა, პაროდირების საშუალება.

ჩვენ ერთად ვსწავლობდით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ეს რატომღაც რუსული ლიტერატურის ისტორიის ლექციაზე ხდებოდა. „მაშინ გორკი...“ ასე იწყებდა საუბარს ბატონი გივი გვენეტაძე, რომელიც რალაცით მოგვაგონებდა პერსონაჟს ალექსანდრე ბუკიას საბავშვო ოპერიდან „ყვავილთა სამყაროში“. ამ დროს, პარალელურად, ჩვენ, რამდენიმე მოხალისე, ვინყებდით კოლექტიური მოთხრობის წერას ესტაფეტის პრინციპით. ეს იყო გროტესკის, აბსურდისა და მისტიკის ნაზავი, რალაც ისეთი, რასაც დღეს მაგიურ რეალიზმს უწოდებენ.

ზაზას ხელწერა ყველასგან გამოირჩეოდა ფანტაზიით, ოსტატობით, კომპოზიციის გრძნობით, შინაგანი თავისუფლებით. ერთი სიტყვით, ჩამოყალიბებული სტილისტი იყო... ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ გამოცხვა ობლის კვერი.

პირველი რომანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზაზა მრელაშვილი ტრადიციული სკოლის წარმომადგენელია, აკადემიურ სტილს მისდევს, თხრობის კლასიკურ მანერას ამჯობინებს. როგორც ჩანს, ამ გზით უფრო უახლოვდება თავის თავს, თავის ხასიათს, გამოხატვის შინაგან, თანდაყოლილ წესსა და რიგს, რომელსაც ინტუიტიურად გრძნობს და ავლენს ყოველ სიტყვაში, ფრაზასა თუ ეპიზოდში.

ინდივიდუალური ხასიათების გამოკვეთის საშუალებით მიდის ტიპიზაციისაკენ, რითაც კარგად ახერხებს ოთხმოციანი წლების თაობის დახასიათებას.

რას წარმოადგენდნენ ოთხმოციანელები? ეს იყო მორიგი დაკარგული თაობა, რომელმაც თავი კი განიძარცვა თავსამოხვეული კომუნისტური იდეალებისაგან და სხვაგვარად მოაზროვნედ ჩამოყალიბდა, მაგრამ პრაქტიკულად ვერ შეძლო საკუთარი თავის რეალიზება, ვინაიდან დრომ მსხვერპლად აირჩია, აირჩია იმისათვის, რომ თავისი დამანგრეველი ძალა ეჩვენებინა. და დაანგრია კიდევ.

ზაზა მრელაშვილის რომანი „შემდეგი გაჩერება — უდაბნო“ არის ძეგლი ამ ნანგრევებს შორის.

ანა ბერძენიშვილი

## ვუპასუხოთ ბებბედერს და...

მერე...

ეს მერე იქნება, ლიტერატურულ კაფე „დივანთან“ ქალაქის თვითმფრინავებზე დაწერილი ლექსები რომ გადმოფრინდებიან დეკემბრის სუსხით დამზრალ სივრცეში და შეკრებილინიც სიმბოლურ საჩუქრებად შეაგროვებენ ამ საღამოს სახსოვრად.

ჯერ კი „დივანში“ ქეთი ნიჟარაძე ახალ პოეტურ კრებულს წარადგენს მეგობრებთან ერთად, „თეთრფრთებშესხმულნი“ რომ წაიკითხავენ ლექსებს და ასე ორიგინალურად გააცნობენ შეკრებილებს პოეტის კიდევ ერთ სათქმელს.

„ფრენა. პასუხები ბებბედერს“ — ასე დაუსათაურებია ავტორს წიგნი, რომელიც ეძღვნება ფრანგი მწერლის, ფრედერიკ ბებბედერის ნოველების კრებულს, „ექსტაზი“, უფრო სწორად, ექსტაზით გაბრუებულ პირველ ნოველას, რომელშიც ავტორი სვამს კითხვებს —

ერთი შეხედვით, რიტორიკულ კითხვებს სამყაროში დაკარგული ადამიანისა...

უდროო დროში გაჩენილ კითხვებს, უელბეკმა „დასავლური თვითმკვლელობის“ ჟამი რომ უწოდა.

და აი, სულ სხვა სივრცეში ქეთი ნიჟარაძე 19 ლექსით პასუხობს ბებბედერის კითხვებს, ეპიგრაფად რომ წაემძღვარა თითოეულს.

ეს კრებული თვითონაც წააგავს ფრენას, სიზმარში — რეალურისა და ირეალურის — ზღვარზე განცდილს;

თან შეუძლებელსა და თანაც შესაძლებელს, თუკი შემოქმედებით ფრთებს გამოისხამ;

თუკი შეძლებ უთმობელი ცხადიდან გასვლას... ცოტა ხნით მაინც, თუნდაც ერთ დღეს მიხვდე, რომ შეიცანი ეს სამყარო — ჩვენი არსებობის მალიარებელიც და უარყოფელიც, „შეიცანი თავი შენი, სიცოცხლე შენი, მაგრამ ვერც ერთს ვერ გაექეცი, და დარჩი შენად“.

ამ ძიების გზაზე კი ეს საინტერესო და თვითკმარი ღირებულების, კონცეპტუალურად კარგად შეკრული წიგნი კიდევ ერთი დასტურია ქეთი ნიჟარაძის შემოქმედებითი ნაყოფიერებისა, რაც ასე საგულისხმო და დასაფასებელია ჩვენს პროზაულ ყოფაში, არაპოეტურ დროში... და ენობრივ სინტაქსთან მიმართებითაც.

ყოველი ახალი წიგნი, ლიტერატურული მოვლენა თუ ფაქტი მაინც სიახლეებითაა მნიშვნელოვანი და ქეთი ნიჟარაძის ეს კრებულებიც იმით გამოირჩევა, რომ კონტრასტული ლექსებით პასუხობს კითხვებს მწერლისა, რომელსაც უნდოდა შოკი გამოეჩინა საზოგადოებაში.

ბეგბედერის არაორდინარულ კითხვებს ქეთი ნიჟარაძე სემანტიკურად და თემატიკურად ძალიან ზუსტი, მაგრამ სტილისტურად სრულიად განსხვავებული სტრიქონებით ეხმიანება.

პროზას პასუხობს პოეზიით.

იღებს გამოწვევას მწერლისა, რომელიც ამბობდა:

— მე ნორმალური ცხოვრებაში უფრო ვარ, ვიდრე შემოქმედებაში.

და ახერხებს ამას — დახვეწილი ოსტატობით, საინტერესო მხატვრული სახეებითა და ორიგინალური პოეტური ხილვებით.

ასე გამოეხმაურნენ ახალ კრებულს შეხვედრაზე **თეონა დოლენჯაშვილი** — ნიგნის წინასიტყვაობის ავტორი, **ეკა ტოგონიძე**, **ნელი ავირბა** — გარეკანის დიზაინერი, **რატი ამალობელი**, **რისმაგ გორდეზიანი**, **პაატა შამუგია**...

**მარიკა ზაკურაძის** თქმით, გამომცემლობა „ინტელექტ-მა“ ეს კრებული ორიგინალური კონცეფციით გამოსცა: ორენოვან ნიგნში, რომელშიც ლექსები ინგლისურად თარგ-



მნა **საბა ლეკვიშვილმა**, ჩართულია ფურცელი მკითხველის პასუხებისთვის, რომლებიც შეგიძლიათ განავრცოთ ფეისბუქზე შექმნილ საგანგებო გვერდზე. კომპეტენტური ჟიური მათ შორის საუკეთესოს შეარჩევს და მომზადდება ახალი — უკვე მკითხველის — კრებული ბეგბედერის კითხვებზე.

ერთი შეხედვით რიტორიკულ კითხვებზე... უმისამართოდ გაფრენილზე ტკივილითა და ათასგვარი გაურკვევლობით შედეგებულ დროში, აი, იმ დროში, „დასავლური თვითმკვლელობის“ ჟამი რომ უწოდა **მიშელ უელბეკმა**.

ოლონდ ესეც მერე იქნება...

სამი თვის მერე... როცა მკითხველი გამომცემლობა „ინტელექტისა“ და **ქეთი ნიჟარაძის** გამოწვევებს უპასუხებს, მანამდე კი **რისმაგ გორდეზიანი** ასეთ კითხვასაც დაუტოვებს შეკრებილებს:

— ნეტა ბეგბედერი რას იფიქრებდა, ეს ლექსები რომ წაეკითხა, ეწყინებოდა თუ მოეწონებოდა, ან იქნებ სულაც გაჰკვირვებოდა კიდეც — ჩემი კითხვებით შოკისმომგვრელი რატომ არ არისო?

## ნორჩი თეატრალები და შიო არაგვისპირელი

ოქროს უბნის უწინდელი იერსახის წარმოდგენა გაძნელებულია. ეს კი ცნობილია, რომ თავის დროზე ვორონცოვის ბრძანებით დაუნაწილებიათ სამოსახლო მიწები მოქალაქეებისათვის. გზაც, დღეს სახელდებული გიორგი ჩუბინაშვილის ქუჩად, ამდაგვარად გაჭრილა. ჩვენს სინამდვილეში აქაურობა რალაცნირად ინარჩუნებს ევროპასგაჯიბრებული დედაქალაქისთვის შეუთავსებელ, მაგრამ სასიამოვნო სიმყუდროვეს.

ესეც ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი. მის პირდაპირ — შიო არაგვისპირელისა. და ორივე ნაფუძარი სურველს უნდა უკიდებდეს აქ გამოვლელს, ერთხელ მაინც გაეცალოს სულსწრაფ ყოველდღიურობას და თავი შეაფაროს ამ სახლების ჭერქვეშ დავანებულ სიმშვიდე. ისიც დაიმახსოვროს, რომ მასპინძლად შემოგებებული ნებისმიერი მოსამსახურე მუზეუმებისა, ღირსებაშემკული თვისებითაა გამძლე; მცირე გასამრჯელოს მიუხედავად, გაუხუნარი პატიოსნებით ერთგულებენ მინდობილ საქმეს.

შიო არაგვისპირელის სახლ-მუზეუმში ტრადიციაც დაუმკვიდრებიათ, ყოველი წლის დეკემბრის ერთ-ერთ ხუთშაბათს გამოარჩეულად მიაგებენ პატივს მწერლის ხსოვნას. სამდღისოდ ინვევენ საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს, ქართული კულტურის მოამაგეებს სხვადასხვა სადღეისო პრობლემაზე სასაუბროდ. იმართება თეატრალური წარმოდგენებიც და; როგორც წესი, ამგვარ ღონისძიებათა სულისჩამდგმელნი, მეტწილად, სკოლის მოსწავლეები არიან.

იმდღევანდელი, 14 დეკემბრის ღონისძიებაც გახლდათ ნიმუში შიო არაგვისპირელის ხსოვნის პატივისცემისა.

საერო სკოლა „ალბიონთან“ არსებული ლიტერატურულ-მუსიკალური სტუდიის აღსაზრდელებმა ლიტერატურულ-თე-

ატრალური საღამო მიუძღვნეს შიო არაგვისპირელის დაბადებიდან 145-ე წლისთავს.

თეატრალურ წარმოდგენაზე (სცენარის ავტორი და რეჟისორი სახლ-მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი **ნინო გვაზავა**, სტუდიის ხელმძღვანელი და მეტყველების პედაგოგი **ნატა ცხადაძე**) მონაწილეებმა — **მაგდა ონიკაშვილი**, **თათია კორკოტაშვილი**, **ანა ხახანაშვილი**, **ანა კვეკვესკირი**, **სალომე ბლიაძე**, **თემურ სულუაშვილი**, **საბა შავშიშვილი**, **ირაკლი მხატვარი** — გამოავლინეს სიყვარული და ცოდნა შიო არაგვისპირელის შემოქმედებისა. საგანგებოდ მოპატიუებულ სკოლის პედაგოგებს, მშობლებს, თანატოლებს ემოციურად მოუყვინნ მწერლის ბიოგრაფიულ ეპიზოდებზე. წარმოაჩინეს მისი მამულიშვილური ღვაწლი და პიროვნული თვისებებიც გააცოცხლეს. შთამბეჭდავად ნაიკითხეს ეპიზოდები შიო არაგვისპირელის სხვადასხვა ნაწარმოებიდან.



ჩინებულად გამართული და კომპოზიციურად დალაგებული ეს მშვენიერი წარმოდგენა გამდიდრებული იყო ცნობილ მოღვაწეთა გამონათქვამებით. ჩანდა, რომ ყმანცილები გულმოდგინედ გასცნობიან მასალებს შიო არაგვისპირელის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

ნორჩ თეატრალებს მუყაითობა და ლიტერატურისადმი სიყვარული შეუქვს მუზეუმის დირექტორის მოადგილემ **თამარ კობახიძემ**, განყოფილების გამგემ **დალი სოფაძემ**, სკოლა „ალბიონის“ დირექტორის მოადგილემ **მარიკა ილურიძემ**.

მანია მაკალათია

მამუკა მარიამული

## ორი რომანის სათაურებზე

ძვირფასო რედაქციავ, ამას წინათ შევიძინე **ემილი ბრონტეს** რომანი „**ქარიშხლიანი უღელტეხილი**“ („არეტე“ 2008 წელი). დიდი ხანია ყიდვას ვაპირებ, მაგრამ, მოგეხსენებათ, წიგნი ძვირია; თხელყდიან გამოცემას ველოდებოდი, ვერ ველირსე და ბოლოს მაინც გავბედე...

რომანი **ასმათ ლეკიაშვილს** უთარგმნია. იგი პროფესიონალი, კეთილსინდისიერი მთარგმნელია და ინგლისური, ვიქტორიანული რომანის მოყვარულნი დიდად ისიამოვნებდნენ ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ამ შენაძენით. იმედი მაქვს, რომ ვიქტორიანული რომანის მკითხველები კიდევ არიან ჩვენში.

იმას კი ვეჭვობ, რომ ინგლისური ლიტერატურის მცოდნენი გადარჩენილიყვნენ, რადგანაც თარგმანს არც შესავალი ახლავს და არც ბოლოთქმა, არც რომანზე რაიმე ნათქვამი და არც მშვენიერი თარგმანია შეფასებული. რაო, ასე გავლატაკდით, რომ **ემილი ბრონტეზე** ვედარაფერს ვნერთ, და თარგმანზე კეთილი სიტყვა გვენაწებება?! წიგნის გარეკანის ბოლო გვერდზე **აკა მორჩილაძის** ციტატაა მოტანილი „ცხელი შოკოლადიდან“, სადაც ბატონი აკა, ჩვეული სიმსუბუქით, თავის თავზე გვიამბობს და არა რომანზე. ვიცი, რომ ინგლისური ლიტერატურის მცოდნენი ჩვენს აკადემიურ წრეებში კვლავაც არიან, მაგრამ ალბათ ისეთ ჰონორარს ითხოვენ, რომ გამოცემლებს ურჩევნიათ იოლად გავიდნენ, მათ გარეშე.

ახლა კი ორიოდ სიტყვა იმის გამო თუ რატომ გადავწყვიტე მომენერა.

მიზეზი რომანის სათაურია. **Wuthering Heights** ქარიან მალღობებად უნდა ითარგმნოს. **Wuthering** — ქარისაგან გამონეულ ხმაურს ნიშნავს; **Heights** — მალღობია ანუ მალღობები.

რუსულ თარგმანს ჰქვია **Грозовой Перевал**, ქართული მას იმეორებს და, უნდა ითქვას, რომ ამ სათაურს ისე მივეჩვიეთ, რომ სხვა ვერც კი წარმოგვიდგენია,

რაკი **Wuthering** ქარისაგან აღძრულ ხმაურზე მიანიშნებს, ეგებ „ქარიშხალი“ მართლაც სჯობდეს, რომანშიც არაერთგზისაა ქარიშხლიანი ამინდი, მაგრამ აი „უღელტეხილი“ კი არაფერ შუაშია. უღელტეხილი ინგლისურად **mountain pass**-ია.

თუ მეტყვით, უღელტეხილი რომანში განვითარებული ამბებზე, ერნსტოუთა, ლინტონთა და ჰიტკლიფის ტრაგედიაზე მიგვივითებსო, გიპასუხებთ, რომ **Wuthering Heights** მამულის სახელწოდებაა, საკუთარი სახელია და ჩახლართულ მინიშნებათა ნაცვლად, ეგებ სულაც ტრანსლიტერაციით გადმოგვე-

ტანა („ვადერინგ ჰაიტს“) და ბოლოთქმაში ინგლისური ლიტერატურის მცოდნეს აეხსნა თუ რა რას ნიშნავს, მაგრამ ისინი რომ დიდ ჰონორარებს ითხოვენ?! ან ეგებ ჩვენმა გამოცემლებმა (ყველას არ ვგულისხმობ) თვითონ იმდენი იციან, რომ აკადემიური წრეების დახმარება არა სჭირდებათ?

და მაინც, დიდი მადლობა მათ კარგი წიგნისათვის!

მეორე წიგნი **ჯეინ ოსტინის „სიამაყე და მცდარი აზრი“** გახლავთ („არეტე“ 2011 წელი). ესეც წვალებით ვიყიდე და აქაც იგივე დამხვდა: არც შესავალი, არც ბოლოთქმა, არც რომანზე რაიმე და არც თარგმანზე: ინგლისურიდან თარგმანა **ანა მაყაშვილმა**. გარეკანის მეოთხე გვერდზე **ქეთევან კორძახია** მოგვინოდებს, ნაიკითხეთო, და თანაც მორცხვად დასძენს, რომანს ვერ შევაფასებ, ლიტერატორი არა ვარო!

ჯეინ ოსტინი ჯორჯიანული ეპოქის მწერალია. ჩვენში მიღებულია ამ ეპოქის გეორგიანულად მონათვლა, რაკი გერმანული სამეფო სახლი მართავდა, მაგრამ ინგლისს მართავდა, ინგლისის მეფეები იყვნენ ჰანოვერები და სჯობს ჯორჯიანული ხანა ვუნოდოთ.

ჯეინ ოსტინის სამწერლო კარიერა რომანტიზმის აყვავების პერიოდს ემთხვევა, მაგრამ განმანათლებლობის წყაროებიდანაც ბლომად აქვს შესმული და ამიტომაცაა, რომ მისი რომანები რაციონალური ეჭვისა და რომანტიკული მგზნებარების თავისებური ნაზავია.

უკაცრავად კი გახლავართ, მაგრამ რომანის სათაურის, **Pride and Prejudice**, თარგმანი, „სიამაყე და მცდარი აზრი“, შეცდომად მიმაჩნია.

სიტყვა **prejudice** ინგლისურად ნიშნავს: წინასწარ შექმნილ აზრს, დაუსაბუთებელ ან განუსჯელ შეხედულებას, გამოცდილებაზე დამყარებულ რწმენას.

რომანიც ხომ ამაზეა, დარსის სიამაყეს ეჯახება ელზაბეთ ბენეტის შეხედულებანი, არა განსჯა და აზრი, არამედ შეხედულებანი; მაგალითად ის, რომ თუ ბალზე მიხვალ უნდა იცეკვო კიდევ და ცხვირანული არ იდგე და სხვა და სხვა.

ჩვენში ამას ცრურწმენას ეძახიან, და ამიტომ „სიამაყე და ცრურწმენად“ იხსენიებოდა ეს რომანი წლების მანძილზე. რაკი ქეთევან კორძახია რუსულ თარგმანს იხსენებს, ისიც აღვნიშნოთ, რომ **prejudice** რუსულად **предубеждение, предвзятое мнение**-ა, ჩემი აზრით „სიამაყე და წინასწარწმენა“ სჯობდა.

ახლა ამიხირდებით, ეგ რა სიტყვააო, მაგრამ თუ ცრურწმენას აქვს არსებობის უფლება, წინასწარწმენას ვინ აუკრძალავს? რა — ცუდად ჟღერს თუ თანხმობენის ერთად გამოთქმა გვიჭირს? ორივე კომპოზიტია და ორივე ქართულია.

იტყვით, რაღა დროსია, ორივე რომანი გამოიცა და სათაურებიც გარკვევით აწერიაო. მეც მანდა ვარ, ვნახოთ როგორ დამკვიდრდება ქართულ ლიტერატურაში ეს სათაურები. მე კი ამ საჭირო წიგნების გამოსვლა გამიხარდა და იმტომაც შემოგეხმინათ.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ ვეტყვი მადლობას გამომცემლობა „არეტეს“.



საბა სულხანიშვილი

# მარტო მოხევის ჯარი

□

## ჯიშპარ ნიკლაურის დარიალური ეპოპია

ამ მონოგრაფიის შთამაგონებელი იორამ ლუდუშაური აღმოჩნდებოდა.

ძალიან განიცდიდა, რომ ყაზბეგის მხარეთმცოდნეობით მუზეუმში ამ ისტორიული ეპიზოდის თაობაზე დოკუმენტაცია აღარ დარჩენილიყო.

ამ ეპიზოდის:

თუ როგორ იცავდა მოხვევთა რაზმი დარიალს 1918 წლის 27 მაისიდან 15 ივლისამდე და წარმატებითაც მოიგერიებდნენ რუს ბოლშევიკთა სამხედრო ექსპანსიას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაგეგმუქრებოდა ამ უდიდესი მონაპოვრის დამხობით.

მოიგრაგნებოდა გველეშაპი, მის წინააღმდეგ კი აღიმართებოდა მოხალისე მესაზღვრეთა 60-კაციანი რაზმი (უნგრეთის ფრონტიდან წამოსული ჯარისკაცები), ორი ზარბაზნითა და რამდენიმე ტყვიამფრქვევით. და მათთან ერთად იმყოფებოდნენ მოხვევებიც.

კი მაგრამ ქართული ჯარი სადღა იყო?

ოსმალებს იგერიებდნენ ბათუმისა და ახალციხის მხარეში. ასე რომ, მცირე გუნდის მხრებზე უნდა გადასულიყო ეს უმნიშვნელოვანესი ვალი წამის წინათ აღდგენილი სახელმწიფოს წინაშე — დუშეთის მაზრაში ბოლშევიკთა ჩვეული დემაგოგიით აღელვებული ხალხის ჩაშოშმინება და დარიალის გადაკეტვა მომხდურთათვის. ორ ცეცხლს შუა უპირებდნენ დარიალის დამცველებს გამომწყვდევას რუსი იმპერიალისტები, მაგრამ ორივე ცეცხლი ერთბაშად უნდა ჩანავლებულიყო ქართველ პატრიოტთა ჰეროიკული თავგანწირვის წყალობით.

იორამ ლუდუშაურს ეამაყებოდა ამ ისტორიული ეპიზოდის არსებობაც ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში და მის ოჯახის წევრთა უშუალო მონაწილეობაც იმ დრამატულ ამბებში.

მაგრამ არა კმაროდა არც მწირი, ბუნდოვანი ცნობები და არც ის ხალხური ლექსი, რომლის ხშირი ხსენებითაც გულს იოხებდა: დარიალაჩი იბრძოდა მარტო მოხევის ჯარით, გრუზავიკებით გაჰქონდა ნათოფი რუსის მკვდა-

რო, — და ვის აღარ ურჩევდა და შეაგულიანებდა ამ ისტორიული ეპიზოდის გულდასმით შესასწავლად და სრული, მიუკერძოებელი სურათის აღსადგენად.

— ცდოვლებს იმით გაფასებთ, რომ დარიალს ჩემს მამა-ბიძასთან ერთად იცავდნენ შენი პაპებიო, — ჯიმშერ ნიკლაურსაც არაერთხელ ეტყოდა და ისიც ნახალისდებოდა მასალების მოსაძიებლად. კიდეც საკმაოდ მოუყრიდა თავს და თავის შემაგულიანებელს გადასცემდა იმ მნიშვნელოვან ცნობებს, რომლებიც მოეკრიბა ვალიკო ჯუღელის დღიურებიდან „მძიმე ჯვარი“, გიორგი ლაფანაშვილის წიგნიდან „დუშეთის გლეხთა აჯანყება 1918 წელს“ და იმჟამინდელი პერიოდიკიდან; მაგრამ იორამ ლუდუშაური იუარებდა სხვისი წამუშევრის გამოყენებას და არამარტო დაბეჯითებით მოსთხოვდა, ბოლომდე მიეყვანა დაწყებული საქმე, არამედ ყურადღებასაც არ მოაკლებდა და სწორი მიმართულების შემუშავებაშიც დაეხმარებოდა.

ასე შეიქმნებოდა ეს ისტორიული ნარკვევი, რომელსაც გამოცემის ადგილად ამშვენებს ყაზბეგი.

დუშეთის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი გიორგი ლაფანაშვილი 1927 წელს გამოცემულ წიგნში თავს გამოიღებდა თავისი დამსახურებით ბოლშევიკური რეჟიმის წინაშე:

— ჩვენი მიზანი იყო აჯანყების გაფართოება, დარიალის გახსნა, თერგის საბჭოთა ხელისუფლებასთან შეკავშირება და მისი სათანადო დახმარებით მცხეთიდან თბილისზე იერიშის მიტანა და „დემოკრატიული ხელისუფლების“ ჩამოგდება.

სინამდვილეში კი — საქართველოს ხელახალი ანექსია რუსეთის მიერ.

გლეხთა აჯანყებას დაარქმევდნენ დუშეთში მომხდარ, დემაგოგიურ ფანტაზიას და გამიზნულ არეულობას და ჩვენი ქვეყნის ბედიც კინალამ უკვე საბედისწეროდ გადაწყდებოდა, აღარავინ აცდიდა კიდევ სამ წელიწადს და „აჯანყებული ქართველი ხალხის დახმარების“ მოტივით შემოჭრას ან უკვე აზერბაიჯანის მხრიდან.

ვერ გაფართოვდებოდა აჯანყება.

ვერ გაიხსნებოდა დარიალის ხეობა მათდა სასიხარულოდ და ჩვენდა სავალალოდ.

და თუ როგორ წარიმართებოდა ბრძოლები და როგორ ამოიქოლებოდა საიმედოდ ეს ხეობა, დოკუმენტური მასალების მოშველიებით ნაბიჯ-ნაბიჯაა აღდგენილი ჯიმშერ ნიკლაურის მიერ, ვინც ამ დოკუმენტურ ცნობებს შეავსებდა ზეპირგადმოცემებითაც უშუალოდ ბრძოლის მსვლელობისა თუ მის მონაწილეთა ირგვლივ, მოხდენილ სილუეტებად რომ ერწყმის გაბმულ თხრობას და ამრავალფეროვნებს გმირთა იმ გალერეით, რომელსაც ამშვენებს: ანა ფიცხელაური, ქალთა რაზმს რომ ხელმძღვანელობდა და დარიალის დამცველთა საკვებითა და ტყვია-წამლით ამარაგებდა; აგრეთვე მღვდელი ბართლომე ლუდუშაური — დარიალური ეპოპეის იდეური წინამძღოლი, რომელიც მამინ კი ცოცხალი გადაურჩებოდა ტყვეობას, მაგრამ გასაბჭოე-



ბის შემდეგ მეტეხის ციხეში ჩაადგებდნენ და სასტიკი წამებით აიძულებდნენ ღვთის გმობას, და მიზანს რომ მი-აღწევდნენ, ფანჯრიდან გადმოაგდებდნენ. ჭირისუფალნი მის ნეშტს მალულად დაკრძალავდნენ ყაზბეგის კარის ეკლესიის ეზოში, ალექსანდრე ყაზბეგის საფლავის გვერდით, ოღონდ მღვდლის სამარეს მოასწორებდნენ იმის შიშით, ვა-ითუ ბოლშევიკებმა გვამი შეურაცხყონო; აგრეთვე სიმონ შადური, ყაზბეგის მამასახლისი, პუბლიცისტიკის ასპარეზ-ზე ილიას „ივერიიდან“ რომ შემოვიდოდა ეთნოგრაფიული ნერილებით, მისი გამოსამშვიდობებელი სიტყვა კი ალექ-სანდრე ყაზბეგის დაკრძალვისას, მძაფრ შთაბეჭდილებას მოახდენდა და ბევრსაც ცრემლს მოადენდა.

მკვლევარი მის ოჯახზეც დასძენდა ორიოდ სიტყვას და საგანგებოდ აღნიშნავდა: ამ ოჯახის ისტორიაზე ალ-ბათ კარგი რომანიც დაინერებოდაო.

რატომაც არა.

თუკი იორამ ლუდუშაურის შეგულიანებამ „დარიალის დამცველთა“ შექმნა განსაზღვრა, რა გასაკვირია, ამ ჩინე-ბულმა ნიგნმა მართლაც უბიძგოს ვინმეს თუნდ ამ ისტორიუ-ლი პერსონაჟის ბედისწერის გასაშლელად რომანის ქარგაზე.

ხოლო ვალიკო ჯუღელი, გვარდიის მეთაური, ისე აღ-ტაცებულიყო მოხვევთა მხედრული სიმამაცითა და ქვეყ-ნის გადარჩენით საბედისწერო ჟამს, რომ სამების მონას-ტერში გამართულ სადილზე თავს ვერ შეიკავებდა: ჯერ მოხვევებს გაუმარჯოს და მერე დანარჩენ ქართველებსაო.

გაქრებოდა მთქმელის სახელი, დარჩებოდა ეს ფრაზა და... უკვირდათ და გაჰკვირებოდათ იმ „დანარჩენ ქართ-ველთ“, ეს რამ ათქმევინათ მოხვევებს, ვინ ისინი და ვინ ასეთი ამპარტავნებაო.

თურმე ვის და რა დროს ნარმოეთქვა და, აბა, მოხვეე-ნი რა შუაში არიან.

ისინი მხოლოდ რეალურ ისტორიულ სინამდვილეს გადმოსცემდნენ ლექსად: დარიალაჩი იბრძოდა მარტო მოხვევის ჯარით, — თორემ ვის რას დაამადლებდნენ, მი-თუფრო, ყოველმხრივ შეჭირებულ, კორიკებზე ატორტ-მანებულ სახელმწიფოს, სათავეში — ბედის სიავით — კოსმობოლიტი ყურნალისტები რომ უნდა მოვლენოდ-ნენ... და კორიკობას დამხოზამდე მიიყვანდნენ.

არ დაიკარგოს იმ უჩვეულო დღეების ქრონიკაო, — იორამ ლუდუშაური მის შემონახვას რომ ესწრაფოდა, უპირველესად იმიტომ, რომ ის გმირული სული არ მინავ-ლებულიყო და მისი უწყვეტობა კვლავაც ძალუმი ყოფი-ლიყო ხალხში.

აგერ არც დაკარგულა.

და ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვან ნიგნს უთუოდ მოჰყვება თავისი გაგრძელებანიც — ამ მხარის ჰეროიკუ-ლი სულის დამადსტურებელი და საგულისხმო ისტორი-ული ეპიზოდებითაც აღსავსე, თავთავის შთამაგონებელ-თაც და მკვლევარებსაც რომ მოელის და აღარც ეგვიანე-ბა — ხევისა და „დანარჩენი საქართველოს“ უახლესი წარსული ბევრად უკეთ უნდა ვიცოდეთ, ვიდრე ჩვენი ბუნდოვანი და ზერელე წარმოდგენაა მასზე. საამისოდ კი ყოველი კარგი ნიგნი თუ ნარკვევი გამხნეებს და ჯიმპერ ნიკლაურის „დარიალის დამცველნიც“, თავისთავადი მნიშვნელობის გარდა, ამ მხრივაც წაადგება ჩვენს საზო-გადოებრივ-კულტურულ და სულიერ ცხოვრებას.

ლორდ ბაირონი

# სტამბოლის ბაზარზე

(„ღონ შუანის“ მეოთხე თავი)

არაფერია ისეთი ძნელი პოეზიაში, როგორც დანყება, და, ალბათ, დასრულებაც; რადგანაც ხშირად, ოდეს პეგასი თითქოსდა იმარჯვებს რბოლაში, ფრთას მოიტეხს და დაღ-მა ვეშვებით, როგორც ზეციდან ცოდვისათვის დანარცხე-ბული ლუციფერი.

ჩვენი ცოდვაც ხომ იგივეა.

და ძნელია გამოსყიდვა სიამაყისა, შორს, ზევით რომ მიისწრაფის, ვიდრე ჩვენივე სისუსტე გვიჩვენებდეს თუ რანი ვართ.

მაგრამ დრო, რაც ყველას ათანასწორებს, და მწარე სი-დუხჭირე — ვიმედოვნებთ — ასწავლის კაცს და ალბათ ეშ-მაკსაც, რომ არცერთის ინტელექტი არ არის დიადი.

როცა სიყმანვილის მხურვალე სურვილები ჩქეფს ჩვენს ძარღვებში, ამას ვერ ვხვდებით, სისხლი უსწრაფესად მიე-დინება, მაგრამ როგორც კი ნაკადი ოკეანეს შეერთვის, ღრმად ვუფიქრდებით ყოველ ჩვენს ემოციებს.

ყრმობისას თავი ჭკვიან კაცად მიმაჩნდა, და მსურდა სხვებსაც გაეზიარებინათ ეს აზრი; მათაც აიტაცეს, როცა ქარაფშუტობის დღეები მედგა, და აღიარეს ჩემი მბრძანებ-ლობა; ახლა კი, როცა ზრდამ „ყვითელ ფოთლამდე“ მიად-ნია და წარმოსახვის ჩარხი აჭრიალდა და მწუხარე სიმართ-ლე ჩამოდგა მაგიდის თავზე, რაც რომანტიკული იყო, ბურ-ლესკად შემომიბრუნდა.

და თუ დავცინი რომელიმე მოკვდავ საგანს, მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიტყვო; და თუკი ვტყვი, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ბუნება ყოველთვის ვერ ინარჩუნებს განურჩე-ვლობას და ამიტომაც უნდა ჩავძიროთ ჩვენი გულეები ლეთას ნაკადულში, რათა მივაძინოთ ის, რისი ნახვაც ყველაზე ნაკ-ლებ გვსურს: თეტისმა თავისი მოკვდავი ვაჟი სტიქსში მო-ნათლა, მოკვდავმა დედამ კი ლეთას უნდა მიმართოს.

მაგანმა ბრალი დამდო უცნაურ განზრახვაში,<sup>1</sup> თითქოს ამ მიწის რწმენისა და ზნეობის წინააღმდეგ გამოვსულიყავ, და დასტურს ამ პოემის თვითთულ სტრიქონში დაეძებენ: არა მგონია, მე თვითონვე კარგად მესმოდეს თუ რას ვგუ-ლისხმობ, მაგრამ ის კი ამკარაა, რომ არაფერს ვიზრახავ, გარდა იმ სიხარულის წუთებისა, რასაც ახალი სიტყვა გან-მაცდევინებს ჩემს ლექსიკონში.

ჩვენებურ ჯანსაღ კლიმატს მიჩვეულ მკითხველს ამგ-ვარად ნერა ეგზოტიკურად მოეჩვენება.

პულჩი იყო მამამთავარი ნახევრადსერიოზული ლექსი-სა — მაშინ მღეროდა, როცა რაინდობა უფრო მეტად ნაი-კიხობურებდა, და ლხინობდა თავისი დროის ახირებულე-ბათა შესაფერად, შესაფერად ჭეშმარიტ რაინდთა, უმანკო ქალბატონთა, ვეება გოლიათთა, დესპოტ მეფეთა: მაგრამ ესენი, გარდა მეფეთა, ხომ მოძველდნენ, და მეც თანამედ-როვენი ვარჩიე, როგორც უფრო შესაფერისი.

არ ვიცი, თუ როგორ მოვერე; ალბათ ისევე, თვითონ როგორც მექცეოდნენ, როცა ამბებს წარმოსახავდნენ არა ისე, ვითარცა ხედავდნენ, არამედ ვითარცა სურდათ ეხილათ: და თუ ეს სიამოვნებას ანიჭებთ, იყოს ასე; ეს ხომ ლიბერალური საუკუნეა და აზროვნება თავისუფალია.<sup>2</sup> ამ დროს აპოლონი მინევს ყურს და მიბრძანებს, განაახლე შენი ამბავიო.

ჭაბუკი ყუანი და მისი სატრფო მარტო დატოვებს მათ გულთა ტკბილ საზოგადოებაში; უმოწყალო დროც კი გადაამტვრევდა თავის სასტიკ ცელს ამ ნაზ ქმნილებათა დანახვისას; ამოიხრებდა, რომ ეს წუთები უნდა წაერთმია მათთვის, თუმცა კი სძულს სიყვარული.

და მაინც, მათ დაბერება არ ენერათ, უნდა გარდაცვლილიყვნენ ბედნიერი გაზაფხულისას, ვიდრე ხიზლსა და იმედს ქარი წაიღებდა.

მათი სახეები ნაოჭებისათვის არ შექმნილა, მათი კამკამა სისხლი — ასამღვრევად, მათი დიდი გულები — დასადუნებლად; უსახური ნაცრისფერი ვერ შეუფერავდათ თმას, და იმ კლიმატის მსგავსად, სადაც არც თოვლი იცის და არც სეტყვა, მუდამ ზაფხული ექნებოდათ: შესაძლოა მეხი დასცემოდათ და დაფრფილიყვნენ, მაგრამ გველივით გრძელი და ლბობადი სიცოცხლისათვის არ იყვნენ გაჩენილნი, ძალზე მოკლე დღე ჰქონდათ.

კვლავ მარტო დარჩნენ.

კიდევ ერთხელ აღმოჩნდნენ სამოთხეში.

არ ილღებოდნენ თუ ერთმანეთისაგან არ დააშორებდი: წლების მანძილზე განტოტვილ ფესვთაგან მოგლეჯილი ხე, მდინარე — წყაროს მოწყვეტილი, ბავშვი — დედის კალთასა და მკერდს მოშორებული, უფრო დიდხანს გაძლებდა, ვიდრე ეს წყვილი — დაცილებული; ეჰ! არ არსებობს უფრო სავსე რამ, ვიდრე გულია — გული, რომელიც შეიძლება გატყდეს: ბედნიერნი არიან, სამგზის ბედნიერნი, შექმნილნი ამ მყიფე ადამიანური თიხის ძვირფასი ფაიფურისაგან, პირველივე დაცემით რომ ტყდება და არ მოესწრებიან ერთმანეთს გადაბმულ მძიმე დღეებს და იმ ყველაფერს, რასაც გულით ატარებ და ვერ გითქვამს; რადგანაც ცხოვრების უცნაური პრინციპი ხშირად იმათში ჩამარხულა ღრმად, ყველაზე მეტად ვინც ნატრობს სიკვდილს.

ღმერთს ვინც უყვარს, ახალგაზრდები კვდებიანო, უთქვამთ დიდი ხნის წინათ,<sup>3</sup> და მრავალ სიკვდილს ამგვარად ეგუებიან: მეგობართა სიკვდილს და უფრო საბედისწერო სიკვდილსაც — სიკვდილს მეგობრობისა, სიყვარულისა, სიყმანვილისა, ყველაფრისა, უბრალო ამოსუნთქვის გარდა; და რადგან მდუმარე ნაპირი მათაც კი უცდის, ვინც დიდი ხანია იცდენს ბებერი მშვილდოსნის ისრებს, ალბათ ადრეული სიკვდილი, რაც ადამიანს მწუხარებას აყენებს, უნდა ავიცილოთ თავიდან.

ჰაიდე და ყუანი აღსასრულზე არა ფიქრობდნენ, ზეცა, მიწა და ჰაერი თავისად მიაჩნდათ; დროს არ ემდუროდნენ, გარდა იმისა, რომ მიჰქროდა; ვერაფერს ხედავდნენ დასაძრახს საკუთარ თავში; ერთი სარკე იყო მეორის, მათ შავ თვალებში ძვირფასი თვალივით ბრწყინავდა სიხარული და იცოდნენ, რომ ბრწყინვალეა ურთიერთხილვით აღძრული გრძნობის ანარეკლია.

ნაზი მოხვევნა და აღმგზნები შეხება, შეხედვა, როცა სიტყვებზე მეტად თვალებით გესმის ყველაფერი, და მეტი არაფრის თქმა არაა საჭირო; ენაც — ჩიტებივით — მარტოდენ მათთვის გასაგები, თითქოსდა შეყვარებულთა მი-

ერ შექმნილი გრძნობათაგან; ტკბილი მოფარფატე ფრაზები, რაც სისულელედ მოეჩვენებოდათ მათ, ვისაც მათი აღქმა აღარ ძალუძოთ, ან არასოდეს სმენიათ.

ეს ყველაფერი მათ ეკუთვნოდათ, რადგან ჯერაც ბავშვები იყვნენ, და მარადის ბავშვებად დარჩებოდნენ; იმისათვის არ გაჩენილიყვნენ, რომ ნამდვილ სამყაროს შეერთებოდნენ, საქმიანად შეეცნათ მოსაწყენი სცენები, არამედ ანკარა წყაროდან შობილ ფერიასა და მის სატრფოს ჰგავდნენ, უხილავთ, თავისი სიცოცხლე ყვავილებსა და ჩქერებში რომ უნდა გაეღიათ, და არასოდეს ეგრძნოთ ამქვეყნიური დროის სიმძიმე.

დაე გადაგორებულიყვნენ ცვალებადი მთვარეები, ისინი მაინც უცვლელნი ამოანათებდნენ ისეთი სიხარულით, როგორც არასოდეს განუცდია ირგვლივ არავის; იმათ კი არა ჰგავდნენ, მოყირჭება რომ სჩვევიათ გადაჭარბებით, ცვალებადი ბუნების მქონეთ, არაფერი რომ არ აკმაყოფილებთ და ამით ანგრევენ სიყვარულს, ურთიერთლტოლვას, როცა ალერსი კიდევ უფრო განდომებს ალერსს.

მშვენიერებაა!

და იშვიათობაც, რაკი მშვენიერებაა;

იმგვარი სიყვარული დაუფლებოდათ, როცა გონება ნეტარებას თავდავიწყებაში ჰპოვებს, როცა ძველი სამყარო მოსაწყენი ხდება, და მოგებზრდება მისი მჭახე ხმები და სანახაობა, ინტრიგები, სასკოლო თავგადასავლები, წვრილმანი ვნებანი, ქორწინებანი, ლტოლვანი, როცა ჰიმენეს ჩირაღდანი კიდევ ერთ კახასს წაახალისებს, ვისმა ქმარმაც მხოლოდ ის იცის, ბოზი არ არისო.

მძიმე სიტყვებია, მწარე სიმართლე, რაც მრავალთათვის ცნობილია. მაგრამ საკმარისია. მოსიყვარულე და მშვენიერი წყვილისათვის თვითული საათი ძალზე სწრაფად გარბოდა; ნეტა რამ იხსნა ყოველგვარი საზრუნავისაგან? ყმანვილური განცდები ყველას ჰქონია, რაც გამქრალა სხვებში, მაგრამ მათგან განუყრელი იყო — რასაც ჩვენ, მოკვდავნი რომანტიკულს ვუწოდებთ, და ყოველთვის გვშურს და თავქარიანობა გვეგონია.

სხვებისათვის ეს ხელოვნური ყოფაა, ყმანვილობისა და ბევრი კითხვისაგან მოგვრილი ოპიუმისებრი ზმანება, მათთვის კი — ბუნებრივი: მათი ნორჩი გულები ჯერ რომანთა კითხვას არ განეგმირა, ჰაიდეს განსწავლულობა ხომ დიდი ვერაფერი გახლდათ, ხოლო ყუანს წმინდა წიგნებს ასწავლიდნენ.

ამრიგად, მათი სიყვარული სხვა არაფრით გამოწვეულიყო, მხოლოდ ბუღბუღებითა და მტრედებით.

მზის ჩასვლას გაჰყურებდნენ, ყველასათვის ძვირფას საათს, მაგრამ მათ თვალთათვის — უძვირფასესს, რადგანაც მან მოიყვანა აქ, სადაც იმყოფებოდნენ; სიყვარულმა სწორედ ასეთი ცის ქვეშ მოიცვა პირველად, და ბედნიერება მემკვიდრეობასავით ერგოთ, და მწუხრმა იხილა ისინი შეკრულნი ვნების ნასკვით; ერთმანეთით მოხიბლულთ ყველაფერი აღიტაცებდათ, რაც წარსულს ახსენებდათ.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჟამს მას დამისა, ოდეს მზის ჩასვლას გაჰყურებდნენ, რაღაც ცახცახი შეეპარა მათ ტკბობით სავსე გულებს, თითქოს ქარმა შეარხია ჩანგის სიმი თუ ცეცხლის ალი, როცა ერთი შერხევა ბგერას ინვევს და მეორეს ხედავ; თითქოს რაღაც ავისმომასწავებელმა დაუარა ორივეს სხეულს, და ყუანს ჩუმი კვნესა აღმოხდა, ხოლო ჰაიდეს თვალს კურცხალი მოსწყდა.

ის დიდი, შავი წინასწარმეტყველი თვალი თითქოს თან მიჰყვებოდა მზეს შორ გზაზე, თითქოს მათი პაემანის უკანასკნელი ბედნიერი დღე — ვრცელი, კაშკაშა შარავანდით გარემოცული — წასულიყოს; ჟუანი თვალს აყოლებდა, თითქოს ეკითხებოდა, რა მელისო, სევდას გრძნობდა და მიზეზი ვერ გაეგო, და მზერით პატიებას სთხოვდა ჰაიდეს, უმიზეზო და გაუგებარ გრძნობათა გაჩენისათვის.

ჰაიდე ჟუანს მიუბრუნდა და გაუღიმა იმგვარი ღიმილით, სხვის ღიმილს რომ არ აღძრავს, და ისევ შეტრიალდა, რაღაცა განცდამ შეძრა წამიერ, მაგრამ სიბრძნითა და სიამაყით დაძლია, და როცა ჟუანმა დაილაპარაკა, რაღაც საერთო გრძნობის გამოსათქმელად, მიუგო:

— ჰო, თუ ასე იქნა, მაგრამ... ვერა... ან, ბოლოს და ბოლოს, მე ვერ მოვესწრები.

ჟუანს სურდა შეჰკითხვოდა, მაგრამ ჰაიდემ კოცნით ბაგე დაუხშო და ასე გააჩუმა, მერე ამინი ამოუშვა მკერდიდან, თითქოს რაღაც იწინასწარმეტყველა ამ მგზნებარე კოცნით.

ეს მეთოდი უთუოდ საუკეთესოა, ზოგს ღვინო ურჩევნია და არცა სცდება; ორივე გამისინჯავს, და ვისაც სურს, თვითონაც სინჯოს, არჩევანი მოუწევს თავის ტკივილსა და გულის ტკივილს შორის.

ორთაგან ერთი უნდა აირჩიო — ქალი ან ღვინო, და გასინჯო; ორივე სნეულებაა და ხარკად აწვება ჩვენს ბედნიერებას: არა მგონია, ვიცოდე, თუ რომელი უნდა ავირჩიოთ; და თუ მაინც ჩემმა ხმამ უნდა გადაწყვიტოს, ორივე მხარეს ბევრი მიზეზი მეგულება, და თუ ისე უნდა გადაწყვიტო, რომ არცერთი არ დაზარალებს, სჯობს ორივე იყოს, ვიდრე არცერთი.

ჟუანი და ჰაიდე ერთმანეთს შესცქეროდნენ უტყვი სინაზის მონანავე მზერით, რაშიც არეული იყო ყველანაირი გრძნობა — მეგობრობისა, ბავშვობისა, სიყვარულისა, ძმობისა, ყველაფრისა რაც შეერევა და გამოხატავს საუკეთესოს, როცა ორი წმინდა გული შეერთდება და აღივსება გადამეტებული სიყვარულით და ნაკლები სიყვარული არც შეუძლიათ; და თითქმის კურთხეულია ეს ტკბილი გადამეტება, უკვდავი ნებითა და დალოცვის ძალით.

ხელებგადაჭოდბილი და გულებშეერთებულნი რატომ მაშინ არ უნდა გარდაცვლილიყვნენ?

დიდხანს ცხოვრება მოიტანდა საათს, რაც განშორებას მოითხოვდა; წლები მოიტანდა სისასტიკესა და სიმახინჯეს; ეს ქვეყანა მათთვის არ გახლდათ, და არც ამქვეყნიური ხელოვნება მგზნებარე არსებათათვის, როგორც საფო მღერის; ისეთი ღრმა სიყვარული გაჩენილიყო მათში, სულიერს მოჰგავდა და არა გრძნობისმიერს.

იცხოვრებდნენ უღრან ტყეში, უხილავნი მოგალობე ბულბულივით; შეუფერებელნი იყვნენ ამ გადაჭედილ მარტოობაში, სოციალურ ცხოვრებას რომ ვუნოდებთ, შეუფერებელნი იყვნენ სიძულვილის, ცოდვისა და ფუსფუსის ადგილისათვის; რაოდენ მარტოსულია თავისუფლებისათვის დაბადებული კვერცხებზე მჯდარი არსება! ნაზი მგალობელნი წყვილად იბუდებენ; არწივი მარტო ბოინობს ცაში; თოლია და ყვავი მძორზე გროვდებიან, მიწაზე, ადამიანებვით.

და ახლა ლოყა-ლოყავზე მიდებულენმა, ჰაიდემ და ჟუანმა, ნასამხრალს ოდნავ ჩათვლიმეს, ღრმად არ ეძინათ, უეცრად რაღაცამ შეაკროთ ჟუანი და წამოიწია; ჰაიდეს მძინარე ტურები უტყვად ბუტბუტებდნენ წყაროსავით, და

მისი სახე ნიათი შერხეული ვარდის ფურცლებით მშვენობდა ძილში.

ან ქარგადავლილი ალპიური მდგელოსავით დეღავდა; რაღაც მისტიკური ძალა გვიპყრობს ძილში და ჩვენი სულისთვის სანუკვარს მოგვაშორებს; უცნაური ყოფაა! (რადგანაც ჯერ არ მოსულა) ვერ შეიგრძნობ და თვალთაც ვერ დაინახავ.

ესიზმრებოდა, რომ მარტო იყო ზღვის ნაპირზე, კლდეზე მიჯაჭვული; ვერ გაეგო, რატომ, მაგრამ ადგილიდან ვერ იძროდა, ზღვის ღრიალი იზრდებოდა, ტალღები იქორებოდნენ და სასტიკად ემუქრებოდნენ, უკვე ტურებამდე სწვდებოდნენ; კენესით ცდილობდა ამოესუნთქა და მაგრამ უკვე თავზე გადასდიოდა, დაუნდობლად ეხლებოდნენ, მაგრამ არა კვდებოდა.

მალე დაიხსნა თავი, მაგრამ უეცრად ეკლებში აღმოჩნდა, ფეხებს რომ უსისხლიანებდა, და ყოველ ნაბიჯზე ბორძიკობდა; და რაღაც ეფინებოდა ფეხქვეშ, რასაც უნდა გაჰყოლოდა, თუმც კი ეშინოდა; თეთრი იყო და გაურკვეველი, ვერ არჩევდა, ვერ აღიქვამდა, და მაინც მისჩერებოდა და ცდილობდა მიწვდომოდა, მისდევდა, მაგრამ ვერ ენეოდა.

სიზმარი შეიცვლებოდა.

მღვიმეში იდგა, რომლის კედლებიც მოფენილიყო მარმარილოს ლოლუებით, წარმოშობილით საუკუნეთა მანძილზე დადენილი წყლით, სად ტალღები იჭრებოდნენ და სელაპები აფარებდნენ თავს და მრავლდებოდნენ; თმიდან წვეთები სცვიოდა და თვალის კაკლები დასიებოდნენ ცრემლებისაგან, უკუნი იყო, ეგონა, ბასრი კლდეები იჭერენ თეთულ დავარდნილ წვეთს და მარმარილოდ აქცევენო.

და სველი და ცივი, უსიცოცხლო, იმ ქაფივით ფერმკრთალი, წარბებზე რომ შერჩნოდა, და ჰაიდე კი ამაოდ ლამობდა მოეწმინდა (რა ტკბილი იყო ერთდროს მისი მზრუნველობა და რა ამაო მოჩანდა ახლა!). ჰაიდეს ფერხითი ესვენა ჟუანი, მისი გული აღარ ფეთქავდა, და ზღვა უგალობდა სულთათანას, სირინოზთა სიმღერასავით, და ეს ხანმოკლე სიზმარი თითქოს მთელი სიცოცხლე გრძელდებოდა.

და მიცვალებულს რომ დაჰყურებდა, ეგონა, სახე უქრებაო, ან იცვლება და მამაჩემს ემგვანებაო, და თვითეული ნაკვთი ლამპროსას ემსგავსებოდა, მის გამოცდილ, გამჭრიას მზერას და ბერძნულ ლაზათს.

შემკრთალმა გამოიღვიძა და რას ხედავს?

ო, ზეცის ძაღლი! ვის პირქუშ თვალებს შეეფეთა?

ეს ხომ მამამისია, წყვილს რომ დასცქერის!

მაშინ კი კვილით წამოხტა და კვილითვე დაეცა, სიხარულითა და მწუხარებით, იმედითა და შიშით, რაკი იხილა იგი, ვინც უკვე ოკეანის სიღრმეში დამარხული ეგონა, მკვდრეთით აღმდგარი, ვინც სიკვდილს მოასწავებდა მისი, ვინც ასერიგად უყვარდა, ძვირფასი იყო ვითარცა ადრე მამა ჰაიდესათვის.

და ეს იყო შემზარავი წუთი.

მინახავს მსგავსი, მაგრამ არ ვაგვიხსენებ.

ჟუანიც წამოხტა ჰაიდეს მწარე კვილზე, და რომ დაინახა თუ როგორ დაეცა მისი სატრფო, კედლიდან ჩამოგლიჯა მახვილი, რათა სასწრაფოდ ეძია შური; ლამპრომ კი, ვისაც აქამდე კრინტი არ დაეძრა, ზიზლით გაიციინა და უთხრა:

— ათასი იატაკიანი ელოდება ჩემს სიტყვას; დანიე, ყმანვილო, ეგ სულელური ხმალი.

და ჰაიდე შემოეხვია.

— ჟუან, ეს, ეს ლამბროა, მამაჩემი! დაიჩოქე ჩემთან ერთად... იგი მოგვიტევენ... დიახ... უნდა მოგვიტევეს... დიახ. ო! ძვირფასო მამავ, ტკივილისა და ნეტარების ამ აგონიაში... მაშინაც კი, როს ვეამბორები შენი სამოსის ნაოჭებს, ნუთუ შეიძლება, რომ ეჭვქვეშ დადგეს ჩემი ქალიშვილური სიხარული? მიყავ, რაც გენებოს, ოლონდაც დაინდე ეს ჭაბუკი.

ბერიკაცი იდგა შემართული და შეუცნობელი, ხმაც მშვიდი ჰქონდა და თვალებიც, რაც ყოველთვის არ მიაინიშნებს მშვიდ ბუნებაზე; შეხედა ჰაიდეს, მაგრამ არ უპასუხა; შემდეგ ჟუანისაკენ შებრუნდა, ვის ლოყებსაც დრო და დრო აწვებოდა სისხლი, რაკი გადანყვეტილი ჰქონდა მომკვდარიყო; იარაღით ხელში იდგა შემართული, რათა შეეცა პირველივე მტრისათვის, ვინც ლამბროს დაძახილზე მივარდებოდა.

— ხმალი დაუშვი, ჭაბუკო, — კიდევ ერთხელ გაიმეორა ლამბრომ, — ეგ არ მოხდება, ვიდრე ხელი თავისუფალი მაქვს.

ბერიკაცი გაფითრდა, მაგრამ არა შიშისაგან, ქამრიდან დამბაჩა ამოიღო და თქვა:

— მაშ შენი სისხლი შენს კისერზე იყოს.

და დაჰხედა ჩახმახს, კაჟი ახალი თუაო, რადგანაც ამას წინათ მოეხმარა, და მერე მშვიდად შეაყენა ფეხზე.

უეცრად გაისმა უცნაური მჭახე ტკაცუნის დამბაჩის ფეხზე შეყენებისა, როცა ხედები, რომ წამიც და ძნელი იქნება გაიხედო თორმეტიოდე იარაღის დაშორებით; ჯენტლმენტა მანძილია, არც ისე ახლო, თუკი ძველი მეგობარი მტრად გაგხდომია; და გესერიან ერთხელ თუ ორჯერ, ყური უხემდება და ირლანდიურს ემსგავსება.

ლამბრომ დაუმიზნა და ერთი წამით შეაჩერა ეს ქება და დონ ჟუანის სუნთქვა, როს ჰაიდე წამოვარდა და წინ აეფარა თავის ყმანვილკაცს; ისეთივე შეუდრეკელი, როგორც მამამისი:

— მე მესროლე, — წამოიძახა, — დაე მოვიდეს სიკვდილი, ჩემი ბრალია; ამ საბედისწერო ნაპირზე ვიპოვე, თუმც არ ვეძებდი. მე ავირჩიე ჩემი ბედისწერა; მიყვარს, მოკვდები მისთვის: ვიცოდე შენი უდრეკი ხასიათი, იცოდე, შენს ქალიშვილსაც მაგვარი ბუნება აქვს.

სულ რაღაც წუთის წინათ ცრემლად იღვრებოდა, ნაზად, ბავშვურად ტიტინებდა; ახლა კი უშიშრად და გამომწვევად იდგა, ფერმკრთალი, ნაქანდაკარი, მტკიცე, დარტყმის არადრამდეები; შემართულიყო, დაეძლია სქესის სისუსტე, გატოლებოდა კაცებს, რაც კიდევ უფრო ამშვენებდა, და თვალის გაესწორებინა მამისათვის — მაგრამ მისი ხელის შეჩერება არ შეეძლო.

თვალს თვალში უყრიდნენ, და, საკვირველია, როგორ ჰგავდნენ ერთიმეორეს! ერთნაირი გამომეტყველება ჰქონდათ — პირწმინდად ველური, ოდნავი განსხვავებით — დიდ შავ თვალელებში საერთო ცეცხლი გიზგიზებდა; ჩანდა, ჰაიდეს შეეძლო შური ეძია ძუ ლომივით, თუკი დასჭირდებოდა, მამისადმი მორჩილი სისხლი ამბოხდა და დაამტკიცა, შენი ჯიშისა ვარო.

გითხარით, ჰგავდნენ-მეთქი ერთიმეორეს, ჰგავდნენ ნაკვებებითა და აგებულებით, განსხვავდებოდნენ სქესითა და ასაკით; ხელებიც კი ერთნაირად დახვეწილად, რაც წმინდა სისხლს მოსდგამს; და ახლა, როცა გაყრილი მძვინვარედ იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, ნაცვლად — სიხარულის ცრემლებით მიგებებოდნენ, ვხედავთ თუ რას ნიშნავს, რომ მწვერვალს აღწევს.

მამა შეყოვნდა, შემდეგ დაუშვა იარაღი, მაგრამ არ შერხეულა და თვალის არ მოუშორებია ჰაიდესათვის, თითქოს თვალთ უნდა გახვრიტოსო.

— მე არ მსურდა ამ უცხოელისათვის ავი, — თქვა მან, — მე არ დამიქცევია ოჯახი; ცოტა თუ მოითმენს ასეთ შეურაცხყოფას და არ მოკლავს; მაგრამ ჩემი მოვალეობა უნდა აღვასრულო, ისევე, შენ როგორც შენი შეასრულე, ანმყო წარსულს ეყრდნობა.

— დაუშვას იარაღი, თორემ მამა ნუ წამინწყდება, მაგისი თავი შენს წინ ბურთივით დაგორდება!

სასტვენს მისწვდა და ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ჩაჰბერა; მაშინვე გაისმა პასუხი და მისი რაზმის ოციოდე თავით ფეხამდე შეარაღებული მეზობლი შემოვარდა უნესრიგოდ, მაგრამ შეუპოვრად და რიგრიგობით;

და მან უბრძანა:

— შეიპყარით ან მოჰკალით ფრანგი.

მერე ელვისებური მოძრაობით სტაცა ხელი თავის ქალიშვილს, ჩაბლუჯა მკლავებით და მათ შორის კი ჩადგა ეკიპაჟი; ამაოდ იბრძოდა მამის მკლავებში, გველივით რომ შემოსალტოდნენ; მეკობრეთა ჯგუფი კი მსხვერპლს დაესხა თავს, როგორც ხლართი ასპიტა.

პირველი დაეცა მარჯვენა ბეჭტაჩეხილი.

მეორეს ლოყა გადაეხლიჩა.

ხოლო მესამემ, ფრთხილმა ძველმა მოხმალავემ, მოქნეულ მახვილს სააბორდაჟო ხმალი დაახვედრა და თვითონ დაჰკრა.

ასე რომ, ნახეთ რა მოხდა — ორი მეკობრე ძირს ეგდო უძღლური, სისხლი ნაკადულივით გადმოჩქეფდათ, ხმლის ორი ოსტატური დარტყმით: ერთს — მხარში და მეორეს — თავში.



მხატვარი მალხაზ იაშვილი



მერე იქვე შეკრეს ჟუანი და სახლიდან გაიყვანეს ლამბროს ნიშანზე, ზღვის ნაპირისკენ გაუყენეს, სადაც რამდენიმე გემი იდგა — მზადყოფი ცხრა საათზე გასაცურად. ნავში ჩაანვინეს, ნიჩბები აამუშავეს, მწკრივში მდგომ გალიოტებამდე მიცურეს და ერთ-ერთზე აიყვანეს, ტრიუმში ჩააგდეს და ფხიზელი ყარაული დაუყენეს.

ნუთისოფელი საესეა უცნაური ახირებულობებით, და, აი, ერთი ყველაზე უსიამოვნო მათ შორის: ახალგაზრდა, ლამაზი, მდიდარი და ცხოვრების სიკეთით საესე ჯენტლმენი, ამქვეყნიური სიამოვნებით ტკობობისას, როცა ყველაზე ნაკლებ მოელოდა ავს, უეცრად ზღვას გაუყენეს, დაჭრეს, დაბორკეს და ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ქალს შეუყვარდა.

ცოტა ხანს დავტოვებ, რადგან პათეტიკა შემეპარა, ცრემლთა ჩინურმა ნიმფამ წამიტყუა, მწვანე ჩაიმი! კასანდრასეულ წინასწარმატყველებას მომაშორა; რადგანაც თუ სამ ფინჯანზე მეტი შევსვი, ვგრძნობ, გული სინაზით მევსება და დასახმარებლად შავ ბოჭვა ჩაის უნდა მივმართო: სამწუხაროა, რომ ღვინო შოვოთიანს გვხდის, აი, ჩაი და ყავა კი მეტ სიღინჯეს გვძენს.

მანამდე, სანამ შენ დაგიწყვილებოდე, კონიაკო! ტკბილო ნიადავ ფლეგეტონური წყაროსი! აჰ, ნეტა რატომ უტევ ღვიძლს და სხვა ნიმფებით ასნეულებ შენს მეტრფეთ? თავს შევფარებდი მსუბუქ პუნშს, მაგრამ ვნადგურდები (ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობით), ოდეს ვივსებ, შუალამის მშვიდობიან ჟამს, სასმისს პირამდე, და მეორე დღით მეღვიძება მძიმედ დასნეულებულს.

ღონ ჟუანს ვტოვებ ახლა დაცულს, ჯანსაღს კი არა, მძიმედ დაჭრილს; და მაინც, მისი ხორციელი ტკივილები ნახევრად მაინც გაუტოლდება ჰაიდეს ჭრილობებს, გულს რომ უძიძგნიდა? იგი სხვებს არა ჰგავდა, რომ ეტირა, ეკივლა და ლოყები დაეხოკა, და მერე დაშოშმინებულიყო, და-მორჩილებულიყო გარშემორტყმული; დედა მავრთაგანი ჰყავდა, ფეზიდან, სადაც ყოველი ედემია ანუ უდაბნო.

იქ დიდი ზეთისხილის წვიმები ავსებენ მარმარილოს თალებიან ქარვისფერ ბეღელს; იქ ხორბალი, ყვავილები და ხილი ამოდის მიწიდან, ვიდრე დედამიწა ბრუნავს; მაგრამ იქვე მრავალ შხამიან ხესაც გაუდგამს ფესვები და შუალამისას ისმენს ლომის ღრიალს, გრძელი, გრძელი უდაბნო წვავს აქლემთა ფლოქვებს, ან ქვიშას აყრის განწირულ ქარავანს; და როგორც ნიადაგია, ისეთივეა ადამიანის გულიც.

აფრიკა მთლიანად მზისაა და, მიწისა არ იყოს, კაცის დღეებიც გიზგიზებს; აღსავსეა სიკეთისა და ბოროტის ძალით, დაბადებიდან იწვის მავრის სისხლი და ასე მონაწილეობს პლანეტის დრო-ჟამში; და როგორც ნიადაგს აქვს განძი სიღრმეში, მშვენიერება და სიყვარული მოჰყოლოდა ჰაიდეს დედას მზითვად, ხოლო მისი დიდი შავი თვალები ძლიერ ვენებას ასხივებდნენ, მიძინებულს წყაროსთან ჩასაფრებულს ლომივით.

ქალიშვილი უფრო მშვიდი ბუნებისა გახლდათ — ზავსულის ღრუბელივით, ვერცხლისფერი, ხავერდოვანი და ლამაზი რომაა, მაგრამ მაინც დამუხტულია ჭექა-ქუხილით, რითაც შიშსა ჰგვრის დედამიწას და ქარიშხალს უგზავნის ზეცას; იგი აქამდე მშვიდად მიუყვებოდა ირმის ნახტომს, მაგრამ აღივსო ვნებითა და იმედდაწყვეტით, ცეცხლი აენტო მის ნუმიდოურ ვენებში, ვითარ სამუმი გადაუვლის ხოლმე დაქცეულ დაბლობს.

უკანასკნელი, რაც იხილა, ჟუანის ჭრილობიდან გადმოდინარე სისხლი იყო, თვით ჟუანი კი დამარცხებული და ნაქცეული; სისხლი დიოდა იატაკზე, სადაც მანამდე დააბიჯებდა ჰაიდეს მშვენიერი სატრფო; ეს დაინახა ერთი წამით და მორჩა, მისი ბრძოლა ერთი კონველსური კენესით დასრულდა; მამის მკლავთაგან, ძლივას რომ იჭერდნენ, დაეცა მოჭრილი კედარივით.

ვენები დაუსკდა და ტუჩების კრიალა შეფერილობაზე გადმოსახსა სისხლმა, თავი ჩამოჰკიდა ზედმეტი წვიმისაგან დათრგუნული შროშანივით; მოახლეებს დაუძახეს, რათა თვალებჩამქრალი ქალბატონი სანოლში გადაეყვანათ; სამკურნალო ბალახები მოარბენინეს, მაგრამ ვერაფერი უშველეს.

სიცოცხლე მიდიოდა, სიკვდილი ჯერ არა ჩანდა.

დღეები იწვა ასე უცვლელი, ცივი; სიცოცხლის ნიშანი არ ეტყობოდა, თუმც ტუჩებს შეენარჩუნებინა სინითლე; პულსი აღარ სცემდა, თუმც სიკვდილი ჯერ არ მოდიოდა; არა ჩანდა ის შემზარავი ნიშნები, რაც მიახვედრებდათ, გარდაიცვალაო; არ ჩანდა ლპობა, და ეს კიდევ იძლეოდა იმედს; მისი მშვენიერი სახე ჯერაც სიცოცხლეზე ფიქრებს აღძრავდა, რადგანაც სული აღბეჭდილიყო და მიწის კერძი ჯერ მთლად არ შექმნილიყო.

წარმმართველი ვნება, რასაც კარგად დამუშავებული და დახვეწილი მარმარილო გვიმოჟღავნებს, იქვე რჩება, როგორც მარმარილოს უცვლელი ნიშანი, მშვენიერი ვენერა იქნება, მარადიული ტროას ლაოკოონი თუ მომაკვდავი გლადიატორის გამოხედვა, მათგან გამოსხივებული ცოცხალი ენერგია მოუხვეჭს სახელს, მაგრამ ეს სიცოცხლე არ არის, ისინი იქვე რჩებიან.

ბოლოს და ბოლოს გაიღვიძა, მაგრამ არა ვითარცა მძინარმა, უფრო ვითარცა მკვდარმა, რადგან სიცოცხლე რალაც ახლად მოეჩვენა, უცნაურ განცდად, რაც მას უნდა-არუნდა შეეხებოდა, რადგან მხედველობას რაც მოჰყვა, მოგონებას არ აღუძრავდა, არამედ მძიმე ტკივილი აწვა გულზე, რომლის ძვერასაც თან მოჰქონდა უმიზეზო განცდა ტკივილისა, როცა მცირე ხნით მძვინვარება ჩერდებოდა.

მრავალ სახეს ხედავდა ცარიელი მზერით, მრავალ ნიშანს გამორჩევიდა, მაგრამ არსს ვერ იგებდა, ხედავდა, დამცქერიაო, მაგრამ არ იცოდა, რატომ, ვერც ის გაეგო თუ რატომ შემოეწყნოთ გარს მუთაქები; ლაპარაკი შეეძლო, მაგრამ კრინტსაც არა ძრავდა, ოხვრაც კი არ გასცემდა მის ფიქრებს; დუმილიცა და სწრაფი მეტყველებაც ამაო იყო მოფუსფუსეთა; არაფრით ნიშანს არ იძლეოდა, რომ საფლავი დაეტოვებინა, გარდა სუნთქვისა.

მოახლეები თავს დასტრიალებდნენ, მას კი არაფერი სჭირდებოდა; მამა მისჩერებოდა, იგი თვალს არიდებდა, ვერც ცოცხალს არჩევდა, ვერც საგანს — მისთვის ძვირფასსა და საყვარელს, ოთახიდან ოთახში გადაჰყავდათ, მაგრამ ყველაფერი დავიწყებოდა; იწვა ნაზი და მესხიერებადაკარგული; მისი თვალები რომელთა გამოცოცხლებაზე სურდათ ძველი მოგონებებით, შიშით ივსებოდნენ.

მერე ერთმა მონამ მოიფიქრა, არფის ხმა მოვასმენინოთ; მოვიდა არფის დამკვრელი, მომართა საკრავი და პირველივე მძაფრსა და უჩვევ ნოტებზე ჰაიდეს თვალები წუთით მუსიკოსს მიაჩერდა, მერე კედლისაკენ შემოუბრუნდა, თითქოს გაერიდა ფიქრებს ნუხილისა, მის გულს რომ

უკან დაუბრუნდა; მუსიკოსმა კი დაიწყო გრძელი სიმღერა უძველეს ჟამზე, როცა ტირანია ჯერ ვერა მძლავრობდა.

მაღე ჰაიდეს სუსტი, დაქანცული თითები კედელზე აკაკუნდა, მუსიკის რიტმში.

მუსიკოსმა გამოცვალა თემა და იწყო სიმღერა სიყვარულზე.

ამ სასტიკმა სიტყვამ მოიცვა ჰაიდეს მეხსიერება; გაცოცხლდა სიზმარი, გაიხსენა თუ ვინ იყო, თუკი ამასაც ყოფნა ჰქვია; ცრემლებმა იწვიმა მისი ღრუბლით მოცული გონებიდან, თითქოს მთის ნისლებიდან წამოვიდა წვიმა.

ხანმოკლე ნუგეში გამოდგა, ამაო შვება! ფიქრები მსწრაფლ აირივნენ, სიშმაგე მოედო გონებას; ვერავინ რომ ვერ წარმოიდგენდა მისებრ სნეულისაგან, ფეხზე წამოიჭრა და მტრებივით დაერია ყველას, ვისაც შეეჩეხა; არც სიტყვა დასცდენია, არც უყვირია, თუმც კი სიშმაგის შეტევას უნდა ხლებოდა, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს, როცა ძირს დასცეს, რათა ეშველათ.

დროდადრო ერთიანად უარს ამბობდა რაიმეს შეგრძნებაზე; ვერაფერი აიძულებდა მამისთვის შეეხედა. თუმც ყველაფერს დაჟინებით მისჩერებოდა, მაინც ვერაფერს აღიქვამდა; საკვებზე უარს ამბობდა, სამოსის გამოცვლაზეც; არაფერი სურდა, არც ადგილის გამოცვლას ითხოვდა, არც დრო აღელვებდა, ვერც ხელოვნება და ვერც წამალი ვერ აძინებდა, ძალ-ღონე მთლიანად გამოსცლოდა.

თორმეტი დღე და თორმეტი ღამე ჭკნებოდა ასე, დაბოლოს, ოხვრისა და კვნესის, უკანასკნელი გამოხედვის გარეშე უეცრად აღმოხდა სული; და მის ახლო მდგომთ ვერ შენიშნეს ეს წამი, მანამდე, სანამ ცვლილება დაეტყობოდა მის მშვენიერ სახეს, დადუნდებოდა და გახევდებოდა, მშვენიერი შავი თვალები გაეყინა; ო, რა კაშკაშა ნათება ჩაქრა!

გარდაიცვალა, მაგრამ ცალად არ განშორებია ამქვეყნას; სხეულში ატარებდა მეორე სიცოცხლეს, მშვენიერ უმანკო შვილს ცოდვისა; ეს პანია არსება სინათლის უნახავად წავიდა ამქვეყნიდან, დაუბადებლად ჩაესვენა სამარეში, ყვავილსა და ნერგს ვითარც მოაშთობს სენი და ვედარ შევილის ზეცის ცვარ-წამი, სისხლმდინარე ყვავილსა და სიყვარულის დაქცეულ ნაყოფს.

ასე იცხოვრა და ასე აღესრულა; აღარც წუხილი შეანუხებს და აღარც სირცხვილი. მას არ შეეძლო წლობით და მეტ ხანს ეტარებინა შინაგანი ტვირთი, გაეძლო იმისათვის, რაც უფრო ცივ გულს შეუძლიათ ატარონ, ვიდრე ამქვეყნად არიან; მისი დღენი და ნეტარება ხანმოკლე გახლდათ, მაგრამ დამატკობელი, ისეთი, დიდხანს რომ ვერ შერჩებოდა ბედისწერას პირისპირ, და სძინავს უმფოთველად ზღვის იმ ნაპირზე, სადაც უყვარდა ყოფნა.

ის კუნძული ახლა მიტოვებულია და უკაცური, ნაგებობანი დაქცეულია.

მოზინადრენი გარდასულნი.

მხოლოდ ჰაიდესა და მისი მამის საფლავებია, მაგრამ არაფერი გვაგულისხმებინებს აქ ადამიანის ყოფნას.

ვერ წარმოიდგენ, სად წევს მშვენიერი არსება, ვერც ქვა მიგანიშნებს, ვერც ენა მოგიტხრობს თუ რა მოხდა; არც პანაშვიდი გადაუხდია არავის, მხოლოდ უკიდევანო ზღვა შესტირის მშვენიერ ციკლადებს.

მაგრამ მრავალი ბერძენი ასული სასიყვარულო სიმღერებში ოხვრით ახსენებს ჰაიდეს სახელს; და ბევრი კუნძუ-

ლელი მამამისზე თხრობით ამოკლებს ღამეებს; იგი მამაცი იყო, ჰაიდე — მშვენიერი; თავდავინყებით უყვარდა და სიცოცხლით ზღო დანაშაული, ძვირი უჯდება ყველას ასეთი შეცდომა, ნურვინ იფიქრებს, გავექცევი ხიფათსო.

ადრე თუ გვიან თვითონ სიყვარული იძიებს შურს.

მაგრამ, ნება მიბოძეთ, შევცვალო თემა, რადგანაც მეტად დამისევდიანდა, და თაროზე შემოვდო ეს მწუხარე ფურცელი; არცთუ ძალიან მიყვარს შეშლილი ხალხის აღწერა, მეშინია, საკუთარ თავზე არ გამომივიდეს. გარდა ამისა, მეტი ველარაფერი გამოვწუე თავიდან, და რალა დავამატო; და რადგანაც ჩემი მუზა ჭირვეული ფერიია, ახალ ხაზს გავყვებით ჟუანთან ერთად, მომაკვდავი რომ დავტოვეთ რამდენიმე სტროფის წინ.

დაჭრილმა და დაბორკილმა, „ჩაკეტილმა, ჩარაზულმა, ჩამწყვდეულმა“,<sup>4</sup> ჟუანმა რამდენიმე დღე-ღამე ვერ მოიკრიბა გონება და ვერ გაიხსენა თუ რა მოხდა; და როცა გონს მოვიდა გაშლილ ზღვაში იმყოფებოდა, ექვსი კვანძის სისწრაფით მიცურავდა ქარის მიმართულებით; ილიონის ნაპირები მოჩანდა ქარის მხრიდან, სხვა დროს გაიხარებდა მათი ხილვით, ახლა კი დიდად არ დამტკბარა სიგუემის კონცხის დანახვით.

იქ, იმ მწვანე და ქოხებით დაფარულ გორაკზე (ზღვასა და ჰელესპონტს შორის რომ მოქცეულია) დამარხულია უმამაცელი მამაცთა შორის, აქილევსი.

ამბობენ (ბრიანტი არ ეთანხმება), რომ ცოტა ქვევით ჯერაც წამოზიდული ყორღანია — ვისი? ღმერთმა უწყის!

ეგებ პატროკლესი, აიაქსისა, ან პროტესილაუსის — ყველა იმ გვირის, რომელნიც გაგვყუყუადნენ, ცოცხლები რომ იყვნენ.

მაღალი მინაყრილი — არც მარმარილო და არც სახელი ამოტვიფრული, ფართო, მოუვლელი, ვაკეზე ამობურცული, შორიდან მოჩანს იდას მთა და ბებური მდინარე სქამანდერი (თუ ღვთაებაა); გარემო კვლავ მოგვიწოდებს დიდებისაკენ და ასობით ათას კაცს კვლავაც აქვს ბრძოლის მიზეზი; მაგრამ ტყუილად დავეძებ ილიონის კედლებს, ცხვარი ძოვს მშვიდად და კუ მილოდავს.

უპატრონო ცხენთა რემა; აქა-იქ პატარა სოფლები, ახალი, ძნელად წარმოსათქმელი სახელებით; მწყემსები (და არა პარისი) წამით შეხედავენ ევროპელ ჭაბუკს, ათავალჩათვალაიერებენ სკოლის მოსწავლის ინტერესით. თურქი, ხელში კრიალოსნითა და პირში ჩიბუხით, ერთიანად მოცული თავისი რელიგიით — სულ ესაა, რაც იქ მინახავს, და ვერცერთი ეშმაკის ფეხი ფრიგიელი.

აქ ჟუანი ამოუშვეს ბნელი საკნიდან და მიხვდა, მონად ვქცეულვარო.

უბედური ჩასცქეროდა ლურჯი ზღვის სიღრმეთ, სად მრავალი გვირის საფლავი იმალებოდა. ჯერ კიდევ სუსტად იყო სისხლის დაკარგვის გამო და ძლივს ამოღერლა რამდენიმე მოკლე შეკითხვა და პასუხებიდან ვერაფერი გაიგო ვერ წარსულსა და ვერც ახლანდელ ყოფნაზე.

რამდენიმე ბედის მოზიარე ტყვე დინახა, იტალიელებს მიამსგავსა და მართლაც ასე აღმოჩნდა; უამბეს, რაც გადახდენოდან, დიდად უცნაური რამ; მთელი დასი მიდიოდა სიცილიაში წარმოდგენის გასამართავად (ყველა მომღერალი იყო, გამორჩეული თავის საქმეში) და მეკობრენი კი არ დასხმინათ თავს, იმპრესარიოს გაუყიდა ჩალის ფასად.<sup>5</sup>

ერთმა, დასის კომიკოსმა, უამბო ჟუანს ეს უცნაური ამბავი; თუმც თურქთა ბაზრისათვის განწირულიყო, გულს

არ იტყვია, არ იმჩნევდა ბოლოს და ბოლოს; ეს ყმანვილი მართლაც გულიანი ჩანდა და მხიარულებასა და ლაზათს ინარჩუნებდა, და უფრო ღირსეულად მოჩანდა, ვიდრე პრიმადონა და ტენორი.

ორიოდ სიტყვით მოუთხრო ბედკრული ამბავი, უთხრა:

— ჩვენმა მაკიაველურმა იმპრესარიომ ერთ-ერთ კონცხთან ნიშანი მისცა და მოიწვია უცხო ბრიგი, „კორპო დი კაიო მარო!“ ფაცი-ფუცით გადაგვიყვანეს გემბანზე, ისე, რომ გროშიც არ შეგვარჩინეს, მაგრამ თუ სულთანს სიმღერისა რაიმე გაეგება, მალე ავინაზლაურებთ დანაკლისს.

პრიმადონა ოდნავ მობერებულყო, მოქანცულყო უნესრიგო ცხოვრებით, როცა შინ სიდუხჭირე და სიცივეა და ცოტაა სასიამოვნო ნიშნები; აქვე იმყოფებოდა ტენორის ცოლიც, ხმით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ მოხდენილი კი გახლდათ; ბოლო კარნავალზე იმდენს ცდილა, რომ გრაფი ჩეზარე კიკონა ნაურთმეგია ბოლონიის ბებერი პრინცესასთვის.

აქვე იყვნენ მოცეკვავენი; ნინი, რამდენიმე პროფესიას რომ ფლობდა და ყველას შემოსავალი მოჰქონდა; და მოცი-ნარი კახა პელეგრინი; მანაც წარმატებით იშრომა ბოლო კარნავალზე და კაი ხუთასი ცეხინი მოახვეტა, მაგრამ ისე სწრაფად ხარჯავს, ერთი გროშიც კი აღარ დარჩენია; და კიდევ გროტესკა — მოცეკვავე! ხალხის სულისა და სხეულის დამატყვევებელი.

სტატისტებს რაც შეეხება, ყველანი ერთი ჯურისანი არიან, აქა-იქ გამოურევა სასიამოვნო ტიპი, სხვებისაგან რომ გამოირჩევა, სხვებს კი სილამაზეს ვერ დააბრალებდი; ერთი იყო მალალი და სარივით ხმელი, რაღაც სანტიმენტალურ გამოხედვიანი, რაც შორს ნაიყვანდა, მაგრამ გზნებით ვერ ცეკვავდა, სამწუხაროდ, და სახე და ტანი ვერასა შეელოდა.

კაცებს რაც შეეხებათ, მეორეხარისხოვანი იყვნენ, მუსიკოსი ბებერი გახლდათ და უძლური, მაგრამ ხელობას ოსტატურად ფლობდა და ჰარამხანაში გამოდგებოდა; სიმღერა ვერაფერში დაეხმარებოდა: და პაპის მიერ ადრევე მიღებული გადაწყვეტილებით,<sup>6</sup> სამი სალამური იყო საჭირო მესამე სქესისა.

ტენორს ყალბი ხმა ჰქონდა, რაც შეეხება ბანს, ცხოველი უკეთ ბლავის, არც სიმღერის გაკვეთილები მიუღია როდისმე, უვიცი გახლდათ, უსახური, უჟმური, უსმენო ჯეელი; პრიმადონას ახლო ნათესავად ერგებოდა და იგი ჰფიცავდა: მეტად მდიდარი და მელოდიური ხმა აქვსო, — თუმც რომ მოგესმინათ, მიხვდებოდით, ვირი ყროყინებს რეჩიტატივსო.

— არა მსურს გადავლახო ჩემივე საზღვრები თავაზიანობისა, და თუმც ყმანვილკაცი ხართ, ჩანს, ბევრი გიმოგზაურიათ და ოპერაც თქვენთვის უცხო არ უნდა იყოს; რუკოკანტიზე გსმენიათ? მე გახლავართ; ალბათ მეც მომისმენთ ოდესმე; ლუგოს ბაზრობას არ სწვევიხართ შარშან,<sup>7</sup> როცა კიდევ მომიწევს იქ გამოსვლა, აუცილებლად მოდით.

სულ დამავიწყდა ჩვენი ბარიტონი. სასიამოვნო ყმანვილი, მაგრამ სიტყვაკაზმულობით გატაცებული, დახვნილმანერებიანი, მეცნიერებისა ნიშანწყალიც არ ეცხო, ხმა დიდად არ მოსძალეობდა და არც ტკბილი ეთქმოდა, ყოველთვის ემდუროდა ბედს, თუმც ქუჩაში ბალადების სამღერადაც არ ივარგებდა; სასიყვარულო საქმეთათვის ხენეშოდა, და რაკი გულს ვერა, კბილებს უჩვენებდა.

აქ რუკოკანტის მჭევრმეტყველება შეანყვეტინეს მეკობრეებმა, და ტყვეებს უხმეს, დაბრუნებოდნენ თავიანთ უბადრუკ სანოლებს; თვითეულმა მწუხარე თვალი მოავლო ტალღებს (ზღვის სილურჯეს რომ აირეკლავდნენ და აძლიერებდნენ და ცეკვავდნენ თავისუფალნი და ბედნიერნი მზის ქვეშ) და თითო-თითოდ ჩაუყვინნ ქვევით.

მეორე დღეს შეიტყვეს, რომ დარდანელში იმყოფებოდნენ და ელოდნენ მისი უდიდებულესობის ფირმანს, ყველაზე სავალდებულოს სუვერენულ უსტართა შორის, რასაც ყველა ემორჩილება განურჩევლად, და რათა უფრო დაცულნი ყოფილიყვნენ თავთავიანთ სოროებში, ერთმანეთზე უნდა გადაებათ წყვილ-წყვილად, ქალი ქალთან და კაცი კაცთან, კონსტანტინოპოლის მონათა ბაზრისათვის.

განანილებისას ისე მოხდა, რომ უცნაური კაცი თუ უცნაური ქალი შეხვდათ, ვინც (მსჯელობისა და ჩაძიების შემდგომ, შეიძლება თუ არა სოპრანო კაცად ჩაითვალოსო, ქალებში დატოვეს ბოლოს) და გადააბეს კაცს, ჩვენს ჟუანს, ვინც ასაკის ახირებულობის გამო ბაკ ქალსა ჰგავდა სახით.

რუკოკანტი, სამწუხაროდ, ტენორს მიაჯაჭვეს; ამით ისე სძულდათ ერთმანეთი ცხოვრებაშიც და სცენაზეც, რომ ამჟამინდელ უბედურებაზე მეტად მუსიკოსთან დანყვილებას დარდობდნენ; სავალალო ქიშპობა გაჩაღდა, რადგანაც ხიჭვებივით იყვნენ ურთიერთისთვის და, ნაცვლად იმისა, კამათი შეენყვიტათ და მოეთმინათ, ორივე აქეთ-იქით ინედა, „Arcades ambo“, id est — არამზადები ორივე.<sup>8</sup>

ჟუანის მენყვილე რომანოლი გახლდათ, გამოკვებილი ძველი ანკონას მარტით, ისეთი თვალევი ჰქონდა, სულში გიძვრებოდა (და სხვა განსაკუთრებული ნიშნებიც „ბელლა დონნასი“), კაშკაშა და გიზგიზა ნახშირით შავი; და მის შავტუხა გარეგნობაში იმალებოდა დიდი სურვილი ტკობისა — ქერივებს რომ რჩებათ მემკვიდრეობად, განსაკუთრებით, თუ ძალაც შესწევდა.

მაგრამ მისი ძალა ჟუანზე უქმად ცდებოდა, რადგან ჟუანის მწუხარება ამგვარ განცდებს ეწინააღმდეგებოდა; თვალნი მის თვალთ ისრებს სტყორცნიდა, მაგრამ ვერ აღანთებდა; და რაკი გადაჯაჭვულნი იყვნენ, მათი ხელები ერთმანეთს ეხებოდა და არამარტო ხელები, სხვა მშვენიერი კიდურებიც (და ამ ქალს ისეთი ნაკვთები ჰქონდა, რომ ძნელი იყო თავშეკავება), რომ შეეძლო აჩქარებინა ჟუანის პულსი, დაემსხვრია ერთგულეზა; და აწინდელი ჭრილობები დიდად ვერ შეენიწაღმდეგებოდნენ.

სულერთია, ბევრი გამოძიება არა ღირს, მაგრამ რაც მართალია, მართალია — ვერცერთი რაინდი ვერ იქნებოდა უფრო გულალალი, მტკიცე და ერთგული ქალის სიყვარულისადმი; მტკიცებულებებს გამოვტოვებთ და ორიოდეს დავჯერდებით; ნათქვამია, „ცეცხლი ხელში ჩაგიქრება თუ ყინულოვან კავკასიონზე ფიქრობო“, — გვონებ, ცოტა თუ შეძლებს არ ჩაუქრეს, — და მაინც, ჟუანმა ამჯერად ასე თუ ისე გაუძლო ცდუნებას.<sup>9</sup>

ახლა კი კეთილზნობას უნდა მოუფხმო აღწერისას, ვითარცა ცდუნებათათვის გამიძლია სიყმანვილისას, რადგან გავიგე, მრავალთ აღუწინააღმდეგებელი ორი წიგნის კითხვისას, მეტისმეტი გულახდილობააო; ამიტომ მალევე გადავიყვან დონ ჟუანს გემიდან, რადგან, როგორც გამოცემული ირწმუნება მართებულად, აქლემი უფრო იოლად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე იმ ორ სიმღერას შეუშვებენ ოჯახებში.

ჩემთვის კი სულერთია; მიყვარს თბრობა, ამიტომაც დამითმია მათთვის უფრო წმინდა საკითხავი სმოლეტისა, პრიორისა, არიოსტოსი, ფილდინგისა,<sup>10</sup> უცნაურ რამეებს რომ ამბობენ, რათა დროისათვის შესაფერისნი იყვნენ; ოდესღაც ძალიანაც მინდოდა გამეფხავებინა ჩემი კალამი პოეტური ომისათვის და მომეგონებინა იმ დროს, როცა ეს ჟარგონი საყვედურებს გამოიწვევდა, რაც ახლა არ ხდება.

ბიჭებს ხომ უყვართ ჩხუბი და მეც მიყვარდა კინკლაობა პატარაობისას, მაგრამ ახლა მირჩევნია მშვიდობიანად გავბრუნდე და ლიტერატურულ ბრბოს დავუტოვო ასპარეზი; ნუთუ ჩემი ლექსის დიდება ჩაქრება, როცა ამის დამწერ მარჯვენა ხელს კიდევ შესწევს ძალა, რომ კიდევ მოსთხოვოს საუკუნეებს აღიარება, ბალახი გაიზრდება ჩემს სამარეზე და შუალამის ქარი იკვნესებს, მაგრამ ჩემს სიმღერას ეს არ მოეღოს.

პოეტებს — უხსოვარ დროიდან, მანძილიდან და ენებიდან რომ მოაღწიეს ჩვენამდე — ბედის ნებიერთ, სიცოცხლე მხოლოდ არსებობის მცირე ნაწილად ესახებათ; ოციოდე საუკუნე ისე ეხვევა სახელს, როგორც დაგორებულ თოვლის გუნდას ეშველებიან ფიფქები და თუნდაც აისბერგისოდენა გაზარდონ, ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ცივ თოვლად დარჩება.

და დიადი სახელებიც არაფერს ნიშნავს, და დიდების სიყვარული მხოლოდ ხუმტურია, რაც ხშირად თავისი მძვინვარებით აჭარბებს სხვა ყველაფერს, ვისაც სურს აღბეჭდოს თავისი მტერი, მიუხედავად ამ უსაზღვრო განადგურებისა, ყველას რომ ასაფლავებს და არაფერს ტოვებს „სამსჯავროს მოსვლამდე“ — ყველაფერი იცვლება: ვიდექი აქილევსის საფლავზე და ჩამესმოდა ტროას შესახებ გამოთქმული ეჭვები; დრო მოვა, რომიც ეჭვქვეშ დადგება.

თაობები გარდავიდნენ და გაჰქრნენ, საფლავი საფლავს ედება, ვიდრე ხსოვნაც გაჰქრებოდეს ეპოქისა, და დასაფლავებული თავისი შთამომავლის ქვეშ იკარგება; სად არის ეპიტაფიები, ჩვენი მამები რომ კითხულობდნენ? ზოგიერთილა გადარჩა სასაფლაოს ბინდბუნდში; ერთ დროს უამრავი სახელი დღეს უსახელოდ წევს და იმრიტება ყველაფერი საყოველთაო სიკვდილში.

ყოველ ნაშუადღევს ცხენით ჩავუქროლებ<sup>11</sup> იმ ადგილს, სად გმირულად დაიღუპა ყმანცილი კაცი, დე ფუა, ვინც უდროოდ აღესრულა ადამიანური ამაოებისათვის, თუმც დიდხანს იცოცხლა ადამიანებში! გადატეხილი ზოძი, არცთუ ულაზათოდ გათლილი, რისი გაქრობაც დააჩქარებს რავენაში მომხდარი სისხლისღვრის ნიშანსვეტის გაქრობას, სარეველისა და ნავის ქვეშ, საძირკველს რომ შემოწყობია.

ყოველდღე ჩავუვლი იმ ადგილს, სად დანტეს ძვლები განისვენებენ:

მცირე რამ თალი, კობტა უფრო, ვიდრე საზეიმო, იცავს მის ფერფლს, მაგრამ აქ პოეტის საფლავს უფრო მიაგებენ პატივს, ვიდრე მეომრისას. დრო მოვა, როცა ორივე დარღვევა, წინამძღოლის ნადავლიცა და პოეტის წიგნიც ჩაიძირება იქ, სად პელიდის სიკვდილამდე და ჰომეროსის დაბადებამდე ამქვეყნად მომხდარი ომები და სიმღერები ჩაძირულა.

ადამიანური სისხლით ჩაკირულიყო ის სვეტი და ადამიანური სიბინძურით მოსვრილი, თითქოს გლეხთა უხეში ზიზღი აღჭურვილიყოს იმ ადგილის ათვალწუნების დასტურად, თვითვე რომ გაანაყოფიერა; ასე ექცევიან ნა-

დავლს და ასე იქნება გამოგლოვილი მუდამ ის სისხლიანი ჭრილობები, რომელთა სასტიკი მისწრაფება დიდებისა და სისხლისადმი.

და მათ გამო მიგებული ტანჯვა მხოლოდ დანტემ იხილა ჯოჯოხეთში.

და მაინც, ბარდები დარჩებიან, თუმც კი სახელის მოხვეჭა კვამლია, საკმეველია ადამიანური აზროვნებისათვის; და მშფოთვარე გრძნობები, რამაც პირველად გააღვიძა სიმღერა დედამიწაზე, კვლავაც ეძიებს, რასაც ეძიებდა; და როგორც საბოლოოდ შეემსხვრევა ნაპირს ტალღები, ისე მიიწვეს უსაზღვრო ვნებანი, რათა გამოზიას შეეხალონ, რაც სწორედ ვნებაა, ან იყო, ბოლოს და ბოლოს, ვიდრე მოდად გადაქცეოდა.

თუკი ისეთი ცხოვრების გზაზე, ერთ დროს სათავგადასავლოდაც რომ მიაჩნდათ და შემეცნებთადაც, კაცს, ვინც გამოსცადა ყველანაირი ვნება და შეიძინა ღრმა და მწარე უნარი — გადმოსცეს ეს ხატები ხელახლა, როგორც სარკეში, ისეთ ფერებში, თითქოს ცოცხლები არიანო, ეგებ კარგსაც იზამდეთ თუ აუკრძალავთ მათ წარმოჩენას, მაგრამ (გფიქრობ) გააფუჭებთ მშვენიერ ლექსს.

აჰ! თქვენ, ვინც წყვეტთ ბედს ყველა წიგნისა! კეთილო მდებრობითო ჩიტუნებო! ვინც გამომეტყველებით აფასებთ, იწონებთ და ავრცელებთ ახალ ლექსებს, ჯერაც არ გაგიშვივართ „ცენზურაში“?

რაო! ნუთუ უჩინარ მზარეულებში უნდა ჩავიკარგო, იმ კორნულოვლელ ბაცაცებში პარნასელთა ნარჩენებისა? ეჰ! მაშ იმ ერთადერთ მენესტრელად უნდა დავრჩე, ვისაც აკრძალული აქვს სმა თქვენი კასტალიური ჩაისა!<sup>12</sup>

რაო! გალიაში სანახავი „ლომი“ ვარ და მეტი არაფერი? საბალმასკარადო ბარდი, გრაგნილი, კალენდრის ტურფა? მოსაწყენ ქათინაურთა ამტანი, რომ ოხრავს „აჰ ვერ გამომითქვამსო“, იორიკის შოშიასავით;<sup>13</sup> მაშ გეფიცებით, როგორც პოეტმა უორდემ დაიფიცა (რაკი ქვეყნად არვინ კითხულობს, სულ ბუზღუნებს), რომ გემოვნება დაკარგულა, რომ სახელ-დიდება მხოლოდ ლატარიაა, ლურჯსამოსიანთა საზოგადოების ხელმოცარული წევრის მიერ ამოღებულია.

ოჰ! „უძირო, მუქო, მშვენიერო სილურჯევ“, როგორც უმღერის<sup>14</sup> ვილაცა ზეცას და მე კი თქვენ — განათლებულო ქალბატონებო; ამბობენ თქვენი წინდებია ამ ფერისო (ღმერთმა იცის, რატომ, მე მოვსინჯე რამდენიმე წყვილის ფერი); და ნაზად შემოჰკვრიათ ლურჯი წვივსაკრავები მარცხენა ფეხს პატრიციებისა, შუალამით რომ მხიარულებას ეთაყვანებიან და დილით მიღებას სამეფო კარზე.<sup>15</sup>

და თუმც ზოგიერთი თქვენგანი ანგელოზური ქმნილებაა, მას შემდეგ დრო გავიდა, და თქვენ, რითმებზე შეყვარებულნი, კითხულობდით ჩემს ლექსებს და მე კი თქვენს ნაკვებებს, მაგრამ რა აზრი აქვს, წარვიდა ყველაფერი და ჯერაც არ ვწუნობ განათლებულ ქმნილებებს, რაკი ხანდახან ამქვეყნიურ სიქველეთ ინახავენ; ვიცნობდი ერთ ქალს ამ მენამული სკოლიდან, საყვარელ, უმანკო, უნაკლო ქმნილებას, მაგრამ საკმაოდ სულელს.<sup>16</sup>

ჰუმბოლდტს, „მოგზაურთა შორის პირველს“, მაგრამ არა უკანასკნელს, თუ ბოლოდროინდელი ცნობები ზუსტია, გამოუგონია, დამავინყდა, რალაც დაურქმევია და ისიც დამავინყდა, როდის აღმოუჩენია, საჰაერო ინსტრუ-

მენტი, რითაც ცდილობს დაადგინოს ატმოსფერული მდგომარეობა,<sup>17</sup> იმით რომ გაზომავს „სილურჯის ინტენსივობას“.

ო, ლედი დაფნავ! გამაზომინეთ თავი.  
მაგრამ დავუბრუნდეთ თხრობას:

დედაქალაქში გასაყიდი მონებით დატვირთულმა ხომალდმა — ჩვეული პროცედურის შემდეგ — ჰარამხანის კედელთან ჩაუშვა ლუზა; მისი ტვირთი, შავი ჭირისაგან სალი და დაცული, მთლიანად ბაზარზე გაირეკეს; იქ ქართველებთან, რუსებსა და სირაკუზელებთან ერთად იყიდებოდნენ სხვადასხვა სურვილისა და საჭიროებისათვის.

ზოგიერთები ძალზე ძვირად გაიყიდნენ; ერთ სირაკუზელ კოხტა ქალწულში ათასხუთასი დოლარი გადაიხადეს; მშვენიერების ნათელი ფერებით ზეცის შეფერილობას ედრებოდა; მასზე გაჩაღებული ვაჭრობის შემდეგ ბევრი ბაქია წავიდა შინ იმედგაცრუებული, ვინც იქაჩებოდა, ვიდრე თანხა ათას ასს მიაღწევდა, მაგრამ ფასმა რომ აინია, მიხვდნენ, სულთანისთვის არისო, და მყისვე გაეცალნენ.

თორმეტ ნუბიელ ზანგის ქალს ისეთი ფასი დაედო, დასავლეთ ინდოეთის ბაზარს ძნელად თუ დაესიზმრებოდა; თუმც ვილბერფორსმა ორჯერ სცადა, ბოლოს და ბოლოს მონობის გაუქმებამდე; და ეს არცთუ შესანიშნავია, რადგან ბოროტება ყოველთვის ბევრად უფრო ბრწყინვალეა, ვიდრე მეფე; ყველაზე დიდი სიქველე, ქველმოქმედებაც კი ხელმომჭირნეა, ბოროტება კი არაფერს დაზოგავს რარიტეტის შესაძენად.

ამ ჩვენი ახალგაზრდების ჯგუფიდან კი ზოგს ფაშები ყიდულობდნენ, ზოგს ურიები, ზოგი ტვირთქვეშ ჩაიზნიქებოდა, ზოგიც რენეგატთა ეკიპაჟებში მოხვდებოდა; ეს უბედური ხალხი კი იმედოვნებდა, ძალზე ბებერი ვეზირის ხელში მაინც არ მოვხვდებიო; ქალები იდგნენ და საითაიოდ მიჰყავდათ, ან დიასახლისად ან მეოთხე ცოლად, ან მსხვერპლად.

მაგრამ ეს ყველაფერი მომდევნო სიმღერისათვის შემოვინახოთ; შემოვინახოთ ჩვენი გმირის ხვედრიც, არცთუ სასიამოვნო (რადგან ეს ქება ძალზე გაგვიგრძელდა), გადავდოთ, რადგანაც ვგრძნობ, გადაჭარბება არ ივარგებს, მაგრამ რა ვუყო, მუზამ არ დამართო ნება უფრო ნაკლები დამენერა და ახლა კი გადავდოთ დონ ჟუანის ამბავი — როგორც ოსიანთან ენოდება — მეხუთე დუანამდე.

**ინგლისურიდან თარგმნეს  
პაატა და როსტომ ჩხაიძეებმა**

**შენიშვნები:**

1. ბაირონის შესახებ მრავალი ცუდი რეცენზია იწერებოდა, საინტერესო იქნებოდა მათი შეგროვება და ხელახალი დაბეჭდვა.
2. თუ რამდენად არალიბერალურად მიაჩნდა ბაირონს თავისი საუკუნე, იხ. წინათქმამში.
3. იხ. ჰეროდოტე, მეანერის ფრაგმენტი.
4. ეს ერთ-ერთია ექვსიოდე ციტატიდან, რაც „მაკბეტიდან“ მოაქვს ბაირონს ამ ქებაში. ციტატები ბუნდოვანია, მაგქამ ქების ცალკეული ადგილები ნაცნობი გვეჩვენება პირველი ნაკითხვისთანავე. თავის ბარათებში, სხვა დროსა და ვითარებაში, როცა „დონ ჟუანს“ არ წერდა, ბაირონი გვიჩვენებს ენციკლოპედიურ ცოდნას შექსპირის შემოქმედებისა. რო-

გორც მერჩანდი მიუთითებს, ბაირონს უყვარს ნაკლებად ცნობილ და ციტირებულ ადგილთა მოხმობა შექსპირიდან.

5. ასეთი რამ მართლაც მომხდარა, მავანმა დაიქირავა დასი, ჩასხა გემში, წაიყვანა ალჟირში და გაჰყიდა. ტყვეთაგან ერთ ქალს მოუხერხდა თავის დაღწევა; ვენეციაში, 1817 წელს ბაირონს მოუსმენია სიმღერა როსინის ოპერიდან „იტალიელი ალჟირში“.

6. უცნაურია, რომ პაპიც და სულთანიც ერთნაირად უყურებდნენ ამ საქმეს, ქალებს ეკრძალებოდათ სიმღერა წმ. პეტრეს ტაძარში და სანდოდ არ იყვნენ მიჩნეული ჰარამხანის მცველებად.

7. გაურკვეველია თუ რატომ გადადის რაუკოკანტი სასაუბრო მეტყველებაზე. ეს, ეტყობა, მაღალი კლასის მიდრეკილებაა. ვფიქრობთ ბაირონი ცდილობს გვაჩვენოს ორი დენდი, ოპერაზე რომ საუბრობენ, მიუხედავად თავსდატეხილი ხიფათისა.

8. ციტატა ვერგილიუსის ბუკოლიკებიდან (არკადიელები ორივე), ამ ფრაზას ბაირონი რამდენიმე ბარათში იყენებს, როგორც ჩანს, მოსწონდა.

9. იგულისხმება, რომ გონება ხშირად ვერ აკავებს გრძობებს; ამით კიდევ ერთხელ იკვეთება ჟუანის გაოგნება.

10. ბაირონი ხელიდან არ უშვებდა შემთხვევას აღენიშნა, რომ მისი მკითხველების, განსაკუთრებით ქალების, ზნობა გაცილებით უფრო დაცული იყო, ვიდრე სხვა მწერალთა მკითხველებისა. აი, ფრაგმენტი თომას ლითლზე (თომას მურის ადრეული ფსევდონიმი) ბაირონის სატირული პოემიდან „ინგლისელი ბარდები და სკოტლენდელი მიმომხილველები“: „ვისაც მორჩილი გარეგნობა აქვს, გარშემორტყმულია ქალწულთა გუნდით, ვინც არ დნება ვესტას ცეცხლზე, თვალები უბრწყინავთ და ლოყები გზნებით უვარვარებს, ჩამოჰკრავს თავის ველურ ღირას, და ქალბატონები ჩუმად უსმენენ? ეს პატარა (Little)! ყმანვილი კატულუსის მსგავსად ტკბილი და ისეთივე ამორალური, თავისი სიმღერებით!“

11. ამ და მომდევნო სტრიქონებში, ბაირონი აღწერს რავენას შემოგარენს, სადაც ცხოვროდა ამ ქების წერისას.

12. ამ ჩახლართულ სტრიქონთა საშუალებით პოეტი დაცინვით ევედრება კეთილგონიერ საზოგადოებას, მიიღოს მისი პოემა. თუ ისინი არ მიიღებენ, იგი იძულებული გახდება „მზარეულებში ჩაიკარგოს“, ვინც ალბათ თავის ზვეზელებს გაახვევენ წიგნის ფურცლებში. კორნუოლის ნაპირზე დამსხვრეულ ხომალდებს მალევე ძარცვავდნენ ხოლმე ადგილობრივები და იგი შიშობს, მის პოემასაც იგივე არ დაემართოს. იგი ირონიულად ადარებს ლურჯწინდებთანა ჩაის, კასტალიური წყაროების შთამაგონებელ წყალს.

13. მინიშნებაა ლორენს სტერნის რომანის პერსონაჟ, ღირს მისტერ იორიკსა და გალიამი ჩასმულ შოშიაზე.

14. ეს გახლავთ საუთი თავის ლექსში, „მედოქი უელსში“.

15. მუქი ლურჯი წვივსაკრავები ეკეთათ მარცხენა ფეხზე, როგორც სიმბოლო „წვივსაკრავის ორდენისა“, ინგლისელ კავალერთა უმაღლესი ორდენისა. რა თქმა უნდა ეს მდიდართა კლუბი იყო. წევრები სარგებლობდნენ პრივილეგიით დილის მიღებაზე მისვლისა რეგენტის საწოლ ოთახში.

16. ალბათ აქ მინიშნებაა ლედი შარლემონზე, ვინც იყო ცოლი ირლანდიის მეორე გრაფისა. 1813 წლის 1 დეკემბერს ბაირონს ჩაუწერია თავის დღიურში: „ალბათ ლურჯფრთიანი ქაშირში გამოწყობილი ნასწავლი პეპელა, ლედი შარლემონიც იქნება იქ. ვიმედოვნებ, დავტკბები ამ მეტად მშვენიერი სახის ჭვრეტით“. ნოემბერში კი წერს: „ყველა ლურჯი და სათავეში ლედი შარლემონი“.

17. ინსტრუმენტს ერქვა ციანომეტრი და სინამდვილეში სოსიორმა გამოიგონა. იდეა ის გახლდათ, რომ ატმოსფეროს ტენიანობა შეესაბამებოდა ცის სილურჯეს. ინსტრუმენტი მუშაობდა, მაგრამ ყოველთვის არა, განსაკუთრებით ღამით და ღრუბლიანობის დროს.

\* \* \*

შერმადინი ერთი იშვიათ სახელ-  
თაგანია.

აბა, მიმოიხედეთ გარშემო, განა  
რამდენი შერმადინი აღმოჩნდება  
თქვენს თვალსანიერზე? ალბათ...  
ალბათ არცერთი. მხოლოდ თითო-  
ოროლა თუ გვეტყვის, რომ იცნო-  
ბენ ვილაც შერმადინს, ეგაა და ეგ.  
არადა, ვითომ ასეთი მისავეინებე-  
ლი სახელია? კეთილხმოვანებით  
ნეტა რომელ სახელს ჩამოუვარდე-  
ბა, და თანაც ისეთ პერსონაჟს  
ჰქვია, სანდოობისა და ერთგულე-  
ბის ნიმუშად რომ წარმოდგება  
თბრობისას და ნიშანდობლივია,  
რომ თავის ანდერძს ავთანდილი  
სწორედ მას მიანდობს.

ილია ჭავჭავაძე სულაც განაზო-  
გადებდა ამ სახელს და შერმადინო-  
ბამდე აამალლებდა.

„გლახის ნაამბობს“ შოთა რუს-  
თველის „ვეფხისტყაოსნის“ პაროდიად რომ შეთხზავდა,  
ამ გარემოებას გამჭვირვალედ მიანიშნებდა ერთ-ერთ  
ფინალურ სურათში.

აგერ ტყვიით გულშენგრეული თავმომწონე თავადიშ-  
ვილი ძლივსლა ფეთქავს თავისი ყმის ფეხთა წინაშე.

— ნაგაკალ თუ არა შენს უნამუსობას!.. — უნდა წააყ-  
ვედროს გაბრიელმა.

— ჰმ, — პასუხად უნდა ჩაიცინოს დათიკომ ისე გულ-  
დინჯად, თითქოს ქვეშაგებში მშვიდობით წოლილიყოს,  
— ამით გათავდა შენი შერმადინობა?

ყმა კი, შეუვალცი და ცოტაოდნავ დამშვიდებულცი  
შურისძიების აღსრულებით:

— როგორცი ავთანდილი შენ იყავ, მეც იმისთანა შერ-  
მადინობა გაგინიე.

ეს განზოგადებაც ვერაფერს შესძენდა ამ სახელის  
პოპულარობას.

დარჩებოდა ასე ხამუშ-ხამუშ გაელვებული ქართულ  
ონომასტიკონში.

ეგაა, ეს „ხამუშ-ხამუშ“ ერთ ყელქცეულელსაც მოუ-  
წევდა — შერმადინ წველიძეს, უფრო შერმად ცნობილს  
თანასოფლელებშიც და ახლომახლო სოფლებშიც, რო-  
გორც კოლორიტულ პიროვნებასა და სახალხო მოქმელს,  
ექსპრომტები და ეპიგრამები ისე რომ გამოსდიოდა, თით-  
ქოს ფშაველი ან ხევსური ყოფილიყოს და არა ქართლის  
მკვიდრი, სადაც ლექსად სულაც არ მეტყველებენ საფიხ-  
ნოებსა თუ სუფრებზე.

არა სჩვეოდა მწარე გადაკვრანი თუ ირონიული ლაპა-  
რაკი და ლექსშიც მხოლოდ იუმორი გადავიდოდა —  
უნყინარი, სახალისო, მარჯვედ დანახული სახასიათო თუ  
გარეგნული დეტალები და შესაფერისი მანერითაც  
ამეტყველებული.

სოფელი უფასებდა პოეტურ უნარს, ეამაყებოდათ თა-  
ვიანთ წრეში ასეთი კაცის გამოჩენაც და პატივისცემას  
იმით გამოხატავდნენ, რომ იმეორებდნენ და იმეორებდ-



ნენ მის მხიარულ პოეტურ სტრიქო-  
ნებს.

განსაკუთრებით ამ ლექსთა პერ-  
სონაჟების გამოჩენისას, ერთობლი-  
ვადაც რომ შეეგებებოდნენ და შეუ-  
ღაველებდნენ.

ვთქვათ, და:

**დაბერდი, ჩემო ფირანიჩ,  
თვალმა დაგინყო კლებაო,  
მანქანას მოგინყურდება —  
ბოგირიდანა ხტებაო.**

ან:

**მე ვარ სანდრა ერადე,  
ინვალიდი ყველაზე,  
ჩემი საქმე ესეა —  
დამინიშნეთ პენსია.**

ანდა:

**არყისა და ღვინის მონა,  
გულა, ვანა, სოლომონა.**

ან კიდევ:

**ჩვენ ომარამ მოიყვანა  
ზიმ-მასკვიჩი მანქანაო,  
თვითონ სულ არ დადიოდა,  
სხვებს დაჰყავდა ხანხანაო.**

მიაკითხავდათ პერსონაჟებს სიკვდილის ანგელოზი,  
მიდიოდნენ, ისინიც მიდიოდნენ, მაგრამ ლექსისმიერ სი-  
ცოცხლეს კი აგრძელებდნენ, ახლა შვილებსა და შვილიშ-  
ვილებს რომ შეახსენებდნენ ხოლმე შერმას სტრიქონებს  
და მონატრებას ღიმილიც ჩაეფინებოდა.

— ჩამომართვი, შერმადინ, ხელობა? — შეეხუმრებო-  
და ოთარ ჩხეიძე.

— რატომ ჩამოგართვი, — გაიოცებდა შერმადინ წვე-  
ლიძე, — შენ პროზაიკოსი ხარ, მე — პოეტი.

და გაიცინებდა „ბორიყის“ შემოქმედი:

— აბა, ადვილად მოვრიგდებით!..

— მოვრიგდებით, უსათუოდ მოვრიგდებით, — უხა-  
როდა იუმორესკების მფრქვეველს, რაკილა თვითონ პრო-  
ზაიკოსობის საზღვრებში გადასვლას არ აპირებდა.

ახლახანაც შერმას რომ ვახსენებდი, თემო ჩიტაძეც  
და ზურაბ სამხარაძეც ისე გადაიბადრებოდნენ... და ერთ-  
მანეთს აღარ დააცლიდნენ მისი ექსპრომტების გახსენე-  
ბას. იცინებდნენ და იხალისებდნენ და ამ უეცარ წამოგო-  
ნებას პოეზიის საღამოდ გადამიტყვევდნენ მუხის ქვეშ,  
დევების მაგიდასთან.

ნეტა ჩანერილიც ხომ არა აქვს? ყველა თუ არა, ცალ-  
კული ნიმუშები მაინც.

ნეტა მათი შეგროვება თუ მოხერხდება?

არ არის დასაკარგი ასეთი მასალა — ეს ხომ სოფლის თავისებური გალერეაა, ლანდებით დასახლებული გარემო, რომელიც თან ის სოფელია და თან კიდევ რაღაც სხვა. ყოველ შემთხვევაში, ადამიანის მცდელობაა — ყველაფერი არ გაატანოს დაიწყებას და საზოგადოებრივ ცნობიერებას შემოუნახოს კოლორიტულ პიროვნებათა სახელებიც და სიავის მოქმედნიც არ მიაყრუოს. ეს ზოგადად, თორემ შერმადინ წვეელიძის ლირიკულ თვალთახედვაში არა ტრიალებდნენ უკეთურნი და მხოლოდ მათი წამოწევა ერჩივნა, ყელქცეულის მადლსა და დვრიტას ვინც განასახიერებდნენ.

ჯერ მარტო იმიტომაცაა აუცილებელი ამ რვეულის მოძიება თუ ყელქცეულელთა ხსოვნიდან გამომდინარე იმ ექსპრომტებისა, ეს ადამიანები, თავისებურად გააზრებული და მხატვრული სიცოცხლით აღვსილნი, ოთარ ჩხეიძის „ჩემი სოფლის ეტიუდებშიც“ რომ დასახლებულ-

ლან, პიესებშიც და რომანებშიც — ვინ მთავარ გმირად და ვინ რიგით პერსონაჟად, ზოგისა ამბავი, ზოგისა ხასიათი, ზოგისა — ხასიათის ერთი თვისება თუ შტრიხი, ზოგისა — მეტსახელი, ზოგისაც — სახელი, სხვა სოფელ-ქალაქებშიც არანაკლებ გავრცელებული თუ ისევე გაიშვიათებული, შერმადინი რომ გახლავთ — თვით რუსთველმა და ილიამაც რომ ვერაფერი უშველეს.

...სულთმობრძაობისაგან ყველას ჯვარი სწერია და, მაინცდამაინც ნურავის უსაყვედურებთ: ამით გათავდა შენი შერმადინობაო?

როგორიც ავთანდილები თქვენა ხართ, ისინიც ისეთ შერმადინობას გაგინვენ.

...ის ლექსები კი უთუოდ მოსაძიებელია — ხსოვნად, ფონად, პანორამის ნასხლეტებად, ეგებ შეკონინებაც რომ მოგვიხერხდეს.

\* \* \*

ვთქვათ, გაიმართოს დისკუსია თემაზე, უწყინარი სახელწოდებითა და უმძაფრესი შინაარსით: აღმოსავლეთი და დასავლეთი. ცხადია, იმ ქრილში — ქართველები საკაცობრიო ცხოვრების რომელ ნაკადს მივეკუთვნებით და სად უფრო მშობლიურად ვიგრძნობთ თავს.

რასაკვირველია, დასავლეთს ვაღიარებთ ჩვენს ორიენტირად და იმ კულტურულ წრეს დავსახავთ ჩვენთვის გაცილებით უფრო მშობლიურად, ვიდრე აღმოსავლურს. მომხრენი აღმოსავლური ნაკადის უპირატესობის თეზისსაც გამოუჩნდებიან, მაგრამ იმდენი არა, დისკუსიის საერთო შინაარსზე არსებითი ზეგავლენა იქონიონ.

ეგ კი არის:

დროზე არაფრისდიდებით არ დაინწყება თავყრილობა.

თავიდანაც ბევრი მონანილე არ გამოცხადდება დათქმულ საათზე, და დაგვიანებულები ხომ შემომეტებიან და შემომეტებიან... სულაც შეკრების დამთავრებამდე. ზოგი მერეც შემოაბიჯებს ბოდიშებითა თუ უბოდიშოდ, კამათი ჩამცხრალი რომ იქნება, საჯაროდაც და დისკუსიის შემდგომიც — გზადაგზაც რომ აღარ გეხალისება ერთიდაიმავეს ტრიალი.

და როგორ გინდა აუხსნა მედასავლეთეებს, რომ დაგვიანებისაკენ ეს მიდრეკილება, მეტიც, ეს გაუნელებელი ჟინი აღმოსავლურია და მხოლოდ აღმოსავლური, იქიდან მოგვდგამს, და თუკი დასავლურ წრეში მოხვედრა მართლა გენადია და არა მოჩვენებითად, როგორმე უნდა შეველიოთ ამ მიდრეკილებას.

თუმც... როგორი შესაღვეია!..

ეს ხომ უბრალო უყურადღებობა თუ უპასუხისმგებლობა არ არის და მისი ფესვები იმ სულიერ სწრაფვაშია, დროს რომ უპირისპირდები, საათთა ნიკნიკს არ ემორჩი-



შარყები ზაალ სულაკაურისა

ლები, არ ემონები, და უსაზღვროებისაკენ ლტოლვას დროსთან შებრძოლებით გამოხატავ.

აღარ გაფრთხობს თუ გაშინებს დრო მთელი თავისი მსახვრალობით, რაკილა ნაკუნ-ნაკუნ კი აღარ შეიგრძნობ, წუთებად და წამებად დაფლეთილს, არამედ ერთ მთლიანობაში. და ხარ ლალი და უკადრი რუსთველის ავთანდილივითაც და ნიკოლოზ ბარათაშვილის იმ უსახელო ქართველივითაც, ერის ხასიათის ნიშანდობლივ თვისებას იმ მოქმედებით რომ ამჟღავნებს, არაგვის პირას ცხენს რომ მოაძივებს, თვალს მოატყუებს, გამოღვიძებული შუბლს განიგრილებს და, ერთს ქართველურად რომ შესძახებს: არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებსო, — დაგვიანებისათვის ოდნავადაც აღარ დალონდება.

ამიტომაცაა, დათქმულ დროზე მისვლასაც რომ აპირებდე, გადაიფიქრებ:

მაინც არავინ იქნება ჩემს გარდა და მე რატომღა აეჩქარდეო.

და გალაკტიონ ტაბიძესაც რომ შეატყობინებდნენ:

— ხვალ 2 საათზე მწერალთა სასახლეში შეკრებაა და-ნიშნული და აუცილებლად უნდა მობრძანდეთ!

ის მაშინვე შეპირდებოდათ:

— გეახლებით, გეახლებით, ძამიკო, 2 საათზე ანუ... 4 საათზე, არა?

გუნებაში კი გაივლებდა: ხუთიც რომ იყოს, არც ამით დაშავდება არაფერი, თავყრილობა ჯერაც არ იქნება დაწყებული და ცოტა ხანს მოცდა კიდევაც მომიწევსო.

...რაც უნდა იყოს, ის ერთი ქართველური შეძახილი ხომ შეგვრჩება.

და მერე თუნდაც დაგვიგვიანდეს, ამისათვის რატომ უნდა დავლონდეთ?!

სამშობლოსათვის, სამშობლოსათვის...

„ვკვდები სამშობლოსათვის. სინდისი ჩემი სუფთაა. მე მხოლოდ ვასრულებდი პატრიოტის ვალს, როდესაც ცლამობდი წინ აღვდგომოდი ჭკუიდან შემოვლილი ჰიტლერის განუკითხაობას, რომელმაც უფსკრულში გადაჩეხა გერმანია. ჩემი მცდელობანი ამოვ გამოდგა და ახლა ვხედავ, რომ ჩემი სამშობლო იძირება ფსკერზე, თუმცა ეს უკვე 1942 წელს ვიცოდა“.

ეს გახლავთ ის ტექსტი, რომელიც დატუსაღებულმა ვილჰელმ კანარისმა 1945 წლის 8 აპრილის ღამეს კედელზე კაკუნით გადასცა მეზობელ საკანში მყოფ პატიმარს. 9 აპრილს, დილის 6 საათზე, ესეხელებმა სიკვდილმისჯილს პიანინოს სიმები შემოახვიეს ყელზე და მოაშთვეს.

ასე დაილუპა კაცი, რომელიც 1935-1944 წლებში ხელმძღვანელობდა ნაცისტური გერმანიის სამხედრო დაზვერვას ანუ აზვერს.

როგორც აღნიშნავენ, ვიცე-ადმირალი ვილჰელმ კანარისი წარმოადგენს ყველაზე იდუმალ ფიგურას იმდროინდელი გერმანიის პოლიტიკურ ელიტაში. ერთი მხრივ — მას ეჭირა მაღალი სახელმწიფო პოსტი მთელი ათი წლის მანძილზე და მეორე მხრივ — ოპოზიციაში ედგა ადოლფ ჰიტლერს.

კანარისი, ბერძნული წარმოშობის მრეწველის შვილი, თვრამეტი წლისა იყო, გერმანიის საზღვაო ფლოტში რომ გამაგნეს და თავისი კარიერის დასასრულს კონტრ-ადმირალის ჩინი მოიხვეჭა, ხოლო 1935 წლის 1 იანვარს სათავეში ჩაუდგა გერმანიის სამხედრო დაზვერვას.

ამერიკელი ისტორიკოსი დევიდ კენი თავის წიგნში „ჰიტლერის მსტოვრები“ ამგვარად აღწერს კანარისს: „იგი ნაადრევად გაჭაღარავდა, რის გამოც „ბებერო“ შეარქვეს. არაფრით არ ჰგავდა სამხედროს. მუდამ უჩუმრად მოძრაობდა, რათა ყურადღება არ მიეპყრო. ზოგჯერ ისე მოულოდნელად გამოჩნდებოდა ხოლმე „მელის სოროში“ [ასე ეძახდნენ აზვერის შტაბბინას], რომ ვერავინ ხვდებოდა, საიდან და როდის გაჩნდაო. ცივილური სამოსელი ნიდაგ ერჩივნა სამხედრო მუნდირს და როცა სხვა გზა არ ჰქონდა, ყველაზე ნახმარსა და გაცვეთილს იცვამდა. თავის გარეგანობას ნაკლებად აქცევდა ყურადღებას. ჯილდოებს ინახავდა მაგიდის უჯრაში სხვადასხვა უმნიშვნელო საგნებთან ერთად. ხელქვეითები თავიანთი შეფისთვის მორიგი სამხედრო ნოდების მინიჭებას მისგან როდი იგებდნენ. მცვიანა იყო და ზაფხულშიც კი არ იხდიდა პალტოს“.

კანარისი თავდაპირველად მხარს უჭერდა ჰიტლერის პოლიტიკას, მაგრამ თანდათანობით გული აუცრუნვდა და ოპოზიციაში ჩაუდგა. შესაძლოა ამიტომაც იყო, რომ აზვერი თავს ვერ მოიწონებდა დიდი მიღწევებით. სხვათა შორის, კანარისმა სამხედრო დაზვერვის სამსახურში აიყვანა რამდენიმე შეთქმული ანტიფაშისტი და ებრაელი, რათა გადაერჩინა რეპრესიებისგან.

1944 წლის თებერვალში ჰიტლერმა კანარისი თანამდებობიდან გადააყენა და აზვერიც გააუქმა. ხოლო იმავე წლის 23 ივლისს (ფიურერზე მოწყობილი თავდასხმის შემდეგ) კანარისი დააპატიმრეს, თუმცა არც ერთ შეთქმულს იგი არ გაუცია.

კანარისზე არანაკლებ კოლორიტულ ფიგურად შეიძლება მივიჩნიოთ სახელგანთქმული ინგლისელი კიმ ფილბი, რომელიც იღვწოდა ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურში და, იმავდროულად, წარმატებით ემსახურებოდა საბჭოთა დაზვერვას (ორი ბატონის მსახური შესაბამისად დააჯილდოვეს: ბრიტანეთის იმპერიის ორდენით და საბჭოთა წითელი დროშის ორდენით).

და აი, ერთ მშვენიერ დღეს ამ ორი გამორჩეული პიროვნების გზები ფატალურად გადაიკვეთა.

1942 წელს ფილბის, რომელიც იმხანად „ინტელიჯენს სერვისის“ მე-5 განყოფილების (კონტრდაზვერვა) ესპანურ სექციას ხელმძღვანელობდა, ხელთ ჩაუვარდა გერმანული რადიოგრამა, სადაც აღნიშნული იყო, რომ აზვერის შეფი, ვიცე-ადმირალი კანარისი უახლოეს ხანში ეწვეოდა ესპანეთს. მას დაგეგმილი ჰქონდა, რომ მადრიდიდან მანქანით უნდა ჩასულიყო სევილიაში და ღამის გასათევად შეჩერებულიყო პატარა ქალაქ მანზანარესში. ფილბი კარგად იცნობდა ამ ქალაქს ესპანეთის სამოქალაქო ომის დროიდან და ისიც იცოდა, რომ ერთადერთი ადგილი, სადაც კანარისს შეეძლო გაჩერება, იყო ოტელი „პარადორი“.

ფილბიმ გაამზადა მემორანდუმი, რომელიც აუწყებდა „სპეციალური ოპერაციების სამმართველოს“ კანარისის მგზავრობის შესახებ იმ შემთხვევისათვის, თუკი ამ უწყებას დაინტერესებდა თავდასხმა კანარისზე. ფილბის აზრით, ამ სამმართველოს არ გაუჭირდებოდა, რომ მანზანარესში გაეგზავნა გამოცდილი აგენტი, რომელიც რამდენიმე ხელყუმბარას სტყორცნიდა ოტელის იმ ნომერს, სადაც უნდა გაჩერებულიყო კანარისი. ფილბიმ ეს მემორანდუმი, ვიზის დასადავად, მიართვა თავის უშუალო უფროსს ფელიქს კაუგილს. მან მოიწონა ხელქვეითის ინიციატივა და ამის თაობაზე მოახსენა ბრიტანული დაზვერვის შეფს — სერ სტიუარტ მენზისს. რამდენიმე დღის შემდეგ კაუგილმა ფილბის აჩვენა შეფის რეზოლუცია: „მე არა მსურს, რომ ადმირალის წინააღმდეგ რაიმე მოვიმოქმედოთ“.

ფილბიმ დაადგინა, რომ სტალინგრადთან გერმანიის ჯარების განადგურების შემდეგ კანარისი იწყებს კონტაქტების ძიებას ინგლისელებთან სეპარატული ზავის დასადავად. თავის მხრივ, ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურიც მზად იყო თანამშრომლობისათვის. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, კიმ ფილბიმ, „ინტელიჯენს სერვისში“ მოხვეჭილი დიდი ავტორიტეტის წყალობით, მოახერხა ამ მაცდუნებელი პროექტის დაბლოკვა.

1963 წელს მოსკოვში გადახვეწილი ფილბი თავის ინგლისელ ბიოგრაფს, ჟურნალისტ ფილიპ ნაიტლის უმტკიცებდა: „არა მგონია, რომ იმან, რასაც მე ვაკეთებდი, რაიმე ზიანი მიყენა ჩემს სამშობლოს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩემი თანამშრომლობა საბჭოთა დაზვერვასთან დიდწილად ემსახურებოდა ბრიტანელ ხალხს. და ეს მარტოოდენ ჩემი თვალსაზრისით როდი გახლავთ“.

მართლაც, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ჰიუ ტრევორ-როუპერი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში ფილბისთან ერთად მსახურობდა ბრიტანეთის დაზვერვაში, წერდა, რომ მისი აზრით, ფილბის არასოდეს არავითარ ზარალი არ მიუყენებია თავისი სამშობლოსათვის.

ტრადიციული შეხედულებით, კანარისიც ლალატობდა სამშობლოს და ფილბიც. თავად ისინი კი მიიჩნევდნენ, რომ იბრძოდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

„სამშობლოსათვის, სამშობლოსათვის“ — აი, ეს იყო მათი დევიზი.

თქვენ რას იტყოდით, ვის მხარეზეა სიმართლე?



ბრწყინვალე შვიდეული, ბრწყინვალე!

შეცდომა თავიდანვე იქნა დაშვებული — უწყინარი და უცნებელი შეცდომა, რომელსაც ქვეყანა არ დაუნგრევია, არავისთვის არაფერი დაუშავებია. იმ კოლოსალურ უსამართლობათა და უკანონობათა ფონზე, ოდითგან თავს რომ დაგვტრიალებს და დღემდე მოუღწევია, სასაცილოც კი გახლავთ ამ პანანკინტელა გაუგებრობაზე კალმის მოცდენა და აურზაურის ატეხვა, მაგრამ როგორც ბრძნული ქართული ანდაზა ბრძანებს, ყველამ თავისი მკვდარი იტიროსო და აკი ვტირივართ კიდევც.

დიახ, შეცდომა თავიდანვე იქნა დაშვებული ანუ ნახევარი საუკუნის წინათ. ალბათ არც ქართული ენის პალატას (ასე ერქვა?) უმსჯელია ამის თაობაზე, არც კვალიფიციურ მთარგმნელთა აზრი უკითხავთ, არც რედაქტორ-ცენზორთა ყრილობა მოუწვევიათ. ერთმა პასუხისმგებელმა ამხანაგმა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის თანახმად თავის ნებაზე თარგმნა იმპორტული ფილმის სახელწოდება და მაყურებელი უხმოდ, მორჩილად დაემორჩილა მის უპასუხისმგებლო ვერდიქტს.

აბა სხვა რა უნდა ექნა იმ შავბნელ ეპოქაში, როდესაც არც ჰაიდ-პარკი არსებობდა ჩვენს მიწა-წყალზე და არც დამოუკიდებელი ტელევიზია.

იმპორტულ ფილმს ამერიკულად ერქვა „The Magnificent Seven“. მაგნიფისენტ ჩვენებურად ნიშნავს უკიდურესად მიმზიდველს, უკიდურესად შთამბეჭდავს, ბრწყინვალეს ანდა, როგორც ახალქაჯურზე (ჯორჯ ორუელის „ნიუსპიკ“) ამბობენ, მაგარს, ძალიან მაგგარს. მოსკოვში ასე თარგმნეს: Великолепная семёрка (და ჩვენც, კოლონიურ ხუნდებში, რუსულად წარმოვთქვამდით ხოლმე ეგ ზომი საყვარელი ფილმის სახელწოდებას. ვაი, სირცხვილო!); ქართულად კი მოკრძალებული და მოუხერხებელი სახელი დაარქვეს: „შესანიშნავი შვიდეული“ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვაგლახ, შესანიშნავი შვიდეული და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვაგლახ, შესანიშნავი შვიდეული და შთამბეჭდავს?

განა არ აჯობებდა, რომ ზემოხსენებული სახელწოდება ქართულად ასე ეთარგმნათ: „ბრწყინვალე შვიდეული“, ჰა?

ვთქვათ, ინგლისურ-ამერიკული არავის სცოდნოდა თბილისში (შეუძლებელია, მაგრამ ნუთით დაუშვავთ) და რუსულიდან გადმოგველო ბრწყინვალე ფილმის სახელწოდება, განა იმავე „ბრწყინვალე შვიდეულს“ არ მივიღებდით?

მოვეშვით ახლა ლექსიკონებში ქექვას და მთარგმნელთა რეფერენდუმს, განსაჯელად ყურთასმენა მოვიხმოთ. აბა, რამდენჯერმე გაიმეორეთ „შესანიშნავი“, უსათუოდ გაგიცვ-



„შესანიშნავი შვიდეული“

დებთ ენა და დასასრულ, „შესანიშნავი“ შეგრჩებათ პირში. აბა ახლა ბრძანეთ „ბრწყინვალე“ და გაიხსენეთ დალოცვილი გამოთქმები: გიორგი ბრწყინვალე, თქვენო ბრწყინვალეობა, ბრწყინვალეების ორდენი, ბრწყინვალე საქართველო, ივერია გაბრწყინდება... და ასე შემდეგ და ამის მსგავსი (ი ტე-დე, ი ტე-პე).

აბა ახლა ამოღებლეთ: გიორგი შესანიშნავი, თქვენო შესანიშნავი, შესანიშნავების ორდენი, შესანიშნავი საქართველო, ივერია გაშესანიშნავდება... ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს!

„ბრწყინვალე“ იმდენად ბრწყინვალე სიტყვაა, რომ „დამარცხებასაც“ კი ალაზათებს.

ბრწყინვალე დამარცხებაო — ასე დანერა ბრწყინვალე ქართველმა მკვლევარმა ზურაბ ავალიშვილმა მარაბდის ომზე. შესანიშნავი დამარცხებაო, რომ დაენერა, არ გაგეცინებოდათ?

თუნდაც არ არსებობდეს ამერიკული სახელწოდება ან სათანადო რუსული თარგმანი და იმპორტულ ფილმს უბრალოდ ერქვას, ვთქვათ,

„შვიდი კოვბოი“ (იაპონურ დედანს ხომ ასეც ჰქვია: შვიდი სამურაი) და ჩვენთვის დავალებინა უძვირფასეს ძია სემს უფრო მულერადი სახელწოდების მიგნება, განა „ბრწყინვალეს“ არ ჩავებლაუჭებოდით ამერიკელი ვაჟკაცების მოსანათლავად? აბა გაიხსენეთ ცხონებული იულ ბრინერის კრისი და ასევე ცხონებული სტივ მაკკუინის უინი (სხვებს ნუ გამოგეკიდებით, ესენიც საკმარისია). განა მართლაც ბრწყინვალენი არ არიან შესახედაობით, სიტყვა-პასუხით, ლხინში მოლხენით და ჭირში ჭირთა თმენით, გაუგონარი კეთილშობილებითა და თავგანწირული სიმამაცით?

იმდროინდელმა ქართველმა იატაკქვეშა პატრიოტებმა ბრწყინვალე ამერიკული ფილმის ბრწყინვალე გმირები შერაცხეს ღვთივკურთხეული „ნატოს“ წევრთა ცოცხალ სიმბოლოებად. იულ ბრინერი — შერთებული შტატების პერსონიფიკაცია არისო, სტივ მაკკუინი — დიდი ბრიტანეთისაო და ა.შ.

ხედავთ, როდის დანყებულა ჩვენი სიყვარული?

ჩვენში მტკიცედ სჯეროდათ:

ისინი ყოველ უპოვარს მოეფერებინან, ყოველ მათხოვარს ანუგეშებენ, შიშველს შემოსავენ, მშიერს გააძღობენ, გულდელდალს გაალომებენ; ყოველი ჩაგრულის, ყოველი დაკნინებულის სამშველად აღიმართებიან — რაღაც საცოდავ ოც დოლარს თუკი გადაუხდი ყოველ მათგანს.

ქრონიკა

17 იანვარს გამომცემლობა „ინტელექტის“ დარბაზში გურამ პეტრიაშვილის „100 ლექსის“ წარდგინება გაიმართა. კრებული ივანე ამირხანაშვილმა შეადგინა. ლონისძიებს უძღვებოდა გამომცემლობის დირექტორი კანმეგ კულავა. პრეზენტაციაზე გურამ პეტრიაშვილის პიროვნებისა და შე-

მოქმედების შესახებ ისაუბრეს მწერლებმა და ლიტერატორებმა მურმან ჯგუბურია, მურმან თავდიშვილმა, ლევან ბრეგაძემ, ოქტაი ქაუშომოვმა, სალომე კაპანაძემ, შალვა საბაშვილმა. მათემატიკოსებმა: ბესარიონმა დოჭვირმა, ელისო თვალთაშვილმა და არჩილ მამუკაშვილმა. დასასრულს პოეტმა კრებულისა და ახალი ლექსები წაიკითხა.